კვირის პალიტრა

ფერადი

119(48) 10/V.-16/V.2001. ფასი 60 თ.

სქოულს ცოლი მოჰყავს!

მას სიყვარული საქართველოში ეწვია

1168
2001

პატონი პოკრო ტექსელზე დაბრუნდა

თბილისელი ტრანსსექსუალი საოპერაციოდ მიდის

ბერიკაშვილისა და კავსაძის ვაჟების თავგადასავალი

რეზო ესაძე:

„მთელი ცხოვრება ვეტრფი ქალებს.
ჩემი მეუღლე, ციცია გადამილაპარაკებს
ხოლმე ქუჩაში — რეზო, თვალი
სად გაგეპარაო?!. რა გამეპარა?
ქურდულად კი არა, მტაცებელივით
გარბიან თვალები...“

გვ.10

ქვირის პასუხი
ეზო
№19 (48)
10 - 16 მაისი 2001
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
გამარჯვებულებს – სათანადო პატივისცემა! 3
ენერგეტიკა
„ტარიფიც გაძვირდება და მეც წავალ საქართველოდან!“ 4
კონფლიქტი
„ჭიდაობას რა უნდა“ – სრულდება რუსთავის საკრებულოში... 6
მსახიობი
„არც განგი ბავშვი მყავს და არც კოპერფილდს უთხოვია ჩემთვის ხელი!“ 8
პირველი სიყვარული
რეგო ესაძე: „ამნეზიაც რომ დამემართოს, ის გოგო არ დამავიწყდება“ 10
ვეტერანი
„ტყვედ რომ ჩავვარდი, სოფელში ჩემი დაღუპვის ცნობა გაუგზავნიათ“ 11
მოგზაური
დი დიაბასს მხოლოდ ლამაზი ქალების ეშინია 14
რჩევები
ბრძენკაცის დარიგებები 15
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი გოჩა დვალის შაბის წიგნაკიდან 16
ტრანსსექსუალი
მსოფლიოში ასეთი ოპერაცია ჯერ არ გაკეთებულა... 16
კრიმინალი
• „სასჯელად ისიც ეყოფა, რომ მკვლელია“ 18
• თემურ ქურდიანის საქმეს გენერალური პროკურორი განიხილავს 20
მამები და შვილები
„მამების სახელებით არასოდეს გვისარგებლია“ 22
სასარგებლო აზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 25
ტრიუმფი
„გამარჯვებული“ ბურთის გამტაცებელი 26
ოსტატი
„ოქროს ცვრით“ მონუსხულნი 29
ფსიქოლოგიური თამაში
რაგბე მეტყველებს სახის ნაკვთები 31

„ტყვედ რომ ჩავვარდი, სოფელში ჩემი დაღუპვის ცნობა გაუგზავნიათ“

კუნძულის გათავისუფლების შემდეგ, სანამ მოკავშირეთა ჯარები შემოვიდოდნენ, იქ დაახლოებით სამი თვე ვცხოვრობდით. კარგად ვიყავით...

ღამღამობით იქაური გოგოებიც მოდიოდნენ ხოლმე და „კუკუ“ – ასე გვეძახდნენ.

11

„ტარიფებიც გაძვირდება და მეც წავალ საქართველოდან!“

მინდა გითხრათ, რომ საქმიანი ინტერვიუს ბოლოს, სიურპრიზის სახით, ერთი საინტერესო ინფორმაციაც მივიღე: მაიკლ სქოული, სამი შვილის მამა, რომელიც პირველ მეუღლესთან კარგა ხნის გაცილებულია, სულ მალე კვლავ დაქორწინებას აპირებს.

4

„სასჯელად ისიც ეყოფა, რომ მკვლელია“

„ჩემი პროტესტი მკვლელობაში ბრალდებულის დასჯა-არდასჯას არ შეეხება. მის წინააღმდეგ სარჩელიც არ შეგვიტანია. მკვლელს რად უნდა დასჯა?! ისიც ეყოფა, მკვლელი რომ არის. ერთს ვითხოვ – ვამოძიებამ უარყოს ჩემი დისშვილის სახელის შეურაცხმყოფელი ბრალდებები...“

18

მსოფლიოში ასეთი ოპერაცია ჯერ არ გაკეთებულა



ბაბა დვალიძე უკვე რამდენიმე წელია ტრანსსექსუალური ოპერაციისთვის ემზადება, თუმცა, მისი პრობლემა, ბევრად უფრო ადრე დაიწყო – მაშინ, როდესაც სქესის რაობა გააცნობიერა და მიხვდა, რომ გარშემომყოფნი ქალად აღიქვამდნენ.

16

სამყარო
პროქტეილი 32
წმინდანები
წმინდა ეფრემ დიდი, მაწყვერელი და წმინდა არსენ დიდი, კათოლიკოსი 34
საზოგადოება
„მე რომ მკითხოთ, აქ ფენომენები არიან“. რეპორტაჟი „ბარიყულთა“ კუნძულიდან 35
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაზე 36
ბომონდი
• ყოფილის ხიბლი – ექსმეუღლესთან შეუღლების ხელმეორე ცდები 38
• სიყვარულმა ასაკი არ იცის 40
ნოვატორი
წვრილმანების გამომგონებელი 42
რომანი
ბესიკ კეკელიძე. შეუწყალებელი შეწყალება (დასასრული) 44
ვარსკვლავები
ნიკოლისა და ტომის ბობოქარი ვნებები 47
ავტო
რით დაიარებიან პრეზიდენტები 50
ტესტი
ერთგული მკითხველი 53
ესკიზები
„ჩემი ოცნება პოეტური თეატრია“ 54
ჯანმრთელობა
• ქრონიკული დაღლილობის სინდრომი 56
• წურბლებით მკურნალობა 57
საუკუნის ადამიანები
შანტასტიკურ გმანებათა სამყაროში (დასასრული) 58
სკანვორდი 61
ჰოროსკოპი
კვირის (14-20 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62
ტესტი
ადვილად ექცევით თუ არა სხვისი გეგავლენის ქვეშ? 63
კალეიდოსკოპი
ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

„მამმგის სახელმგით არასოდეს გვისარგებლია“

ადრე ხშირად მიწევდა ხოლმე თამადობა, მაგრამ მერე საერთოდ უარი ვთქვი ამ საქმეზე: ცუდი თამადა ვარ, სუფრას ვერ ვიმორჩილებ. აი, კახისა და გივის თამადობა სულ სხვა ამბავია, რაღაცის მოყოლას რომ დაიწყებენ, უნდა გაისუსო და ისე მოუსმინო.

22

„გამარჯვებული“ გურთის გამტაცებელი

ქართული ფეხბურთისთვის სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ანზორ გაბიტაშვილს, მხოლოდ ეს „ხულიგნობა“ ეყოფოდა დამსახურებად, რომელმაც დარასელიას ფეხშენავლებ და გერმანელთა კარის ბადეში გამარჯვების მაუწყებლად აფართხალებულ ბურთს თბილისში მიუჩინა ბინა.

26

დი დიაგასს მხოლოდ ლამაზი ქალების მეშინია

ის ინდოელი მოგზაურია, რომელიც რამდენიმე დღის წინ საქართველოში ჩამოვიდა. ინდოელმა „მშვიდობის მაძიებელმა“ დი დიაბასმა, სანამ ჩვენამდე მოაღწევდა, 70 ქვეყანა მოინახულა და 100 ათასი კილომეტრი ფეხით გამოიარა.

14

შეყოწყლიებელი შეწყლიებს

– მამა, მამიკო, ჩემი საყვარელი მამა, როგორ მომენატრე, – მთელი ძალით ჩაეკრა და ტირილი მორთო.

– ღაწყნარდი, მამიკო, – ცრემლი შეუმშრალა ზურამ. ამდენი სიმწარის შემდეგ, ძლივს იგრძნო თავი ბედნიერად, – წამოდი, დავსხდეთ, – მიუოითა კაფესკენ.

44

გამარჯვებულებს — სათანადო პატივისცემა!

მთელი ყოფილი (ცხონებული) საბჭოთა კავშირი უკვე ორმოცდამეთექვსმეტედ დღესასწაულობს 9 მაისს — ფაშიზმის დამარცხების დღეს (ადრე რატომღაც ასე ამბობდნენ: „ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების დღე!“ — თითქოს ინგლისელები და ამერიკელები „იმათ“ მხარეს იყვნენ).

დაფასება და პატივისცემაც არასოდეს აკლდათ ომის ჭირგამოვლილ ვეტერანებს. მაგრამ ნათქვამია — „დრონი მეფობენ და არა მეფენი“, თანდათან მცირდება ნაომარ ადამიანთა რაოდენობა და დავიწყებას ეძლევა მათი ღვაწლი. განსაკუთრებით ჩვენში — საქართველოში ხომ ყოველთვის პირველობდა „დასავლურ კულტურასა და ღირებულებებზე ორიენტაცია“ და წინაპართა (არა აქვს მნიშვნელობა — შორეული იქნება ეს წინაპარი თუ უახლოესი) ფეხებზე დაკიდებაც ხომ, „ამათი“ აზრით, სწორედ ამ კულტურის ნაწილია.

ისე, გამარჯვებული მაინც გამარჯვებულია: როგორი ამაყები, როგორი ახალგაზრდულად წელგამართულები არიან ჩვენი ვეტერანები ყოველ ცხრა მაისს. არადა, ამ დღეებში ერთ-ერთმა რუსულმა ტელეარხმა გერმანელ ნაფაშისტართა შეკრება აჩვენა — სულ ბოდიშები იხადეს: ეს რა დაგვემართა, უფრო სწორად — ეს რა დაგმართეთო, მეტს აღარ ვიზამთო, გვაპატიეთო...

მიუხედავად დიდი საბჭოეთის დაშლა-დანაწევრებისა, მაინც მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნის ნაწილი ვართ და ომის ვეტერანებსაც დღემდე არ მოხსნიათ სხვადასხვა შეღავათი. მოხსნიათ კი არა, ყოველწლიურად ახალ-ახალი საჩუქრებით ანებივრებთ ხელისუფლება: ადრე საკუთარი მაღაზიებიც ჰქონდათ, სადაც უპრობლემოდ ყიდულობდნენ კალოშებს, თოხს, ბარს, თვეში ერთხელ ორას გრამ ყველს, ორ დღეში ერთხელ „ბუხანკა“ პურს და ა.შ. საზეიმო სხდომების პრეზიდიუმში ყოფნას ხომ არავინ ამადლიდა...

დამარცხებულ გერმანიაში?! — რა სპეცმაღაზია და რის პრეზიდიუმი, როგორც სხვა, ისინიც ისევე დადიოდნენ სუპერმარკეტებში და იმას ჭამდნენ და იცვამდნენ, რასაც ჩვეულებრივი მოქალაქეები, თუნდაც ისინი, რომლებმაც იდეზერტირეს და საერთოდ არ აუღიათ ხელში იარაღი.

ცხადია, სანამ არიან, პატივი, დიდება და ხელის შეწყობა არ უნდა მოაკლდეთ ომის ვეტერანებს და სწორედ ეს მაფიქრებს ახლა: საქართველოს ხელისუფლებას, ჩემი აზრით, ცოტა არ იყოს მიავიწყდა ეს ხალხი. რუსეთში სულ სხვა სიტუაციაა. გასაგებია, რომ რუსეთი აღარ არის ჩვენი „უფროსი ძმა“, მაგრამ თუ რამე კარგი კეთდება იქ, არ უნდა დავუკარგოთ და უნდა მივბაძოთ კიდეც. როგორ არ შეგშურდებოდა კაცს, როდესაც 4 მაისს ასეთი ამბავი გვამცნო PTP-მა: მოსკოვის ხელისუფლებამ რუსეთის დედაქალაქის ქუჩებში სპეციალური ლიცენზიის გარეშე მათხოვრობა აკრძალა. ახალი დადგენილებით, ყველამ, ვისაც მოსკოველთა გულმოწყალების იმედად უნდა ცხოვრება, ერთი თვე უნდა ირბინოს და საბუთები უნდა შეაგროვოს — რომ პენსიონერია ან ინვალიდი და მისი ყოველთვიური შემოსავალი საარსებო მინიმუმს არ აღემატება. თანაც აუცილებლად მოსკოვური „პრაპისკა“ უნდა ჰქონდეს. ამ დოკუმენტების შეგროვების შემდეგ მიიღებს ლიცენზიას, რომელიც ყოველ ექვს თვეში უნდა განაახლოს (იმიტომ, რომ შეიძლება ამ ექვს თვეში გამდიდრდეს და მათხოვრობა აღარ დასჭირდეს)... ჰოდა, ერთადერთი „კატეგორია“, ვისაც არავითარი საბუთების წარდგენა არ სჭირდება და პირდაპირ მისცემენ მათხოვრის ლიცენზიას, ომის ვეტერანები იქნებიან! დაფასებაც ასეთი უნდა!

ჩვენთან კი რა ხდება?! — ომის ვეტერანები და ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომლებსაც არავითარი დამსახურება არ მიუძღვით სამშობლოს წინაშე, ერთნაირად მათხოვრობენ!

არ შეიძლება ასე!!!

P.S. წინადადებით შევდივართ საქართველოს მთავრობასა და დედაქალაქის მერიაში, რომ არა მხოლოდ ლიცენზიის გაცემისას, არამედ შემდეგაც მიეცეთ უპირატესობა ომის ვეტერანებს: მხოლოდ მათთვის უნდა იყოს ნებადართული პარლამენტის, სახელმწიფო კანცელარიის, ნებისმიერი სამინისტროს შენობის შესასვლელთან მათხოვრობა. ხოლო ამ დაწესებულებაში მოღვაწეთ უნდა დაევალოთ, რომ ყოველ საღამოს, სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, გვერდით მიუსხდნენ მოხუცებს და ნაწყალობევის შეგროვებაში დაეხმარონ.

ამით მათთვის სასარგებლო საქმეც გაკეთდება: აუცილებელ პრაქტიკას გაივლიან, რომელიც, თუ ქვეყნად სამართალია, სიბერეში უეჭველად გამოადგებათ!

პროვოკატორი

ეი-ი-ეს-თელასის მენეჯერ მაიკლ სქოულთან საუბრით, ვეცდებით პასუხი გავცეთ საზოგადოებისათვის საინტერესო კითხვებს: გაძვირდება თუ არა ელექტროენერგიის ტარიფი და დატოვებს თუ არა თავად სქოული საქართველოს. აქვე ისიც მინდა გითხრათ, რომ საქმიანი ინტერვიუს ბოლოს, სიურპრიზის სახით, ერთი საინტერესო ინფორმაციაც მივიღე: მაიკლ სქოული, სამი შვილის მამა, რომელიც პირველ მეუღლესთან კარგა ხნის გაცილებულია, სულ მალე კვლავ დაქორწინებას აპირებს, თუმცა ამაზე — მოგვიანებით.

„ტარიფიც გაძვირდება და მეც წავალ საქართველოდან!“

ეკა ლომიძე

— გაძვირდება თუ არა ელექტროენერგიის ტარიფი? როგორც ცნობილია, მიუხედავად თქვენი მოთხოვნისა, საქართველოს ხელისუფლება ტარიფის გაძვირების წინააღმდეგია და თქვენს დასაკმაყოფილებლად სხვა გამოსავალს ეძებს.

— თბილისის მოსახლეობისათვის ტარიფი გაძვირდება და იქნება 12 თეთრი. ხშირად, ტარიფზე საუბრისას, კომპეტენტური პირები უზარმაზარ ციფრებს ასახელებენ, რაც არარეალურია.

— თუმცა, მარეგულირებელ კომისიაში თქვენ მიერ შეტანილ განაცხადში ტარიფის გაძვირების შესახებ 17 თეთრი იყო დაფიქსირებული. თუ 12 თეთრამდე გინდათ ტარიფის გაზრდა, ეს 17 რაღას ნიშნავს?

— ეს გავაკეთეთ იმისათვის, რომ მარეგულირებელი კომისიისთვისაც და სხვა შესაბამისი ორგანიზაციებისთვისაც ცხადი ყოფილიყო: თუ პრობლემა დროზე არ მოგვარდა და ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ტარიფი 17 თეთრამდეც გაიზრდება. რიგი სამინისტროები ახლა იმისათვის მუშაობენ, რომ ჩვენთვის დამატებითი ღირებულების გადასახადი შეღავათიანი გახდეს და ყველა ის ცვლილება მოხდეს, რომელიც ტარიფის დროულად გაზრდას უზრუნველყოფს.

— როგორ — შეღავათიანი დღგ-ც იქნება და ტარიფის ფასიც გაიზრდება?

— მე უკანონოს არაფერს ვითხოვ. ყველაფერში ხელშეკრულებით ვხელმძღვანელობ. ტარიფის გაზრდა აუცილებელია იმისათვის, რომ ის თანხები, რომელიც ეი-ი-ეს-მა თელასში ინვესტიციის სახით ჩადო, ამოღებული იქნას. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია იმ პრობლემისა, რაც ტარიფის ზრდას განაპირობებს.

— საინვესტიციო ხარჯებში ალბათ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზაციო ვალდებულებით გადახდილი თანხის გარდა, გაწეულ ხარჯებსაც გულისხმობთ?

— დიახ, ეს ხარჯები ძალიან დიდია. ეი-ი-ეს-ი ცდილობს იმ თანხების ამოღებასაც, რომელიც ელექტროენერგიის დატაცების შედეგად დაგროვდა. ხალხს ეგონა, რომ დღეს თუ მოიპარავდა ენერგიას და ფულს არ გადაიხდიდა, სამუდამოდ შერჩებოდა. მათ ფული მოჰპარეს არა თელასს, არამედ საკუთარ ჯიბეს. საბოლოო ჯამში, მოპარული ენერგიის ღირებულებას გაძვირებული ტარიფით გადაიხდიან...

— თუმცა, არა მგონია, ენერგიის მოპარვა აღარ გაგრძელდეს, ამას ხომ ხალხი სოციალურად და ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობის გამო აკეთებს.

— ეს პროცესი საკმაოდ რეგულირებადი ხდება, მრიცხველების გარეთ გამოტანის შედეგად. როცა ამ ოპერაციას დავამთავრებთ, საკითხი საბოლოოდ მოგვარდება. თანაც, ხალხიც მიხვდება, რომ ასე მხოლოდ საკუთარ თავს ვნებს.

— ტარიფთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე რა პრობლემებია თქვენსა და საქართველოს ხელისუფლებას შორის?

— მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ახლა ჩამოვა დამოუკიდებელი საერთაშორისო ექსპერტი და სიტუაციას შეისწავლის. მისი დასკვნების შემდეგ, იმედი გვაქვს, ყველაფერი მოგვარდება ისე, როგორც ჩვენ ვითხოვთ, თუ არა და, მაშინ საქმე გადაეცემა საერთაშორისო არბიტრაჟს, სადაც ჩვენ საქმეს მოვიგებთ.

— ეი. საქართველოს ხელისუფლებას უჩივლებთ?

— ვფიქრობ, თქვენი მთავრობა აქამდე საქმეს არ მიიყვანს. მას არასწორი და სუსტი პოზიცია აქვს, რაც თავადაც კარგად იცის. ამიტომ არა მგონია, ჩვენთან საქმის წაგებით, საკუთარი რეპუტაციის დაკარგვისა და საერთაშორისო მასშტაბით სახელის გაფუჭების სურვილი ჰქონდეს.

— ალბათ გულისხმობთ პოტენციურ ინვესტორებთან ურთიერთობის შესაძლო გაფუჭებასაც?

— დიახ, დღეს ყველა საიმედო კომპანია თვალს ადევნებს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. იმას, თუ როგორი დამოკიდებულებაა ჩვენ მიმართ. ნახეთ, რა მცირეა აქ შემოსული ინვესტიციების რიცხვი. კიდევ უფრო შემცირდება. გაიარეთ ელიავას ბაზრობასთან — ხიდის ქვეშ რამდენი უმუშევარი ადამიანი დგას, როგორ ელოდებიან სამუშაოს, რომ ლუკმაპური იშოვონ და გადარჩნენ. როგორც მე, ისე ამ სიტუაციის შემქმნელებს — თქვენს ხელისუფლებას სამჯერ-ოთხჯერ მაინც უწევთ ამ ადგილას გავლა. ჩახედონ ამ ხალხს თვალებში! მათ სამუშაო უნდათ, დაპირებული სამუშაო, რის შექმნასაც დღეს ისევ უცხოური ინვესტიციებით თუ შეძლებენ. ამისთვის კი პირობები უნდა შეუქმნან ინვესტორებს. ჩვენ, ეი-ი-ეს-ი, საქართველოში არ ვქმნით სამუშაო ადგილებს, ჩვენ ვქმნით ეკონომიკური სიძლიერის საფუძველს. გამართული ენერგოსისტემა აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნისთვის, მაგრამ თუ ყოველი ნაბიჯისათვის ბრძოლა მოგვიწევს, გვერწმუნეთ — აქ არავინ შემოვა და ფაბრიკა-ქარხნებიც არ აშენდება.

— ბოლო დროს ლაპარაკია საქართველოში ენერგოკომპანიების გამსხვილებაზე, ისე, რომ შესაძლოა, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ენერგოკომპანიების შექმნაც მოხდეს. ეი-ი-ეს-ი ხომ არ ეცდება ინვესტიციების კვლავ ჩადებას ამ საქმეში?

— არავითარ შემთხვევაში. ეი-ი-ეს-ი. უკვე ისედაც ბევრს ფლობს საქართველოში. ჩვენი კომპანიისთვის სასურველი არ არის აქ უფრო გაფართოება, ჩვენთვისაც და

ქვეყნის ეკონომიკისთვისაც უმჯობესია, უფრო მეტი ფირმა შემოვიდეს: კონკურენცია უფრო დიდი იქნება ასეთ გარემოში. საქართველოს ხელისუფლება ბევრს წააგებს, თუ სომხეთის მაგალითს გაიმეორებს: სომხეთში ორი უზარმაზარი ენერგოკომპანიაა მხოლოდ. იქური ენერგობიექტები ტექნიკურად ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საქართველოს ენერგოსისტემა, მაგრამ სატენდერო განაცხადი არც ერთმა ინვესტორმა არ გააკეთა სომხეთში, მაშინ, როცა სომხებს მსოფლიო ბანკისა და სხვა გავლენიანი ორგანიზაციების დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ. თუ საქართველოს ეკონომიკის მიწასთან გასწორება არ უნდათ, მსგავსი შეცდომა ქართველებმა არ უნდა გაიმეორონ.

— თქვენ ელექტროენერგიის საბითუმო ფასის გაზრდის წინააღმდეგი იყავით ჯერ კიდევ 18 თვის წინ, მაგრამ თქვენი აზრი მაშინ არ გაიზიარეს. ახლა მგონი სიტუაცია შეიცვალა. რა ხდება?

— დიახ. ეი-ი-ეს-ი მაშინ მართალი იყო და არავინ არ გვისმენდა. განა იმიტომ, რომ ჩვენს სიმართლეში ეპარებოდათ ეჭვი. არა, საბითუმო ფასი ხელოვნურად გაზარდეს, რომ ეი-ი-ეს-ისთვის რაც შეიძლება მეტი ფული წაერთმიათ, რათა მერე მთელი საქართველოს ენერგოსისტემაში გაჩენილი დანაკლისი ჩვენ მიერ გადახდილი ზედმეტი თანხებით დაებალანსებინათ. შარშან სულ დავა გვქონდა მარეგულირებელ კომისიასთან ამის გამო. დიდი შეცდომა დაუშვეს მაშინ. თუ საბითუმო ბაზრის ფასი შემცირდება, ჩვენ იმის საშუალება მოგვეცემა, რომ ტარიფი ძალიან არ გავზარდოთ.

— ნახევრად ხუმრობით საკითხავია ალბათ — ტარიფის შემცირება თუა შესაძლებელი?

— წლები დასჭირდება ამას, თორემ როგორ არ შეიძლება?! ახლა ძალიან მძიმე მდგომარეობაა. 90-იან წლებში უამრავი პრობლემა დაგროვდა ენერგოსისტემაში. ხალხი ფულს რომ არ იხდიდა და ენერგოსისტემის ამორტიზაცია რომ ხდებოდა, დღეს უამრავი ტექნიკური პრობლემა დაგროვდა, რაც უზარმაზარ ხარჯებს მოითხოვს. ...ისე, მოკლედ რომ ვთქვათ, თუ მოინდომებენ, 5-6 წელიწადში შესაძლებელი იქნება ტარიფის შემცირება.

— გადავადებულ გადასახადებთან დაკავშირებით ცნობილი გახდა, რომ ეი-ი-ეს-ი მოსახლეობისგან იმ ფულის გადახდას მოითხოვს, რომელიც ხელისუფლებამ რამდენიმე წლით გადაუვადა. ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?

— როდესაც თელასის პრივატიზაცია მოხდა, იყო ორი სახეობის ვალი: 1) წინა წლებში თელასის მიერ მიღებული ელექტროენერგიის გადაუხდელი საფასური, რომელიც 99 წლით იყო გადავადებული 2) კონტრაქტორების დავალიანება: სხვადასხვა სამუშაოს შემსრულებლებისთვის თელასის მიერ გადაუხდელი თანხები და სახელფასო დავალიანება. ეს ყველაფერი 17 მლნ ლარს შეადგენდა. ეი-ი-ეს-მა თელასში შესვლისთანავე გადაიხადა ეს თანხა. დარჩა მოსახლეობის ვალები თელასთან — 19-20 მლნ ლარი. პრივატიზაციის დროს შევთანხმდით, რომ ეი-ი-ეს-ი 17 მლნ-ის გადახდის შემდეგ მოსახლეობისგან დაიწყებდა დავალიანების ამოღებას.

— როგორც ვიცით, თქვენ სამუშაოდ თურქეთში გადაგიყვანეს. ცნობილია, რომ ჩასულიც იყავით იქ, მაგრამ დაბრუნდით. რა მოხდა?

— მაისიდან უკვე თურქეთში უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მოულოდნელად ეი-ი-ეს-მა უკრაინაში ორი ენერგოგამანაწილებელი კომპანია შეიძინა და კაცი, რომელსაც საქართველოში ჩემს ადგილზე უნდა ემუშავა, უკრაინაში დანიშნეს.

— ეი. დროებით შემორჩით თელასს?

— დიახ, დროებით. ამჟამად ორივე სამსახურში ვარ. შეთავსება მიჭირს. სულ აქ მიწევს ყოფნა.

— კონკრეტულად, რაში მდგომარეობს თქვენი სამსახური თურქეთში?

— ეი-ი-ეს-ს აქვს გეოგრაფიული ჯგუფები, რომლებშიც უამრავი ქვეყანაა გაერთიანებული. თითოეულ ჯგუფს ხელმძღვანელობს ერთი კაცი. ასეთი 18 ჯგუფია და მათგან ერთ-ერთის ხელმძღვანელი გავხდი. მართალია, ოფისი თურქეთში იქნება, მაგრამ ამ ჯგუფში ჩრდილოეთ აფრიკა, ისრაელი, საბერძნეთი, ბალკანეთი შედის. როგორც კი აქ შესაბამისი შემცვლელი გამომჩნდება, სამუდამოდ დავტოვებ საქართველოს.

— რატომ ამბობთ ასე კატეგორიულად? საქართველომ როგორც ქვეყანამ, არ მოგხიბლათ?

— ვინ გითხრათ, რომ მე ამის საშუალება მქონდა?! ფაქტობრივად, საქართველო არ მინახავს. ერთადერთხელ მოვახერხე სათხილამურო გუდაურში წასვლა. ერთხელ ბაქო-ჯეიჰანი-თბილისის ავტოგადარბენაში მივიღე მონაწილეობა. ძალიან მინდოდა ყაზბეგზე ასვლა. მე მთამსვლელი ვარ, მაგრამ აქ ვერ ვისიამოვნე. შავ ზღვაზე საერთოდ არ ვყოფილვარ, გჯერათ? ალბათ მერე თუ ჩამოვალ საქართველოში, ქვეყნის გაცნობის უფრო მეტი შესაძლებლობა მექნება. თანაც ვფიქრობ, მომავალში აქ უკეთესი მდგომარეობაც იქნება. 3 წელია აქ ვარ და ვატყობ, რომ სიტუაცია შეიცვალა.

— რას გულისხმობთ?

— მაგალითად, მთავრობა: უფრო მომზადებული შემადგენლობაა, ახლა უფრო ძლიერი მინისტრები გყავთ, მათ შორის ნოღაიდელი ყველაზე „მაგარია", თუმცა ვიცი, რომ არაპოპულარულია. ეს არც მიკვირს: კაცი, რომელიც თავიდანვე კარგ საქმეს აკეთებს, მაგრამ დაძაბულ გარემოში აღმოჩნდება, არ უყვართ. ტეტჩერი ინგლისში სრული ქაოსის დროს გახდა პრემიერ-მინისტრი. თავისი სიძლიერისა და სიჯიუტის წყალობით, ქვეყანა ფეხზე დააყენა, მაგრამ მხოლოდ ბოლოს შეძლეს მისი დაფასება. თქვენთანაც გარდამავალი პერიოდია და ჯერ კიდევ არ ჰქვია ყველას და ყველაფერს თავ-თავისი სახელი.

მაიკლ სქოულთან საუბრის დასასრულს, კაბინეტში მისი შვილების სურათების ნახვისას ვკითხე — ალბათ ოჯახური იდილიაც მოგენატრათ ამ მუდმივ დაძაბულობაში-მეთქი? გაეცინა და მითხრა:

— ახლახან, 1 თებერვალს ნიშნობა მქონდა ინგლისში, სადაც ძალიან დიდი წვეულება გავმართე. მომავალი მეუღლე ლესია, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გადარბენის დროს გავიცანი. რომ არა საქართველო, მას ვერ შევხვდებოდი. ლესია რუდიკევიჩი ამერიკაში დაბადებული უკრაინელია. ჟურნალისტია. როცა გავიცანი, მეგობარი მამაკაცი ჰყავდა სამხედრო-საავიაციო ნაწილში. იმ ბიჭს მაგრად არ მოვწონვარ, მაგრამ ეს მე არ მაწუხებს...

— ალბათ კიდევ სამ შვილს გააჩენთ?..

— ლესიას ოთხი უნდა, მე მხოლოდ ორზე ვარ თანახმა. თურქეთში გადასვლისთანავე, ლესია ჩემთან წამოვა და ერთად ვიქნებით.

— ბედნიერებას გისურვებთ!

■

მარჯვნიდან: ნინა, დანიელი და სემ სქოულები

„ჭიდაობას რა უნდა“

მამუკა აბულაძე

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის სავარძელი ლეიბორისტებისა და „მოქალაქეებისთვის“ საჯილდაო ქვად იქცა. ამის გამო ატეხილი ხმაური კარგა ხანია გასცდა ქალაქის ფარგლებს. მავანი იტყვის — რა გაუხდათ ეს ერთი არცთუ ისე მაღალსაზურგიანი „უფერული სკამი“ რუსთაველებსო... მაგრამ როგორც ჩანს, ზოგიერთისთვის „მაღალი სავარძლის“ ფუნქციასაც ატარებს და თუ კაცი შნოს გამოიჩენს, იგი არც ისეთი უღიმღამო და შემოუსავლიანია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. და კიდევ ერთი ცრემლნარევი ირონია — მკვდარ ქალაქში (ასე ეძახიან თვით ამ ქალაქის მკვიდრნი რუსთავს), რომელშიც თითქმის არც ერთი საწარმო აღარ მუშაობს, ერთადერთი, მერია და საკრებულო „ფეთქავს“, ამიტომ უჭირავს ყველას თვალი მისკენ.

ნიკო მენთეშაშვილი

– სრულდება რუსთავის საკრებულოში...

იგო რიკაძე

საკრებულოში ამტყდარ დავიდარაბას რუსთაველები უგულისყუროდ ადევნებენ თვალს. ხმაური ყოველთვის ნადავლის გამოაო – ამბობენ და არ სჯერათ, რომ ვინმე ოდესმე მათთვისაც აიტკივებს თავს.

საკრებულოში მისულებმა თავმჯდომარე – ნიკო მენთეშაშვილი ვიკითხეთ (რუსთავის სასამართლოს 3 მაისის დადგენილებით, მენთეშაშვილი ისევ საკრებულოს თავმჯდომარეა) და მაშინვე ვიხილე ერთი ახალგაზრდა ქალბატონის ემოციური აფეთქება (ალბათ, შედეგი ამ ორწლიანი ბრძოლისა) – მენთეშაშვილი აქ არ არის და ვერც შემოვაო! როდესაც თავი გავაცანი, ამიხსნა: საკრებულოს თავმჯდომარის სკამზე ისევ მამუკა აბულაძე ზის, მენთეშაშვილი ჯერ არ გამოჩენილაო.

ორივე თავმჯდომარეს ვესაუბრე... მათი დაპირისპირების მიზეზის „ამოცნობა“ კი მკითხველისთვის მიმინდვია...

მამუკა აბულაძე:

– საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არც მიოცნებია და არც „მიჩალიჩია“. აქ 1999 წლის დეკემბერში მოვედი, რიგით წევრად, მანამდე საკრებულოს ერთწლიანი მუშაობა ჰქონდა გაწეული. დეპუტატები უკმაყოფილოები იყვნენ – მენთეშაშვილი საკრებულოსა და დარგობრივი კომისიების მითითებებს და დადგენილებებს არ ასრულებს და ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტსო. ამის გამო ისევ მისივე თანაპარტიელები დაუპირისპირდნენ – 8 ლეიბორისტმა დატოვა პარტია. მალე „აღორძინებაც“ გადაუდგა. ყველა ამბობდა – მენთეშაშვილი არაკომუნიკაბელურია, თავი საწარმოს დირექტორი ჰგონიაო. მოკლედ, მან საკრებულოს მუშაობა ვერ ააწყო. ამის მერე საკრებულოს ერთ-ერთ სხდომაზე მისმა ყოფილმა თანაპარტიელმა თავმჯდომარის იმპიჩმენტი მოითხოვა: საკითხი დღის წესრიგში შეიტანეს. მენთეშაშვილმა შესვენება გამოაცხადა და მერე კი საკრებულო დატოვა. ჩვენ მაინც გავაგრძელეთ სხდომა და დეპუტატებმა მე ამირჩიეს. ამის შემდეგ დაიწყო მენთეშაშვილმა სიარული სასამართლოებში. სამი პროცესი შედგა. 23 დეპუტატი მე მიჭერს მხარს, მას მხოლოდ ხუთიოდე მომხრე ჰყავს. ამის შემდეგ მენთეშაშვილი აქ აღარ მოსულა. ზის სახლში და ჩვენი ქილიკის მეტს არაფერს აკეთებს. საოქმო ჩანაწერებშიც არის დაფიქსირებული მისი სიტყვები: საკრებულოს არც ერთი დეპუტატი ჩემი დონის არ არისო.

— „დონეში“ რას გულისხმობს?

– ალბათ იმას, რომ კარგი თამადაა და ქალაქის კოლორიტად იცნობენ. როცა ამირჩიეს, პირველად მას დავურეკე – მობრძანდით, ბატონო ნიკო, ვითანამშრომლოთ-მეთქი. მის მეგობრებსაც ვთხოვე – იმ კაცთან შემარიგეთ-მეთქი... როცა ის აღადგინეს თანამდებობაზე, პირველმა ვაკოცე და მივულოცე. ჩემს საქციელზე უთქვამს – იუდასავით მეამბორაო. მენთეშაშვილი თუ რამეს აკეთებდა, ის 25 კაცი, ვინც მის თავმჯდომარედ არჩევას დაუჭირა მხარი, რატომ დაუპირისპირდებოდა? თვითონ დეპუტატები ამბობენ – მენთეშაშვილი მარიონეტიაო.

— ვისი მარიონეტი?

– ...

— ვის მითითებებს ასრულებდა მენთეშაშვილი?

– არ ვიცი, როგორ გითხრათ... ის საერთოდ არ მუშაობდა. ქალაქის აღმასრულებელ ხელისუფლებაში ბევრს არ აწყობდა ოპოზიციური საკრებულოს ფუნქციონირება და ხმაური. ვიღაცას რამე დანაშაულს რომ უპოვიდნენ, მენთეშაშვილი არ რეაგირებდა, – ალბათ რესტორანში აგვარებდნენ მასთან საქმეს (არ ვიტყვი, რომ ფულს იღებდა!) და

საკითხიც აღარ გადიოდა საკრებულოში განსახილველად. ნიკო მენთეშაშვილი ბუტაფორიაა, რომლის აქ ყოფნა ბევრისთვის შვებაა, რადგან საკრებულო მათ პრობლემებს არ შეუქმნის.

მესამე სასამართლო, რომელიც რუსთავში შედგა, აბსოლუტურად ტენდენციური იყო. მოსამართლე კი ალბათ, რაღაცით დააინტერესეს, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიეღო. ბატონ ნიკოს მერიაშიც და ფინანსურ წრეებშიც ჰყავს მომხრეები და ალბათ ისინი დაეხმარნენ... ხომ ხედავთ, სასამართლოს განჩინების შემდეგაც არ მოდის საკრებულოში. ალბათ უნდა, ყველა დეპუტატი შინ ეწვიოს, მანქანა მიართვას და სთხოვოს – მობრძანდით საკრებულოშიო.

გურამ გურგენაძე, საკრებულოს წევრი, ფრაქცია „აღორძინება“:

– ქალაქი ჩვენთვის ყველაფერიაო – ცხონებული ჟიული შარტავა ამბობდა. აქ კი რა ხდება? პარტიული ნიშნით წავიდა დაპირისპირება... მენთეშაშვილმა სიტუაციას ალღო ვერ აუღო, მუშაობის სტილი რომ შეეცვალა და უფრო კოლეგიალური ყოფილიყო, ასე ხომ არ მოხდებოდა. როგორც თავმჯდომარეს, მას თითოეულ დეპუტატთან უნდა ემუშავა, ის კიდევ სრულიად უმოქმედოდ იყო. შეიძლება წვრილმანია, მაგრამ სკამებიც კი არ გვქონდა დეპუტატებს... წარმოიდგინეთ, ბატონ ნიკოს ახლოს არც ვიცნობ... პატივს ვცემ, როგორც ქალაქის კოლორიტს, ახოვან ვაჟკაცს... ამბობენ, ძალიან მეგობრული ადამიანიაო.

— თქვენ ბრძანეთ, ნიკო მენთეშაშვილი არაკომუნიკაბელურიაო, ახლა კი თურმე მას ბევრი მეგობარი ჰყოლია...

– არ ვიცი, ცოტა წინააღმდეგობრივია ჩემი განცხადება, მაგრამ ქალაქში ასე ახასიათებენ... ბოლოს, ერთს გეტყვით: აქ კომედია გათამაშდა და ჩვენ კომედიანტებად გვაქციეს.

ნიკო მენთეშაშვილი:

– საკრებულოში თავდაპირველად 9 დეპუტატი მოქკავშირიდან იყო, 21 – ოპოზიციონერი ვიყავით, მაგრამ მოქალაქეთა კავშირმა იმდენი „იმოძრავა“, იმდენნაირი ბინძური მეთოდი გამოიყენა, რომ ეს თანაფარდობა შეცვალა.

— რა მეთოდებს გულისხმობთ?

– საკრებულოს წევრებს შანტაჟი მოუწყვეს. ერთი ოპოზიციონერი დეპუტატის მეუღლე თანამდებობიდან მოხსნეს. როცა ეს კაცი მიიმხრეს, ცოლი ისევ აღადგინეს სამსახურში. მეორე დეპუტატს რძალი მოუწყვეს საგადასახადოში, მესამეს შვილისთვის უშოვეს პოლიციაში სამსახური და ა.შ. იმავე გურამ გურგენაძეს 8 თვის ხელფასი ჰქონდა მეტალურგიულიდან ასაღები, მისულა აბულაძე და ქარხნის დირექტორისთვის, ბაბუისხელა კაცისთვის მუშტები უტრიალებია ცხვირწინ, – საკრებულოს წევრს ხელფასი არ მიეცითო. მე ამას არ გავაკეთებდი, იმიტომ, რომ გურგენაძის გარდა, მეტალურგიაში 2 ათას კაცს აქვს ხელფასი ასაღები. ეგენი იმიტომ ვერ მიტანენ, რომ მათ არ ვგავარ, ვერ მომისყიდეს...

— იყო მცდელობა?

– ძალიან ბევრი... მეუბნებოდნენ – თითს არ დაგაკარებთ, ჩვენთან გადმოდი და მერობის კანდიდატად დაგასახელებთო, ხან ტრანსპორტის სამინისტროში შემპირდნენ კარგ თანამდებობას. ფული ნამდვილად არ შემოუძლევიათ... ერთხელ, როცა კულისებში მითხრეს, მაინც გადაგაყენებთ, დანარჩენ დეპუტატებს მოვისყიდითო, ვეხუმრე – ამდენი ადამიანის მოსყიდვა ძვირი დაგიჯდებათ, სჯობს მე მომისყიდოთ-მეთქი. მერე კიდევ შემომაპარეს, რომ გადაგიბიროთო?.. უკმეხად ვუპასუხე – შემომთავაზებელსაც და თქვენთან გადმომსვლელსაც-მეთქი... ლეიბორისტები და „აღორძინების“ წევრები „მოქალაქეებს“ მიეყიდნენ. ეგენი პირადი კეთილდღეობისთვის საკუთარ დედას გაყიდიან, იმიტომ რომ ეგეთები არიან – მოღალატეები. ამათ უნდოდათ შეექმნათ ხროვა, ეჭამათ ბიუჯეტი და მე მაგათი თავმჯდომარე ვყოფილიყავი. არაკომუნიკაბელურიაო... ეგ რა მიზეზია?! მთელ ქალაქში მყავს მეგობრები, მაგრამ გარეწართან ვერ ვიქნები კომუნიკაბელური. ეგ ცრუპენტელები ჩემზე გაიძახიან – უზურპატორიაო... თითქოს კალიგულა ვიყო. „წარმოშობით“ თამადა ვარ. ამას წინათ 1200 კაციან ქორწილში ვითამადე. მათთან თუ ვამყარებ კონტაქტს, ოცდახუთთან გამიჭირდა? 25 კაცში არ არის საქმე – აქ 3-4 ადამიანი ურევს ყველაფერს...

— რატომ აღმოჩნდა საკრებულოს თავმჯდომარის სკამი ასეთი სასურველი თქვენი მოწინააღმდეგეებისთვის?

– მაგათ უნდათ, საკრებულოსგან „ცეხი“ გააკეთონ, რომლითაც ფულს იშოვიან. რადგან ვერ დამიყოლიეს, თავისიანი მოიყვანეს, მაგათ დაკრულზე არ ვიცეკვებ. როცა თავმჯდომარედ ამირჩიეს, პირველივე დადგენილებით მაღალ კლასებში ფასიანი სწავლება გავაუქმეთ. ჩემი წამოსვლის შემდეგ, მამუკა აბულაძემ ისევ ფასიანი სწავლება შემოიღო.

— როგორც აბულაძე ამბობს — ახლა საკრებულო გამოცოცხლდა, მუშაობს... და საქმეს აკეთებს.

– რას აკეთებს?!.. ვითომ ტრანსპორტელებს დაარტყეს... პროფესიონალი მოხსნეს და ვიღაც ნარკომანი დანიშნეს ავტოსატრანსპორტო პარკის უფროსად... შედეგიც სახეზეა – საქალაქო ტრანსპორტი აღარ დადის. მაგათ რუსთავი „მოკლეს“ და ახლა სათითაოდ კლავენ ადამიანებს.

— სამსახურში როდის აპირებთ დაბრუნებას? ამბობენ, კარგა ხანია არ მოსულაო...

– როგორ მივსულიყავი, როცა არ მიშვებდნენ და კაბინეტსაც არ მითმობს. შარშან თებერვლის შემდეგ მანქანაც აღარ მემსახურება. რა, აბულაძეს ის ვუთხრა – ჩამოდი მანქანიდან-მეთქი?! პატარა ბიჭს ვეჯიკაო ამხელა კაცი?! ღირს ეგ სკამი ამდენ დავიდარაბად?! მაგათ ერთი დიდი სკამი უნდა მიუტანო და 29-ვე ერთად დასვა – მე ბოლოში დავჯდები ოცდამეათედ... ■

ქალაქი ჩვენთვის ყველაფერიაო — ცხონებული ჟიული შარტავა ამბობდა. აქ კი რა ხდება? აქ კომედია გათამაშდა და ჩვენ კომედიანტებად გვაქციეს

ერთ ზანგი ბავშვი მუშა და ერთ ოთხოვილდა უთხოვია ჩემთვის ცალი!

თუ გინდათ, გაიგოთ რა ხდება ქვეყანაზე, საპარიკმახეროში უნდა შეიაროთ. იქ მთელი ქალაქის ჭორ-მართალი იყრის თავს და ბევრჯერ ისეთ რამეს გაიგებთ, რასაც ვერც ტელევიზორში ნახავთ და ვერც გაზეთში წაიკითხავთ. ამიტომ, ერთადერთი რიგი, სადაც დგომა მოსაწყენი არ არის, სწორედ იქ მეგულება. საპარიკმახეროში ყოველი ადამიანის შემოსვლას, მორიგი თემის წამოჭრა მოსდევს ხოლმე.

ნანა ქიბიშაური

აგერ, ახალი ობიექტიც გამოჩნდა.

სალონში შემოსულმა 19-ოდე წლის გოგონამ, ქეთევან მითაიშვილისნაირი ვარცხნილობის გაკეთება მოითხოვა და სარკის წინ მოკალათდა, სალონში შეკრებილ ქალებს კი თვალები აუციმციმდათ და აჟურტულდნენ:

— რა უქნეს იმ ანგელოზივით გოგოს?! იმდენი ჯადო გაუკეთეს, ლოგინად ჩავარდა და გარეთ ველარ გამოდის.

— ჯადო კი არა, ტელევიზიაში მოშურნეებმა შეაპარეს მოწამლული კონიაკი.

— რას ლაპარაკობთ?! ქეთი რა ხანია, ამერიკაში ცხოვრობს. ზანგი ბავშვიც ჰყავს.

— მე კი გავიგე, რომ იქ თხოვდება.

— ვისზე?! (ერთხმად)

— აი, რომ დაფრინავს, იმ კაცზე.

— დევიდ კოპერფილდზე? — დავეცემი! ძლივს ახერხებს სიტყვის ჩაკვეხვას „ახალი ობიექტი“.

პარიკმახერის მონდომების მიუხედავად, დავარცხნილი გოგონა მთლად ქეთისნაირად ვერ გამოიყურება, მაგრამ აშკარად ეტყობა, ახალი ვარცხნილობით გამოწვეული კმაყოფილება. ერთი-ორჯერ თვალი ჩემკენ გამოაპარა. ქალური გუმანით მივუხვდი: გულს ხომ არ დავწყვეტდი — ძალიან გიხდებამეთქი, გავამხნევე და ახალი იდეით აღსავსე, სალონიდან გამოვედი.

მითაიშვილებთან რომ დავრეკე, ქეთის ვაჟიშვილმა, ტყუპისცალმა ცოტნემ, ნაღვლიანი ხმით მომიბოდიშა: დედა ტელეფონთან ვერ მოვაო.

... ხერხემლის დისკზე გაკეთებული ორი ურთულესი ოპერაციის შემდეგ, ქეთი მართლაც ავად ყოფილა. ერთ დროს აურაცხელი თაყვანისმცემლით გარშემორტყმულ, ყველაზე მოძხიბლავ ტელედიქტორს, დღეს მხოლოდ შვილები და უახლოესი მეგობრები დასტრიალებენ თავს. დღეს ღამე მოჰყვება, ღამეს დღე, თვეები ერთმანეთს მისდევს, სარეცელს მიჯაჭვული, ტკივილებთან განმარტოებული უმშვენიერესი ქალი კი, ბავშვური სიჯიუტით უცდის თეთრიალქნიანი გემის გამოჩენას, რომელიც ამ მარტოობის კუნძულიდან გაიყვანს და ისევ იმ სამყაროში დააბრუნებს, სადაც სიცოცხლე ჩქეფს და წუთისოფლის ამაობაზე არავინ დარდობს.

— ქეთევან, ტელევიზიის თანამშრომელთა სიაში ისევ ირიცხებით, ეკრანზე კი არ ჩანხართ. ეს ჯანმრთელობის მდგომარეობითაა გამოწვეული თუ სხვა მიზეზით?

— არა, ტელევიზიიდან აბსოლუტურად ჯანმრთელი წამოვედი. იმ ადგილიდან წამოსვლა, სადაც 22 წელი გავატარე, ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო, თუმცა, მაინც შევძელი და დღემდე არც ვნანობ ამ ნაბიჯს. თავმოყვარეობა ადამიანს ბევრ რამეს გააკეთებინებს. გადაწყვეტილება კი მას შემდეგ მივიღე, რაც ტელევიზიაში არავანსაღი ატმოსფერო შევნიშნე.

— დღეს როგორ ცხოვრობთ?

— დღეს აბსოლუტური სიცარიელე, სრული ბურუსი და გაურკვევლობაა. თუმცა, შინაგანად ვიბრძვი. ვიბრძვი იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რაც დამიგროვდა. ამ ბრძოლაში ჩემი თავმოყვარეობა მეხმარება, ის მაძლევინებს ყველაფერს და კიდევ ის, რომ სამი შვილის დედა ვარ. არც ერთ შვილს დაცემული, მტირალი და უძლური მშობელი, კარგ ემოციებს არ აღუძრავს. არ მაქვს სურვილი, ვინმეს ვეცოდებოდე, მით უმეტეს შვილებს, რომლებიც დამოუკიდებლად, მარტოდმარტომ გავზარდე. ტყუპები — საბა და ცოტნე წლამდე ჩემმა უფროსმა ვაჟმა — გიორგიმ გაზარდა. მე ერთი დღეც არ ამიღია შვებულება. მახსოვს, დილით ტელეგადაცემა ჩავწერე და საღამოს ვიმშობიარე — 8 თვიანები გაჩნდნენ. თვე-ნახევრის შემდეგ ისევ სამსახურში გავედი.

— სამი ვაჟის მოვლა არცთუ ისე იოლია. იმავდროულად ყოველთვის „ფორმაში“ იყავით, როგორ ახერხებდით?

— თავიდათავი, ყველაფრის მასტიმულირე-

მარცხნივ ტყუპებთან, საბასთან და ცოტნესთან, ქვემოთ კი, უფროს ვაჟთან, გიორგისთან ერთად.

ბელი სიყვარულია. როცა სამ შვილს უყურებ და იცი, რომ სამივე სიყვარულის ნაყოფია, მათთვის ყველაფერს გააკეთებ.

— რამდენადაც ვიცი, ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი გყავდათ. იყო ხმაურიანი სიყვარულიც...

— ჩემი სიყვარული ყოველთვის დიდ ტკივილთან იყო დაკავშირებული. იმ ტკივილთან, რომელსაც გაუმართლებელი სიყვარული ჰქვია. დასანანია, როდესაც ტანდემი ვერ შედგება მაშინ, როდესაც უზარმაზარ პოტენციალს გრძნობ ქალი. წინასწარ რა იქნება, არავინ უწყის. არც არის გვიანი არასოდეს. მე ყოველთვის სიყვარული მასულდგმულებდა. არა აქვს მნიშვნელობა, გამართლებულია თუ გაუმართლებელი, ღირსეულია თუ უღირსი. ყოველთვის მიყვარდა. როდესაც გიყვარს — მორჩა, სხვა კრიტერიუმების ძებნა საჭირო არ არის. ალბათ ყველაფერი ბედისწერაა. ერთხელ ვთქვი — სიყვარული ჩემთვის ზღაპრების ქალაქი და ოცნების სამყაროა-მეთქი. მაგრამ ზოგჯერ ოცნებითაც იღლები. სიყვარულზე საუბარი დღეს იმიტომაც არ მინდა, რომ წარსულის გახსენებით აწმყოს არარსებობას გავუსვამ ხაზს...

— ჭორი სიყვარულის უცვლელი თანამგზავრია. თქვენს თავზე თუ გსმენიათ რაიმე ამგვარი?

— ჩემ შესახებ უამრავი ჭორი მსმენია, რაც შეიძლება ქალის ირგვლივ არსებობდეს. თავიდან ვღიზიანდებოდი, მერე ცხოვრებამ მასწავლა მასთან შეგუება. ახლა ზოგჯერ მომენატრება კიდეც... არის ბოროტი, კეთილი და პიკანტური ჭორი. ამ დროს ნათლად ჩანს, რომ ადამიანის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს.

— თქვენთან მოსვლამდე მართლაც ფანტაზიორი ჭორიკნების მოსმენის ბედნიერება მქონდა. ერთ-ერთმა მათგანმა ისიც თქვა, თითქოს თქვენი ავადმყოფობის მიზეზი ის არის, რომ ვიღაცამ ჯადო გაგიკეთათ.

— სისულელეა! ჯადოების საერთოდ არ მჯერა. არც მკითხავებისა და მისთანების. საერთოდ კი მიმაჩნია, რომ მათ კლიენტურას მხოლოდ სუსტი ნებისყოფის ადამიანები წარმოადგენენ, რომელთა გულუბრყვილობითაც სარგებლობენ და ხშირ შემთხვევაში სულელურ, გაურკვეველ მდგომარეობაში აყენებენ ადამიანს. არც ჩემი ავადმყოფობით მინდა ტრაგედია შევქმნა. თუმცა, ეს ზოგჯერ მსახიობური ნიჭის გამოვლენასაც მოითხოვს ჩემგან. ჩვენ ყოველდღე ვმსახიობობთ, საკუთარ თავსაც კი ვეთამაშებით. გვინდა, იმაზე უკეთესად გამოვიყურებოდეთ, ვიდრე სინამდვილეში ვართ. თითოეული ჩვენგანი ნიღაბს ატარებს. ხშირად ეს აუცილებელიცაა: ცუდი განწყობა სხვებს არ უნდა მოახვიო თავს. ამ დროს ლამაზი, უდარდელი ადამიანის ნიღბის ჩამოფარება გამართლებულადაც კი მიმაჩნია.

— არც ზანგი ბავშვი გყავთ, არა?

— ღმერთო, დამიფარე! ამ ჭორების საფუძველი ალბათ ის ფოტოსურათია, სადაც ზანგ ბავშვთან ერთად ვარ გადაღებული. მე მხოლოდ სამი შვილის დედა ვარ. ეს ფოტო კი საზღვარგარეთ მოზაურობის დროსაა გადაღებული. ერთ ფოტოზე აქლემზე ამხედრებული ვზივარ. ხომ არ უთქვამთ, რომ ნარკომანიც ვარ?

ეგვიპტეში მოგზაურობისას

— ... ისიც გავიგე, თითქოს კოპერფილდმა გთხოვათ ხელი.

— ოჰ, ღმერთო!.. ისე, სამდურავს მაინც ვერ ვიტყვი. არც მეგონა, თუ კიდევ ვინმეს ვახსოვდი... მადლობელი ვარ.

— თქვენი წარსულიდან თუ შეცვლიდით რამეს?

— უკან დაბრუნება არასოდეს მინატრია. წარსული მომავლისკენ გადებული ხიდია. არ ვეკუთვნი ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც შეცდომებზე სწავლობენ. ის, რაც ჭეშმარიტი, სუფთა ემოციებიდან გამომდინარეობს, არ შეიცვლება. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ალბათ იმავე სისულელეებს გავიმეორებ, რაც ჩამიდენია.

— ჩემი აზრით, ქალის ყველა სისუსტე მამაკაცთან არის დაკავშირებული — ან მისთვის, ან მის გამო. შემდეგ კი მივდივართ დასკვნამდე, რომ ნამდვილი მამაკაცები არ არსებობენ და მათი გულისთვის არ ღირს სისულელეების ჩადენა...

— როგორ არ არსებობენ?! ყოველ შემთხვევაში, როდესაც გვიყვარს, მაშინ ხომ ასე გვგონია. კი, ქალებს გვაქვს იმის უნარი, რომ არარსებული თვისებები მივანიჭოთ კაცს, მაგრამ ესეც შენი სურვილია — იმ პიროვნებას ამაღლებულს ხედავდე. კაცი თუნდაც ნახევარი საფეხურით მაინც, შინაგანი სიძლიერით, ინტელექტით მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე ქალი. სამ ბიჭს ვზრდი და ყოველთვის ვეუბნები: ისეთი კაცები მინდა დადგეთ, როგორსაც ჩემ გვერდით ვისურვებდი-მეთქი.

— ... და როგორს ისურვებდით?

— ჩემ გვერდით უღირსი მამაკაცი არასოდეს ყოფილა. თუმცა, ბევრი ტკივილი და კატაკლიზმებით სავსე ცხოვრება მქონდა. ამ ბობოქარ ცხოვრებაში ტკივილის გარეშე სიხარულის შეგრძნებას ვერ შეძლებ. ვერ დაფასებ. განგების მადლიერი ვარ, რომ ასეთი საინტერესო ცხოვრება მაჩუქა. მერე რა, რომ ყოველთვის აწყობილი არ არის ყველაფერი. ალბათ სხვანაირად არც შეიძლებოდა, მე ხომ შაბლონური ცხოვრება არ მქონია. კვლავ სიცოცხლის ტრფიალად ვრჩები, თუნდაც იგი სავსე იყოს შეცდომებით, ზიგზაგებით, პრობლემებით. იმასაც გაგიმხელთ — მთლად უშეცდომო კაციც არ მწამს. ამიტომ, მოდით, ნუ დავუთვლით ერთმანეთს შეცდომებს, პირიქით, დავეხმაროთ მის დავიწყებაში...

— პრობლემების დასავიწყებლად ყველაზე კარგი საშუალება ალბათ კურიოზების გახსენებაა.

— ახლა ერთი კურიოზი მახსენდება. საესტრადო პანორამა მიმყავდა და მთელი სერიოზულობით გამოვაცხადე, რომ ტელემაყურებლებს ვთავაზობდი ეპიზოდს ოპერიდან „აბესალომ და დაისი". ეს ყველაზე მეტად ნუგზარ ჯუღელმა განიცადა: ვიცი, ამასაც მე დამბრალებენო.

— როდესაც გამოჯანმრთელდებით, პირველად სად წახვალთ და რას გააკეთებთ?

— გავალ ქუჩაში და ბევრს ვიხეტიალებ ჩემი მანქანით. შევივლი კაზინოში და მოვიგებ ფულს. შემდეგ მოვინახულებ ჩემს მეგობრებს და საინტერესო სიურპრიზებს მოვუწყობ. ისინი არიან ადამიანები, ვინც მე არ მიმატოვეს და დეპრესიიდან გამოსვლაში დამეხმარნენ.

— მე ისიც გამიგია, რომ თქვენს დაბადების დღეს მეგობრებს იქით უკეთებთ სამახსოვრო საჩუქრებს...

— მიყვარს, როცა ახლობელ ადამიანებს სიხარულს ვანიჭებ. ყურადღება დიდი სტიმულია. ეს მე უკვე კარგად ვიცი საკუთარი გამოცდილებით.

— თქვენ რა საჩუქარი გაგახარებდათ ყველაზე მეტად?

— თეთრი ვარდები! — ეს ჩემთვის საუკეთესო საჩუქარია. ■

ალბათ გსმენიათ ჯორიდას მებრძოლი ხარის ამბავი: მატადორთან შესარჯინებლად აღერებულ-ალესილმა, მინდორზე პაწია, მშვენიერ ყავავილს რომ ჰკიდა თვალი. უცებ გაუქრა ბრძოლის ჟინი და სხვა ცეცხლი წაეკიდა – ყვავილთან საალერსოდ ჩაიჩოქა და გაიტრუნა. საქმიან საუბარში გაქაფულ კაცს, სიტყვას სიყვარულზე რომ ჩამოუგდებ ხოლმე და გაჩერდება, მაშინ სულ ის ხარი მახსენდება. კაცები, ამ ჯადოსნური სიტყვის ხსენებისთანავე, განურჩევლად პროფესიისა და ასაკისა, ერთნაირად იცვლებიან ხოლმე. თუმცა მერე ყველა სხვადასხვაგვარად გადმოსცემს სიყვარულით დაჭრილი გულის ხვაშიადს. და თუ რესპონდენტი ხელოვანია, მაშინ ხომ სიყვარულის კიდევ ერთი „ქანდაკების ძერწვის" მომსწრე ვხდები. ცნობილ ქართველ კინორეჟისორს, მსახიობსა და მხატვარს, ბატონ რეზო ესაძეს, სწორედ მაშინ ვკითხე სიყვარულზე, ამ ქვეყნის ჭირ-ვარამით გულდათუთქული რომ ცხარობდა. უცებ ჩაუსახლდნენ თვალებში ჭინკები, აუშალეს მოგონებები... არა, არ შეიძლება დაგავიწყდეს პირველი სიყვარული. პირველი განცდა იმისა, რომ არსებობს ის, ვისთვისაც ცოცხლობ და ამიტომაც ღირს ცხოვრება – მითხრა ბატონმა რეზომ, რომელიც ცულუტ ამურს ჯერ კიდევ ყრმობის ჟამს დაუჭრია.

რეზო ესაძე: „ამბავსაც რომ დამემართოს, ის გოგო არ დამავიწყდება"

ეკა ლომიძე

– თითქმის არაფერი მახსოვს იმ დროიდან, იმ ასაკიდან. არც იმ გოგოს სახე, არც ის, თუ როგორი თვალები ჰქონდა, როგორ მიღიმოდა – არ მახსოვს, მაგრამ მისი სახელი და გვარი დღემდე მყარად შემორჩა ჩემს მეხსიერებას. ოზურგეთში საბავშვო ბაღში დავდიოდით ერთად. საღამოს იმიტომ ვიძინებდი, რომ დილით მასთან შესახვედრად გამეღვიძა.

— თანაგიგრძნობდათ?

– აბა, აბა რა!

— როგორი იყო ის გრძნობა, პირველი?..

– ვერ აღგიწერთ. არ მახსოვს რას, განვიცდიდი. თუმცა ის კი მახსოვს, როგორ გამოვხატავდით სიყვარულს ერთმანეთის მიმართ. გაგეცინებათ: ერთად მივდიოდით „ფისი-ფისისათვის" და საერთოდ, ყველაფერს ერთად ვაკეთებდით.

— მერე რა მოხდა?

– არაფერიც არ მომხდარა. ბაღი დამთავრდა და ის ანგელოზის ასაკში განცდილი სიყვარულიც წარსულს ჩაბარდა. ჟამი პირველი სიყვარულისა უცხოა და შორეული, მაგრამ ამნეზიაც რომ დამემართოს, ის გოგო არ დამავიწყდება.

— მერე სხვა სიყვარული გეწვიათ ალბათ...

– სი-ყვა-რუ-ლები! რუსეთში, მოსკოვში ვცხოვრობდი. წარმოიდგინე – იქ ერთი სიყვარული შეიძლებოდა?!.. მთელი ცხოვრება ვეტრფი ქალებს. ჩემი მეუღლე, ჩემი ძვირფასი ციცია გადმომილაპარაკებს ხოლმე ქუჩაში – რეზო, თვალი სად გაგეპარაო?!.. რა გამეპარა? ქურდულად კი არა, მტაცებლებივით გარბიან თვალები, გარბის მზერა და გული მიაქვს. თვალებში ამოსული გული.

— მაშინ მზერა ვნების მარწუხია, ანდა საცეცები, მერე მათი „მიცეცებ-მოცეცებით" გონებაში ჩნდება ფიქრი-ფანტაზია, ხომ?

– როცა ლამაზი ქალებით სავსეა ქუჩა და თანაც გვერდით მშვენიერი და ისიც შენი ქალბატონი მოგყვება, ცხოვრება სიმღერაა მრავალხმიანი და უსაშველოდ ფერადი.

— სიყვარულით დაქორწინდით?

– იცით, როგორ იყო? მე და გურამ რჩეულიშვილი უახლოესი მეგობრები ვიყავით, ყაზბეგის ხეობაში დავეხეტებოდით წარამარა ყმაწვილკაცები. ხან მე მივჩანჩალებდი უკან, ხან ის. დავიყვირებდი – გურამ! მოიხედავდა და თვითონვე ამბობდა ჩემს უამრავჯერ ნათქვამს: მე რომ დავქორწინდები, აუცილებლად ამ ხეობიდან, ბებიის გაზრდილ ქალს შევირთავ ცოლად-მეთქი. ამიხდა ჩემი წინასწარმეტყველება. რუსეთელ ქალებს „გადარჩენილმა", ყაზბეგის ხეობიდან, ბებიის გაზრდილი ციცია ქეთელაური ვითხოვე ცოლად.

— უსიყვარულოდ, ნეტარების გარეშე თუ გიცხოვრიათ?

– არასოდეს! მე არ შემიძლია, რომ ყოველი დღის გათენება უდიდესი ნეტარებით არ მავსებდეს. ახალი დღე თენდება, ყველაფერი ახალია და ხალისით სავსე. სიყვარულიც ახალია და ნათდება. მერე ბუნებას რომ დაუკვირდები და აღმოაჩენ, ყველა სულიერს როგორ განსაკუთრებულად და ნაზად შეუძლია უყვარდეს, უფრო მაღლდები... ბავშვობიდან საოცარი ეპიზოდი მახსენდება. მწყემსები გურიაში საქონელს რომ კლავდნენ, ვიმალებოდი. ყურებზე ხელებს ავიფარებდი, რომ მომაკვდავი საქონლის ხმა არ გამეგონა. ერთხელაც, რომ დამთავრდა ყველაფერი და სამალავიდან გამოვედი, გავიგონე შემზარავი ხმა. მოდიოდა უზარმაზარი ხარი, მიწას ყნოსავდა – იქ, სადაც ძროხა დაკლეს მწყემსებმა. ვერ აღგიწერთ, როგორ ღმუოდა, როგორ ტორავდა მიწას. პირუტყვი იყო ის ხარი, მაგრამ იმ წუთში, მისი გრძნობა მეტი თუ არა, ნაკლები არაფრით არ იყო ადამიანის გრძნობაზე. მასაც უყვარდა და სიყვარული სტკიოდა...

■

„ტყვედ რომ ჩავვარდი, ოფიცერი ჩემი ყალოჯის ცნობა მაუვგავნიათ"

პოკრო ბაბუა წარსულში ლეგენდარული ტექსელის აჯანყების მონაწილე, ამჟამად ჯი ზუგდიდის ავტოსადგომის დარაჯი გახლავთ.

ლაჩი გრძელიშვილი

— 1920 წელს დავიბადე, ბაბუ. ჩხოროწყუში, სოფელ მუხურში. სამი ძმა და ერთი და ვყავდით პატრონს.

— ბავშვობა თუ გახსოვთ, პოკრო ბაბუა?

— რავა არ მახსოვს, ბაბუ. ბავშვობა იცოცხლე, კარგი მქონდა. შვიდწლედი რომ დავამთავრე, ხაბუმეში, ჩაის ტექნიკუმში მიმაბარეს. მაგრამ რად გინდა — ვარლამ ჩიქოვანი, დიდად გავლენიანი კაცი, ბებიაჩემის გაზრდილი იყო და თან გვყვებოდა. ჰოდა, ველოსიპედი გამოაწერინა ჩემთვის ავსტრიიდან — მაშინ სად ნახავდი ველოსიპედს...

მოვაჯდებოდი და ხან ერთ რაიონში ამოვყოფდი თავს, ხან მეორეში — მთელი სამეგრელო შემოვლილი მქონდა. აღარც ჩაი მახსოვდა და აღარც მისი ტექნიკუმი. რაკიღა ასე მოგეწონა აქეთ-იქით ჯირითი, „შოფრობა" მაინც ისწავლეო, მითხრა. ასე მოვეწყვე ჩაის კომბინატში „პოლტონკაზე" — ასე ერქვა მაშინ პირველ საბჭოთა სატვირთო მანქანას. ახლა რომ ვფიქრობ, ველოსიპედისგან დიდად კი არ განსხვავდებოდა — ორი რესორი ჰქონდა, ერთი წინ და ერთი უკან. ჯერ, არ იქოქებოდა და თუ დაქოქავდი, აღარ ქრებოდა... მუხრუჭებიც არ ჰქონდა — ერთი „პროვოლკა" იყო ბორბლებს შორის ამოტარებული, უნდა მოგექაჩა და ან გაჩერდებოდა, ან არა. თუ დატვირთული იყო ხომ, მტრისას — მანძილი უნდა გამოგეთვალა, სად მიდიოდი და ვარაუდით, შორიახლოს გააჩერებდი. შოფრები „ლმერთო, გააჩერეს" ვეძახდით... სოფელში რომ შევიდოდი — ძროხა, ძაღლი, კაცი თუ ქალი — ყველა თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, ეშინოდათ, მანქანა მაშინ უცხო ხილი იყო...

— ომში როგორ მოხვდით?

— რავარც ყველა მოხვდა, ბაბუ. 1941-ში რომ გამოაცხადეს, ომი დაიწყოო, შეგვყარეს ერთად სოფლის ახალგაზრდობა, ორიოდე სიტყვით აგვიხსნეს სისხლისმსმელი გერმანელი ფაშისტების ამბავი და ფრონტზე გაგვისტუმრეს. მე ნაბოლარა ვიყავი, ჩემი წინამორბედი კი, საწყალი, 1938 წელს გაიწვიეს ჯარში. ბრესტში, საბჭოთა კავშირის საზღვარზე მსახურობდა. 41 წლამდე იწერებოდა წერილებს. როგორც კი ომი დაიწყო, იმ დღიდანვე დაიკარგა — პირველად ბრესტს გადაუარეს ფაშისტებმა...

ცოლი ახალი მოყვანილი მყავდა, უფროსი ძმის ანაბარა დავტოვე ოჯახი: ბავშვობაში ვარლამ ჩიქოვანი რომ ათამაშებდა, ხელიდან გავარდნია თურმე და მის მერე ხეიბრად დარჩა. ჯარში არ წაუყვანიათ.

— ფრონტზე თქვენივე მანქანით წაგიყვანეს?

— ქუთაისამდე ვიარე ჩემი მანქანით. იქ მანქანა სამხედროებს ჩავაბარე ხელწერილით, მე კი „პეხოტაში" გამანაწილეს და მოზდოკში ამოვყავი თავი, სადაც იარაღის სროლას და სხვა სამხედრო ამბებს გვასწავლიდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენი ნაწილი ჯერ გუდერმესში გადაისროლეს, შემდეგ კი ფრონტზე, ხარკოვის მიმართულებით.

იქ ორი არმია იბრძოდა — ტიმოშენკოს და ბუდიონის მეთაურობით. გერმანელებმა ალყაში მოგვაქციეს. რკალი თანდათან ვიწროვდებოდა — აღარც ტყვიაწამალი გვქონდა და აღარც საკვები. ძალიან რომ გაჭირდა საქმე, ტიმოშენკომ და ბუდიონმა პატარა თვითმფრინავით უშველეს თავს. ჩვენ კიდევ, ამდენი ხალხი ცხვრებივით შეგვატოვეს გერმანელებს — თოფი ჩვენ აღარ გვივარგოდა და, ტყვიას, შენთვის რომ ვნდომებოდა, ერთს ვერ ნახავდი. რა უნდა გვექნა — საითაც გავიწიეთ, ყველა მხარეს ჩასაფრება იყო, ზოგან ზარბაზანს გვესროდნენ და ზოგან „პულიმიოტს". კბენას და პწკენას ხომ არ დავუწყებდით? ქე ვცადეთ, მარა რად გინდა — არაფერი გამოვიდა...

— ესე იგი, ტყვედ მთელი არმია ჩავარდა?

— ათიათასობით კაცი, ბაბუ. ჯერ ხომ მანამდეც არაქათი აღარ გვქონდა, იმდენი ხანი ალყაში მშიერ-მწყურვალები ვიბრძოდით. ტყვედ რომ ჩავვარდით, კოლონებად, ფეხით გაგვრეკეს გერმანელებმა. თვითონ ველოსიპედებით ან მოტოციკლეტებით მოგვყვებოდნენ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. კვირები გრძელდებოდა ეს ჯოჯოხეთი. ბალახს ძოვდა ხალხი, შიმშილით რომ არ მომკვდარიყო. ძირს ვინც დაეცემოდა, ტყვიას დაახლიდნენ, იქვე ხვრეტდნენ, დრო რომ არ დაეკარგათ. ეპიდემიები გაჩნდა... ვერ გეტყვი, რამდენი ათასი კაცი დავკარგეთ გზაში, შიმშილსა და უბედურებაში... ქართველებმა იმ გაჭირვებაშიც ვნახეთ ერთმანეთი — საშა იყო კვარაცხელია, წალენჯიხელი. რაც კი გვქონდა — ბალახსაც კი, შუაზე ვიყოფდით...

როგორც იქნა, მივაღწიეთ „ლაგერს", მაგრამ არც იქ იყო უკეთესობა — უარესი შიმშილი და გაჭირვება ვნახეთ, წყალწყალა „ბალანდას" გვაჭმევდნენ ხოლმე და ისიც სანატრელი გვქონდა...

— „ლაგერში" მარტო სამ-

კუნძულ ტექსელზე, საქართველოს დელეგაციასთან ერთად

ხედრო ტყვეები იყავით?

— კი, ბაბუ. მარტო სამხედრო ტყვეები. ქალებს და ბავშვებს, ვისაც მუშაობის თავი ჰქონდა, პირდაპირ გერმანიაში აგზავნიდნენ, ვისაც არა და, სხვა „ლაგერები“ იყო მათთვის მოწყობილი, იქაც დიდი ჯოჯოხეთი ტრიალებდა, მათზე ცდებს ატარებდნენ თურმე, კურდღლებივით...

რაც ჩვენს „ლაგერში“ უბედურება ვნახე, მტერსაც არ ვუსურვებ. ადამიანის სიმხეცეს საზღვარი არ ჰქონია, ბაბუ. შიმშილით, ცემითა და წამებით იმდენ ხალხს ხოცავდნენ, რომ სათვალავს ვერ აუდიოდნენ — ან კი, რა ვიცი, დათვლა რაში სჭირდებოდათ... „შტაბელებად“ აწყობდნენ მიცვალებულებს და ისე ითვლიდნენ — ერთ „შტაბელში“ ასი გვამი იყო...

არ ვიცი, მართალია თუ არა, მაგრამ როგორც ამბობენ, ომის დასაწყისში, ბევრი ჩვენი ჯარისკაცი რომ ჩაუვარდა ტყვედ ჰიტლერს, სტალინისთვის წერილი მიუწერია — ამდენი ათასი შენი ჯარისკაცი მყავს ტყვედ და „წითელი ჯვრის“ საშუალებით საჭმელი გამოუგზავნე, შიმშილით იხოცებიანო... — მე მტრის ზურგში, მხოლოდ დესანტად გადასხმული ჩემი ჯარისკაცები ვიცი, ტყვე კი, საბჭოთა ჯარისკაცი აღარ არისო, უთქვამს სტალინს. მან საკუთარი შვილიც არ დაინდო, ტყვედ ჩავარდნილი, და ასეთი პასუხი რომ გაეცა, რა გასაკვირია...

— **თქვენს ბანაკში უცხოელი ჯარისკაცებიც იყვნენ?**

— ჩვენთან არა, მაგრამ მერე, ამერიკა და ინგლისიც რომ ჩაერთვნენ ომში, მახსოვს, ჩვენ გვერდით „ლაგერში“ ჰყავდათ მაგათი ჯარისკაცები. ჩვენს მხარეზე რომ გამოატარებდნენ, ღობეს აქეთ კონსერვებსა და სიგარეტებს გვიყრიდნენ — ერთი ამბავი ატყდებოდა ხოლმე ამ დროს, ეს ჩვენი დამშეული ასობით კაცი თითოოროლა სიგარეტის კოლოფს თუ კონსერვს რომ დაერეოდა...

გაჭირვება კი იყო, მაგრამ არავინ გაღორებულა — იმ სიგარეტს ვინც „დაითრევდა“, მერე ღერებს გვიყრიდნენ და ახლა ამაზე ტყდებოდა ერთი ამბავი...

მოგვიანებით, შედარებით ჯანმრთელები შეგვარჩიეს და გერმანიაში გადაგვიყვანეს. არც იქ შეცვლილა რამე — მშიერ-მწყურვალნი, ისევ „ლაგერში“ ვიყავით გამომწყდეულები. ერთი გერმანელი ფერმერი იყო, კრამერი, მოდიოდა ხოლმე დილაობით და ტყვეები თავის მამულში სამუშაოდ მიჰყავდა — ამაზეც დიდი ამბავი იყო, ხალხს ძაღლებით აშოშმინებდნენ, ყველას უნდოდა, რომ „ლაგერიდან“ გასულიყო — ბევრი არაფერი, მაგრამ იქ „ბალანდას“ მაინც გვაჭმევდნენ ხოლმე, „ლაგერში“ კი მიწის მეტი არაფერი იყო...

— **კრამერი კარგად გექცეოდათ?**

— კრამერი დიდი კაცი იყო, ჩვენთან ურთიერთობით თავს არ იწუხებდა — არ კადრულობდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ. ერთი გერმანელი მუშა ჰყავდა დაქირავებული და ის იყო ჩვენი უფროსი. შეგვრეკდნენ ამ გაძვალტყავებულ ტყვეებს კრამერის უშველებელ ბაღებში და კომბოსტოებს სათითაოდ ვაცლიდით მატლებს. ბევრჯერ გულწასულიც დავცემულვარ... დღის ბოლოს, ყველს რომ ამოიღებდნენ და წათხი დარჩებოდა, იმაში მოხარშულ ქატოს და რაღაც ნარჩენებს გვაჭმევდნენ, შემდეგ კი ისევ უკან, „ლაგერში“ გაგვრეკდნენ...

მერე, როგორღაც იყო და, „ლაგერში“ ქართველები ამოგვარჩიეს, ფრონტისკენ გადაგვისროლეს. როგორც გავიგეთ, ჩვენი ემიგრანტების მეშვეობით, ქართველებისგან საბრძოლო ბატალიონებს აყალიბებდნენ, „თამარ-აინე“, „თამარ-ცვაი“ და ასე ერქვა, რიგის მიხედვით. ვითომ, თამარ მეფის სახელობის ბატალიონები იყო და სამშობლო უნდა გაგვეთავისუფლებინა ბოლშევიკებისგან. იმ ბატალიონში მოხვედრით ბევრი ქართველი გადაარჩინეს ემიგრანტებმა შიმშილითა და წამებით სიკვდილს, მაგრამ რაც ჩვენ გერმანულ „კონცლაგერებში“ გვქონდა ნანახი და გადატანილი, მაგათ მხარეს როგორ ვიბრძოლებდით?!.. გერმანელების მოტყუება გვინდოდა და ფრონტზე რომ გაგვიყვანდნენ, საბჭოთა ჯარების მხარეზე ვაპირებდით გადასვლას. მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა — ფრონტზე პირველივე ნაკადად გაგზავნილი ჩვენი ბიჭები ძალიან უბედურად დაიღუპნენ: ჩვენებისკენ რომ გაქცეულან, თეთრი დროშასავით კი აფრიალებდნენ რაღაცას, მაგრამ იმათ არ დაუჯერებიათ და სროლა აუტეხავთ. ჩვენების ტყვიას ვინც გადაურჩა, ისინი გერმანელებმა ჩახოცეს ზურგიდან, რაკიღა ღალატი შეამჩნიეს...

— **ალბათ, ამის მერე დანარჩენ ბატალიონებსაც დაშლიდნენ. ემიგრანტებს რა ბედი ეწიათ?**

— ემიგრანტები, როგორც გავიგე, კავკასიაში გადაუსხამთ დესანტად, მაგრამ ჩვენებს მალევე დაუჭერიათ. „თამარის“ დანარჩენი ბატალიონები კი დაშალეს და ქართველები ისევ სხვა „ლაგერებში“ გაგვანაწილეს. დაახლოებით 800 ქართველი კი ჰოლანდიაში გაგვამწესეს სამუშაოდ. „ველური მთიელები საქართველოდან“ — ასე ერქვა ჩვენს „ლაგერს“ და ადგილობრივი ხალხი როგორც კაციჭამიებს, ისე გვიყურებდა — ქუჩაში რომ გაგვატარებდნენ, ბავშვებს მალავდნენ ხოლმე. მაგრამ დრო გავიდა და რომ ნახეს, არავის „ვჭამდით“, ნელა-ნელა შეგვეჩვივნენ.

— **იქ რაზე მუშაობდით?**

— იქაც მაგრად ვწვალობდით. ზღვის

მიმოქცევაზე ვმუშაობდით — სანაპიროს ვამაგრებდით. მერე იკითხეს — მანქანის ტარება ვინ იცისო, და მე მძღოლად გადავედი. სხვა თუ არაფერი, „ბათინკები“ მაინც ჩამაცვეს...

— აბა, მანამდე რა გეცვათ?

— „კალოტკები“ — ხის სანდლები. იმით გვამუშავებდნენ და ფეხები უბედურ დღეში გვქონდა. მანქანაზე რომ გადავედი, არა უშავდა, ცოტა ამოვისუნთქე. მაგრამ გერმანელებს ისევ საშინელ დღეში ვყავდი. ერთხელ, მახსოვს გერმანელი უნტერ-ოფიცერი დათვრა და საჭესთან თვითონ დაჯდა. გზაზე რომ გადავედით, სამხედრო პოლიციამ გაგვაჩერა და ლამის სცემეს ის გერმანელი, ისეთ დღეში ჩააგდეს — მაგ ღორის მონაკიდებს ხელს როგორ ჰკიდებო...

მოგვიანებით, კუნძულ ტექსელზე ადგილობრივ იატაკქვეშა მოძრაობასთან დავამყარეთ კავშირი და აჯანყება მოვამზადეთ. გერმანელები კი გავრეკეთ კუნძულიდან, მაგრამ დიდი სისხლის ფასად — 800-დან 300 კაცილა დავრჩით ცოცხალი... მთელი სამი თვე მოვუნდით დაღუპულთა გვამების შეგროვებასა და დაკრძალვას...

— ადგილობრივ მოსახლეობასთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— ძალიან კარგი — ჩვენ ხომ ერთად ვიბრძოდით. კუნძულის გათავისუფლების შემდეგ, სანამ მოკავშირეთა ჯარები შემოვიდოდნენ, იქ დაახლოებით სამი თვე ვცხოვრობდით. კარგად ვიყავით... არც საჭმელი მოგვკლებია და არც სასმელი...

ღამღამობით იქაური გოგოებიც მოდიოდნენ ხოლმე და „კუ-კუ“ — ასე გვეძახდნენ. მერე, ერთად ვსეირნობდით ხოლმე...

მოგვიანებით საბჭოთა გენერლებისგან შემდგარი მთელი კომისია ჩამოვიდა, ყველა ბრძოლის ადგილი მოიარეს, დაათვალიერეს, გამოიკითხეს და ჩვენს სიმართლეში დარწმუნდნენ. მახსოვს, ჩვენ რომ შეგვხვდნენ, ერთ-ერთმა ჩვენგანმა — ყოფილი საბჭოთა სერჟანტი მოგესალმებათო, ასე უთხრა. „არავითარი ყოფილი, თქვენ საბჭოთა სერჟანტი ხართ“ — სამხედრო მისალმებით უპასუხა ერთმა გენერალმა.

— მაგ პერიოდში უკვე ომიც მთავრდებოდა. თქვენ ალბათ შინ გამოგიშვებდნენ?

— რას ამბობ, ბაბუ, სახლში ვინ გამიშვებდა?! ხიროსიმაში ჯერ ბომბი არ იყო მაშინ ჩამოგდებული, ნაწილში გაგვამწესეს და იაპონიაში გაგვაგზავნეს საომრად. იაპონიის კაპიტულაციამ გზაში მოგვისწრო. მაგრამ სახლში მაინც არავის გავუშვივარ — კიდევ სამი წელი ვმსახურობდი ჯარში.

— ამ ხნის განმავლობაში შინ თუ იცოდნენ თქვენი ამბავი?

— არა, ბაბუ. 1942-ში, ტყვედ რომ ჩავვარდი, სოფელში ჩემი დაღუპვის ცნობა გაუგზავნიათ. ჩვენებმა ჩემი ტანსაცმელი გაშალეს თურმე და ის დაიტირეს... მერე, ბოლო წელი ბაქოში ვმსახურობდი. იქ ერთ რუს ქალთან დავიარებოდი და იმას მიუწერია ჩვენებისთვის წერილი — ასე და ასე, პოკრო გახარია ცოცხალია და ბაქოში მსახურობსო...

სახლში რომ ჩამოვედი, მახსოვს, ღამე იყო უკვე. ბევრ ჩემს ნათესავ-ახლობელს გულიც კი წაუვიდა სიხარულისგან, რომ დამინახა.

— თქვენი მეუღლე?

— არა, არ დამხვედრია ჩემი მეუღლე. ჩემი დაღუპვის ამბავი რომ გაუგიათ, დედამისს წაუყვანია სახლში და აღარც მე მომიკითხავს...

— სოფელში დაბრუნებული, რას აკეთებდით, რით ცხოვრობდით?

— ისევ მძღოლად მოვეწყვე, ცოლიც შევირთე... სანამ პენსიაში გავიდოდი, „ჰუდონჰესზე“ ვმუშაობდი. მანამდე კი „ენგურჰესის“ მშენებლობაზე — თავიდან ბოლომდე ვმუშაობდი. ახლა ზუგდიდში ვარ, ავტოსადგომზე ვმუშაობ... ხალხი მცნობს და ფულსაც მჩუქნის ხოლმე — პოკრო ბაბუა, მაგრად იყავიო, მეუბნებიან...

— ტექსელში მას შემდეგ პირველად როდის იყავით?

— რეზო თაბუკაშვილმა ჩამიყვანა პირველად... ისე ლამაზად არის ჩვენი ბიჭების საფლავები მოვლილი... მას შემდეგ ყოველ წელს მივდივარ ხოლმე, ახლაც, ორ დღეში გავემგზავრები.

— ადგილობრივი მოსახლეობიდან თუ იცანით ვინმე?

— კი, ვიცანი. ახლა ისინიც მოხუცები არიან, ჩემსავით... ძალიან უხარიათ ხოლმე, რომ ჩავდივარ. სხვათა შორის, ერთი ახალგაზრდა კაცი გამომეცნაურა, აქაური სომეხია, ახლა ჰოლანდიაში ცხოვრობს, რაღაც დიდი ფირმა აქვს... ჩემ შესახებ ჰოლანდიურ გაზეთში წაუკითხავს. ტექსელზე ჩამომკითხა და თავისთან, როტერდამში მიმიწვია — მანქანა მაჩუქა... ახლა რომ ჩავალ, წამოვიყვან.

იცი, იქ სხვანაირი ხალხია... ერთ-ერთ ქარხანაში ვიყავი ექსკურსიაზე. ერთგან კომპიუტერი იდო შეფუთული, საქართველოს მისამართი ეწერა. რომ ვუთხარი, მე წავიღებ, ამ დღეებში მივდივარ-მეთქი, არც კი დაფიქრებულან, ისე გამომატანეს...

პოკრო ბაბუასა და მასთან ერთად მეორე მსოფლიო ომის ყველა ვეტერანს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ვულოცავთ, ჯანმრთელობას და ბედნიერებას ვუსურვებთ. სამწუხაროდ, დღეს თქვენი ღვაწლი შესაბამისად არ არის დაფასებული...

■

აჯანყებაში დაღუპულ ქართველთა საძმო საფლავი ჰოლანდიაში, კუნძულ ტექსელზე

„მინდა ქვეყანაზე იყოს მშვიდობა, ადამიანებს ერთმანეთი უყვარდეთ, ამიტომ დავდივარ და ვმოგზაურობ — ერთი ხალხის ამბავი მეორესთან მიმაქვს და ამით მათ ერთმანეთთან ვაახლოებ“ — ეს სიტყვები მოხეტიალე რაინდ დონ კიხოტს არ ეკუთვნის. მათი ავტორი ინდოელი მოგზაურია, რომელიც რამდენიმე დღის წინ საქართველოში ჩამოვიდა. ინდოელმა „მშვიდობისმაძიებელმა“ დი დიაბასმა, სანამ ჩვენამდე მოაღწევდა, 70 ქვეყანა მოინახულა და 100 ათასი კილომეტრი ფეხით გამოიარა.

ლი ლიაბასს მხოლოდ ლამაზი ქალების ეშინია

ნათია ბოგსაძე

— მოგზაურობა 10 წლის წინ — 1991 წელს დავიწყე. ვცხოვრობდი ინდოეთის დედაქალაქ დელიში. ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო და ის ადგილი, სადაც დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ რაც მოგზაურობა დავიწყე, შინ აღარ დავბრუნებულვარ. თქვენ გაინტერესებთ, რატომ გადავწყვიტე, მთელი მსოფლიო შემომევლო? გარწმუნებთ, მხოლოდ დედამიწის ხილვის სურვილი არ მამძრავებდა. უბრალოდ, როცა ჩავუღრმავდი კაცობრიობის ისტორიას, აღმოვაჩინე, რომ ჩვენ სასასტიკის, ომებისა და დაპყრობების გზა გამოვიარეთ და სისხლისმღვრელი იმპერატორები, გულზვიადი მეფეები, გაქნილი და გაიძვერა პოლიტიკოსები განვადიდეთ. არადა, ხალხს მხოლოდ სიყვარული სჭირდება და არა ხმლის ქნევა. დღეს მსოფლიო ძალიან გათიშული და გაუცხოებულია, ადამიანები საკუთარ ნაჭუჭში არიან გამოკეტილები და ერთმანეთის სულ აღარ ესმით. ახალმა ტექნოლოგიებმა კი სრულიად წალეკა ჩვენი ცნობიერება და მანქანებს დაგვამსგავსა. ერთ მშვენიერ დღესაც გადავწყვიტე, დამეწყო მოგზაურობა, მივსულიყავი უბრალო ადამიანებთან და შემეხსენებინა, რომ ისინი სიყვარულისათვის შექმნა ღმერთმა. დავუკავშირდი გაეროსა და იუნესკოს ორგანიზაციებს და მათი დროშის ქვეშ დავდივარ სამშვიდობო მისიით.

— საქართველოში რამ ჩამოგიყვანათ, გსმენიათ რაიმე ჩვენი ქვეყნის შესახებ?

— როგორ არა? საქართველო ხომ სტალინის სამშობლოა. სტალინმა კი ვეებერთელა იმპერია შექმნა. მე არ მიყვარს ის, როგორც ყველა პოლიტიკოსი და ხელისუფალი, მაგრამ მაინტერესებს... მაინტერესებდა, რა ერმა წარმოშვა ეს ფენომენი... ჩამოვედი და ვხედავ, რომ თქვენ ძალიან თბილი და სტუმართმოყვარე ხალხი ხართ. თქვენში წვეთიც არ არის იმ აგრესიისა, რასაც სტალინი აფრქვევდა, მაგრამ ერთს კი ვგრძნობ: იმ კაცში, ცივ გონებასთან ერთად, შეფარული ქართული ცეცხლოვანი ტემპერამენტი იდო და არა განდიდებისა და ფუფუნების, არამედ ძალაუფლების მანია.

თქვენგან განსხვავებით, რუსები ცივები და გულგრილები არიან. რუსეთი არ მომწონს. ამ ხალხმა კიდევ ვერ გაიგო, რა უნდა, ცხოვრების როგორ წესს უნდა მისდიოს. გამუდმებით იარაღზე უჭირავს თვალი. ის კი არ ესმის, რომ მშვიდობა ყველაფერზე ძვირფასია.

— თქვენ მრავალ ქვეყანაში იმოგზაურეთ, რომელმა დატოვა განსაკუთრებული შთაბეჭდილება?

— ძნელი სათქმელია — ყველა ქვეყანა თვითმყოფადია. ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოში ვარ ნამყოფი. ევროპელებს განსხვავებული კულტურა აქვთ. ისინი ზერელედ უყურებენ სამყაროს. აზია გაცილებით ღრმაა და თბილი. ჩვენ მარტო მზე კი არ გვათბობს — გული გვაქვს ცხელი. თანაც, აზიური კულტურა უფრო ძველია. ინდური ფილოსოფია და ცივილიზაცია გაცილებით ადრე გაჩნდა, ვიდრე ბერძნული. ისეთი დიდი ჰუმანიზმი, როგორიც განგის ფილოსოფიაშია, არც ერთ ევროპულ მოძღვრებაში არ შეგხვდებათ. კარგი იქნებოდა, თუკი მთელი მსოფლიო გაიზიარებდა მას — მაშინ ნაკლები სისხლის ღვრა იქნებოდა.

— თქვენ რომელი რელიგიის მიმდევარი ხართ?

— არც ერთის — მე უბრალოდ ადამიანები მიყვარს და მწამს უზენაესის, რომელიც ერთია და ყველაფერს ხედავს. ყოველთვის მზადა ვარ, წარვდგე უფლის წინაშე, რადგან ვიცი, რომ სიყვარულს ვემსახურები.

— ამერიკაში თუ ყოფილხართ?

— ამერიკაა ყოველგვარი ბოროტების სათავე. მას „მეტასტაზები“ აქვს მთელ მსოფლიოში გადგმული და თავისუფალი ცხოვრების უფლებას არავის აძლევს. არ შეიძლება, ქვეყანა, რომელსაც არც ისტორია აქვს და არც სული, იყოს მსოფლიო ჰეგემონი. გარწმუნებთ — მას რომ ინდური ფილოსოფია უმაგრებდეს საფუძველს, არა მარტო მსოფლიოს ბატონი, არამედ მთელი ქვეყნის მშვიდობისა და სიყვარულის ქვაკუთხედი იქნებოდა.

— თქვენთან საუბრისას დავწმუნდი, რომ უკიდურესი ნაციონალისტი ხართ. მართალია, ერთი სახელმწიფოს მსოფლიო ბატონობას კატეგორიულად ეწინააღმდეგებით, მაგრამ ამერიკის ადგილზე ინდოეთი რომ აღმოჩნდეს, ეს სრულიად არ შეგაწუხებთ, პირიქით — გაგეხარდებათ კიდეც...

— რას ბრძანებთ?! ეგ სულაც არ მიფიქრია. ინდოეთის ისტორიაში არსებობდა იმპერატორი ასოკა, რომელმაც ცეცხლითა და მახვილით კი არა, თავისი მშვიდობიანი პოლიტიკით შექმნა ძლიერი სახელმწიფო. მის შესახებ არავინ საუბრობს. ალექსანდრე მაკედონელის ძალაზე დამყარებულ იმპერიაზე კი გულის ამაჩუყებელ ლეგენდებს ჰყვებიან.

— თქვენ გამუდმებით გზაში ხართ, არ მუშაობთ, მოგზაურობას კი საკმაოდ სოლიდური თანხა სჭირდება...

— ფულს გაერო და ჰუმანიტარული ორგანიზაციები მაძლევენ. ხშირად მშიერს მიწევს სიარული, მაგრამ მე სულის სიძლიერე მაძლებინებს — სულისა, რომელსაც უნდა ემსახურებოდეს ყველა. რწმენა რომ არა, ვერ შევძლებდი ამდენ სიარულს. მე უკვე სხვა-

დასხვა ქვეყნის 3000 სკოლა შემოვიარე, სადაც ლექციებს ვკითხულობდი. ეს ციფრი გარკვეული რეკორდის ტოლფასიცაა.

ერთი წლის წინ დი დიაბასმა (რუმინეთში ყოფნისას) „ცოლი შეირთო“. ის ერთერთ უნივერსიტეტს ეწვია მორიგი ლექციის ჩასატარებლად და დაინახა, რომ პატარა გოგონა დერეფანში იდგა და ნამცხვარს ყიდდა. შუაგულ ზამთარში ის თხელი სვიტერითა და სიფრიფანა შარვლით იყო შემოსილი. ინდოელ მოგზაურს ისე შეებრალა გოგონა, რომ ქურთუკი უყიდა და ჩაიცვა. მაშინვე დამეგობრდნენ. მესამე დღეს კი 40 წლის „მშვიდობის მამიებელმა“ 21 წლის სოფია ცოლად შეირთო და ქვეყნიერების კიდემდე სვლა ერთად განაგრძეს.

სოფია:

— უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, ფრანგულს ვსწავლობდი. ერთ დღეს ჩვენმა დირექტორმა დიაბასი მოიყვანა და გაგვაცნო. ძალიან მომეწონა მისი ლექცია, მისი მიზნები. როგორც კი შემომთავაზა, ჩემთან ერთად წამოდიო, მაშინვე დავთანხმდი. ბედნიერი ვარ, რომ მას შევხვდი. ჩემი ცხოვრება სასიკეთოდ შეიცვალა. მთელი მსოფლიო უნდა შემოვიაროთ, შევხვდეთ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს. ამაზე მთელი ბავშვობა ვოცნებობდი.

— მშობლები როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას?

— მათ იციან, რომ უკვე სრულწლოვანი და დამოუკიდებელი ადამიანი ვარ. არჩევანის უფლება მეც მაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ არ შევმცდარვარ. ცხოვრება ისეთ კაცს დავუკავშირე, ვისაც ძალიან დიდი სიყვარული შეუძლია.

დიაბასი:

— ჩვენ ოფიციალური ცოლ-ქმარი არა ვართ. არ მიყვარს ფორმალობა, რეგისტრირებული ცოლქმრობის არ მწამს. ჩვენ ერთად ყოფნა გვინდა. სოფიას ჩემი იდეები მოსწონს, ამიტომ, გარკვეულწილად, ის ჩემი მიმდევარი და სტუდენტიცაა. საერთოდ, არაფრის მეშინია, ლამაზი ქალების გარდა: ისლანდიაში ყოფნისას, ორმა ლამაზმანმა მომიტაცა: საღამოს ბარში ჩავედი, ისინი შემომეხვივნენ, მეორე სართულზე ამიყვანეს და სამი დღე დამწყვდეული ვყავდი. მათთვის მუქკანიანი მამაკაცი ეგზოტიკაა და კარგად ერთობოდნენ ჩემით... ის დღეები კოშმარივით მახსენდება. დამაგვიანდა თვითმფრინავზე, ბილეთი გამიუქმდა — არადა, ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯი ძალიან მძიმედ აწვება ჩემს შეკოწიწებულ ბიუჯეტს... ბოლოს ისევ ბარის პატრონმა მიხსნა — შემთხვევით შემოიხედა ოთახში. მე მაშინვე ყვირილი და ხვეწნა-მუდარა დავიწყე — გამიშვით, ასე მონებსაც არ ექცევიანმეთქი. ისევ მამაკაცს შევებრალე და გამათავისუფლა. მეორე დღესვე, თავქუდმოგლეჯილი გამოვიქეცი ისლანდიიდან. ამ ამბის შემდეგ ქალებს განსაკუთრებით ვუფრთხი — საშიში არსებები არიან.

— ქართველმა მანდილოსნებმაც ხომ არ მოახერხეს თქვენი შეშინება?

— არა, თქვენი ქალები ძალიან ლამაზები და თავდაჭერილები არიან. ისინი არ იხიბლებიან ჩემი კანის ფერით და თავად მერიდებიან. მართალი გითხრათ, მეც ასე მირჩევნია: სოფია ჩემთვის ყველაფერია.

— საქართველოდან წასვლის შემდეგ, რა მიმართულებით გააგრძელებთ სვლას?

— საქართველოს მალე დავტოვებთ და სომხეთში გადავინაცვლებთ. შემდეგ აზერბაიჯანს მოვინახულებთ. მერე კი გეზს ყირგიზეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთისაკენ ავიღებთ. მინდა 200 სახელმწიფო მაინც ვნახო. ალბათ, ღმერთი შეგვაძლებინებს... ■

სამახსოვრო ფოტო: სოფია (მარცხნივ) და დი დიაბასი, ავტორთან ერთად



მოგზაურობის დასაგებები

● სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობისას, თან იქონიეთ ფოტოაპარატი და ფირზე აღბეჭდეთ არა მარტო ღირსშესანიშნაობები, არამედ ადამიანთა გამორჩეული სახეებიც.

● ხშირად დახედეთ საათს და შეეცადეთ, ცხოვრების ტემპს არ ჩამორჩეთ.

● დიდი ხნის უნახავ მეგობართან შეხვედრისას, ნაკლები ისაუბრეთ საკუთარ პრობლემებზე, — იქნებ მას თქვენზე მეტი საზრუნავი აქვს.

● თუ სააბაზანოში შხაპის მიღებისას, თქვენ მიერ შესრულებული არია ოჯახის წევრებს არ მოსწონთ და გაჩუმებას გთხოვენ, — ხმას დაუწიეთ, მაგრამ მაინც იმღერეთ, გუნებას ნუ გაიფუჭებთ.

● უცხო დაწესებულებაში შესვლისას, კეთილგანწყობის მოსაპოვებლად მიესალმეთ ყველას და ღიმილსაც ნუ დაიშურებთ.

● ახალგაზრდებო, თუ მოხუცები ნარდის თამაშისას წაგებას მტკივნეულად განიცდიან, შეუმჩნევლად დაუთმეთ — ეს მათ გაახარებთ, თქვენ კი არა დაგაკლდებათ რა.

● დიდხანს ნადგომი მანქანით შო[illegible] მგზავრობის წინ, აუცილებლად შეამოწ[illegible]მეთ სამუხრუჭე სისტემა.

● თუ ბავშვის ავადმყოფობა შეიტყვეთ, ნუ აფორიაქდებით — ცივი გონებით განსაჯეთ შექმნილი მდგომარეობა, ხელში აიყვანეთ საკუთარი თავი და დაამშვიდეთ პატარა.

● პატივი ეცით წინაპრების თავგანწირვას და ნურც სამამულო ომის ვეტერანებს დაივიწყებთ! ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის
უბის წიგნაკიდან:

1. გაეროს შტაბბინა ნიუ-იორკში მდებარეობს.

2. მსოფლიო რელიგიათა შორის ისლამი ყველაზე ახალგაზრდაა.

3. ერნესტ ჰემინგუეიმ სიცოცხლის უკანასკნელი წლები კუბაში გაატარა.

4. ლევ ტოლსტოი ახალგაზრდობაში არტილერიაში მსახურობდა.

5. ალფრედ ნობელმა დინამიტის გამოგონებით გაითქვა სახელი.

6. რუსეთის პირველ მუზეუმს კუნსტკამერა ერქვა.

7. ფინელები თავიანთ ქვეყანას სუომის ეძახიან.

8. კინოფილმ „ტიტანიკისთვის“ დაწერილი სიმღერის შესრულებისთვის სელინ დიონი „ოსკარით“ არის დაჯილდოებული.

9. რესტორანი „პრაღა“ მოსკოვში ძველი და ახალი არბატის კუთხეში მდებარეობს.

10. „პეპი გრძელიწინდას“ ავტორი ასტრიდ ლინდგრენია, „ვინი პუჰის“ ავტორი – ალან ალექსანდრ მილნი; „ჩიპოლინოს“ ავტორი – ჯანი როდარი; „ძია ტიკ-ტაკის მოგზაურობის“ ავტორი – დონალდ ბისეტი. „პინოქიოსი“ – კარლო კოლოდი, „რიკი-ტიკი-ტავის“ – რედიარდ კიპლინგი; „დაჩის ზღაპრებისა“ – ოტია იოსელიანი.

11. „ფრანგები ძალზე დაჰკანკალებენ თავიანთ იოლ ცხოვრებას და მოკლებულნი არიან საბრძოლო სულისკვეთებას. ჩვენ შეგვიძლია ერთი დარტყმით ბოლო მოვუღოთ მათ“, – ამბობდა საფრანგეთის ოკუპირებისთვის გამზადებული ადოლფ ჰიტლერი.

12. აზიის ბევრ სასტუმროში, რათა კლიენტის მორცხვობა გამორიცხონ, მასაჟისტებად მხოლოდ უსინათლოები აჰყავთ.

13. ადის-აბებაში ქუჩებს არა აქვს არც სახელწოდება, არც ნუმერაცია და არც რაიმე მაჩვენებელი.

14. სინათლის სიჩქარე წამში 299 792 კილომეტრია.

15. გალაკტიონ ტაბიძემ ორმოცი ათასი ახალი რითმა აღმოაჩინა.

16. მიმინო ნადირობისას ჯერ მაღლა აფრინდება და მომავალ მსხვერპლს დიდი სიმაღლიდან ათვალიერებს, შემდეგ დაკეცავს ფრთებს და ტყვიასავით ეშვება ძირს.

P.S. ასეთი ვარდნის დროს მისი სიჩქარე



მსოფლიოში ასეთი ოპერაცია ჯერ არ გაკეთებულა...

თეონა მეგრელიშვილი

– მსახიობივით ვცხოვრობ, დღემუდამ ნიღბის ტარებამ დამღალა: საშინელებაა, როდესაც აღგიქვამენ იმად, რაც არ ხარ.

— ანუ, აღგიქვამენ ქალად, შენ კი — მამაკაცი ხარ?

– კი!

— როდის გააცნობიერე ფიზიკურ სხეულსა და პიროვნულ „მეს“ შორის არსებული სხვაობა?

– მაშინ, როცა ბავშვი ახდენს სქესთა შორის არსებული სხვაობის აღქმა-გააზრებას. ბავშვობიდან მოყოლებული, ქალად არასოდეს აღმიქვამს საკუთარი თავი, შესაბამისად არაქალური თამაშები და ოცნებები მქონდა – მოგზაურობა მიზიდავდა, უცხო ქვეყნებში „სახეტიალოდ“ არაერთხელ გავპარულვარ სახლიდან, მაგრამ, როგორც წესი, სადგურის იქით – ვერ მივდიოდი. შემდეგ მინდოდა, კიბოს წამალი გამომეგონებინა და ცდების წარმოებისას რამდენჯერმე ავფეთქდი კიდეც, ბებიას სხვენთან ერთად, ამიტომ იძულებული გავხდი, „დროებით“ გადამედო ექსპერიმენტები – ამ საქმისთვის საჭირო ლაბორატორიის შეძენამდე... მოკლედ, ძალიან „იდეინი“ ბავშვი ვიყავი.

— თაყვანისმცემელი ბიჭები თუ გყავდა?

– კი, როგორ არა, მაგრამ ყოველთვის ვახერხებდი, რომ ასეთი დამოკიდებულება მეგობრულ ურთიერთობაში გადამეყვანა.

— გოგონების მიმართ როგორი დამოკიდებულება გქონდა?

– რაინდული. მასწავლებლით დაწყებული, ყველა ქალს ვმფარველობდი.

— პირველი ინტიმური კავშირი გოგოსთან როდის გქონდა?

– 12 წლის ასაკში. ყველაფერი საკმაოდ ბუნებრივად, თამაშ-თამაშით მოხდა. არც მე მქონია გეგმაში რაიმე სერიოზული და არც მას. ეს იყო ძალიან თამამი, მაგრამ მაინც არანამდვილი სექსუალური კავშირი.

— საერთოდ, როგორ ხვდებიან ქალები შენი მხრიდან სიმპათიის გამჟღავნებას?

– ჩვეულებრივად და ბუნებრივად – ტეტ-ა-ტეტ ურთიერთობისას თუ საუბრისას. ურთიერთობაში ხომ გადამწყვეტ როლს გარეგნობა კი არა, შინაგანი, სულიერი სამყარო თამაშობს. ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ დავინტერესებულიყავი პიროვნებით, მასთან ურთიერთობა მნდომოდა და ვერ მომეხერხებინა. უარყოფით შედეგს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიღებ, თუ ურთიერთობა ჩემი მიზეზით არ შედგა. მე მგონი, ეს სავსებით ბუნებრივი რეაქციაა: შენ მიერ უარყოფილი ქალი გაგებით არ მოგეპყრობა.

— თუ ქალებთან ურთიერთობის პრობლემა არ გაქვს, მაშ რატომლა გინდა ტრანსსექსუალური ოპერაციის გაკეთება?

— ამ ოპერაციას იმიტომ კი არ ვიკეთებ, რომ ქალობა არ მინდა ან ქალად ყოფნას ვიწუნებ — უბრალოდ, ქალი არა ვარ.

ზოგიერთი თვლის, რომ ეს ჩემი ახირებაა. თუ გინახავთ ჭკუათმყოფელი, რომელსაც უსაფუძვლოდ, უმიზეზოდ ჰქონდეს ოპერაციის გაკეთების სურვილი?!.. ნორმალური ცხოვრება მინდა. ჩაცვით მამაკაცს, თუნდაც ერთი დღით, კაბა და აიძულეთ, საზოგადოებაში ქალურად მოიქცეს, შეძლებს? შეუძლებელია მთელი ცხოვრება ითამაშო და ამან რაიმე ფსიქოლოგიურ გართულებამდე არ მიგიყვანოს.

— მიუხედავად იმისა, რომ დაბადების მოწმობასა და პასპორტში „მამრობითი“ გიწერია, ოპერაციამდე მაინც სექსუალურ უმცირესობაში ითვლები, ასე არ არის?

— არ არის ასე, იმიტომ რომ მე ჩვეულებრივი ჰეტეროსექსუალი ვარ. არ ვარ ის, რაც ფიზიკურად ვჩანვარ. ოპერაციის შემდეგ საბოლოოდ შევალ უმრავლესობაში და დავიწყებ ნორმალურ ცხოვრებას. საქართველოს გარეთ ხალხთან ურთიერთობის პრობლემა არა მაქვს — იქ აბსოლუტურად ადეკვატურად აღმიქვამენ. ე.ი. ისეთად, როგორადაც მე თვითონ მიმაჩნია თავი. თბილისში საქმე სულ სხვაგვარადაა: მიყურებს ხალხი და ვერ გაურკვევია — რაშია საქმე.

— მშობლები, ახლობლები როგორ შეხვდნენ შენს ტრანსსექსუალობას?

— ნორმალურად, მაგრამ განსაკუთრებული რეაქცია ბებიას ჰქონდა. საინტერესო კითხვა დამისვა: ვისი უნდა გადაგინერგონ, ბებია, ვინ დათმობს თავისი ნებითო?.. დავამშვიდე — ნუ გეშინია, ბებია, ყველაფერი მოგვარებულია და პრობლემები არ მექნება-მეთქი...

— მე მგონი, ბებიას წინათგრძნობა გამართლდა. რამდენადაც ვიცი, ოპერაციას არატრადიციული მეთოდით ჩაგიტარებენ და ეს პირველად მოხდება...

— ტრანსსექსუალურ ოპერაციებს, ტრადიციული მეთოდით, ბევრ ქვეყანაში წარმატებით ატარებენ, მაგრამ არატრადიციული მეთოდით — მსოფლიოში, ჯერ მართლაც არც ერთი ოპერაცია არ გაკეთებულა. ეს ექსპერიმენტი იქნება და ამდენად, მეც და ჩემი ქირურგიც რისკზე მივდივართ. ტრადიციული მეთოდისგან — არატრადიციული — ბევრი რამით განსხვავდება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ წარმატების შემთხვევაში, მამობასაც შევძლებ.

— სად იკეთებთ ამ ექსპერიმენტულ ოპერაციას და როდის?

— ოპერაციას გავიკეთებ საქართველოს ფარგლებს გარეთ, როდის — ზუსტად არ ვიცი, რადგან ეს შესაფერისი დონორის პოვნაზეა დამოკიდებული.

— საქართველოშიც აკეთებენ ტრანსექსუალურ ოპერაციებს — რატომ არ გინდა აქვე გაიკეთო?

— ჯერ ერთი, არატრადიციული მეთოდით არც აქ და არც სხვა ქვეყანაში, ოპერაცია ჯერ არ გაკეთებულა, მეორეც: დიდი საფუძველი მაქვს, აქაურ ექიმთა მორალური მხარე და პროფესიონალიზმი ეჭვქვეშ დავაყენო (თუ საკუთრივ რატომ, ეს ზაზას არ დაუზუსტებია. — რედ.).

— ამ ტიპის ოპერაციები ალბათ ძვირი ჯდება?

— საქართველოში 5000 დოლარი ღირს, რუსეთში — 1500. მაგრამ ჩემთვის ფინანსური მხარე გადამწყვეტი არ არის. როგორც გითხარით, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ქირურგთა მორალური სახე და პროფესიული დონე.

— შენი საკითხის შემსწავლელ კომისიაზე რას იტყვი?

— ყველაფერი აბსოლუტურად კანონიერი გზით მოხდა: ჯანდაცვის სამინისტროში, ჩემი მოთხოვნის საფუძველზე, შეიქმნა ძალზე წარმომადგენლობითი და კომპეტენტური კომისია, რომელმაც, გამონაკლისის სახით, განიხილა ჩემი პრობლემა. თავიდან, კომისიის თითქმის ყველა წევრი უარყოფითად იყო განწყობილი ჩემ მიმართ. მაგრამ შემდგომ, ხანგრძლივი გამოკვლევა-ტესტირების პროცესში, აზრი და დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალეს და ოფიციალურად დაადასტურეს, რომ მამაკაცის ყველა პარამეტრს ვაკმაყოფილებ და კეთილი სურვილებით დამემშვიდობნენ. მათ მიერ გაცემული იურიდიული ძალის მქონე დასკვნის შედეგად, უპრობლემოდ შევცვალე ყველა დოკუმენტი.

— მორწმუნე თუ ხარ?

— კი. უფალი აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, მაგრამ მისი ნაწილი ყოველ ჩვენგანშია, ვცდილობ, ვიცხოვრო ეკლესიურად — თუმცა ყოველთვის წარმატებით ვერ ვახერხებ ამას. მყავს მოძღვარი, რომელმაც ჩემი ცხოვრების ყველა დეტალი იცის.

— ოპერაციის შემდგომ რას აპირებ — თუ დაბრუნდები საქართველოში?

— სხვათა შორის, რამდენჯერმე შემომთავაზეს მოქალაქეობის შეცვლა. მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნის ქვეშევრდომობა ბევრ პრობლემას ამაცილებდა, არ დავთანხმდი. იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს საქართველო, მინდა დავბრუნდე და რაღაც სასარგებლო გავაკეთო ჩემი ქვეყნისთვის. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

საათში 350 კმ-ს შეადგენს.

17. ეხნატენი და ნეფერტიტი ცოლქმარი იყვნენ.

18. ტუტანხამონის მუმიფიცირება 70 დღე მიმდინარეობდა. იგი ფარაონთაგან ერთადერთია, ვინც ჯერაც საკუთარ სარკოფაგში განისვენებს.

19. დადგენილია, რომ 1921 წლიდან 1950 წლამდე საქართველოში რეპრესირებული იყო მოსახლეობის ათი პროცენტი.

20. 1979 წლის აღწერით აფხაზეთში საკუთრივ აფხაზები — ანუ აფსუები შეადგენდნენ მოსახლეობის 17,1%-ს; ქართველები — 43,9%-ს; რუსები — 16,4%-ს; სომხები — 15,1%-ს. P.S. თავად აფხაზების რაოდენობა ხელოვნურად იყო გაზრდილი მეგრელთა აფხაზებად ჩაწერის ხარჯზე.

21. ძველ საბერძნეთში ღარიბებისათვის ხაზინიდან ფულის გაცემას თეორიკონი ერქვა; სანახაობებისა და მისტერიების ხარჯის მდიდრებისთვის დაკისრება — ლიტურგია; უმიწაწყლო გლეხობის საგანგებოდ გამოყოფილ მიწებზე დასახლებას — კლერუქია.

22. პატარა თევზს, რომელიც დიდ თევზებს, განსაკუთრებით ზვიგენებს, აედევნება და ათასობით კილომეტრზე დაჰყვება თან, ლოცმანი ეწოდება. P.S. „აბა, მე და ზვიგენს ვინ მოგვერევა?!“

23. ერნესტ ჰემინგუეის ნაწარმოებების რიტმი მართლაც რომ გასაოცარია. თავისი ერთ-ერთი რომანის ბოლო აბზაცი, ამერიკელმა მწერალმა შესაბამისი სიტყვის ძებნაში, ოცდაცხრაჯერ გადაწერა.

24. ლეგენდარული ტროა ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

25. ერთხელ მარკ ტვენის დედა მატარებლით მგზავრობისას გაცხარებულ დავას შეესწრო: მგზავრების ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, მარკ ტვენი ჰანიბალის შტატშია დაბადებულიო, მეორე ჯგუფი კი ამბობდა — მწერალი ფლორიდელიაო. ქალბატონი ჯეინ კლემენსი ამ უკანასკნელთ მიემხრო, რამაც დანარჩენები საშინლად აღაშფოთა და მოხუც ქალბატონს უკმეხი სიტყვებიც ჰკადრეს — როცა არ იცი, რატომ ლაპარაკობო?! მაშინ ქალმა მშვიდად გაიღიმა და თქვა: „დედა ვარ და დამეჯერება, მე თვითონ ვესწრებოდი მის დაბადებასო!“ ■

«სასჯელად ისიც ეყოფა, რომ მკვლელია»

ადვოკატის თქმით, 20 წლის ნიკა თავაძის მკვლელობაში დანაშაული არ აღინიშნება

მეგი ცანავა

მომავალ კვირას ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში გახმაურებული მკვლელობის საქმის განხილვას აპირებენ. ტრაგედიამ, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტის, 20 წლის ნიკა თავაძის (სურათზე) სიცოცხლე შეიწირა, შარშან მთელი თბილისი შეძრა. მკვლელობაში ბრალდებულის – 23 წლის გიორგი მოსაშვილის საქმეს სამართალდამცავები ერთი წლის მანძილზე იძიებდნენ, თუმცა გამოძიების მასალებში დაფიქსირებულ ფაქტებს დღეს ორივე მხარე – განსასჯელისა და დაზარალებულის ახლობლები კატეგორიულად უარყოფენ.

ნიკა თავაძის ნათესავებმა მკვლელობის დეტალების გასარკვევად, კერძო დეტექტივი დაიქირავეს. იგი, ჯერჯერობით, გამოაშკარავებისგან თავს იკავებს, მაგრამ მოკვლეულ მასალებს ალბათ მალე შემოგვთავაზებს. ვაკის რაიონის პროკურატურის თანამშრომლების მიერ დაწერილ საბრალდებო დასკვნაში კი, მომხდარი ფაქტი და მისი მიზეზები ასეა აღწერილი:

თბილისში, ვაჟა-ფშაველას მე-2 კვარტალის ერთ-ერთ კორპუსში მცხოვრები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-5 კურსის სტუდენტი, 22 წლის გიორგი მოსაშვილი 2000 წლის 28 ოქტომბერს, საკუთარ ბინაში თავის დაბადების დღეს აღნიშნავდა. სტუმრად მეგობრები, მეუღლის – თამარ პატარაიას ამხანაგები, მშობლები და ნათესავები ჰყავდა მიწვეული. დროს ტარებამ ღამის 12 საათამდე გასტანა, მერე კი სტუმრები ნელ-ნელა წამოიშალნენ. დაახლოებით 1 საათისთვის გიორგი მოსაშვილის მეგობრები – გიგა ლალებაშვილი, რომან სარქისოვი, ქეთევან რობაქიძე, ნინო აფციაური და ლანა ჩიხლაძე წავიდნენ. სახლში გიორგი, მისი მეუღლე, გიორგის ძმა – ირაკლი მოსაშვილი და კიდევ რამდენიმე სტუმარი დარჩნენ.

ლალებაშვილი და მასთან ერთად მყოფი მეგობრები მოსაშვილის სახლიდან გასვლის შემდეგ ვაჟა-ფშაველას გამზირზე, №28ა კორპუსის მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის განაპირას, ტაქსის გაჩერების მიზნით შეჩერდნენ. ამ დროს, მათ ვაჟა-ფშაველას ძეგლის მხრიდან, მეტრო „გოცირიძის“ მიმართულებით მიმავალი თეთრი ავტომანქანა შენიშნეს. მანქანას ტაქსის ნიშანი ჰქონდა. როცა წინ ჩაუარა – ხელი დაუქნიეს და გააჩერეს. ტაქსიში მძღოლის გარდა, მათთვის უცნობი სამი პირი იჯდა. როგორც შემდეგ, გამოძიებით დადგინდა, ესენი იყვნენ: ნიკა თავაძე (მძღოლის გვერდით), ვახტანგ ყაველაშვილი და მაკარ მიქატაძე (უკანა სავარძელზე). სამივე, ისევე როგორც ლალებაშვილი და სარქისოვი, ნასვამი იყო. თავაძემ ხმამაღლა შეიგინა. სარქისოვმა ურჩია, შეეწყვიტა გინება, რადგან მათ გოგონებიც ახლდნენ. ამის გამო შელაპარაკება მოუვიდათ და ჩხუბი დაიწყეს. ჩხუბში დანარჩენი ბიჭებიც ჩაერთვნენ და ერთმანეთს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

ერთ-ერთი გოგონა – ლანა ჩიხლაძე, შეშინებული, გიორგი მოსაშვილის სახლში ავარდა და აღელვებულმა იქ მყოფთ უთხრა, რომ ქუჩაში სარქისოვსა და ლალებაშვილს უცნობებმა ჩხუბი აუტეხეს და სცემდნენ. სახლში დარჩენილები ძირს ჩავიდნენ. გიორგი მოსაშვილმა ბინიდან გასვლამდე, თავის საძინებელ ოთახში გადამალული „ვალტერ პე-38“ სისტემის პისტოლეტი აიღო და შარვლის საქამრეში ჩაიდო. პისტოლეტის მჭიდში ორი საბრძოლო ვაზნა იდო.

ქუჩაში გასულმა მოსაშვილმა დაინახა, რომ მის მეგობრებს უცნობები მართლაც ეჩხუბებოდნენ. იგი თავაძეს მიუახლოვდა და ჩხუბი დაუწყო. ერთმანეთს სცემდნენ. მოსაშვილი თავაძეს რამდენიმე მეტრით დაშორდა, საქამრიდან პისტოლეტი ამოიღო და გადატენა, თუმცა ვაზნა მიწაზე დავარდა. მან იარაღი კვლავ გადატენა და თავაძის მიმართულებით გაისროლა. ამ უკანასკნელს ტყვია წელის არეში მოხვდა და სასიკვდილოდ დაჭრა. ამის დანახვაზე გიორგი და ირაკლი მოსაშვილები გამვლელი ავტომანქანის გაჩერებას შეეცადნენ, რათა დაჭრილი საავადმყოფოში წაეყვანათ. გაჩერებულ მანქანაში პოლიციის თანამშრომლები აღმოჩნდნენ, რომელთაც ძმები მოსაშვილები ადგილზევე დააკავეს.

ნიკა თავაძე საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. პროკურატურაში გიორგი მოსაშვილმა დანაშაული აღიარა, თუმცა განზრახ მკვლელობაში თავი დამნაშავედ არ ცნო. მისი ჩვენების მიხედვით, მან მოჩხუბრები შენიშნა თუ არა, მაღალ პირთან (ნიკა თავაძე) მიირბინა, ამ უკანასკნელმა კი მას მაშინვე სახეში მუშტი დაარტყა. მოსაშვილი დაეცა და „გაითიშა“. გონს რომ მოვიდა, თავისი მეუღლის ხმა გაიგონა, რომელიც ყვიროდა – ნუ ურტყამო! წამოდგომისას დაინახა თავისი ძმა – ირაკლი, რომელიც იმ მაღალ პირს დაეტაკა, თავისკენ შემოატრიალა და ხელი ჰკრა. სწორედ ამ დროს მაღალმა უცნობმა ჯიბიდან დანა ამოიღო. მოსაშვილმა საშიშროება რომ იგრძნო, იარაღი გადატენა, მაგრამ ტყვია გაიჭედა. სანამ პისტოლეტი მეორე გას-

როლისთვის მოამზადა, დაინახა, როგორ მოუქნია დანიანი ხელი იმ უცნობმა მის ძმას. ირაკლიმ დანა აიცდინა და წაბორძიკდა. გიორგი მოსაშვილმა დანიან უცნობს, მისი შეჩერების მიზნით, იარაღი ფეხებში დაუმიზნა, ამ დროს კი ცოლმა ხელები შემოაჭდო და მას პისტოლეტიანი ხელი აუმოძრავდა, ოდნავ ზევით აეწია და ისე გაისროლა. უცნობი ჩაიკეცა. ამის დანახვაზე მოსაშვილი ინსტინქტურად მასთან მივარდა და მის მოსულიერებას შეეცადა. როცა ნახა, რომ დაჭრილი იყო, სხვებთან ერთად საავადმყოფოში მისი წაყვანა გადაწყვიტა და იქვე, გამვლელ მანქანაში ჩასვა, თავად კი პოლიციაში გამოცხადდა და მომხდარის შესახებ განაცხადა.

პროკურატურამ გიორგი მოსაშვილის ეს ჩვენება არ გაიზიარა. გამოძიების დასკვნით, ბრალდებულმა ზოგიერთი დეტალი თავის სასარგებლოდ, მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის თავიდან აცილების მიზნით მოიგონა. სამართალდამცავებმა მას განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარების შესაბამისი მუხლები წაუყენეს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, გიორგი მოსაშვილს 15-20 წლით თავისუფლების აღკვეთა ელის.

განსასჯელის ადვოკატი ზურაბ ტაბიძე პროკურატურის თანამშრომლებს არაობიექტურობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მოსაშვილს ბრალდება არასათანადო მუხლებით წაუყენეს. იგი თავის დაცვის ქვეშ მყოფის გამართლებას მოითხოვს.

ზურაბ ტაბიძე, *გიორგი მოსაშვილის ადვოკატი:*

„რა თქმა უნდა, საბრალდებო დასკვნაში წარმოდგენილ ფაქტებს არ ვადასტურებ და არც გამოძიების პოზიციას ვეთანხმები. არსებობენ საგამოძიებო ორგანოებში ისეთი იურისტები, რომლებიც სწორ იურიდიულ კვალიფიკაციას აძლევენ ჩადენილ დანაშაულს? მსგავს ობიექტურობას ჩვენს ქვეყანაში ჯერ ადგილი არ ჰქონია ან, თუ ასეთი იშვიათი გამონაკლისი მომხდარა, ეს პროკურატურისთვის ყოველთვის ანგარებაში ჩაუთვლიათ. ნიკა თავაძის მკვლელობის საქმეც ჩვენმა სამართალდამცავებმა ჩვეული სტილით გამოიძიეს და დანაშაულიც შესაბამისად დააკვალიფიცირეს. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი საბრალდებო დასკვნა სიმართლეს არანაირად არ შეესაბამება. მართალია, გიორგი მოსაშვილზე პროკურატურის მხრიდან რაიმე ზეწოლას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მის მიერ მიცემული ჩვენება, სადაც ის ყველაფერს ზუსტად ისე გადმოგვცემს, როგორც სინამდვილეში მოხდა, გამოძიებამ ყურადღების მიღმა, რა თქმა უნდა, შეგნებულად დატოვა, მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენი მოწმეებიც ზუსტად იმავეს იმეორებენ, რასაც მოსაშვილი ამბობს.

ნიკა თავაძეს რომ დანა ჰქონდა, ცხადია, ეს გამოძიებითაც დადასტურდა. თანაც, ნასვამი იყო, აგრესიული, უდიდესი ძალისა და ღონის პატრონი: ვისაც დაარტყა, ყველა ძირს დაადო. ურტყამდა ბიჭებს და სცემა მოსაშვილის ცოლიც. გიორგი ისე სასტიკად იყო ნაცემი, რომ ექსპერტიზა ორი კვირის შემდეგ ჩაუტარდა და სხეულზე დაზიანებები მაინც ეტყობოდა. მისი ძმისა და ცოლის ცემის ფაქტიც დადასტურებულია ექსპერტიზის დასკვნებით. ნიკა თავაძე დანას ირაკლი მოსაშვილს უღერებდა და მის დაჭრას ცდილობდა. სწორედ მაშინ, როცა გიორგიმ ძმის მიმართ მოსალოდნელი საფრთხე იგრძნო, ამოიღო იარაღი და ისროლა. მანამდე მას პისტოლეტი საქამრიდან არც ამოუღია. ეს კი გახლავთ არა განზრახ მკვლელობა, არამედ აუცილებელი მოგერიება თავდაცვის მიზნით. კანონში წერია, რომ ქმედება, რომელიც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ ჩადენილია აუცილებელი მოგერიების ფარგლებში (იგულისხმება საშიშროება მისთვის ან მისი ახლობლისთვის), არ შეიძლება დასჯად ქმედებად ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოსაშვილმა ტყვია სწორედ ამ ვითარებაში გაისროლა, მის ქმედებაში დანაშაული საერთოდ არ არის.

რაც შეეხება იარაღს, გიორგი მოსაშვილმა იგი სახლიდან თავდაცვის მიზნით წამოიღო, ხოლო იმ ფაქტს, რომ იარაღი მას უკანონოდ ჰქონდა შენახული, თავად ადასტურებს, რაშიც თავს დამნაშავედ ცნობს კიდეც“.

ადვოკატის თქმით, გიორგი მოსაშვილმა სასჯელი მხოლოდ იარაღის უკანონო ტარება-შენახვისთვის უნდა მოიხადოს. მისივე მტკიცებით, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა მოსაშვილმა ხელში პისტოლეტი აიღო. თუმცა, ის, თუ რატომ ინახავდა იგი სასთუმლის ქვეშ ორი ვაზნით დატენილ იარაღს, მან ამგვარად ახსნა: დღეს 100 ახალგაზრდიდან 90-ს ცეცხლსასროლი იარაღისკენ აქვს მიდრეკილება, ალბათ გიორგიმაც ამის გამო შეინახა სახლში პისტოლეტი, თან შიგ სულ რაღაც ორი ვაზნა ედოო... ნიკა თავაძის მკვლელობისთვის ერთიც საკმარისი აღმოჩნდა...

რაც შეეხება დანას – როგორც პროკურატურის მიერ გამოძიების მასალებშია დაფიქსირებული, ის შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს, თუმცა მასზე, ანაბეჭდების დადგენის მიზნით, ექსპერტიზა არ ჩატარებულა. ადვოკატის თქმით, დანიდან ანაბეჭდების ამოღება შეუძლებელიც არის. ამოცნობით კი, ის არავის ამოუცნია. თავაძის ხელში დანის არსებობის ფაქტს ადასტურებენ თავად გიორგი მოსაშვილი, ირაკლი მოსაშვილი, თამარ პატარაია, რომან სარქისოვი, გიგა ლალებაშვილი, ქეთევან რობაქიძე და გიორგი მოსაშვილის სხვა მეგობრები. არსებობს აგრეთვე მოწმის – პავლე მაჩიტიძის ჩვენება, რომლის მიხედვითაც, ეს უკანასკნელი შემთხვევის დროს იმყოფებოდა სამუშაო ადგილას – №28ა კორპუსთან ახლოს მდებარე პურის საცხობში. დაახლოებით ღამის 1 საათზე შემოესმა ხმამაღალი ყვირილის ხმა, გაიხედა სარკმლიდან და დაინახა 6-7 ახალგაზრდა გოგობიჭი, რომლებიც ჩხუბობდნენ. მოჩხუბრებიდან დაამახსოვრდა მაღალი და სრული აღნაგობის ახალგაზრდა, რომელმაც ორჯერ დაარტყა მისთვის უცნობ პირებს და ძირს დაყარა ისინი, მერე კი შემოესმა გოგონების ყვირილის ხმა – დანა აქვსო...

თავად ნიკა თავაძის მეგობრები – მაკარ მიქატაძე და ვახტანგ ყაველაშვილი დანის არსებობის ფაქტს უარყოფენ. მათ არც მკვლელობის მომენტი დაუნახავთ, რადგან მას შემდეგ, რაც გიორგი მოსაშვილი და მისი ძმა ქვემოთ ჩამოვიდნენ და მათ ცემა დაუწყეს, დრო იხელთეს და გაიქცნენ.

ნიკა თავაძის მიერ დანის ტარების შესაძლებლობას გამორიცხავს მისი დეიდაც – დაზარალებული **მარგო თავაძე:**

„დანა, რომელიც საქმეში ფიგურირებს, არ შეიძლება ხელში გარდაცვლილს სჭეროდა. უსათუოდ, იგი სხვას, დანარჩენ პირთაგან რომელიმეს ჰქონდა. გამომძიებლები არც თითის ანაბეჭდების შემოწმებას შეეცადნენ დანაზე, არც რაიმე დაპირისპირება ჩაუტარებიათ მოჩხუბარ მხარეებს შორის... ნიკას ხელში დანის არსებობაზე მხოლოდ ბრალდებული და მისი მეგობრები საუბრობენ, რაც სულაც არ არის გასაკვირი. ჩემი დისშვილის თანაკლასელები – მიქატაძე და ყაველაშვილი,

რომელთაც მეგობარი განსაცდელში მიატოვეს, ამბობენ – არც დანა დაგვინახავს და არც გასროლის მომენტიო... თანაც, ექსპერტიზის დასკვნაში, რომელიც გარდაცვლილის სხეულზე დაფიქსირებულ დაზიანებებს ეხება, გარკვევით წერია, რომ „ნიკას ტანსაცმელზე – ქურთუკზე, ჯემპრზე აღინიშნება დაზიანებები – თავისი ხასიათიდან გამომდინარე, განვითარებულნი არიან რაიმე მჩხვლეტავ-მჭრელი საგნის (საგნების) მოქმედებით, რომელსაც გააჩნია ყუა და ლესილი პირი“ (ექსპერტიზის დასკვნის სტილი დაცულია. – რედ.). ცხადია, აქ საუბარია დანაზე. როგორ შეიძლება ადამიანმა, რომელსაც ხელში დანა უჭირავს და მას სხვას უღერებს, დანით საკუთარი ტანსაცმელი გაჭრას? უფრო მეტიც: მაშინ, როცა ნიკას მკვლელობის შესახებ შევიტყვეთ, ცხედარი საავადმყოფოდან უკვე მორგში ჰქონდათ გადასვენებული. მის სანახავად იქვე მივედით. მე პროფესიით ფიზიოლოგი გახლავართ და ადამიანის ფიზიოლოგიას კარგად ვიცნობ, ამიტომ ნიკას სხეული პირადად დავათვალიერე და ზედმიწევნით შევისწავლე. ის, რომ ვიღაცას მუშტებს ურტყამდა, მისივე ხელებზე ჩანდა – მტევნები სულ დალურჯებული ჰქონდა. მაგრამ სხეულზე, ორ ადგილას განაკაწრიც შევნიშნე, რაც უსათუოდ, ბასრი იარაღის ანუ დანის დასმის შედეგად უნდა ჰქონოდა მიღებული. არ ვიცი რატომ, რა მიზნით, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნაში ეს განაკაწრები დაფიქსირებული არ არის...“

ისმის კითხვა: მაშ, ვის უჭერს მხარს პროკურატურა? დაზარალებულის თქმით, მართალია, გამოძიებამ ბრალდებულს განზრახ მკვლელობის მუხლი წაუყენა, მაგრამ სამაგიეროდ, საქმის მასალებში ყველა პირობა შექმნა საიმისოდ, რომ სასამართლოზე მას ეს მუხლი მოუხსნან. „ალბათ ამისთვის სამართალდამცავებმა ქრთამიც აიღეს“, – აცხადებს ის. მოსაშვილის მხარე ამას კატეგორიულად უარყოფს. ჩვენს შეკითხვას – რა დაინტერესება უნდა ჰქონდეს პროკურატურას გიორგი მოსაშვილის საწინააღმდეგოდ, თუკი გამომძიებელთა მხრიდან ფულის გამოძალვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია? – ადვოკატმა ტაბიძემ ასე უპასუხა:

„საქართველოში დამღუპველი ტენდენციაა – შავოსანთა ანუ დაზარალებულთა უკანონო, ბრმა მხარდაჭერა. სწორედ აქედან გამომდინარეობს მოსაშვილის მიმართ უსამართლობა და არა იქიდან, რომ პროკურატურამ ვიღაცისგან ფული აიღო. ამის გამო მსჯავრდებულთა უმრავლესობა უსამართლოდ იხდის სასჯელს ციხეში“. თუმცა, საქართველოში რომ მოქრთამული პროკურატურისა და სასამართლოს წყალობით არა ერთი და ორი მკვლელი ქუჩაში თავისუფლად დააბიჯებს, ესეც ცხადია...

შვილის სიკვდილის შედეგად, დედამისი მძიმედ დაავადდა და ლოგინად ჩავარდა, ნიკა თავაძის დანარჩენი ნათესავები კი, მათ შორის ოფიციალურად დაზარალებულად ცნობილი მისი დეიდა – მარგო თავაძე, პროტესტის ნიშნად, სასამართლოში არ ცხადდებიან. სწორედ ამ მიზეზით, სამჯერ დანიშნული სასამართლო სხდომა ჩაიშალა. მოსამართლის თქმით, საქმის განხილვას ის მანამ ვერ დაიწყებს, სანამ პროცესზე დაზარალებულის წარმომადგენელი არ გამოცხადდება.

მარგო თავაძე:

„ძალიან მიკვირს, რატომ არ იწყებენ საქმის განხილვას და მიზეზად, სასამართლოში ჩემს გამოუცხადებლობას რისთვის აცხადებენ? მე სავსებით გარკვევით განვაცხადე და ოფიციალური წერილითაც მივმართე მოსამართლეს, რომ პროცესებს არ დავესწრები. მათ ისიც ავუხსენი, რომ ჩემი პროტესტი გამოძიების არაობიექტურობამ, უსუსურობამ და გარდაცვლილის სახელის ბინძური თამაშით განპირობებულმა შეურაცხყოფამ გამოიწვია. იმ მიზნით, რომ დამნაშავეს სასჯელი როგორმე შეუმსუბუქონ, ავითარებენ ვერსიას, თითქოს ეს საზარელი მკვლელობა ნიკას მიზეზით მოხდა, რომ ჩხუბი სწორედ მან წამოიწყო და მკვლელობის ჩადენას პირველი ის ცდილობდა. ეს დაუშვებელია, არა მარტო ნიკას პიროვნებიდან და ბუნებიდან გამომდინარე, არამედ საქმის მასალებში არსებული ოფიციალური ოქმების მიხედვით – კერძოდ, ექსპერტიზის იმ დასკვნებისა, სადაც ნათლად ჩანს, ვინ გახდა ძალადობის მსხვერპლი.

ჩემი პროტესტი მკვლელობაში ბრალდებულის დასჯა-არდასჯას სულაც არ შეეხება. ჩვენ მის წინააღმდეგ სარჩელიც კი არ შეგვიტანია. მკვლელს რად უნდა დასჯა?! ისიც ეყოფა სასჯელად, მკვლელი რომ არის. მე მხოლოდ ერთს ვითხოვ – გამოძიებამ უარყოს ჩემი დისშვილის სახელის შეურაცხმყოფელი ბრალდებები... ცოდვას ცოდვაზე ნუ აიკიდებენ...“ ■

თემურ ქურდიანის პროკურორი

8 მაისს უზენაეს სასამართლოში თემურ ქურდიანის ადვოკატმა — ვალოდია ქირიამ პროცესი მოიგო: სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ გენერალური პროკურატურის საწინააღმდეგოდ შეტანილი საჩივარი დააკმაყოფილა და ქურდიანის საქმე, ხელახლა განსახილველად, უშუალოდ გენპროკურორს გადაუგზავნა.

მეგი ცანავა

პროკურატურა თემურ ქურდიანს 1994 წლის 3 დეკემბერს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის – გია ჭანტურიას, 1994 წლის 20 აპრილს, სატრანსპორტო პოლიციის უფროსის – გია გულუასა და 1995 წლის 20 ივნისს, პრეზიდენტის ფონდის თავმჯდომარის – სოლიკო ხაბეიშვილის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტში მონაწილეობას სდებს ბრალად. ტერაქტის ხელმძღვანელებად სამართალდამცავები ჯაბა იოსელიანს, თემურ ხაჩიშვილს, გიგა გელაშვილს, გოჩა გელაშვილსა და სხვებს ასახელებენ.

პროკურატურის მიერ შეფარდებული მუხლები თემურ ქურდიანს უზენაესმა სასამართლომ დაუმტკიცა. 1999 წლის 24 დეკემბერს სასამართლო კოლეგიამ ჯემალ ლეონიძის თავმჯდომარეობით, მას მკაცრი რეჟიმის სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებში 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ქურდიანი წინასწარი გამოძიებიდან მოყოლებული, 5 წელია ციხეში ზის.

წაყენებული ბრალდების საფუძველზე, ის რეალურად, 1996 წლის 13 მაისს დააკავეს, თუმცა ოფიციალურ ოქმებში დაპატიმრების თარიღად 1996 წლის 15 მაისია მითითებული. ადვოკატის თქმით, ორი დღის მანძილზე ქურდიანი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა. გარდა ამისა, ვალოდია ქირია პროკურატურის მიერ დაშვე-

საქმეს გენერალური განიხილავს

ადვოკატი ვალოდია ქირია

პროკურორი გივი ხაბაშვილი

ბულ ბევრ სხვა უხეშ პროცესუალურ დარღვევაზე საუბრობს.

ვალოდია ქირია, ადვოკატი:

„თემურ ქურდიანის საქმეზე პროკურატურის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნა სავსეა კურიოზებით. მიუხედავად უამრავი სიყალბისა, უზენაესმა სასამართლომ იგი მაინც განუხილველი დატოვა, უკანონობას უკანონობა დაემატა და ქურდიანის მიმართ ყოვლად უსამართლო განაჩენი გამოიტანა. განაჩენი, რა თქმა უნდა, უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატაში გავასაჩივრეთ, თუმცა იგი ამ ორგანომაც უცვლელად დატოვა. არადა, ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, არათუ იურისტი, ნათლად დაინახავს იმ უკანონობას, რასაც საქმის მასალებში აქვს ადგილი. საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ იმავე ტერაქტების განხორციელებაში ბრალდებულებმა – გელაშვილმა, თედიაშვილმა და მასხარაშვილმა, შემთხვევის ადგილას გაყვანისას შედგენილი ოქმის თანახმად, ტერაქტში ქურდიანის მონაწილეობა დაადასტურეს. შემთხვევის ადგილას გაყვანის ოქმს თუ გადახედავთ, ნახავთ, რომ არც ერთი ზემოთ ხსენებული პირი ქურდიანს არ ამხელს. იმავე საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაზარალებულებმა, მათ შორის გია ჭანტურიას მეუღლემ, ირინა სარიშვილმა ტერაქტში ქურდიანის დანაშაულის შესახებ განაცხადა. სინამდვილეში, არც სარიშვილი, არც სხვა რომელიმე დაზარალებული მსგავს არაფერს ამბობს. უფრო მეტიც: ამ საკითხთან დაკავშირებით, დაზარალებულები დაკითხულნიც კი არ არიან, არსად მათი სიტყვები დაფიქსირებული არაა... ამის შესახებ ყოველგვარი საფუძვლისა და ფაქტის გარეშე საუბარია მხოლოდ საბრალდებო დასკვნაში.

გამომძიებლები იმასაც აღნიშნავენ, რომ 1995 წლის 9 და 30 სექტემბერს ქურდიანი ამხილა გიორგი თედიაშვილმაც. დაკითხვის ოქმებში კი თედიაშვილი მას არსად არ ასახელებს. საბრალდებო დასკვნაში მოხსენიებულია საქმეზე მოწმის სახით დაკითხული 190 პირი, რომელთაც თითქოს ქურდიანის მიერ ჩადენილ დანაშაულზე მიუთითეს. რეალურად, ასე არ გახლავთ, რომელიმე მოწმის მიერ ნათქვამი მსგავსი სიტყვები ოქმებში არ მოიპოვება. საერთოდ,ქურდიანის საწინააღმდეგოდ, გამოძიების მასალებში ერთი მტკიცებულებაც კი არ არსებობს. საგულისხმოა ერთი დეტალიც: თავდაპირველად პროკურატურა გულუას, ჭანტურიასა და ხაბეიშვილის მკვლელობას ხომასურიძეს, თელიას, ცანავასა და მიქაძეს აბრალებდა. მაშინ ქურდიანის გვარი საქმის მასალებში საერთოდ არ ფიგურირებდა. ზემოთ ხსენებული პირები რატომღაც პასუხისგებაში არ მიუციათ, სამაგიეროდ, უსაფუძვლოდ და უმიზეზოდ, ქურდიანი დააკავეს. კატეგორიული უარყოფისა და მისი დანაშაულის პირდაპირი მტკიცებულებების არარსებობის მიუხედავად, ის მაინც მკაცრად დაისაჯა“.

ადვოკატ ვალოდია ქირიას თქმით, გენერალური პროკურატურის გამომძიებელმა გ. ბერიშვილმა ბრალდების მტკიცებები ხელოვნურად შექმნა და უდანაშაულო ქურდიანი დამნაშავედ აქცია. ადვოკატის მტკიცებით, განაჩენის გამოტანისას, უკანონო ქმედება ჩაიდინა როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ – ლეონიძემ, ასევე ამავე სასამართლოს საზედამხედველო პალატის თავმჯდომარემ – კუპატაძემაც.

ვალოდია ქირია:

„ახალაღმოჩენილი გარემოებების გამო, ქურდიანის საქმის გადასინჯვის მიზნით, 2000 წლის 4 აპრილს გენერალურ პროკურატურაში საჩივარი შევიტანე. მის განხილვას 8 თვის მანძილზე აჭიანურებდნენ, მერე კი გენპროკურატურის განყოფილების უფროსმა, გენპროკურორის მოადგილემ – გივი ხაბაშვილმა სარჩელი არ დააკმაყოფილა და უარის თქმის შესახებ, დადგენილებაც გამოიტანა. ამის უფლება ხაბაშვილს არ ჰქონდა, რადგან კანონის შესაბამისად, მსგავსი საჩივრების განხილვა უშუალოდ გენერალური პროკურორის მიერ უნდა მოხდეს.

ადვოკატმა ქირიამ ამ დადგენილების გაუქმების მოთხოვნით 2001 წლის 5 იანვარს საჩივრით მიმართა უზენაესი სასამართლოს საზედამხედველო პალატას. იმის გამო, რომ აღნიშნული ინსტანცია გაუქმდა, საჩივარი სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატამ განიხილა. აღსანიშნავია, რომ სხდომაზე პროკურორად სწორედ ის გივი ხაბაშვილი მოგვევლინა, ვის მიერ ჩადენილ უკანონობაზეც ვალოდია ქირია საუბრობს. ადვოკატმა პალატას შუამდგომლობით მიმართა და პროკურორის აცილება მოითხოვა, თუმცა ეს მოთხოვნა მოსამართლეებმა, უსაფუძვლობის გამო, არ დააკმაყოფილეს. მათი თქმით, სხდომაზე პროკურორად ხაბაშვილის მონაწილეობა, საჩივარზე გადაწყვეტილების გამოტანაზე გავლენას ვერ მოახდენდა. ასეც მოხდა. პალატამ მთლიანად ადვოკატ ქირიას პოზიცია გაიზიარა და იმის გამო, რომ ამ უკანასკნელის მიერ დასმულ შეკითხვებს პროკურორმა, ფაქტობრივად, პასუხი ვერ გასცა, თავს კანონში სამომავლოდ შესატანი მუხლებით იმართლებდა. მოსამართლეებმა ხაბაშვილის მიერ ხელმოწერილი დადგენილება გააუქმეს და პროკურორს ასე მიმართეს: *„მომავალი კანონით ნუ გველაპარაკებით. დაემორჩილეთ იმ კანონს, რომელიც კონკრეტული საქმის განხილვის პერიოდში მოქმედებს. დღევანდელი გამოსვლით თქვენ სწორედ ის დაადასტურეთ, რასაც ადვოკატი ქირია ამტკიცებს“.*

უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ დარბაზში მყოფთ ისეთი წინათგრძნობა აღუძრა, რომ ტერაქტების განხორციელებისთვის გასამართლებული და უკვე გათავისუფლებული ჯაბა იოსელიანის, ნიკა კვეზერელისა და მამუკა ოშხერელის რიგს მალე თემურ ქურდიანიც შეემატება.

ირაკლი კავსაძე და ზურაბ ბერიკაშვილი — სახელგანთქმული მსახიობების შვილები და თავადაც მსახიობები არიან. არასდროს გვიტრაბახია და არც გამოგვიყენებია სიძნელის ჟამს მამების სახელებიო — ამაყად აცხადებენ ისინი და გვარწმუნებენ, რომ თავად იკვლევენ გზას — ერთი (ირაკლი) რუსთაველის, მეორე კი (ზურა) — მარჯანიშვილის სახელობის თეატრში...

ნინო ჯავახიშვილი

„მამების სახელებით არასოდს ჭამისარჭამია“

ზურა სიტყვაძვირი, დინჯი მოსაუბრეა. როგორც თვითონ ამბობს, „მძიმე“ (კახური) ხასიათი აქვს და მართლაც არ უყვარს ბევრი ლაპარაკი, მაგრამ სამაგიეროდ ძალიან უყვარს გუდის ყველი, ხაშლამა, მწვადები, დედას პური და კარგი კახური ღვინო... ირაკლი უფრო ემოციური და „მყვირალაა“. უყვარს სიმართლე (თვლის, რომ სიმართლის გადამეტებული ერთგულება ხელს უშლის ცხოვრებაშიც და თეატრშიც), მარტოობა და... გინება!.. — ყველაზე მეტად მამაჩემს ამაში დავემსგავსეო — ამბობს სიცილით. ირაკლი და ზურა სცენაზე კარგი პარტნიორები, ხოლო სცენის მიღმა საუკეთესო მეგობრები არიან — ერთად გაატარეს ბავშვობისა და სტუდენტობის წლები (ინსტიტუტში ჯგუფელები იყვნენ) და პირველი პროფესიული ნაბიჯებიც სცენაზე ერთად გადადგეს... და კიდევ, ორივე 32 წლისაა...

— ალბათ ძალიან საამაყოა, როდესაც ისეთი პოპულარული პიროვნების შვილი ხარ, როგორც ბ-ნი გივი და ბ-ნი კახია. არასოდეს გისარგებლიათ ამით?

ზურა:

— სიამაყით როგორ არ მეამაყება, მაგრამ ამით არასდროს მისარგებლია. მერე რა მოხდა, რომ გივის შვილი ვარ?! ისე, ჩემი მეგობრები უფრო ხშირად „იბრალებენ“ ხოლმე გივის შვილობას, ვიდრე მე, თან დამცინიან: რას მალავ? შენს ადგილას რამდენ საქმეს „მოვაკვარახჭინებდით“ უპრობლემოდო... როდესაც, ვთქვათ, სადმე შესვლას ვერ ვახერხებ, ან პოლიციელებთან ვერ „ვაგვარებ“ საქმეს, არასდროს მითქვამს: არიქა, გივის შვილი ვარ და გამიშვითმეთქი. პირიქით, ვმალავ ხოლმე, ვინ ვარ... მახსოვს, თეატრალურ ინსტიტუტში რომ ვაბარებდი, რაღაც სიების სანახავად მივედი და კითხვა დავიწყე. ჯერ ირაკლის სახელი და გვარი ეწერა, მერე ვიღაც ბიჭის (თურმე ამ დროს ისიც გვერდით მედგა და კითხულობდა) და ბოლოს ჩემი. უცნობმა წაიკითხა თუ არა ჩვენი გვარები, ეეჰ, რა ბედი მაქვს, მე ვინღა ჩამაბარებინებსო?!. — ჩაილაპარაკა გულგატეხილმა და წავიდა... თავი უხერხულად, თითქოს დამნაშავედაც კი ვიგრძენი იმის გამო, რომ გივი ბერიკაშვილის შვილი ვიყავი...

საერთოდ, მამაჩემის წყალობით, საზოგადოებაში ყურადღება ბავშვობიდანვე არ მაკლდა. ეგ არის მხოლოდ, მთელი ცხოვრება ხან „გივის ბიჭი“ ვარ და ხანაც „გივის მამა“... ასეა! ბაღში იყო და, ზურას თითქმის არავინ მეძახდა: აი, გივის შვილიც მოვიდაო — ამბობდნენ ხოლმე. სკოლაში იყო და „სამიანებს“ ტყუილად მიწერდნენ — გივის ხათრით... თეატრში მიმიყვანდნენ მშობლები და იქაც „ბერიკას“ ბიჭს მეძახდნენ. გავიზარდე და მაინც არაფერი შეცვლილა: თეატრში კარგად ვითამაშებ თუ ცუდად, ამასაც ზურას კი არა, ისევ „გივის ბიჭს“ მიაწერენ!.. ჩემს შვილს, რა თქმა უნდა, ბაბუის სახელი დავარქვი. ამას წინათ აუზზე წავიყვანე. როგორც კი დამინახეს, ერთმა ქალმა ოპერატიულად მოუხმო მეორეს: ჩქარა მოდი, მაყვალა, პატარა გივიკოს მამა უნდა გაჩვენოო... გადავირიე კაცი!.. კი არ გავბრაზებულვარ, მაგრამ ასე ხომ შეიძლება საკუთარი სახელი მართლაც დაგავიწყდეს?!

ირაკლი:

— ერთხელ უახლოესი მეგობრის მანქანის საჭესთან ვიჯექი. არ ვიცოდი და თურმე მანქანა ისეთ ადგილას გამიჩერებია, სადაც არ შეიძლებოდა... კი ვკითხე — პრობლემა ხომ არ გვექნება-მეთქი და არაო — დამამშვიდა. მეგობარი მანქანიდან რომ გადავიდა, პოლიცია მომადგა და საბუთები მომთხოვა. არანაირი საბუთი არ მქონდა თან. პოლიციელმა — ეს როგორღა გავიგოო?! რა ვიცი — როგორც გინდათ, ისე გაიგეთ-მეთქი. ამასობაში ჩემი მეგობარიც დაბრუნდა და პოლიციელს დიდი ამბით აცნობა: იცით, ეს კახი კავსაძის ბიჭიაო და მანქანაში მშვიდად ჩაჯდა. წარმოგიდგენიათ?! კინაღამ თავი „მოვაძვრე“, ისე გავბრაზდი და გავაფრთხილე: სხვა დროს პატივი მეცი და ასეთი რამ აღარ გაიმეორომეთქი... გეწყინაო? — მკითხა. კი არ მეწყინა, მაგრად არ მესიამოვნა!.. არ იტყოდა ის პოლიციელი: ასე და ასე იყო და კახის ბიჭი გავუშვიო?! რატომ? არ მჭირდება „მამიკოს“ პრივილეგიები და სახელი... გივისა და კახის რომ „დარღვევები“ აქვთ გზებზე, ვინ მოთვლის, მაგრამ რაღაც პატივისცემის მომენტი იყო: ეს გივია, ეს კახია და მორჩა, რაზეა ლაპარაკი! ეს სულ სხვა ამბავია! როდესაც მე და ზურაც ისეთივე პოპულარულები გავხდებით, რომ უკვე ჩვენ თვითონ გვცემენ პატივს,

ძალიანაც გამიხარდება...

— ბავშვობის წლები როგორ გახსენდებათ?

ზურა:

— მემკვიდრის დაბადება მამაჩემისთვის სცენაზე უხარებიათ და ყურიც აუწევიათ მილოცვის ნიშნად... მაშინ რუსთავის თეატრში მუშაობდა. ტექსტის მიხედვით თურმე, გივი კითხულობდა: „რაო, რას წერენ გაზეთები?“ ამ დროს კი ირაკლის სიმამრი, მალხაზ გორგილაძე (იმ დროს მალხაზ გორგილაძეც რუსთავის თეატრში იყო) შესულა და უპასუხია: რას წერენ გაზეთები და ბიჭი შეგეძინაო... თურმე მთელი ოთხი დღე ისე უქეიფია, რომ არც კი გამოფხიზლებულა, არც სამშობიაროში მოსულა ჩვენს სანახავად, როგორღა გავახსენდებოდით სიხარულითა და ღვინით დამთვრალს?!.

სხვათა შორის, ძალიან წესიერი ბავშვი ვყოფილვარ. მასწავლებლებს არ „ვურევდი“ და სიცოცხლეს არ ვუმწარებდი, მაგრამ სწავლით კი ბევრს არაფერს ვსწავლობდი. თანაც, ძალიან მორცხვი ვიყავი და გაკვეთილი რომც მცოდნოდა, მაინც ვერ ვყვებოდი. არც მშობლებს ვაბრაზებდი, თუ პატარ-პატარა „ეშმაკობებს“ არ ჩავთვლით. ერთხელ თურმე მამაჩემს კარგა ხანს ვუყურე, ვუყურე და ბოლოს გაკვირვებულმა ვუთხარი: ვაა, ეს რამხელა ცხვირი გაქვს-მეთქი?! გივის უსიტყვოდ შემოუხედავს და ბოლოს, გული რომ გავუწყალე, მითხრა: ეეჰ, შვილო, შენ კი არ მოგწონს, მაგრამ რას იზამ! ზუსტად ეს ცხვირია მთელ ოჯახს პურს რომ გაჭმევთო... მაშინ პატარა ვიყავი და მერე თვითონაც კაი გვარიანად კი გამეზარდა ცხვირი (იცინის)...

ირაკლი:

— ცელქი და გადარეული ბავშვი არც მე ვყოფილვარ, თუმცა მამაჩემი მაინც ხშირად დადიოდა სკოლაში. დაშავებით არაფერს ვაშავებდი, მაგრამ „შემოვლით ექსკურსიებს“ აწყობდა ხოლმე (მასწავლებლებით დაწყებული, დირექტორით დამთავრებული). არც კი ვიცოდი, ისე ჩუმ-ჩუმად კითხულობდა ჩემს ასავალ-დასავალს. ასეთი შემოწმებები, იცით როდიდან დაიწყო? VI კლასიდან, როდესაც გონება, ცოტა არ იყოს, სხვა რაღაცებით „აიჭრა“... ხომ იცით, შეყვარებული ბიჭის ამბავი — იყო ერთი მიკითხვ-მოკითხვები, სწავლისთვის ვიღას სცხელოდა?! ჰოდა, ეტყობა, კახიმ იფიქრა: მეტი კონტროლია საჭიროო (საერთოდ ძალიან მზრუნველი და ყურადღებიანი მამა იყო) და ინტენსიურად დაიწყო მასწავლებლების „დაკითხვა“. ერთხელაც თურმე ყველა მასწავლებელმა რომ გამლანძღა — ირაკლი არაფერს აღარ აკეთებს და ძალიან ცუდად იქცევაო, შეწუხებული მამაჩემი ბოლოს, ქართულის მასწავლებელთან მისულა: აბა, რას შვრება ჩემი შვილი, როგორ სწავლობსო? რას შვრება და ქართულში „ხუთი“ ჰყავსო... როგორ — გაოცებულა კაცი — ყველა საგანში „ორები“ ჰყავს და ქართულში „ხუთიო“?! — ეტყობა, ქართულს მართლაც კარგად სწავლობსო... — არა, იცით, რაშია საქმე? — დაუმშვიდებია პედაგოგს, — სწავლით საერთოდ არ სწავლობს, მაგრამ ამას წინათ დავინახე, ირაკლი ეზოში ფეხბურთს როგორ თამაშობდა და ისე მომეწონა, რომ ავდექი და „ხუთი“ დავუწერეო... საღამოს კახი გაკვირვებული მეკითხებოდა: მაინც ისე როგორ თამაშობდი, მასწავლებელი რომ გადაგირევიაო?!.. თეატრში დაბადებულ-გაზრდილი კი ვიყავი, მაგრამ მაინც ძალიან გამიჭირდა არჩევანის გაკეთება ფეხბურთსა და მსახიობობას შორის, თუმცა ბოლოს მაინც „სისხლმა იყივლა“...

— მამათა ტრადიციებს შვილებიც განაგრძობთ — კინოში პარტნიორობასაც უწევთ ერთმანეთს, ცხოვრებაში მეგობრობთ...

ზურა:

— ინსტიტუტში სულ ერთად ვიყავით, საერთო საქმე გვქონდა — ერთად ვმეცადინეობდით, გასტროლებზე ერთად დავდიოდით, თავისუფალ დროსაც ხშირად ერთად ვატარებდით. მეგობრობას ურთიერთობები ქმნის, თორემ მარტო გივისა და კახის მეგობრობის ხათრით, ხომ არ ვიქნებოდით ერთად?! შეიძლებოდა, რომ პირველი შეხვედრიდანვე საერთო ვერც გვეპოვა, მაგრამ სულ პირიქით ხდებოდა: მაგალითად, კინოში, სინჯებზე რომ გვიძახებდნენ, სულ ერთად ვხვდებოდით ხოლმე. სცენაზე პარტნიორობა უფრო მეტად გიადვილდება იმ ადამიანთან, რომელსაც ახლოს იცნობ. თვითონ ირაკლი ძალიან შრომისმოყვარეა და ცდილობს, ბოლომდე დაიხარჯოს. ერთხელ, ფილმის გადაღებისას (დეტექტიური ჟანრის ფილმი იყო — „საბედისწერო გასროლა“) ისეთი ტრიუკი გააკეთა, უცხოეთში იგივე რომ გაეკეთებინა, მილიონერი გახდებოდა. ირაკლიმ, ფაქტობრივად, მაშინ სიკვდილს ჩახედა თვალებში: შვეულმფრენიდან გადმოხტა, ქვევით თივა დაუყარეს და იმასაც ვერ მიხვდნენ, რომ შვეულმფრენის დაშვებისას ის თივა მიიფანტ-მოიფანტებოდა. ირაკლიმ მაინც გაბედა გადმოხტომა და ფეხიც იღრძო...

— ირაკლი, რატომ გარისკე, არ გეშინოდა?

ირაკლი:

— წარმოიდგინე, არა! მაშინ სიკვდილზე არც ვფიქრობდი. უბრალოდ, მკითხეს — ტრიუკს თუ გააკეთებო და ისე დავთანხმდი, არც კი მიკითხავს, რა ტრიუკი უნდა გამეკეთებინა. მარტო მაშინ კი არა, იმავე ფილმში, შემდეგაც, არანაკლებ გავრისკე: ვიწრო ორღობეში სწრაფად მომავალ მანქანას უნდა შევხტომოდი და მძღოლი (ანუ ზურა, რომელსაც იმ დროს მანქანის მართვა ახალი ნასწავლი ჰქონდა) გამეჩერებინა. ისეთი ინერციით გადმოვხტი, რომ ნიკაპით პირდაპირ მინას დავენარცხე და ჩავამსხვრიე. ბედი არ გინდა?! საზღვარგარეთ სპეციალურად აწყობენ ხოლმე ასეთ სცენებს და ამათ კი მაინცდამაინც ეს ეპიზოდი ამოჭრეს.

მე და ზურას მართლაც ხშირად გვი-

ირაკლი კავსაძე

ზურაბ ბერიკაშვილი

წევს ერთად მუშაობა. მეორე კურსზე ვიყავით, როდესაც ნანა მჭედლიძემ გადაგვიღო ფილმში – „დანაშაული მოხდა“. ერთხელ დაგვესწრო რეპეტიციაზე და მერე თავის ასისტენტი გამოგვიგზავნა: ისე მოგვაჩეჩეს სცენარი, არც უკითხავთ – გინდათ თუ არაო, პირდაპირ გვითხრეს: ფილმში მთავარ როლებს თქვენ თამაშობთ და კოსტიუმების სინჯებზე მოდითო... როდესაც ამა თუ იმ როლზე თანხმდები, ბუნებრივია, გაინტერესებს, ვინ იქნება შენი პარტნიორი და ყოველთვის, როცა ვიგებდი, რომ ზურასთან ერთად უნდა მეთამაშა, რაღაცნაირად ვმშვიდდებოდი ხოლმე... შეიძლება ითქვას, რომ პირველი წარმატებაც ორივემ ერთად ვიგემეთ: მესამე თუ მეოთხე კურსზე ვიყავით, როდესაც სპექტაკლი „მუსუსი“ დავდგით. ძალიან კარგი სპექტაკლი იყო – მსუბუქი, ხალასი იუმორით სავსე. მაყურებელიც „მოგვყვებოდა“ – სპექტაკლი ყოველთვის ანშლაგით მიდიოდა ხოლმე...

— სერიალში „წვრილვარსკვლავთა ღამე“ ერთი (ირაკლი) კვაზიმოდოს როლს, ხოლო მეორე (ზურა) — იაშკას როლს ასრულებთ. რატომ დათანხმდით სერიალში თამაშზე, ძალიან მოგეწონათ?

ზურა:

– იცით, რაშია საქმე? საუბედუროდ, მსახიობის კარიერა, თუ გნებავთ, ბედი, ყოველთვის სხვაზეა დამოკიდებული – ვიღაცას უნდა უცადო, რომ შემოგხედოს და დაგინახოს. ამასობაში, მთელი ცხოვრება ისე შეიძლება გავიდეს, რომ რეჟისორმა ვერც კი შეგამჩნიოს! დღეს მსახიობები როლებს ვართ დანატრებულნი. ამიტომაც როგორც კი იაშკას როლი შემომთავაზეს, მაშინვე დავთანხმდი. ეგრევე მომცეს ტექსტიც და „დავაი“ გადაღებაზე... ისე, მაგ ფილმში რას მცემდნენ ხოლმე, არა?! იაშკა ვითომ მაგარი ტიპი იყო – ყველას ეჭიმებოდა, ყველას ეძველბიჭებოდა და ბოლოს, სულ თვითონ გამოდიოდა გალახული. 100 სერია უნდა გადაგვეღო, მაგრამ მუშაობისთვის არანაირი პირობები არ გვქონდა. უმეტესწილად საღამოობით და გვიან ღამით ვიღებდით, საკმაოდ მოუწესრიგებელ პირობებში. გადაღებები კერძო სახლში გვქონდა და ამიტომ „სიურპრიზებიც“ არ გვაკლდა – მეზობლად ხან ძაღლი დაიყეფებდა, ჩაგვიშლიდა ეპიზოდის გადაღებას და თავიდან უნდა დაგვეწყო, ხან მეზობლის ქალი ლეიბების ბერტყვას დაიწყებდა და ვეხვეწებოდით – ქალბატონო, ცოტა ხანს მოითმინეთ, ფილმის გადაღებაში ხელს გვიშლით-თქო, ხან ვიღაც ხელოსანი ჩართავდა დრელს... მთელი კვირა სისხამ დილით სახლში ისეთი გასავათებული ვბრუნდებოდი, რომ გრიმის მოშორების თავიც კი აღარ მქონდა ხოლმე. მეზობელმა, რომელიც დილაობით ყოველდღე მხედავდა, მიყურა, მიყურა და ბოლოს მკითხა: კაცი არა ხარ, გამაგებინე ერთი, ყოველღამე სად დადიხარ, ან რა არის, სახეზე რა უცნაური ფერი გადევსო?!

ირაკლი:

– როდესაც მსახიობი დაუსაქმებელია, მთელი კინოსტუდია „მკვდარია“ და ფილმებს ვეღარ იღებენ, ნებისმიერ როლზე დათანხმდები! არანაირი მატერიალური დაინტერესება არ ყოფილა. შეიძლება, ვიღაცამ გვითხრას: თუ არ მოგწონთ ფილმი და თუ კარგ ანაზღაურებას არ გაძლევენ, გიჟები ხომ არა ხართ – აბა, რისთვისღა თამაშობთო?! იქნებ ასეც იყოს, მაგრამ მიყვარს ჩემი პროფესია და ვთამაშობ – სულ ეს არის... ისე, დღესაც ვერ ვხვდები, რატომ მერქვა მაინცდამაინც კვაზიმოდო? სულაც არ ვგავარ, არაფერში...

— ორიოდე სიტყვით, თქვენს ოჯახებზეც გვითხარით რაიმე...

ზურა:

– მყავს მეუღლე – სოფიკო ებრალიძე, რომელიც ჩემი პირველი სიყვარულია. შეყვარებულები ვიყავით. ერთი-ორი წელი ვხვდებოდით ერთმანეთს და შევუღლდით. არავინ არ მოელოდა, რომ ცოლს ადრე მოვიყვანდი – იმდენად მორცხვი ვიყავი, მაგრამ ჩემს საძმაკაცოში პირველმა სწორედ მე „გავბედე“ დაოჯახება. სოფიკო მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობია, გვყავს 9 წლის ბიჭი.

ირაკლი:

– ჩემი მეუღლე, ლიკა გორგილაძე, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის, მალხაზ გორგილაძის ქალიშვილია. გვყავს 7 წლის ქალიშვილი, ირინა, რომელიც ძალიან, ძალიან მიყვარს... ლიკა პროფესიით სტომატოლოგია, მსახიობობის სურვილიც კი არ ჰქონია არასდროს.

— როგორი ქალები გხიბლავთ და ყველაზე მეტად, რას აფასებთ ქალში?

ზურა:

– რომელი კაცი იტყვის, შეუხედავი ქალი მომწონსო?! ლამაზი ყველა ვერ იქნება, მაგრამ ქალს რაღაც ეშხი და მომხიბვლელობა უნდა ჰქონდეს, ცოტა ინტელექტიც (ძალიან შტერი ქალიც არ ვარგა) და, რაც მთავარია, ქალში ყველაზე მეტად ერთგულებას ვაფასებ. კაცს რაღაც-რაღაცები ეპატიება, მაგრამ ქალს – არავითარ შემთხვევაში!..

— ქეიფზე ალბათ უარს არ ამბობთ. თამადობა და დათრობა თუ გიწევთ ხოლმე ხშირად?

ზურა:

– აბა რა, ჯანმრთელი და ნორმალური კაცი არ უნდა დათვრეს?! ისე დავმთვრალვარ, რომ ოთხით მივსულვარ სახლამდე. სისულელეც ბევრი მიკეთებია, მაგრამ სხვისთვის არაფერი დამიშავებია. ერთხელ ისეთი მთვრალი ვიყავი, რომ თურმე შარვალი ლიფტშივე გავიხადე. როდესაც ჩემებმა კარი გამიღეს, გული გაუსკდათ – ვდგავარ შიშველი და შარვალი ხელში მიჭირავს! რატომ, არ ვიცი... ეტყობა, საქმე წინ წავიგდე და დასაძინებლად ლიფტშივე დავიწყე მზადება... თამადობაც ხშირად მიწევს, თუმცა ვცდილობ, მოვერიდო ხოლმე: საკმაოდ რთულია სუფრის ღირსეულად გაძღოლა. მარტო მეგობრების წრეში კი არა, ქორწილშიც მითამადია და ის დღე, ერთი სპექტაკლის თამაშის

ტოლფასი ყოფილა – ქართული სუფრა ხომ თეატრალიზებულია თავიდან ბოლომდე...

ირაკლი:

– ადრე ხშირად მიწევდა ხოლმე თამადობა, მაგრამ მერე საერთოდ უარი ვთქვი ამ საქმეზე: ცუდი თამადა ვარ, სუფრას ვერ ვიმორჩილებ. აი, კახისა და გივის თამადობა სულ სხვა ამბავია, რაღაცის მოყოლას რომ დაიწყებენ, უნდა გაისუსო და ისე მოუსმინო. უგონოდ მთვრალიც ბევრჯერ ვყოფილვარ. ერთხელ მორიგი გასტროლების დროს, კოშმარულად მთვრალი, მალხაზ ქვრივიშვილს (ისიც დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაში იყო) „მივუტანივარ“ სასტუმროში და ლოგინზე დავუგდივარ... მთვრალი კი არა, ღვინოში დასველებული ჩვარიღა ვიყავი, მეტი არაფერი! რა გახდა, რის გახდა – ტანსაცმლიანად დამძინებია. დილით გამეღვიძა და ვგრძნობ, რაღაც არაკომფორტულად ვარ... ვერაფრით მივხვდი, რა მჭირდა, რაში იყო საქმე... ისევ მთვრალი ვიყავი. ვიფიქრე, შარვალს მაინც გავიხდი და ისე დავიძინებ-მეთქი, მაგრამ შარვლის გახდაც ვერ მოვახერხე: თურმე შარვალი რატომღაც გამიხდია და მერე ისევ, ოღონდ უკუღმა ჩამიცვამს. დღესაც არ ვიცი, ვინმემ „ჩამიწყო“ ეს ამბავი, თუ მე თვითონ „მოვახერხე“...

მამები და შვილები

— დაბოლოს, ამბავი, რომელიც დღემდე დიდი სიხარულით ან, პირიქით, დიდი ტკივილით გახსენდებათ?..

ზურა:

– ირაკლიმ უკვე ახსენა „მუსუსი“. სწორედ ეს სპექტაკლი წავიღეთ ერთ-ერთ ფესტივალზე, სადაც მსოფლიოს თეატრალური სტუდიები იყვნენ მიწვეულნი. კარგი სპექტაკლი კი იყო, მაგრამ მაინც გვეშინოდა – ამ ქართულ პიესაში დასმული იყო მუსუსის პრობლემა, რომელსაც ქალი არ მიჰყვებოდა და ვფიქრობდით, არავის მოეწონებოდა. ფესტივალის პირველ დღეს ფრანგებმა დადგეს რაღაც პორნოსპექტაკლი, მეორე დღეს – ჩვენ. დამთავრდა თუ არა სპექტაკლი, ატყდა ტაში, ოვაციები. ჯერ გვეგონა, დაგვცინოდნენ, მაგრამ როდესაც თვალებგაბრწყინებული მაყურებლები დავინახე, სიამაყისა და უზომო სიხარულის გრძნობა დამეუფლა. სცენიდან აღარ გვიშვებდნენ. ერთ დღეს კი, როდესაც დარბაზში სპექტაკლის საყურებლად შევედით, ჩინელები ფეხზე წამოდგნენ და ტაშით მოგვესალმნენ, მათ კი მთელი დარბაზი აჰყვა... 9 დღე ხელის გულზე გვატარებდნენ ქართველებს! მსახიობისთვის ამაზე მეტი ბედნიერება არ არსებობს...

ირაკლი:

– ჩემთვის ყველაზე დიდი ტკივილიცა და სიხარულიც ალბათ დედაჩემთან (მსახიობი ბელა მირიანაშვილი. – ავტ.) არის დაკავშირებული. დღემდე უსიამოვნოდ მახსოვს ის ამბავი – მეუღლესთან ერთად მოსკოვში ვიყავი წასული. უკვე თბილისში დაბრუნებას ვაპირებდი და ბილეთებიც ნაყიდი მქონდა, როდესაც აქედან დამირეკეს და მითხრეს – ბელა ძალიან ცუდად არისო. თურმე მატყუებდნენ – უკვე გარდაცვლილი ყოფილა... რუსთაველის თეატრი ყველაზე მეტად, ალბათ იმიტომაც მიყვარს, რომ ბავშვობასთან და დედასთან დაკავშირებული თბილი მოგონებები სწორედ იქ მაქვს „ჩატოვებული“...

■

ფიქრები ადამიანებზე

სწრაფად ლაპარაკი რა ბედენაა, ილაპარაკე მოფიქრებულად.

თომას მორი

ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

შოთა რუსთაველი

სისასტიკე ყოველთვის შედეგია შიშის, სისუსტის ან სიმხდალისა.

კლოდ ადრიან ჰელვეციუსი

ყოველმა ადამიანმა ხელი უნდა მოჰკიდოს ისეთ საქმეს,
რაც მისთვის შესაძლებელია და რაც მას ეკადრება.

არისტოტელე

ძუნწი დადის მიწაზე და მიწაშია მისი განძი,
განძი ნახეს და შავ მიწას მიაბარეს ძუნწი კაცი.

დანიელ გეორგ მორჰოფი

გიყვარდეთ და პატივი ეცით ქალს. ეძიეთ მასში არა ოდენ
ნუგეში, არამედ შთაგონების ძალაც, ზნეობრივი და გონებრივი უნარის წყაროც.

ჯუზეპე მაძინი

სიკვდილს არ უყვარს მსხვერპლის შერჩევა,
ერთგვარად მუსრავს მეფეს და მონას.

კვინტუს ჰორაციუს ფლაკუსი

თუ ადამიანს რწმენა აქვს, იგი უძლეველია უთუოდ.

კონსტანტინე გამსახურდია

„გაუმარჯვებელი“ ბურთის გამტაცებელი

20 წელი სრულდება ქართული ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი გამარჯვების დღიდან. 1981 წლის 13 მაისს თბილისის „დინამომ“ დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ თასების მფლობელთა თასის ფინალურ მატჩში სძლია იენის „კარლ ცაისს“, ანგარიშით 2:1 და სანუკვარ ჯილდოს დაეპატრონა.

იმ თაობის „დინამოზე“ და კონკრეტულად იმ თამაშზე არაერთგზის თქმულა და დაწერილა. ახალგაზრდებმაც კი, რომლებიც მაშინ სულ პატარები იყვნენ ან ჯერაც არ დაბადებულიყვნენ, დეტალებში იციან დიუსელდორფის მატჩის პერიპეტიები.

თამაში თამაშად და გამარჯვება გამარჯვებად, მაგრამ მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ იყო ერთი ეპიზოდი, რომლის მთავარი მოქმედი პირიც სხვა დროს ჩრდილში მყოფი კაცი — გუნდის მასაჟისტი გახდა.

ვიდეოჩანაწერმა სამუდამოდ შემოგვინახა კადრები, რომელშიც სიხარულით გაგიჟებული ხიზანიშვილი და თავაძე ლამის ყელის გამოგლეჯვამდე ეხვეწებიან იტალიელ არბიტრს, რომ იმ წუთას ქართული სპორტის უძვირფასეს რელიკვიად ქცეული ბურთი მისცეს. მაგრამ რიკარდო ლატანცი „ჯიუტობს“ — წესი წესია. ამ დროს, საიდანღაც გაჩნდა „დინამოს“ მასაჟისტი, არც არაფერი უთხოვია, პირდაპირ — „კახურად“ ეცა მსაჯს, ბურთი წაართვა და გაუჩინარდა.

ქართული ფეხბურთისთვის სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა **ანზორ გაგიტაშვილს**, *მხოლოდ ეს „ხულიგნობა“ ეყოფოდა დამსახურებად, რომელმაც ვიტალი დარასელიას ფეხშენავლებ და გერმანელთა კარის ბადეში გამარჯვების მაუწყებლად აფართხალებულ ბურთს თბილისში მიუჩინა ბინა.*

ბატონი ანზორი დღეს ჩვენი ჟურნალის სტუმარია:

ᲒᲕᲘᲐᲓ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

— იმ დღეს, ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე „გავიარე პრაქტიკა“ — ექვსი ბურთი ვიშოვე!

— ?..

— როდესაც მატჩამდე საათ-ნახევრით ადრე სტადიონზე მივედით, აღმოჩნდა, რომ სერგო კუტივაძეს, რომელსაც ჩვენი ექვსი სავარჯიშო ბურთის წამოღება ჰქონდა დავალებული, ისინი სასტუმროში დარჩენოდა. მკვდრის ფერი დაეღო. არადა, უკან დაბრუნება არ ესწრებოდა. მოვიდა და მე გამენდო — ახალკაცს რომ გაეგო, ცუდი ამბავი დატრიალდებოდა. „გავძვერ-გამოვძვერი“, სტადიონის ადმინისტრაციაში მივიარ-მოვიარე და კუტივაძე „ვადავარჩინე“.

— „გამარჯვების ბურთის“ წართმევის იდეაც მაშინ გაგიჩნდათ?

— არა, გაცილებით ადრე. როდესაც იმ გათამაშების პირველ წრეში, საბერძნეთის „კასტორიას“ დამარცხების შემდეგ, მერვედფინალური მატჩი გვქონდა ირლანდიაში, იქაურ „უოტფორდთან“, თამაშის წინა ღამეს სიზმარი ვნახე: თითქოს ფინალშიც გავედით, ფინალიც მოვიგეთ (რაღა „თითქოს“ — მართლა მოვიგეთ), უკვე თბილისში ვართ და მანქანებსაც გვირიგებენ! მე „მერსედესს“ მაძლევდნენ და ვეუბნებოდი — არ მინდა „მერსედესი“, „ვოლგა“ მომეცით-მეთქი.

გავიღვიძე და კახი ასათიანს ვკითხე, — დღევანდელი თამაში თუ მოვიგეთ, თასი უეჭველად ჩვენი იქნება და „ჩემი მანქანის“ საქმე როგორ იქნება-მეთქი? არადა, ჯერ რა დროს თასი იყო... ასათიანმა — ოღონდ ეგ სიზმარი აგიხდეს და მანქანა ჩემზე იყოსო.

ჰოდა, როდესაც ფინალამდე მივედით და თბილისიდან დიუსელდორფში მივემგზავრებოდით, „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზე კიდევ ერთხელ შევახსენე ყველას ჩემი სიზმარი და იქვე „პირობა დავდე“: თქვენ ოღონდ თასი მოიგეთ და სიზმარი ამიხდინეთ, — მე ჩემდა თავად „გამარჯვებულ“ ბურთს „ვკისრულობ“-მეთქი.

— მანქანა?

— მანქანები ყველას მოგვცეს, ოღონდ სიზმრად ნანახი „ვოლგა“, ცხადში „ჟიგულად“ მექცა. რა ვიცი, სიზმარში რომ „მერსედესს“ მთავაზობდნენ, რომ დავთანხმებოდი, იქნებ „ვოლგისთვისაც“ გა-

მომეკრა ხელი...

— ისევ ბურთის ამბავს დავუ-ბრუნდეთ...

— ჰო, ერთი სიტყვით, როდესაც ვიტალი დარასელიამ გამარჯვების გოლი გაიტანა, მატჩის დასრულებას სამი წუთი აკლდა და სტადიონის მომსახურე პერსონალმა თადარიგი დაიჭირა: სათადარიგოთა სკამების წინ, სარბენ ბილიკებზე, ბარიერები გამოიტანეს. მე მაშინვე გადავედი და ბოლო ორი წუთი გვერდითი ხაზის გასწვრივ წინ და უკან დავრბოდი — საითაც ბურთი წავიდოდა, რომ მასთან ახლოს ვყოფილიყავი. როგორც იქნა, საფინალო სასტვენის ხმა გაისმა. მსაჯმა ბურთი ხელში აიღო და ამ დროს მისცვივდნენ მას ხიზანიშვილი და თავაძე. მაგრამ იტალიელი „ვირზე შეჯდა". ამ დროს მივეპარე, ბურთი გამოვსტაცე და გასახდელისკენ მოვუსვი, თანაც — „შემოვლითი გზით".

— რატომ „შემოვლითი გზით"?

— საქმე ის არის, რომ როდესაც გავრბოდი, უკან მივიხედე და დავინახე, რომ ორი ახმახი მომსდევდა. მეგონა, ბურთის წართმევა უნდოდათ და „ბოლო სიჩქარე ჩავრთე". თურმე, ფოტოკორესპონდენტები იყვნენ. გავჩერებულიყავი — სურათი მაინც შემრჩებოდა... მოკლედ, „ნადავლი" დავაბინავე და მოედანზე დავბრუნდი. ჩვენები უკვე საპატიო წრეს უვლიდნენ სარბენ ბილიკს და იქ შევუერთდი. იმიტომ არის, რომ მატჩის შემდეგ გადაღებულ ჯგუფურ ფოტოზე არ ვჩანვარ.

— ახლა სად არის ის ისტორიული ბურთი?

— ჩემთან, სახლში. თბილისში რომ ჩამოვიტანე, სპორტის სასახლეში მთხოვეს მიტანა — სპორტული დიდების მუზეუმში. ცხადია, „ბრძოლით მოპოვებულზე" პრეტენზია არავის გამოუთქვამს, მაგრამ ბევრს უნდოდა მისი ნახვა და დავთანხმდი. ისე კი, ჩემი საკუთრება იყო და როცა მინდოდა, მიმქონდა ხოლმე — ძირითადად, ყოველი წლის 13 მაისს, როდესაც ბიჭები იკრიბებოდნენ. ბედად, უკანასკნელად რომ წავიღე ბურთი, ორი კვირა ვერ მოვიცალე დასაბრუნებლად და სწორედ იმ დროს, მუზეუმი გაძარცვეს — აღარაფერი დატოვეს. იმის შემდეგ აღარც გამიტანია სახლიდან და არც გავიტან — ეს ჩემი ცხოვრების უძვირფასესი რელიკვიაა.

— ბატონო ანზორ, მოდით, უფრო უკან დავიხიოთ: როგორ მოხვდით თბილისის „დინამოში"? რამდენადაც ვიცი, მანამდე ფეხბურთთან მჭიდრო კავშირი არ გქონიათ...

— მანამდე მხოლოდ ის კავშირი მქონდა, რაც ქართველების უმეტესობას — უბრალოდ, ძალიან მიყვარდა ფეხბურთი. შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტში ჩავაბარე, ახალგახსნილ სამკურნალო ფიზკულტურის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, საირმეში გამანაწილეს და ერთი წელი იქაურ სანატორიუმში ვიმუშავე. მერე თბილისში, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში გამომიშვეს, კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგაც, იმავე ინსტიტუტში შემომთავაზეს დარჩენა და მეც დავთანხმდი. ხუთი წელი ვიმუშავე იქ. 1972 წელს ვაკეში IX საავადმყოფო გაიხსნა, სამკურნალო ფიზკულტურის კათედრაც ჩამოყალიბდა და იქ გადავედი. სწორედ იქ გავიცანი ცხონებული სლავა მეტრეველი — სამკურნალოდ იყო ჩვენთან. მან შემომთავაზა „დინამოში" გადასვლა, მაშინ გუნდის მეორე მწვრთნელი იყო — იაკუშინს მე დაველაპარაკებიო. ცხადია, სიხარულით დავთანხმდი.

— ახალკაცი მერე მოვიდა გუნდში?

— არა, მე რომ დავიწყე მუშაობა, ნოდარ ახალკაცი გუნდის უფროსი იყო. რამდენიმე თვეში იაკუშინი რუსეთში დაბრუნდა და მთავარ მწვრთნელად „ფარსადანოვიჩი" დანიშნეს. დანიშნეს და დაიწყო კიდეც „დინამოს" აღმავლობა. ბედნიერი ვარ, რომ იმ დიდი გამარჯვებების თანაზიარი გავხდი. 1976 წლიდან, არც ერთი სეზონი არ ყოფილა, ტიტული რომ არ მოგვეპოვებინა. ყველაფრის გვირგვინი კი, 1981 წელს მოპოვებული თასების თასი გახდა.

— ქრონოლოგია დავარღვიოთ და ბარემ აქვე გვითხარით: როგორ ფიქრობთ, მერე რა მოხდა? 1982 წლიდან „დინამოს" საქმე უკან-უკან წავიდა. არადა, შემადგენლობაში ცვლილებები თითქმის არ მომხდარა.

— ძალიან დიდი დარტყმა იყო ვიტალი დარასელიას დაღუპვა. იმის გარდა, რომ თვითონ ვიტალი დააკლდა გუნდს, როგორც ნახევარდაცვის ბურჯი, მისმა სიკვდილმა ბიჭებზე ფსიქოლოგიურადაც იმოქმედა — დიდხანს ვერ გამოვიდნენ ამ მდგომარეობიდან... მანამდე მაჩაიძე წავიდა. დავით ყიფიანმა — გუნდის „მთავარმა დირიჟორმა" მძიმე ტრავმა მიიღო და თავისი შესაძლებლობების ნახევარსაც ვეღარ ავლენდა...

ამ ყველაფერს ისიც დაუმატეთ, რომ რეჟიმის დარღვევას მოუხშირეს — მე ყველაზე კარგად ვხედავდი ამას, რადგან მათ ფიზიკურ კონდიციებს ვაკონტროლებდი. ასე რომ, ის ჩავარდნა სამწუხარო, მაგრამ ლოგიკური მოვლენა იყო.

— ფიზიკური კონდიციები ახსენეთ — ვინ იყო მაშინდელ „დინამოში" განსაკუთრებულად გამორჩეული ამ მხრივ?

— ჩივაძე, ქორიძე, დარასელია... საოცარი ჯანისა და შემართების პატრონი იყო მანუჩარ მაჩაიძე, მისი რეკორდი — შეუცვლელად ნათამაშები 200 მატჩიც ამაზე მეტყველებს; თენგიზ სულაქველიძე — არანორმალურ დატვირთვებსა და საშინელ ტკივილებს უძლებდა... საერთოდ, მაშინ ისეთი მოთხოვნები იყო, ახალკაცი ისეთ ფეხბურთს ათამაშებდა გუნდს, რომ სუსტი იქ ვერც გაძლებდა...

— თქვენ დღესაც მუშაობთ. დღევანდელი ფეხბურთელების დონე როგორია ამ მხრივ?

— შედარებაც არ შეიძლება. ძველების 50 პროცენტს თუ „გაქაჩავენ": ცხადია, ეს ფეხბურთელების, მათი სიზარმაცის ბრალი ნაკლებად არის, თუმცა არც უმაგისობაა. მაგრამ მთავარი სხვა რამეა: დღეს 20-21 წლამდე ყველა ნიჭიერია, ყველა ძლიერია, ყველა პერსპექტიულია, მაგრამ შემდეგ ეს ყველაფერი იკარგება. ამის

ბურთის „მოტაცების" ამსახველი ეს კადრები ბატონ ანზორს უკრაინელმა გულშემატკივარმა აჩუქა

მიზეზი კი ჩვენი დუხჭირი პირობებია – როდესაც დატვირთვა იზრდება, აღდგენითი პროცესიც შესაბამისად, დატვირთული უნდა იყოს. აქ კი, რა ხდება: სათანადო ტრენაჟორებისა და სხვა ატრიბუტიკის უქონლობას რომ თავი დავანებოთ, არც ნორმალური შეკრების ჩატარების საშუალებაა, არც ვიტამინიზებული კვება და არც სხვა რამ...

— ახალკაცის „დინამოში“ როგორ იყო?

– მაშინ სხვა დრო იყო. „დინამო“ ერთადერთი – ფაქტობრივად, საქართველოს ნაკრები იყო და მთელი რესპუბლიკა მასზე მუშაობდა. საქართველოს ყოველ რაიონს რაღაც ჰქონდა „შეწერილი“ მთავრობისგან: ხილი, ბოსტნეული, ხორცი, თევზი, წვენები პირდაპირ სოფლებიდან მოდიოდა საწვრთნელ ბაზაზე. შეკრებები ხომ, პრობლემა არ იყო: მთელი საბჭოთა კავშირის გუნდები ჩვენს ზღვისპირეთში ვარჯიშობდნენ და „დინამოსთვის“ საუკეთესო ბაზები იყო დათმობილი – „სადაც ხელს დავადებდით“, იქ წაგვიყვანდნენ და იქაც ადგილობრივ ხელისუფლებას ვყავდით „ჩაბარებულნი“.

მარტო აქ კი არა – 1979 წელს, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ერთი თვით ადრე ჩავედით და ყოველდღე ჩამოგვდიოდა თბილისიდან თვითმფრინავით ახალი პროდუქტები.

— ეი. ის დრო სჯობდა? ნაჩქარევი ხომ არ იყო საკავშირო პირველობისთვის ბოიკოტის გამოცხადება?

– არავითარ შემთხვევაში. მე არც მწვრთნელი ვარ და არც სპეციალისტი, ამიტომ კომპეტენტური ვერ ვიქნები და არც ვისაუბრებ ამ ნაბიჯის სისწორეზე. წმინდა სპორტული თვალსაზრისით, მხოლოდ იმას ვიტყვი, რასაც ჩემი თვალით ვხედავდი: რუსეთის სტადიონებზე თამაში უკვე შეუძლებელი იყო – ლამის მიტინგებს გვიწყობდნენ ტრიბუნებზე, განსაკუთრებით ცხრა აპრილის შემდეგ. ისეთ სიტყვებს გვეძახდნენ, რომ ადვილი შესაძლებელი იყო, ბიჭებს ვერ მოეთმინათ, ვინმეს ტრიბუნაზე ავარდნოდნენ და უბედურება მომხდარიყო. არც იქაური მილიცია მოიკლავდა თავს ჩვენი დაცვით. მხოლოდ ამ სიტუაციის გამოც ღირდა საბჭოთა კავშირის პირველობიდან თავის დაღწევა.

— რუსეთის სტადიონებზე, როგორც ვიცი, არც მანამდე გვწყალობდნენ...

– რა თქმა უნდა, მაგრამ ის ნორმებს არ სცილდებოდა (მაყურებელს ვგულისხმობ), ბუნებრივია, თავიანთ გუნდებს ქომაგობდნენ და ჩვენებს ლანძღვა-გინებას უთვლიდნენ, მაგრამ აქაც ასევე ხდებოდა. ასე რომ, ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. მაგრამ მაშინ მთავარი პრობლემა მსაჯობა იყო – ხანდახან ისეთ უნამუსობას ჩადიოდნენ, ლამის ინფარქტამდე მივდიოდით: 1977 წელს, როდესაც ვერცხლის მედლები აიღო თბილისის „დინამომ“, მსაჯმა და საკავშირო ფედერაციამ, რომ იტყვიან, პირდაპირ ცხვირწინ აგვაცალეს ჩემპიონობა – ასპროცენტიანი გოლი არ ჩაგვითვალეს – ხინჩაგაშვილი თამაშგარე მდგომარეობაში იყოო. არადა, მთელი ხუთი მეტრით უკან იდგა. ისეთი აშკარა ტყუილი იყო, რომ პროტესტისა და ვიდეოფირის განხილვის შემთხვევაში, აუცილებლად გავიმარჯვებდით. მაშინ სად იყო ვიდეოკამერები და საკუთარი ოპერატორი. სანამ ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობა „საქმეს არჩევდა,“ რუსებმა ერთ საათში ისეთი დამონტაჟებული ფირი მოიტანეს ტელევიზიიდან, რომ ხინჩაგაშვილი ლამის მოწინააღმდეგის კარში იდგა...

ისე, ყველაზე დიდი დავიდარაბა ერევანში თამაში იყო, „არარატთან“. ჯერ მატჩი და მერე მატჩის შემდეგ: „დინამოს“ ავტობუსი ყოველთვის ქვების სეტყვაში მოჰყვებოდა ხოლმე. ისე, რაც იმათ ჩვენგან „სიმწარე“ ახსოვთ, არც გაემტყუნებათ: ერთხელ, ცნობილმა უკრაინელმა მსაჯმა მიროსლავ სტუპარმა, არაფრის გამო, ყვითელი ბარათი უჩვენა სულაქველიძეს. თენგიზმა ტაში დაუკრა – ყოჩაღო. ამის გამო მსაჯმა მოედნიდან გააძევა. ატყდა სტადიონზე ყიჟინა და ღრიანცელი. ჩვენები გამწარდნენ და კაცნაკლულებმა 4:1 მოუგეს მასპინძლებს. „უცნაური“ ხალხია სომხები – მეორე დღეს გაზეთში დაწერეს: სტუმრები იყვნენ, მსაჯმა კაცი ტყუილად გაუგდოთ და ხომ არ მოვუგებდითო!

— „ჩაწყობილი თამაშები“ თუ იყო?

– რომ ვთქვა – არა-მეთქი, მაინც არავინ დამიჯერებს. უფრო ხშირად, უკრაინის გუნდებთან გვქონდა „აღებ-მიცემობა“. თუმცა, ის ტყუილია, რომ ვინმე ფულს იღებდა ამაში – მხოლოდ ქულების „სესხება-ჩასესხება“ ხდებოდა. ეგ კი არა, უკრაინელებთან „რთული ბარტერებიც“ გაგვიკეთებია: მაგალითად, ერთ წელს, ოდესის „ჩერნომორეცსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ გასავარდნად ჰქონდათ საქმე. ჩვენ ოდესელებს ვაჩუქეთ ქულები, სამაგიეროდ, კიევის „დინამომ“ ქუთაისში წააგო.

თუმცა, როცა პრინციპული თამაში იყო, კიევის „დინამოსთან“ ყველაზე მძიმე ბრძოლა იმართებოდა და ფეხბურთელთა მეგობრობის მიუხედავად, ხშირად ეს ბრძოლა მატჩის შემდეგაც გრძელდებოდა. უკრაინელებს ერთი მცველი ჰყავდათ – ბოიკო. ძალიან უხეში იყო. ერთხელაც დარასელიას ისე ჩაარტყა ფეხში, ვიფიქრე – დამთავრდა ამის კარიერა-მეთქი. არც სხვები აკლებდნენ იმ თამაშში. როცა მატჩი დამთავრდა, ბიჭები გასახდელში შეუვარდნენ კიეველებს – გაბელიამ იქაც „მეკარეობა“ ითავა და არავის უშვებდა. ცუდი დღე დაადგათ კიევის „დინამოს“ ნაქებ ვარსკვლავებს, თუმცა ბლოხინმა და ბურიაკმა მოახერხეს გაპარვა...

— ბატონო ანზორ, დღეს თქვენ თბილისის „ლოკომოტივში“ მუშაობთ. გული არ დაგწყვიტათ „ნაჩვევი“ „დინამოდან“ წამოსვლამ? აღარც ნაკრების სათადარიგოთა სკამზე ჩანხართ...

– რას ვიზამ, „დრონი მეფობენ და არა მეფენი“. „დინამო“ ახლა საქართველოს ერთ-ერთი და არა ერთადერთი გუნდია. აგერ, ჩვენი „ლოკომოტივი“ და ქუთაისის „ტორპედოც“ უსწრებენ გათამაშების ცხრილში. ცხადია, გული დამწყდა, რომ გამომიშვეს, მაგრამ „ახალკაცის კაცი“ მერქვა და აღარ მოვწონდი ზოგიერთს. ეგ არაფერი – „ლოკომოტივიც“ ხომ ქართული გუნდია და პირობებს არ ვუჩივი.

ნაკრები კი... ფედერაციის ხელმძღვანელობამ – დაბერდიო. რა შუაშია სიბერე, ვერ გამიგია – სირბილს ხომ არ ვაპირებდი. ისე, თუ უნდათ, სირბილშიც შემაჯიბრონ თავიანთ ახალგაზრდებს და ვნახავთ, ვინ აჯობებს...

ანზორ გაბიტაშვილი

ანზორ გაბიტაშვილი „დინამოს“ ცოცხალი მატიანეა, კვლავაც ენერგიული და მწყობრში მყოფი.

ორი აუცილებელი თვისება, რომელიც უხვად აქვს ბატონ ანზორს, სამწუხაროდ, დეფიციტად ქცეულა ქართულ ფეხბურთში – პროფესიონალიზმი და ერთგულება. სასიხარულოა, რომ ასეთი კაცი მწყობრშია და კვლავ საყვარელ საქმეს ემსახურება.

„დიუსელდორფის ბურთი“ კი... ანზორ გაბიტაშვილისნაირი ხალხი გვიმრავლოს ღმერთმა და ვინძლო ასეთი ბურთები კიდევ ბლომად დაგვიგროვდეს.

შორეულ მოგზაურობას გაჭირვებით გადარჩენილ ოქროს ფონდში სათუთად არის დაცული ნატიფი ხელოვნების დახვეწილი ნაკეთობანი. ზოგიერთი მათგანის შექმნის ტექნოლოგია დაკარგულია და თავის მკვლევარს ელის. „ოქროს ცვარს", ამ გაგებით, გაუმართლა: გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც ეყო ნებისყოფა, დაუფლებოდა წინაპართა ხელოვნებას.

ნუგზარ ბერეშვილი. უმძიმესი ჯრიზისის წლებში, დამშეული თბილისის ერთ-ერთ ჩაბნელებულ, გაყინულ ბინაში, ლამპის შუქზე ქმნიდა იშვიათ სილამაზეს...



„oqros cvriT" ელექტროლიტი

მედეა გოგსაძე

— „ოქროს ცვრის" შექმნის ტექნოლოგია ჩვენი წელთაღრიცხვის დადგომის შემდეგ მალე „ჩამკვდარა", არადა, გავარსის არსებობა ათასწლეულებს ითვლის! პირველ ნიმუშებს ტროას სამარხში ვხვდებით, ეს კი ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე-მეოთხე ათასწლეულია. „ოქროს ცვრის" ნაკეთობები, ძირითადად, ხმელთაშუაზღვისპირეთში იყო გავრცელებული. სავარაუდოა, რომ ძველმა ბერძნებმა და ქართველთა წინაპრებმა ტროელებისგან აითვისეს ეს ტექნოლოგია.

— ეი. „საავტორო უფლებების" საკითხი გაურკვეველია?

— თუ მეცნიერულ სიზუსტეს დავიცავთ, რა თქმა უნდა! მაგრამ, ირიბი მონაცემებიდან ჰიპოთეზის აგების უფლება ალბათ გვაქვს: დავიწყოთ იქიდან, რომ ჯერ ერთი, ისიც საკითხავია, ვინ იყვნენ ეთნიკურად ტროელები. ცნობილია, რომ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეულით ადრე, ხმელთაშუა ზღვის აუზი იბერებით გახლდათ დასახლებული და სწორედ იმ პერიოდში აღინიშნა „ოქროს ცვრის" ხელოვნების აყვავება. მეორე მხრივ, ბერძნები ბალკანეთში გაცილებით გვიან მოვიდნენ, ამდენად, მათი კულტურის განვითარების „პიკი", დროში აშკარად ჩამორჩება „ოქროს ცვრის" გაფურჩქვნის ხანას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პრიორიტეტი მაინც იბერებს ეკუთვნით, ხოლო ქართველები მათი პირდაპირი შთამომავლები ვართ.

აქვე უნდა აღვნიშნო ერთი საგულისხმო მომენტი: როდესაც ოქროს ფონდის ნიმუშები დაათვალიერა მექსიკელმა სტუმარმა, გაოცებით აღნიშნა, რომ მსგავს ტექნოლოგიას აცტეკებიც ფლობდნენ.

— ცოტა ეზოტერიკაშიც შევიჭრათ: ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, აცტეკთა კულტურაზე უდიდესი გავლენა იქონიეს კატასტროფას გადარჩენილმა ატლანტებმა. ცნობილია, რომ მექსიკის დედაქალაქი ტენოჩტიტლანი, თავისი არქიტექტურული დაგეგმარებით, იმდენად ჰგავდა პლატონის მიერ აღწერილ ატლანტთა დედაქალაქს, რომ კორტესს თავი ატლანტიდაში ეგონა! ცნობილი ვერსიით, იბერთა წინასამშობლო სწორედ ეს ჩაძირული კონტინენტი გახლდათ. იქნებ არც ისე უსაფუძვლოა მოსაზრება, რომ „ოქროს ცვრის" ნაკვალევს ატლანტიდაში მივყავართ? მართლაც, საინტერესო ვერსიაა. იქნებ, ერთი-ორი სიტყვით, თავად ტექნოლოგიაზეც გვესაუბროთ?

— მოსაყოლად ძალზე მარტივია: ოქროს ფირფიტაზე ხდება უწვრილესი ოქროსავე ბურთულების ფაქიზად მირჩილვა და ორნამენტის გამოყვანა. აუცილებელია ფირფიტის სარკისებური ზედაპირის უნაკლო შენარჩუნება, ხოლო შედუღების ადგილი თვალით საერთოდ არც უნდა ჩანდეს! მოკლედ, ეს უაღრესად რთული და შრომატევადი საქმეა, უდიდეს მოთმინებას, სიზუსტესა და გაწაფულობას მოითხოვს. მცირედი შეცდომა და... მთელი შრომა წყალში იყრება.

— ალბათ რამდენი მოთმინება დაგჭირდათ, სანამ სრულყოფილად აითვისებდით!

— რა თქმა უნდა! ჯერ ერთი, განათლებით მხატვარი არა ვარ. უნივერსიტეტში მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, მაგრამ მშობლების უჩუმრად თავი დავანებე, მრავალ მიზეზთა გამო: ერთ-ერთი და უმთავრესი ხელოვნებით გატაცება გახდა, რაც მოგვიანებით ჰობიდან პროფესიად გადამექცა. თავიდან მელქიორისა და ვერცხლის სამკაულებით დავიწყე. პიონერთა სასახლის პედაგოგმა (ეს ყველაფერი 60-იან წლებში ხდება), ბატონმა მიხეილ ცალქალამანიძემ მიჩვენა, როგორ ხდებოდა შედუღება. შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკაში წავედი და რაც კი ლიტერატურა მოვიძიე, ყველაფერი საფუძვლიანად შევისწავლე. ბუნებით ძალიან კირკიტა ვარ — ხელიდან ყველაფერი გამომდის: სახლში, ავეჯის რაღაც ნაწილი მე თვითონ გავაკეთე...

ბატონი ნუგზარი დგება და სამზარეულოში მიმიძღვის. სიამოვნებით ვათვალიერებ ფაქიზად შესრულებულ სამზარეულოს გარნიტურს. ღვთით ბოძებული — სწორედ ეს სიტყვები ითქმის ამ უძველესი ხელოვნების აღმდგენ, ოქროს ხელების მქონე კაცზე.

— მოკლედ, შედუღების ნიუანსები



წარმატებით ავითვისე და, ჩემდა გასაკვირად, რამდენიმე სამკაული, კერძოდ, ვერცხლის ბეჭდები, იოლად გამეყიდა. რომ გაეგოთ, ალბათ ციხეში ამომაყოფინებდნენ თავს. მოგეხსენებათ, იმ პერიოდის კანონები: მართალია, არავინ გიკრძალავდა ძვირფას ლითონებზე მუშაობას, მაგრამ მხოლოდ პირადი მოხმარებისთვის – რეალიზაცია უკანონო სპეკულაციად აღიქმებოდა. აკრძალული იყო, აგრეთვე, მაღაზიის ნაწარმის დაშლა, ჩემი ნამუშევრები ხალხური შემოქმედების მუშაკთა რესპუბლიკური სახლის განყოფილების გამგემ, ბატონმა გურამ გაბაშვილმა ნახა და მირჩია, დამეთვალიერებინა მუზეუმში დაცული ცვრის ნიმუშები. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი (31-32 წლის), ჩემს თავში დარწმუნებული და ძალზე თამამად ვთქვი – ამას ხომ მეც შევძლებ-მეთქი. ბატონმა გურამმა მითხრა – აბა, ბურთულებით თუ გააკეთებ პირამიდას, თანაც ისე თუ მიარჩილავ, რომ მათ შორის ქალის თმის ბეწვი გადიოდესო. უკან როგორ დავიხევდი?! გავაკეთე, ახლობელი გოგონას თმაც გავუყარე და ასე მივართვი. ამის შემდეგ ჯანაშიას სახელობის მუზეუმში გამაგზავნა: იქ ვანის გათხრებში ნაპოვნი კუების ასლები გავაკეთე და რესტავრატორად მიმიღეს. ბოლოს ოქროსაც „შევბედე“. შემიძლია თამამად ვთქვა – ეს იყო ისტორიული მომენტი: „ოქროს ცვრის“ ტექნოლოგიამ ორი ათასი წლის შემდეგ დღის სინათლე ისევ იხილა.

— ნუთუ ამ უზარმაზარ პერიოდში სხვა მცდელობები არ ყოფილა?

– ძალზე კანტიკუნტი, რომელიც მალევე შეწყდა.

ჩვენს საუბარში ხელოვანის მეუღლე, ***ქალბატონი მანანაც*** *მონაწილეობს:*

– ფილოლოგი ვარ. თეატრალურ ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის ისტორიას ვკითხულობ, მაგრამ ნუგზარმა „ცვარი“ ისე შემაყვარა, რომ დავინტერესდი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ცოტა გავერკვიე კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ეჭვიც არ მეპარება – ჩემი ქმარი საშვილიშვილო საქმეს აკეთებს, თანაც საშინელ პირობებში. ამას თავად არ გეტყვით – იცით, რა მორიდებულია? აი, ერთი საათია გელაპარაკებათ და უმთავრესზე ხმაც არ ამოუღია. „ოქროს ცვარში“ შექმნილი მისი ნაკეთობები, არის არა მხოლოდ ტრადიციის აღდგენა, არამედ მისი განვითარებაც: ქართველები, ძირითადად, ოქროს ბურთულებით მუშაობდნენ, ბერძნები, სიტუაციურად, ფირფიტას ოქროს მავთულის ორნამენტსაც არჩილავდნენ; ჩემმა მეუღლემ ორივე მიდგომის შემოქმედებითი სინთეზით საკუთარი მიდგომა შეიმუშავა: მის ნაკეთობებში მავთულსა და ბურთულებს თანაბარი დატვირთვა ენიჭება და, შედეგად, სავსებით ორიგინალურ კომპოზიციებს ღებულობს.

— ბატონო ნუგზარ, ახერხებთ თქვენი ნამუშევრების რეალიზაციას?

– ოო, ეს მტკივნეული საკითხია. ასეთი ტიპის ნაკეთობანი ორიგინალურია და ანალოგი არ გააჩნია, ამიტომ ძვირი ღირს. აი, თუნდაც, ოქროს კულონს ათას დოლარად ვაფასებთ, მაგრამ ეს აქ, საქართველოში. საზღვარგარეთ თუ გავიტანთ, აუქციონზე, იქ რამდენიმე ათასადაც გაიყიდება, როგორც უნიკალური ნაკეთობა და ხელოვნების ნიმუში, მაგრამ გატანის საშუალება არ გვაქვს. აქ კი, ვისაც ამის ფასი ესმის, ყიდვის საშუალება არა აქვს, ხოლო ვინც მყიდველია, – არაფერი ესმის და ურჩევნია, სალონში ნაკლებად ღირებული სერიული „ზიზილ-პიპილოები“ იყიდოს.

– წარმოიდგინეთ – *ისევ ერთვება* ***ქალბატონი მანანა*** – ერთხელ ახლობელმა რამდენიმე ნაკეთობა ბაკურიანში წაიღო: იქ ისეთი ხალხი ისვენებს, „ბოტასებში“ აძლევენ 200-300 დოლარს და ალბათ იყიდიანო. თქვენც არ მომიკვდეთ! რესტორანი და უაზრო დროს ტარება ურჩევნიათ... არადა, ფული მხოლოდ საარსებოდ როდი გვჭირდება – მასალა ძვირი ღირს. ხშირად ნუგზარი ძველ ნაკეთობას ადნობს, რათა ახალი შექმნას და... ხანგრძლივი შესვენების გამო ოსტატს ხელი არ შეუსუსტდეს...

ნუგზარ ბეროშვილი:

– ჩემი ყველა ნამუშევარი, კულონებს ვგულისხმობ, ფაქტობრივად, დიდი ჩანაფიქრის დეტალის ესკიზია. ჩემი ოცნებაა ხატი „ოქროს ცვარში“ შესრულებული ჩარჩოში ჩავსვა – ეს მართლაც უნიკალური რამ იქნება. ჩარჩოს ესკიზი დამუშავებული მაქვს. მისი არც ერთი დეტალი არ მეორდება და ყოველი მათგანი შეიცავს მისტიკურ სიმბოლიკას. სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, ამას ვერ ვახერხებ... სიამოვნებით გავუზიარებდი ჩემს გამოცდილებას სხვებს, მაგრამ აქ არის დიდი ალბათობა იმისა, რომ მართლაც დიდი წამოწყება კომერციად გარდაიქმნას. ვინმეს ერთი ბურთულის მირჩილვაც რომ დაუფიქრებლად ვასწავლო, მაშინვე სერიული ნამუშევრების კეთებას დაიწყებს, ანუ მოხდება უნიკალური ნიმუშების დაშტამპვა და წინაპართა მაღალი ხელოვნება ხელოსნობად გადაიქცევა. მინანქარში ეს ნაკლებად სახიფათოა, რადგან ბევრი უძლიერესი წარმომადგენელი გვყავს და რამდენიმე კომერსანტი ზოგად ტრადიციას ვერაფერს დააკლებს. „ოქროს ცვარში“ კი, ტრადიცია ჯერ ასაღორძინებელია და მოფრთხილება სჭირდება.

სხვათა შორის, ჩემი გოგონა (13 წლის სოფო. – ავტ.) დაინტერესდა და ზოგიერთ მნიშვნელოვან ნამუშევარში რამდენიმე დეტალი მისი მირჩილულია. ახლა მინანქარზეც ვარჯიშობს.

■



რაზე მეტყველებს სახის ნაკვთები

გჯერათ თუ არა, რომ ადამიანის ხასიათი და ბედი მის სახეზეა აღბეჭდილი? ეს ასეა და, ადამიანის სახის ნაკვთების „წაკითხვით“ მისი მომავლის დადგენაც შეიძლება. სცადეთ და მცირე ხნით ამ თამაშში ჩაერთეთ.

სახის ფორმა:

1) სახის მოგრძო ფორმა პოლიტიკოსებსა და იმ ადამიანებს აქვთ, რომლებიც დიდ ძალაუფლებას ფლობენ, ასევე მოწმობს ადამიანის არისტოკრატიულ წარმომავლობაზე.

2) ასიმეტრიული ფორმის სახის მფლობელები უმეტესად მაღალი შუბლის მქონე ინტელექტუალები და ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანები არიან. ასეთი ტიპის სახე იმ ქალებს აქვთ, რომელთაც დიდი ამბიციები არ გააჩნიათ.

3) სახის ოვალური ფორმა უპირველეს ყოვლისა, ადამიანში ამბიციურობის ნაკლებობაზე მიუთითებს, მაგრამ თუ ამავე დროს მაღალი ღაწვები და მეტყველი თვალებიც ფიგურირებს, საქმე ძლიერი ნებისყოფის მქონე, კრიტიკულ სიტუაციებში კი – საშიშ პიროვნებასთან გვაქვს.

4) ოთხკუთხა ფორმის სახის ადამიანები იმ ტიპს განეკუთვნებიან, რომელთაც ბრძოლა შეუძლიათ, მაგრამ ნელა აზროვნებენ; ვეიუტები და მიუკერძოებლები არიან. სახის იგივე ფორმა ქალებში დიქტატორობისადმი მიდრეკილებას ამჟღავნებს, მათ ოჯახში წამყვანი როლი უკავიათ და მამაკაცებივით იქცევიან.

5) სახის სამკუთხა ფორმა მოუსვენარ ინტელექტუალებს ახასიათებთ, ისინი საკუთარ თავსა და საკუთარ პრობლემებში არიან ჩაფლულნი; ამავე დროს, ასეთი სახის მიღმა შეიძლება დაუნდობელი და ცბიერი ადამიანი იმალებოდეს, რომელსაც საზოგადოებისგან განზე ცხოვრება უყვარს.

ცხვირის ფორმა:

1) გრძელი ცხვირი მფლობელის კონსერვატორობასა და იდუმალებაზე მეტყველებს, მას დიდი ინტელექტი და ხელოვნებისადმი მიდრეკილება ახასიათებს; სამაგიეროდ, გრძელი ცხვირის მქონე ადამიანებს ბიზნესმენისთვის აუცილებელი ალღო და გამჭრიახობა არ გააჩნიათ.

2) მოკლე ცხვირი ოპტიმისტ და გულგახსნილ ადამიანებს აქვთ.

3) კეხიანი ცხვირის მფლობელები გულჩათხრობილობითა და ჩაფიქრებული ხასიათით გამოირჩევიან, მათთან დაახლოება საკმაოდ რთულია. ხელმძღვანელის როლში ყოფნისას, უმეტესად ცუდი დამოკიდებულება აქვთ ქვეშევრდომებთან.

4) „კარტოფილის“ ფორმის ცხვირიან ადამიანებს ცხოვრება ბევრ წარმატებას ჰპირდება.

5) თუ ადამიანს ცხვირის ბოლო საგრძნობლად აქვს მოკაუჭებული – ფრთხილად უნდა იყოს: მას სუსტი ჯანმრთელობა აქვს და ხანგრძლივი ცხოვრება არ უწერია.

6) არწივისებური ცხვირი მერყევ ხასიათსა და სიცრუეზე მეტყველებს. ასეთი ცხვირის მფლობელი მუდმივად განაწყენებული ადამიანის როლშია და შურისძიებაზე ფიქრობს.

7) ფართო ცხვირის მფლობელი ცბიერი ადამიანია, რომელიც აუცილებლად გამდიდრდება.

8) ვიწრო ცხვირის პატრონს მთელი ცხოვრების განმავლობაში მძიმე შრომა უწერია.

9) ნესტოებში გაფართოებული ცხვირი დაუფასებლად გაწეულ დიდ შრომაზე მეტყველებს.

10) თუ ადამიანს ცხვირის წვერი ზევით აქვს აპრეხილი, ფრთხილად იყავით: მას დაბალი ინსტინქტები ამოძრავებს, წუთიერი გრძნობებით ცხოვრობს და ხვალინდელი დღე სულაც არ აღელვებს.

11) თუ ცხვირის ბოლო ვერტიკალური ხაზით შუაზეა გაყოფილი, თქვენ წინაშე მამაცი ადამიანია, მას მრავალი ორიგინალური იდეა და იმის უნარი აქვს, რომ თავი დააღწიოს ყველანაირ ცხოვრებისეულ მოულოდნელობას.

ყურების ფორმა:

1) თავის ზედა ნაწილში (წარბსა და თვალს შუა) ყურის მდებარეობა იმის მაჩვენებელია, რომ მის მფლობელს საკმაოდ წარმატებული კარიერა ელის.

2) ქვედა ნაწილში (თვალზე დაბლა) მდებარე ყური „გვაფრთხილებს“: ამ ადამიანს წარმატების მისაღწევად არანაირი შანსი არ გააჩნია.

3) დაცქვეტილი ყურები – უსიამოვნო ხასიათის ნიშანია. მისი კომპენსირება მხოლოდ მსხვილი ფორმის ნიკაპს შეუძლია.

4) მიჭყლეტილი ყურები კეთილი ხასიათის მანიშნებელია. ■



კოქტეი

საქვეყნოდ ცნობილ გამონათქვამს „ცხოვრებაში ადამიანმა უნდა დარგოს თუნდაც ერთი ხე, ააშენოს სახლი და გაზარდოს შვილი“, თამამად შეიძლება, კიდევ ერთი სურვილი დაემატოს: „შექმნას საკუთარი კოქტეილი“. დღეისათვის მსოფლიოში კოქტეილის დაახლოებით 17 მილიონი რეცეპტია ცნობილი და თუ მისი მოხმარება იმავე ტემპით გაგრძელდება, ეს რიცხვი შეიძლება ყოველწლიურად გაორმაგდეს.

კოქტეილი სიტყვასიტყვით, „მამლის კუდს“ ნიშნავს და რამდენიმე სპირტიანი ან უალკოჰოლო სასმლის ნაზავს წარმოადგენს. ის დაახლოებით 200 წლის წინ ამერიკის კონტინენტზე გაჩნდა, თუმცა იდუმალი სიტყვის – „კოქტეილის“ წარმოშობის საიდუმლო, ისტორიამ ვერ გახსნა. უმეტესობა მაინც იმ აზრის არის, რომ სასმლის დასახელება ახალი ქვეყნის პირველ მცხოვრებლებში გაჩნდა. ამერიკელი კოლონისტების საყვარელი გასართობი მამლების ორთაბრძოლები იყო, მის საყურებლად კი მთელი მხარის კოვბოები იყრიდნენ თავს. მათ სხვადასხვა სასმლით უმასპინძლდებოდნენ, რომელთა შემადგენლობაში იყო ღვინო, ჭიქებს კი მებრძოლი მამლების ბუმბულებით რთავდნენ.

მექსიკის ყურის სანაპიროზე კარგ კოქტეილს აუცილებლად მოაყოლებენ ამბავს, რომლის თანახმადაც, ერთმა ბარმენმა ამერიკელ მეზღვაურთა შორის სახელი უცნაური სასმელებით გაითქვა: მირთმევის წინ უცნობი ამ სასმელებს ერთმანეთში მცენარის ფესვით ურევდა – მცენარე კი ძალიან ჰგავდა მამლის კუდს.

ზოგიერთი კი ირწმუნება, რომ სიტყვა „კოქტეილი“ ლინგვისტური წარმოშობისაა და სიტყვიდან COCK-ALÉ მოდის, რაც „მამლის ლუდს“ ნიშნავს.

XX საუკუნე თავისი აღმოჩენებით კოქტეილის ხელოვნების ოქროს საუკუნე გახდა. 30-იან წლებში, აშშ-ში „მშრალი კანონის“ დროს ყველაზე მოხერხებულ კონტრაბანდისტებს ქვეყანაში ტეკილა ლიმონის წვენში გარეული შეჰქონდათ. ამ მოვლენათა დამთხვევის წყალობით დაიბადა კოქტეილი „მარგარიტა“ (ერთი წილი ლიმონის წვენი, ერთი წილი ლაიმას წვენი ერთ წილ ტეკილასთან ერთად ირევა და მას კონუსური ფორმის ჭიქით, მარილთან ერთად მიირთმევენ). დღესდღეობით კი მსოფლიოში კოქტეილის მომზადებაში ყოველწლიური კონკურსები იმართება.

კოქტეილის საფირმო რეცეპტის შედგენა განსაკუთრებულ საქმედ ითვლება. ამერიკის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების შემქმნელს სტივენ სპილბერგს მოცალეობის ჟამს ძალიან უყვარს სხვადასხვა სასმლისა და ყინულის ერთმანეთში შეზავება და ამ გატაცებით ისე შორს შეტოპა, რომ ჰოლივუდში საკუთარი რესტორანიც კი გახსნა. სწორედ იქ აგიხსნიან, რომ კოქტეილ-აპერიტივები, ანუ ის, რომელსაც (როგორც წესი) ჭამის წინ მადის მოსაგვრელად მიირთმევენ, არ უნდა აგერიოთ კოქტეილ-დიჯესტივებში, რომელიც ჩვეულებრივ, ნაკლები სიმაგრისა და უმეტესად, ტკბილია. მას, შესაბამისად, ჭამის შემდეგ მიირთმევენ.

კოქტეილის ნაირსახეობაზეა დამოკიდებული კერძების შერჩევაც. რამდენად დიდი ფანტაზიის პატრონიც არ უნდა იყოთ, არსებობს განსაზღვრული წესი: მაგარ კოქტეილთან ერთად პატარა ბუტერბროდებს – კანაპეს, დამარილებულ ნუშს, მარილიან ორცხობილას, ზეთისხილს, დამჟავებულ ხახვს, ღანძილს, დამარილებულ მწარე წიწაკას მიირთმევენ.

სადესერტო კოქტეილებს კი ხილს, ტკბილ ორცხობილას ან შოკოლადს აყოლებენ.

მიკი რურკი აღიარებს, რომ ხანდახან „ღამის ციალის“ კოქტეილის შეკვეთა უყვარს. ეს, როგორც შესახედავად, ასევე ზემოქმედებითაც საკმაოდ ეფექტური, ლურჯი ალით მოელვარე კოქტეილებია: „სამბუკა“, „ბ-52“ და სხვა.

ცნობილი კოქტეილი „ბ-52“ ფართოდ გავრცელებულ შრეებიან კოქტეილებს მიეკუთვნება (ის სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება, რომელთა შერჩევა სპეციალურად ხდება, ისინი კონტრასტულად, შრეებად, განლაგდება და ერთმანეთში არ ირევა). ამ სასმელს ჭიქაში შრეებად, დანის დახრილი წვერის საშუალებით ასხამენ.

ბევრს უყვარს ე.წ. ოისტერი – ეს არის კოქტეილი, რომელიც შეიცავს კვერცხის მთელ გულს, ტომატის წვენს, მარილს, წიწაკას.

ყინულიანი კოქტეილი ბევრი ბარმენის კიდევ ერთი სიამაყეა. ყინულიან სასმელებს თავისი სახელწოდებებიც აქვს – „ფრაპე“ (დაჩეხილი ყინულით) და „მისტი“ (დაფხვნილი ყინულით), კულერი – როცა მთელ ჭიქას ყინულით ავსებენ და თითქოს ის სასმლით იჟღინთება. კოქტეილი „ფროზენი“, წვრილად დაფხვნილი ყინულის წყალობით, დამდნარ თოვლს წააგავს. მნიშვნელოვანია, რომ კოქტეილ „ფროზენს“ მოკლე საწრუპით მიირთმევენ.

კოქტეილის დამზადება საკმაოდ ფაქიზი ხელოვნებაა. კარგ ბარმენს სასმელთა ნარევის შეზავება შუა საუკუნეების ალქიმიკოსებზე უკეთ უნდა შეეძლოს. მთავარი, ყველა შემადგენელ კომპონენტს შორის ბალანსის დაცვაა. შეიძლება ითქვას, რომ კოქტეილის ყველა შემადგენელი









სასმელი (მათი რიცხვი კი ხანდახან ათეულზე მეტია) თითქოსდა ღერძის გარშემო განლაგდება, ამიტომ კოქტეილის მომზადებისას ჯერ ძირითადი კომპონენტი უნდა შეარჩიოთ — ვისკი, ჯინი, ლიქიორი ან წვენი. მეორე წესია — სანამ ერთმანეთში შეურევ, დაფიქრდი: ექსპერტების აზრით, შემთხვევითი კომპონენტებისგან მომზადებული კოქტეილი განსხვავდება არა შემადგენელი სასმელების რაოდენობით, არამედ მათი ერთმანეთთან შეთავსებით, როცა ერთი რომელიმე სასმლის გემოსა და არომატს სხვა, თითქოსდა მ[illegible]ხარისხოვანი სასმელები გამოკვეთს; და წესი მესამე — არ შეცდეთ ჭიქის შერჩევისას: „მარგარიტას“ სხვა ჭიქით მიირთმევენ, „კიურასაოს“ — სხვა ჭიქით, „კუბალიბრას“ კი — სრულიად განსხვავებულით.

კოქტეილის სახეობებს თვლა არ აქვს. ასე რომ, უსაზღვრო ფანტაზიის გამომჟღავნება შეგიძლიათ. მთავარია, არ დაგავიწყდეთ მეოთხე წესი: ცდების ჩატარებისას გამოიჩინეთ სიფრთხილე. ■

[illegible]ინაში	„... კონტი“	სახელმწიფო ევროპაში	გურიის მთავართა ტვარი	მაღალყელიანი კალოში	პერსონაჟი „შესანიშნავი შვიდეულიდან“	ინდიელების კანავი	
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	
[illegible]	სკანდინავიელი ძველად	მოჭადრაკე მანეილ ...	სამშენებლო მასალა	პერსონაჟი „ღვინის ქურდებიდან“	მდინარე იტალიაში	მორებით შეკრული ტრანსპორტი	ცხენარი

გრიგოლ ხანძთელის მოწაფეები: წმინდა ეფრემ დიდი, მაწყვერელი და წმინდა არსენ დიდი, კათოლიკოსი

გიორგი მერჩულეს მიხედვით

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მე-9-10 საუკუნეებში საქართველოს გაერთიანების პროცესი სამხრეთ საქართველოდან დაიწყო და მას წინ უძღოდა სულიერი აღმასვლა. ამას საფუძველი ჩაუყარა დიდმა სულიერმა მამამ და მოძღვარმა გრიგოლ ხანძთელმა. ტაო-კლარჯეთის მცხუნვარე უდაბნოში მოღვაწე გრიგოლმა გარს შემოიკრიბა ღვთის სიყვარულით ანთებული სასულიერო მოღვაწენი. წმ. გრიგოლის ხელმძღვანელობითა და მოღვაწე ბერების მეცადინეობით შენდებოდა ახალი ეკლესიები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღევლინებოდა წირვა-ლოცვა, ინათლებოდა მოსახლეობა და იქმნებოდა ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ სწავლებაზე დაყრდნობით ეროვნული ცნობიერება. როგორც მოგვითხრობს „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისას“ ავტორი, ნეტარი გრიგოლი არა მხოლოდ ზრდასრულ ჭაბუკებს აყენებდა ქრისტეს სათნო გზაზე, არამედ გამორჩეული ნიჭიერებით დაჯილდოებულ ყრმათაც. ამ ყრმებს შორის ყველაზე გამოჩინებული მოღვაწეების — წმ. ეფრემ მაწყვერელისა და წმ. არსენ დიდ კათოლიკოსზე თავად გიორგი მერჩულე გვესაუბრება. აქვე ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი, მართალია, შეზღუდულად გვაწვდის ცნობებს, მაგრამ ეს ინფორმაცია წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს დოკუმენტურ მასალას ქართული ავტოკეფალიური ეკლესიის ისტორიოგრაფიისათვის.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების მიხედვით, ეკლესია-მონასტრების ასაშენებლად და სამოღვაწეოდ აფხაზეთს მიმავალი წმინდა გრიგოლ ხანძთელის თანამოსაგრეები, თეოდორე და ქრისტეფორე გზად სამცხელი დიდაზნაურის — მირიანის სახლში შეჩერდნენ. მირიანმა და მისმა მეუღლემ კრავაიმ ბერებს შვილები დაალოცვინეს, შემდგომ კი, მათი სათნოებით გაკვირვებულებმა, უმცროსი ძე მისცეს აღსაზრდელად. ბერებმა ბავშვს სახელად არსენი უწოდეს და მშობლებს აღუთქვეს, რომ მას თავიანთ სულიერ მამასა და მოძღვარს, კლარჯეთის უდაბნოს არქიმანდრიტს, გრიგოლს წარუდგენდნენ. როცა გრიგოლმა თავისი რჩეული ძმები — თეოდორე და ქრისტეფორე მოიძია აფხაზეთში და მათთან ერთად კვლავ კლარჯეთს დაბრუნდა, ყრმა არსენი და ამ მოგზაურობისას დამოწაფებული ჭაბუკი ეფრემი თან გაიყოლა.

მონასტრის ბერები გაახარა მოძღვრისა და ძმების დაბრუნებამ, მაგრამ ყრმების მოყვანას დრტვინვით შეხვდნენ, რადგან სამონასტრო განჩინებით, ყრმათა ცხოვრება მონასტერში იკრძალებოდა. ბერებმა უსაყვედურეს წმ. გრიგოლს: შენგან დამტკიცებულ წესს შენვე გადაუხვიე, ხოლო საქმე ესე გარეშე წესისა არსო. გრიგოლ ხანძთელი იძულებული შეიქნა, განემარტა საძმოსათვის, რომ ყოველივე მხოლოდ და მხოლოდ საღმრთო გამოცხადებით მოხდა: ქრისტემან ღმერთმან წმიდისა ანგელოზისა პირითა მაუწყა ამათი საქმე ყოველიო.

ღირსმა გრიგოლმა ყმაწვილები გასაზრდელად ჩაბარა ქრისტეფორეს და თეოდორეს, რომლებიც ძმათაგან განმარტოებით ცხოვრობდნენ. მონასტრის მკაცრ კედლებში კეთილმა აღზრდამ ნაყოფიც კეთილი გამოიღო და შემდგომში ეფრემი „უწინარეს მრავლით წლით არსენისსა იქმნა ეპისკოპოს აწყურის საყდარსა სამცხეს“. და როგორც წინდაწინვე განჭვრიტა გრიგოლ ხანძთელმა, ეფრემ შეიქმნა თვალსაჩინო მოღვაწე, რომელმაც უდიდესი ღვაწლი დასდო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საბოლოოდ განმტკიცების საქმეს. მისი შემწეობით ქართულმა ეკლესიამ მირონის მცხეთაში კურთხევის უფლება მიიღო, რომელიც მანამდე ქართველ მღვდელმსახურებს ანტიოქიიდან ჩამოჰქონდათ. მირონის კურთხევის უფლება კი, თავისთავად, ეკლესიის ავტოკეფალიურობის განმაპირობებელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო.

წმინდა ეფრემი ორმოცი წელი ბრძნულად განაგებდა აწყურის კათედრას. მას ღვთისგან მომადლებული ჰქონდა განჭვრეტის, სასწაულთა ქმნისა და კურნების ნიჭი. ხოლო არსენი, როდესაც სრულწლოვანი შეიქნა, მამამ, მირიან აზნაურმა საეკლესიო და სამღვდელმთავრო კრების დაუკითხავად, მძლავრობით, მხოლოდ სამცხის ერისკაცთა დახმარებითა და რამდენიმე ეპისკოპოსის თანადგომით, კათოლიკოსად დაადგინა. სასულიერო იერარქიამ და მორწმუნე მრევლმა, ბუნებრივია, ეს აღიქვა, როგორც საეკლესიო კანონების უხეში დარღვევა და მის საქმეებში ერისკაცის კადნიერი ჩარევა.

ქართლისა და კლარჯეთის სამღვდელოებამ საჭოჭმანო საკითხის გადასაჭრელად ჯავახეთში საეკლესიო კრება მოიწვია. ამ კრებას მხარს უჭერდა გავლენიანი დიდებული გუარამ მამფალი, რომელიც „მირიანისთვის გულძვირად იყო“. ხოლო უკმაყოფილო ეპისკოპოსებს სათავეში ედგა თანაშეზრდილი და თანამოსაგრე არსენისა ეფრემ მაწყვერელი.

საეკლესიო სამართალი მამათა მხარეს იყო და არსენს გადაყენება ემუქრებოდა, როდესაც გამოცხადდა მამა ყოველთა მეუდაბნოეთა გრიგოლ ხანძთელი. ნეტარი გრიგოლის გამოჩენა მამებს ძალიან გაუხარდათ.

გრიგოლი შეეცადა, დაერწმუნებინა ეფრემი, რომ კათოლიკოსის ტახტზე არსენის დადგინება კანონზომიერი მოვლენა იყო, და ღმერთი ამას ადრე თუ გვიან მოახდენდა. არსენი თავისი ქრისტესმოყვარე ბუნებით, უთუოდ იმსახურებდა ამას. ყოველივე ღვთის ნებით აღსრულდა, უბრალოდ მამამისი — მირიან არასწორად მოიქცა, როდესაც დაასწრო წინ მოვლენათა მდინარებას.

მღელვარება ჩაცხრა. ეფრემსა და არსენს შორისაც მალე განახლდა ძველი სიყვარული. კათოლიკოსი არსენი მართლაც საკათოლიკოსო ტახტზე მჯდომი ღირსეული პიროვნება აღმოჩნდა. მან ქრისტესმიერი სიყვარული მოჰფინა ქართლის ეკლესიებს და „საყდარი მამამთავრობისაი შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა“.

წმინდა არსენი ჰაგიოგრაფი და ისტორიკოსი იყო. მის კალამს ეკუთვნის თხზულება „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“, რომელშიც გადმოცემულია სომეხ-ქართველთა საეკლესიო განხეთქილების ისტორია.

არსენ დიდსავე მიაკუთვნებენ „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრებას და წამებას“.

წმინდა არსენი ოცდაშვიდი წლის მანძილზე განაგებდა ქართლის ეკლესიას. გარდაიცვალა 887 წელს და „მხიარულებით მიიწია წინაშე ქრისტეისა და აქუს მადლი შეწევნად ჩუენდა“, ხოლო წმინდა ეფრემ დიდი მაწყვერელი ღრმად მოხუცებული მიიცვალა. მის წმინდა ნაწილებთან შეხებისას სარწმუნოებით მისულნი მრავალფერ სენთაგან იკურნებოდნენ.

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია წმ. ეფრემ დიდი მაწყვერელის ხსენებას ახალი სტილით 30 აპრილს, ხოლო არსენ დიდი კათოლიკოსის ხსენებას ახალი სტილით 8 ოქტომბერს აღასრულებს.

წმინდანო მღვდელმთავარნო: ეფრემ და არსენ, ევედრეთ ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის.

ნინო ტარყაშვილი

„მე რომ მკითხოთ, აქ ფენომენები არიან“

რეპორტაჟი „გარიყულთა“ კუნძულიდან

ფსიქიატრიული საავადმყოფო თბილისში

თბილისის ცენტრში არის პატარა, რკინის ლობით შემოსაზღვრული ტერიტორია — ქალაქის ცხოვრებისაგან გამიჯნული და მოკვეთილი, როგორც უცხო კუნძული. ეზო სავსეა მცენარეებით, ბზის ბუჩქებით, ნაძვის ხეებით. ჩიტებიც გალობენ. მაგრამ იქ მისული, ნაკლებად შეძლებ, რაიმე სასიამოვნოზე ყურადღება შეაჩერო. იქ მდგარი შენობების გისოსებიანი ფანჯრებიდან შიგადაშიგ ტირილის, ყვირილის, სიმღერის ხმები ისმის... შეიძლება ავადმყოფობით გატანჯულ, გაოგნებულ სახეებსაც მოჰკრა თვალი... ისინი პატრონებს ელოდებიან ან უბრალოდ, გამვლელს უცდიან, რომ ხმა მიაწვდინონ და სიგარეტი სთხოვონ...

ლელა ჯიყაშვილი

ფსიქიატრიულ საავადმყოფოსთან ახლოს გავლილს, პირველი სართულის ფანჯრებიდან ხელებს გიწვდიან, ხურდა ფულს გთხოვენ... თუ შენი მზერა დაიჭირეს, პურსაც მოგთხოვენ. ცხადია, უჭირთ აქაურებს: მკურნალებსაც, პაციენტებსაც: აქ ხომ უბრალოდ გავლაც ძნელია, არამცთუ ცხოვრება ან მუშაობა.

თეთრხალათიანი შუახნის ქალბატონს ვხედავ, შენობიდან გამოვიდა და კარი გასაღებით ჩაკეტა:

— **ერთი წუთით, ქალბატონო, რამდენიმე შეკითხვა მაქვს თქვენთან, ჟურნალისტი ვარ...**

— მე არაფრის თქმის უფლება არ მაქვს...

— **იცით, პროფესიულ საიდუმლოს არც მე შევეხები, სულ უბრალოდ, თქვენი სამსახურის ავ-კარგზე მინდა, გკითხოთ.**

— მაინც ვერაფერს გეტყვით, არ შემიძლია. მთავარ ექიმთან მიბრძანდით.

— **თქვენ რა, ხმის ამოღებას გიკრძალავენ?**

— მთავარი ექიმის გარეშე არავისთან საუბრის უფლება არ მაქვს. მე ხომ უბრალოდ დიასახლისი ვარ. ერთი პაციენტი გამოვუშვით ეზოში და თან ყურადღებას ვაქცევ — გამოვყევი...

განყოფილების გამგესთან შემიძღვნენ. კაბინეტში მიმიწვია. ჩაბნელებულ დერეფანში მოვხვდი. შუქი არ არის! არა, საერთოდ შუქს ვერ დავემდურებითო, — მიხსნის ექიმი, მაგრამ ახლა არ არისო.

კაბინეტში დიქტოფონი ამოვიღე და იმის ახსნა დავიწყე, რის შესახებაც მინდოდა მეკითხა.

— არა, გენაცვალე, ჩასაწერად ვერაფერს გეტყვით: დირექტორს უნდა სთხოვოთ ნებართვა! — *მეუბნება მკაცრად.*

— **კი, მაგრამ თქვენ ხომ ამ განყოფილების გამგე ბრძანდებით, ხომ შეიძლება, რაღაც კითხვებზე მიპასუხოთ?**

— მიბრძანდით, შემოსასვლელთან რომ ორსართულიანი შენობაა, იქ დირექტორი იკითხეთ ან საავადმყოფოს მთავარი ექიმი... უთხარით რა გნებავთ. მე რომ ახლა თქვენს კითხვებს ვუპასუხო, არ იტყვიან — რაღა ეს ექიმი ალაპარაკეს და არა სხვაო... იქნებ მათ სხვა განყოფილებაში გაგიშვან...

— **უბრალოდ, თქვენს ცხოვრებაზე მინდოდა, დამეწერა ყოველგვარი „უფლებების გადაჭარბების“ გარეშე.**

— აქაური ცხოვრება რომ გაიგო, თავადაც აქ უნდა იცხოვრო, ამათთან ერთად, ერთი დღე მაინც... შენი თვალით უნდა ნახო ყველაფერი. აქ მოდიან, ფსიქიატრიაზე არაფერი იციან, მხოლოდ რაღაცას უკირკიტებენ, ეძებენ... ისეთს არავინ არაფერს აკეთებს, რომ საქმისთვის სასარგებლო იყოს. მარტო სენსაციები უნდათ! ექიმებსაც გულს სტკენენ, პაციენტებსაც.

— **შეიძლება, არაოფიციალურად გესაუბროთ?**

— ოღონდ თუ არ დაწერთ...

— *არ დავწერ, — ვეუბნები. მართლაც არ ვწერ მის ვინაობას, ვინ იცის, როგორი განრისხება იციან აქაურმა უფროსებმა?!.. თუმცა, არაფერი ისეთი*

ფსიქიატრიული საავადმყოფო დიდ ბრიტანეთში

ტესტი ერუდიციაზე

1. ქალღმერთი სვანურ მითოლოგიაში:

ა) დალილა;
ბ) ლამარია;
გ) მარეხი.

2. მარცვლეულის დაფქვის საზღაური ძველ საქართველოში:

ა) მინდი;
ბ) ბე;
გ) პაი.

3. რა ეწოდება წიგნის ან ხელნაწერის გვერდების ნუმერაციას?

ა) სტრექცია;
ბ) პაგინაცია;
გ) სიმბოლიზაცია.

4. რა გვარი იყო პირველი ამერიკელი კოსმონავტი?

ა) არმსტრონგი;
ბ) შეპარდი;
გ) ჯექსონი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

(ალბათ რისი უფლებაც არ აქვთ) არ უთქვამს, მაინც ხომ ვსაუბრობდით...

— რთულია აქ მუშაობა?

— ეჩვევი... არასოდეს არ იცი, მოულოდნელად რა შეიძლება მოხდეს... ყოფილა შემთხვევა, ხელი გადაუგრეხიათ, ვიდრე კაბინეტში შემოვიდოდი...

— ძალიან ბევრი პაციენტი გყავთ... რაიმე გადასახადია თუ უქონელ ავადმყოფებსაც იღებთ?

— აქ ნახევარზე მეტი, სოციალურად დაუცველი ადამიანია, არც პატრონები აკითხავენ. რა თქმა უნდა, მკურნალობა უფასოა... ბევრი, ოჯახიდანაც არის მოყვანილი. სულ უკან დაბრუნებაზე ფიქრობენ...

— ამბობენ, აქ საშინელებებიც ხდებაო...

— რა საშინელებები?!

— აი, თუნდაც... ნაზი შამანაური...

— ამით გაგვიტეხეს სახელი. არადა, ისეთი ექიმი ჰყავდა, პატიოსნების განსახიერება იყო — მოწესრიგებული, სათნო ადამიანი... წარმოუდგენელია, მას დიაგნოზი შეეთხზა. ის კი ნამდვილად ტყუილია, თითქოს აქ ისე სცემეს, რომ ტრავმებისგან გარდაიცვალა... მორწმუნე ადამიანი ვარ, ტყუილს არ ვიტყვი... როცა ადამიანი რაღაცას აიჩემებს, აიკვიატებს, ჯანმრთელია? თქვენ რომ წახვიდეთ და უსასრულოდ იძახოთ, დაიჟინოთ — ექიმს ვესაუბრე, ექიმს ვესაუბრეო, — ესეც არ იქნება ნორმალური საქციელი...

კიდევ მინდოდა საუბარი, მაგრამ შემახსენეს, დროა, ნებართვის სათხოვნელად წახვიდეთ, თორემ, შეიძლება ვერ მიუსწროთო... მეც ბატონი ***აბელ მამარდაშვილის*** *კაბინეტის კართან შევჩერდი. ვიდრე ველოდებოდი, ლტოლვილი ქალბატონი ვნახე, შვილისთვის რეცეპტი სჭირდებოდა:*

— ამ რეცეპტიზა მოვედი, დედა, ხან იქით გამაგზავნიენ, ხან აქეთ... 38 წლის შვილი მყავს სახლში ავადმყოფი. ამსხვრევს ყველაფერს... ამგენმა რო შვილი უწამლოდ მომიკლან, შევალ სამინისტროში და სულ დოუმტვრევ ყველაფერს...

— საავადმყოფოში დაწვენა არ გირჩევნიათ ასე წვალებას?

— მეწვა, შვილო. ისე გავიყვანე, გონია ფილტვების სისუსტე აქვს დამართული, ბღერიც შეყარეს. წამალი როგორც შენზა არ გოუკეთებიათ, ისე იმიზა.

— მთლად მასე არ ხდება...

— არ გოუკეთებიათ-მეთქი!..

ბატონმა აბელმა თბილად მიმიღო კაბინეტში. მისვლის მიზეზი რომ გაიგო, მითხრა: აღდგენით ცენტრში — კი ბატონო, მიბრძანდითო... ერთ-ერთ განყოფილებაშიც რომ ვესაუბრო ექიმს-მეთქი? იუარა — არ შეიძლებაო და კარამდე მიმაცილა.

იმავე გზით გამოვიარე. ისევ გამოწვდილი ხელები... პური უნდათ, სიგარეტი სჭირდებათ... და აი, ისიც — ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი... ოაზისი საჰარაში, ზუსტად ის, რაზეც უთქვამთ — მწყურვალისთვის მიტანილი წყალიაო...

აქ მოულოდნელად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გხვდება ექიმებსა და პაციენტებს შორის. სისუფთავე, ოჯახური გარემო, მშვენიერი სურათები, სკულპტურები, დეკორატიული ყვავილებით მორთული დერეფანი სასიამოვნო ემოციებს გიღვიძებს. არავის თეთრი ხალათი არ აცვია, როგორც მითხრეს, იმიტომ რომ პაციენტი არ დაითრგუნოს... ამას უბრალოდ, სიტუაციის ნათელი აღწერისთვის ვამბობ, თორემ აქ უცხო თვალისთვის შეუმჩნეველია ექიმსა და პაციენტზე დაყოფა: თითქოს ყველანი მეგობრები არიან, ვიღაცას მეტი პრობლემა აქვს, ვიღაცას — ნაკლები... ეს დღის სტაციონარია, სადაც არანაირი იძულები-

ფსიქიატრიული საავადმყოფო — საზღვარგარეთ საზოგადოების ქველმოქმედების ძირითადი ობიექტი

თი მეთოდი არ არსებობს. ყველა ნებით დადის ამ ცენტრში, იმიტომ რომ აქ კარგად იგრძნობა: ისინი პიროვნებები არიან და მათი ადამიანობა ხელშეუხებელია.

ნახატები და თიხის ნივთები „აქაურთა“ ნახელავია და იმდენად საინტერესო, რომ სასიამოვნო განცდა გეუფლება. სადაც არ უნდა შეიხედო, ფსიქოთერაპიისა თუ ხელოვნებით თერაპიის კაბინეტში, მაგიდის ჩოგბურთის ოთახსა თუ მუსიკისა და სიმღერისთვის განკუთვნილ კაბინეტში, ყველგან უჩვეულო სითბო გხვდება.

ფსიქო-სოციალური აღდგენის ცენტრში, ერთ-ერთ სტენდზე დიდი ბრიტანეთის ფსიქიატრიული საავადმყოფოს შენობა და ინტერიერია. იქვე, მეორე სტენდზე ჩეხ ავადმყოფთა მიერ დადგმული სპექტაკლის ამსახველი კადრებია. ჩვენი ქვეყნის ფსიქიატრებს (ისევე როგორც პაციენტებს), მარტო ოცნება თუ შეუძლიათ მსგავს პირობებზე, მაგრამ ამის მიღწევა ალბათ მაინც შესაძლებელია. მაგალითი ეს ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრია. მსოფლიოს კულტურული საზოგადოება სერიოზულად ფიქრობს ამ დარგში არსებული პრობლემების მოგვარებაზე.

ექიმმა ***არჩილ ბეგიაშვილმა*** *მითხრა:*

— ფსიქიატრიასთან დამოკიდებულება მარტო საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში დახვეწას მოითხოვს. ბევრ ქვეყანაში ფიქრობენ, რომ ცალკე ფსიქიატრიული საავადმყოფოს გამოყოფა, ღობით შემოსაზღვრა, სწორი არ არის. უმჯობესია, ჩვეულებრივ საავადმყოფოში გიახსნას ფსიქიატრიული განყოფილებები, რომ ადამიანს, ვინც მკურნალობის კურსს ჩაიტარებს, უხერხულობის გრძნობა არ დაეუფლოს საავადმყოფოს დასახელების გამო (როგორც ჩვენთან არის: „ასათიანზე ვიწექი“ მხოლოდ ერთ ასოციაციას იწვევს. — ავტ). ამით ცდილობენ ავადმყოფებისადმი საზოგადოების ასეთი მიდგომა აღმოფხვრან. ბევრს მცდარი შეხედულება აქვს — თითქოს ფსიქიატრიულმა ავადმყოფმა შეიძლება, ვინმეს რამე ავნოს. არადა, პროცენტული მონაცემებით, ჯანმრთელ ადამიანებზე გაცილებით მეტი დანაშაული მოდის.

— ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრში არსებული პირობები მეტისმეტად მკვეთრად განსხვავდება ჩვეულებრივ საავადმყოფოში არსებული მდგომარეობისაგან...

— ადრე მეც იქ ვმუშაობდი. რომ არა ამ პროექტის ამუშავება, ალბათ ფსიქიატრი აღარც ვიქნებოდი. იმდენად სამარცხვინოა თუნდაც ის, რომ სახელმწიფო ამ დარგის ექიმებს — 50, მაქსიმუმ — 80 ლარს უხდის და იმ ხელფასსაც თვეობით არ აძლევს...

„აქაურთა“ ნახელავი

— მინდოდა ამ პრობლემებზე საუბარი, მაგრამ საავადმყოფოს ექიმი ვერ დავიყოლიე. ბატონმა აბელმაც არ დამრთო ნება...

— მესმის, რატომ არ უნდათ საუბარი: ხშირად ხდება — ერთს იტყვი და მეორეს წერენ ან უბრალოდ, უტაქტოდ წერენ. ფსიქიატრია კი ძალიან სათუთი და საფრთხილო დარგია. საბჭოთა პერიოდში ამ საავადმყოფოში ჟურნალისტის მოსვლის პრაქტიკა საერთოდ არ არსებობდა. დღეს გარკვეულწილად ნებადართულია. მე ბევრი ექიმი ვიცი საავადმყოფოში, ვინც გაგესაუბრებოდათ...

პაციენტებთან საოცრად თბილი და უშუალო დამოკიდებულებაა საჭირო, რათა მათ მიგიღონ და ისეთი გარემო შეიქმნას, რასაც ორმხრივი სიყვარული ჰქვია და რაც ასე აუცილებელია. ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრში ამას მიაღწიეს, და თუ როგორ, ერთ-ერთ თანამშრომელს — ამ ცენტრის ექთანს ***ქეთი ნაგბელაძეს*** *ვკითხე.*

— ამის სწავლა შეუძლებელია — უბრალოდ, ადამიანი უნდა იყო. ეს ყველაფერი ბუნებრივად უნდა იჯდეს შენში, ადამიანები უნდა გიყვარდეს. ყველაზე მეტად ეს გრძნობა აწესრიგებს ურთიერთობას ექიმებსა და პაციენტებს შორის. ესენი საოცრად მგრძნობიარენი არიან და როგორც შენ გიყვარს, ისეთივე გრძნობით გიპასუხებენ.

— თქვენნაირად განწყობილი ხალხი სჭირდება ფსიქიატრიას...

— იცით, მეც ძალიან მჭირდება მათთან ურთიერთობა. უბრალოდ, თქვენ არ იცით, რამდენად საინტერესოა თითოეული მათგანი. მე რომ მკითხო, ფენომენები არიან.

უკან ვბრუნდები. იგივე გზა გამოვიარე, ისევ პურს მთხოვდნენ, ისევ სიგარეტი სჭირდებოდათ. არადა, საზღვარგარეთ მსგავსი საავადმყოფოები საზოგადოების ქველმოქმედების ძირითადი ობიექტია. ბავშვთა სახლები ხომ აღარც არსებობს. ჩვენს საზოგადოებაში კი მსგავსი საქმისათვის ფულის გაღების კულტურაზე ოცნება შეიძლება მხოლოდ. როდის უნდა გავაცნობიეროთ, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში შექმნილი მდგომარეობა ჩვენი კულტურის დაბალ დონეზე მეტყველებს?! ერთ-ერთმა პაციენტმა ასეთი რამ მიამბო: საახალწლოდ პატარა ზეიმი მოვიწყვეთ. კონცერტი გავმართეთ. გვინდოდა ფურშეტი გვქონოდა — თუნდაც სულ 30 კაცზე... ფეხდაფეხ ჩამოვიარეთ ყველა დიდი ფირმა და კომპანია — არავინ დაგვეხმარა. მხოლოდ პავლოვზე მდებარე პურის ქარხანამ მოგვცა პური...

კომენტარი ზედმეტია. არადა, აქ, ამ კუნძულზე მართლაც ფენომენები არიან. მათი სხვა განზომილებაში ცხოვრება, ჩვენი ცნობიერებისათვის, ესოდენ უცხო, სასჯელს არ იმსახურებს... ■

ელიზაბეტ ტეილორი და რიჩარდ ბარტონი.
პირველი ქორწინება: 1964-74; მეორე: – 1975-76

რა არაჩვეულებრივად ასახიერებენ კინოვარსკვლავები თავიანთი გმირების სასიყვარულო განცდებს ეკრანზე! რა ბუნებრივად და დამაჯერებლად თამაშობენ გაუზიარებელ თუ ორმხრივ სიყვარულს, ისეთს, რომელიც ვერ უძლებს უბრალო ცხოვრებისეულ გამოცდასა და ისეთსაც, შეუძლებელს რომ შეაძლებინებს კაცს. თავიანთი შეყვარებული პერსონაჟების ფსიქოლოგიასაც რა ოსტატურად ფლობენ! მოკლედ, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მაყურებელს ეჭვი არ გაუჩნდეს მათი გმირების ქმედებისა და გადაწყვეტილების სისწორეში. აი, საკუთარ გრძნობებში გასარკვევად, ვარსკვლავთა უმრავლესობას აღარც ძალა ჰყოფნის და არც ჭკუა: შეიყვარებენ, ქორწინდებიან, ეყრებიან, მერე უცებ აღმოაჩენენ, რომ ძველი სიყვარული კიდევ ცოცხლობს და ყოფილ გულის სწორებს უბრუნდებიან — იმედი აქვთ, რომ მეორე ცდა უფრო იღბლიანი აღმოჩნდება. ზოგ შემთხვევაში მათი იმედი მართლდება, ზოგჯერ კი არა...

ყოფილის ხიბლი

ექსმეუღლესთან შეუღლების სერმეოხე ცდები

ელიზაბეტ ტეილორს მეოთხე ქმარი ჰყავდა, როცა „კლეოპატრას“ გადაღების დროს თავდავიწყებით შეუყვარდა რიჩარდ ბარტონი. ვარსკვლავები დაქორწინდნენ და ათი წელი ერთად იცხოვრეს, მაგრამ ბოლოს მაინც გაიყარნენ. ერთი წლის შემდეგ კი ისევ შეუღლდნენ, თუმცა მეორე ჯერზე მხოლოდ რამდენიმე თვე გაუძლეს ერთმანეთს.

ორმოციანი წლების სექს-სიმბოლო, ჰოლივუდის ვარსკვლავი ლანა ტერნერი, რომელიც სულ 8-ჯერ იყო გათხოვილი (ისევე, როგორც ლიზ ტეილორი), თავის მეორე ქმართან, სტივ კრეინთან განქორწინების შემდეგ მაშინვე გაჰყვა ცოლად... ისევ მას. თუმცა კვლავ ცოტა ხნით.

მელანი გრიფიტი და დონ ჯონსონი.
პირველი ქორწინება: 1975-76; მეორე: – 1989-96

ახალგაზრდა ლამაზმანები ნატალი ვუდი და რობერტ ვაგნერი ორმოცდაათიანი წლების დასასრულისთვის ჰოლივუდის ყველაზე მშვენიერ წყვილად ითვლებოდა. ხუთი წლის ერთობლივი ცხოვრე-

ნატალი ვუდი და რობერტ ვაგნერი
პირველი: – 1957-62; მეორე: – 1972-81

რობერტ ბოლტი სარა მაილზი
პირველი: – 1967-75; მეორე: – 1988-95

ჟან-კლოდ ვან დამი და გლედის პორტუგესი
პირველი: – 1986-92; მეორე: – 1999

ლანა ტერნერი და სტივენ კრეინი
პირველი: – 1942-43; მეორე: – 1943-44



ბის შემდეგ ისინი განქორწინდნენ, ხოლო ათი წლის შემდეგ ისევ გადაწყვიტეს ბედის გამოცდა და ისევ შეუღლდნენ. ვაგნერმა იშვილა ნატალის ქალიშვილი – ნატაშა და წყვილი ბედნიერად ცხოვრობდა კიდევ რვა წელი – მანამდე, სანამ ტრაგიკულად არ დაიღუპა ნატალი: 1981 წლის ნოემბერში სეირნობისას იახტიდან გადავარდა და დაიხრჩო. მისი სიკვდილი დღემდე ბურუსით არის მოცული.

ავსტრალიელმა მსახიობმა პოლ ჰოგანმა (ჩვენთან უფრო მეტად ცნობილია, როგორც „ნიანგი დანდი“) თავის ახლანდელ ცოლთან, ცნობილ მსახიობ ლინდა კოზლოვსკისთან შეუღლებამდე ორჯერ იქორწინა ერთსა და იმავე ქალზე, რომელმაც მას ხუთი შვილი აჩუქა.

„მისტერ კუნთმაგარმა“ – ჟან-კლოდ ვან დამმა კი გადაწყვიტა ახალი ცხოვრება დაეწყო და ერთ-ერთი ყოფილი ცოლი, თავისი ორი შვილის დედა გლედის პორტუგესი შეირთო.

სახელგანთქმული ინგლისელი მსახიობი სარა მაილზი („ლედი კაროლინა ლემი“) ორჯერ გათხოვდა ორი „ოსკარის“ მფლობელ ცნობილ მწერალსა და სცენარისტზე რობერტ ბოლტზე. მეორე ქორწინებამ 1995 წლამდე – ბოლტის გარდაცვალებამდე გასტანა.

ჰოლივუდის „ოქროს შვილებმა“, მელანი გრიფიტმა და დონ ჯონსონმა პირველად მაშინ სცადეს ბედი, როცა მელანი 18 წლის იყო, ხოლო დონი – 25-ის, მაგრამ ერთი წლის შემდეგ დაშორდნენ. ამის შემდეგ ორივემ ბევრი სისულელე ჩაიდინა, რამდენჯერმე სცადა ახალი ოჯახის შექმნა, მაგრამ ამაოდ. თოთხმეტი წლის შემდეგ ერთმანეთს დაუბრუნდნენ. ამჯერად 7 წელი იცხოვრეს ერთად. ამ ქორწინებიდან შეეძინათ ქალიშვილი. მაგრამ სამწუხაროდ, მეორე ცდაც უიღბლო აღმოჩნდა. ახლა მელანი გრიფიტის სახელი იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ამჟამინდელ მეუღლესთან – ანტონიო ბანდერასთან, რომ გეგონებათ ყოველთვის ასე იყო. მელანიმ ანტონიოს ქალიშვილი – მარია ლურდასი აჩუქა. რაც შეეხება დონ ჯონსონს, იგი მელანისთან განქორწინების შემდეგ ბევრს სვამდა და აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა. საბოლოოდ „დაჭკვიანება“ გადაწყვიტა და ცოლად შეირთო კელი პფლეგერი (ის მსახიობი არ არის, საბავშვო ბაღში მუშაობს, თუმცა ცნობილი მილიონერების მეტიების ოჯახის წარმომადგენელია), რომელმაც დონს მეორედ განაცდევინა მამობის სიხარული.

■

ნოელენი და პოლ ჰოგანი
პირველი: – 1958-81; მეორე: – 1982-89

სიყვარული რომ მეტად უცნაური რამ არის, ეს საყოველთაოდ ცნობილია. როდის, სად და რომელ ასაკში ეწვევა ჭეშმარიტი სიყვარული ადამიანს, აი, ეს კი ალბათ მხოლოდ ღმერთმა უწყის. მსოფლიოში ცნობილია ბევრი ისეთი შემთხვევა, როცა ასაკით მეტისმეტად შეუფერებელი წყვილები ბედნიერებასა და სიამტკბილობაში ცხოვრობენ და შესაშურ, სამაგალითო ოჯახებს ქმნიან. ამგვარი ოჯახი მრავლად არის კინოს სამყაროში.



კარლო პონტი და სოფი ლორენი (სხვაობა 22 წელი)

სიყვარულმა ასაკი არ იცის

1957 წლიდან დღემდე ერთად არიან დიდებული სოფი ლორენი (იგი 65 წლისაა) და პროდიუსერი კარლო პონტი. ის, რომ კარლო 22 წლით უფროსია მეუღლეზე, ამ შესანიშნავ წყვილს ხელს სრულებითაც არ უშლის.

სამოცდაათი წლის კლინტ ისტვუდი 35 წლით უფროსია თავის მეორე ცოლზე – დინა რუისზე. 32 წლის სელინ დიონი კი აღმერთებს თავის 59 წლის ქმარს, რენე ანჯელინს, რომელსაც ახლახან ვაჟი აჩუქა. ენტონი ქუინი (85 წლის) კი შეიძლება ამგვარი ქორწინების რეკორდსმენადაც მივიჩნიოთ: მსახიობი თავის მესამე ცოლზე, კეტიზე 51 წლით უფროსია. მაგრამ ამ სხვაობას სულაც არ შეუშლია ხელი მათი ოჯახური ბედნიერებისთვის. კეტიმ თავის მხცოვან მეუღლეს ორი შვილი გაუჩინა.

ორმოცდათექვსმეტი წლის მაიკლ დუგლასი 25 წლით უსწრებს თავის მშვენიერ მეუღლეს კეტრინ ზეტა ჯონსს. არც ისე დიდი ხანია, რაც კვლავ დაოჯახდა 79 წლის ჩარლზ ბრონსონიც: მან ათი წელი „იგლოვა“ ცოლი და ნუგეში 38 წლის კიმ უიკსის მკლავებში პოვა.

დევიდ ქერადაინი (64 წლის) 25 წლით უფროსია თავის მეოთხე ცოლზე. ტონი კერტისსა და მის მეხუთე ცოლს – ჯილ ვანდენბერგს შორის სხვაობა კი 45 წელია. ალენ დელონი (ისიც 64 წლის) ძალიან ბედნიერად ცხოვრობს თავის როზალისთან ერთად, რომელიც ოცდაათი

კლინტ ისტვუდი და დინა რუისი (სხვაობა 35 წელი)

ორნელა მუტი და სტეფანო პიკოლო (სხვაობა 10 წელი)

ენტონი ქუინი და კეტი ბევინი (სხვაობა 51 წელი)

ალენ დელონი და როზალი ვან ბრეემენი (სხვაობა 30 წელი)

წლით უმცროსია მასზე და ალენს ორი შვილი აჩუქა.

ამ ბოლო დროს ძალიან გახშირდა ისეთი ქორწინებები, როცა ქალი უფრო ასაკოვანი, ზოგჯერ კი მეტისმეტად უფროსია თავის გულის სწორზე. ოცი წელი სრულდება, რაც ერთად ცხოვრობენ ინგლისელი მსახიობები ჯულეტ მილზი (59 წლის) და მაქსველ კოლფილდი (41 წლის). სახელგანთქმული რეიჩელ უელჩი კი 30 წლით უფროსია თავის მეოთხე ქმარზე – რიჩარდ პალმერზე, რომელიც, როგორც ამბობენ, ყურებამდეა შეყვარებული ცოლზე. არანაკლებ მტკიცეა ჰოლივუდის ვარსკვლავების – სიუზენ სარანდონისა და ტიმ რობინსის კავშირი. სიუზენი 53 წლისაა, ტომი – 41-ს. დიდი სიყვარული და ორი არაჩვეულებრივი შვილი – რას იტყვით? მგონი, სავსებით საკმარისია ბედნიერებისთვის!

11 წლის სხვაობას ხელი არ შეუშლია 42 წლის მადონასათვის, ცოლად გაჰყოლოდა რეჟისორ გაი რიტჩის, დაქორწინებამდე კი მისთვის ვაჟი გაეჩინა. ახალგაზრდა სატრფო ჰყავს ორმოცდაოთხი წლის იტალიელ მსახიობს ორნელა მუტისაც: პროფესიით ექიმი სტეფანო პიკოლო ათი წლით უმცროსია თავის ულამაზეს მეუღლეზე.

■

ჯულიეტ მილზი და მაქსველ კოლფილდი (სხვაობა 18 წელი)



სიუზენ სარანდონი და ტიმ რობინსი (სხვაობა 12 წელი)

ჩარლზ ბრონსონი და კიმ უიკსი (სხვაობა 41 წელი)

ნვრილვანეგის გაერთვერნეგელი

ინგლისელმა ჯეიმს დაისონმა თავიდან გამოიგონა მტვერსასრუტი, შრიკა და სარეცხი მანქანა

ჯეიმს დაისონის საყვარელი სარეკლამო ლოზუნგი ერთობ პარადოქსულია: „ძველი სარეცხი მანქანის შეცვლის დრო მოვიდა, რადგან მომავალი წარსულს ეკუთვნის“. მისი ახალი გამოგონება, კონტრაროტატორი, სარეცხ დაფაზე ხელების მოძრაობის იმიტაციას ახდენს: ორმაგი დოლურები ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით ბრუნავს და სარეცხს ჩვენი ბებიების მსგავსად რეცხავს. დაისონის აზრით, რადგან მანქანა ქსოვილს არა მხოლოდ აქეთ-იქით აფრიალებს, არამედ ჭმუჭნის კიდეც, თეთრეული უკეთ ირეცხება და რეცხვის პროცესს ორჯერ ნაკლები დრო სჭირდება.

იქნებ ეს მხოლოდ სარეკლამო ტრიუკია? თქვენ წარმოიდგინეთ, არა. ინგლისის საგრაფო უილტშირის მკვიდრი დაისონი მხოლოდ მეწარმე არ არის, ის გამომგონებელიცაა: თავისი კვლევითი განყოფილების თანაშრომლებთან ერთად მან კონტრაროტატორი გამოიგონა და ამ ჩანაფიქრს ხორციც შეასხა საკუთარ საწარმოში. უფრო მეტიც, დაისონი გამომგონებელთა იმ იშვიათ ტიპს მიეკუთვნება, რომელთაც თავიანთი იდეების სერიოზულ შემოსავლად გადაქცევა ძალუძთ. რამდენიმე წლის წინ მან თავიდან გამოიგონა ურიკა და მტვერსასრუტი და მათი სერიული გამოშვებაც დაიწყო. მისი კიდევ ერთი საყვარელი გამონათქვამია: „ბიზნესის წარმოება ყველას შეუძლია და არა მხოლოდ მათ, ვინც პიჯაკს ატარებს“. „გამომგონებლის ნიჭის მქონე ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ მისგან ბიზნესმენი არ დადგება, — ამბობს იგი. — ბიზნესმენები კი ამ აზრს აქტიურად უჭერენ მხარს“.

დაისონის ნამსახურობის ნუსხა მის სიტყვებს კიდევ ერთხელ ადასტურებს. DYSON APPLIANCES — ევროპაში ერთ-ერთი სწრაფადმზარდი ფირმაა. 1999 წელს განხორციელებულმა გაყიდვებმა 200 მლნ გირვანქა სტერლინგს გადააჭარბა (2000 წლის შედეგები ჯერ გამოქვეყნებული არ არის). მალმსბერიში მდებარე ქარხანაში 1800 თანამშრომელი სხვადასხვა ცვლაში დღედაღამ მუშაობს და კვირაში საყოფაცხოვრებო ტექნიკის 30 ათას ერთეულს აწარმოებს. შარშან მალაიზიაში კიდევ ერთი ქარხანა აშენდა — იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბაზარს ემსახურება. ბრიტანულ პრესაში დაისონი ხშირად მეწარმის ისეთ მაგალითად გვევლინება, რომელიც თვითონ ქმნის, აწარმოებს და ყიდის პროდუქციას, ამასთან, მას არასოდეს მისცემია საქმე სასამართლოში გაკოტრების საკითხთან დაკავშირებით.

53 წლის დაისონმა 500 მლნ გირვანქა სტერლინგის ქონება დააგროვა. თუ ახალი სარეცხი მანქანა ისეთივე წარმატებით გაიყიდა, როგორითაც მისი შექმნილი მტვერსასრუტი, დაისონის სახელი მოკლე ხანში ყველა დიასახლისისთვის იქნება ცნობილი.

ახალგაზრდობაში დაისონი ფერწერის შესწავლით იყო დაკავებული, მაგრამ სულ მალე ლონდონის ხელოვნების სამეფო კოლეჯში ავეჯისა და ინტერიერის დიზაინის განყოფილებაზე ჩაბარა, რაც მის ნიჭს უფრო შეესაბამებოდა. ის დეტალებს დიდ ყურადღებას აქცევს და ბოლომდე ბრძოლის პრინციპს მისდევს. „ვფიქრობ, საკმაოდ დიდი გამძლეობით გამოვირჩევი და, კარგი გაგებით, ჯიუტი ვარ, — ამბობს იგი. — დარწმუნებული ვარ, თუ პრობლემას შემადგენელ ნაწილებად დავყოფთ და თითოეულს ცალ-ცალკე განვიხილავთ, ყოველთვის შეიძლება მისი გადაწყვეტა“.

ჯერ კიდევ კოლეჯის დამთავრებამდე ყოველგვარი საინჟინრო განათლების გარეშე, ის ბრტყელძირიანი სადესანტო კატერების შექმნაში მონაწილეობდა, რომელიც შემდგომში მთელ მსოფლიოში დიდი მოთხოვნით სარგებლობდა (1973 წელს ეგვიპტის ჯარებმა სუეცის არხი იმ მცურავი „ბეტეერების“ საშუალებით გადალახეს, რომელიც დაისონის პროექტის მოდიფიკაციას წარმოადგენდა). შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში ის საინჟინრო კომპანიაში მუშაობდა. 27 წლის ასაკში უცნაური ურიკა დააპატენტა, რომელსაც ბორბლის ნაცვლად, პლასტიკის ბურთი ჰქონდა, რაც მას მეტად მანევრირებადსა და სხვა ურიკებთან შედარებით უფრო მდგრადს ხდიდა. აღნიშნული გამოგონებიდან შემოსავალს კომპანია იღებდა, რომელიც ნაწილობრივ უკვე დაისონს ეკუთვნოდა.

ამ მომენტში დაისონს წარმატებისკენ მიმავალ გზაზე გარკვეული წინააღმდეგობები შეხვდა. ერთხელ, 1979 წელს დაისონი ძლიერ დანაღვლიანდა იმის გამო, რომ მისი მტვერსასრუტი გაიჭედა. უცებ საოცარი აზრი დაებადა, რომლის შედეგად მსოფლიოში პირველი უტომრო მტვერსასრუტი გამოიგონა (ის ჭუჭყისა და ჰაერის განსაცალკევებლად ცენტრიდანულ ძალას იყენებს). საწყისი კაპიტალის ნაწილი ძველ მეგობარს გამოართვა, დანარჩენი კი ურიკების წარმოების საკუთარი წილიდან აიღო. დაისონს სახლის დაგირავება და თავისი საბოსტნე მიწის ნაკვეთის ნაწილის გაყიდვაც მოუწია. მან განაცხადა, რომ სუპერეფექტური მტვერსასრუტი — „დაისონის ორმაგი ციკლონი“ ყველაზე დიდი მოვლენა იქნებოდა 1908 წლის შემდეგ, როცა კომპანია HOOVER-ის პირველი მტვერსასრუტი გამოვიდა. მიუხედავად ამისა, ყველა მსხვილმა კომპანიამ, BLACK & DECKER და ELECTROLUX-ის ჩათვლით, უარი განაცხადა დაისონის მოდელის ლიცენზიით წარმოებაზე. „მათ ვერც კი ამიხსნეს უარის მიზეზი, — ამბობს დაისონი, — მე ვბრუნდებოდი და ვფიქრობდი — ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ეს არის შანსი, შესთავაზო მომხმარებელს რაღაც ახალი და უკეთესი ხარისხი?!“ დღეს მის მოდელებს, თავისი პროდუქციის გამოშვებისას ბევრი კომპანია იყენებს.

დაისონი ხალისით ლაპარაკობს იმაზე, თუ ამგვარი მოვლენების შემხედვარემ რა გაკვეთილები მიიღო და არაკეთილმოსურნეთა დაწვრილებითი სიაც მოჰყავს. საკუთარ თავზე საუბრისას ძნელად მალავს გაღიზიანებას: დიდ კორპორაციებს სიახლეები არ უყვარს — ისინი ზარმაცები და ზედმეტად თავდაჯერებულნი არიან იმისათვის, რომ რაიმე შეცვალონ. ინვესტორები — მშიშრები და ხარბები არიან. საპატენტო კანონმდებლობა კი ძალიან სუსტია, რომ წვრილი გამომგონებელი დაიცვას.

1987 წლისთვის კომპანია AMWAY-მ საკუთარი მტვერსასრუტების წარმოება დაი-

წყო, რომელთა მუშაობის პრინციპი გასაოცრად ჰგავდა დაისონისა და მისი „ორმაგი ციკლონის“ მიერ შემოთავაზებულს. დაისონმა გამოგონების დასაცავად სასამართლოს მიმართა, მაგრამ გარჩევა ხუთი წლით გაიწელა და მეწარმე თითქმის გაკოტრების ზღვრამდე მიიყვანა. ბოლოს მხარეებმა მშვიდობიანად მოილაპარაკეს. სანამ ბრძოლა მიმდინარეობდა, დაისონმა სალიცენზიო შეთანხმება გააფორმა ერთ-ერთ იაპონურ კომპანიასთან მტვერსასრუტების წარმოებასა და გაყიდვაზე. მტვერსასრუტი სწრაფად გახდა რეალიზაციის ლიდერი და თავის ავტორს გარკვეული ფინანსური კეთილდღეობა მოუტანა.

იაპონიაში მიღწეული წარმატების მიუხედავად, დიდ ბრიტანეთში წარმოების ორგანიზებისთვის სინვესტიციო კომპანიებსა და ბანკებს თანხის გაღება არ სურდათ. ბოლოს და ბოლოს, ფული ადგილობრივმა ბანკმა გაიმეტა (დაისონის გადმოცემით, ბანკის დირექტორის ცოლი უტომრო მტვერსასრუტის იდეამ საოცრად მოხიბლა). პირველი „ორმაგი ციკლონი“ კონვიერიდან 1993 წელს ჩამოვიდა. ბაზარზე იდეის დამკვიდრებას 15 წელიწადი და მრავალი ათასი მოდელის მოსინჯვა დასჭირდა, მაგრამ ბრძოლა ჯერ დასრულებული არ იყო. დაისონმა სასამართლოში კომპანია HOOVER-ს უჩივლა და ბრალი დასდო იმაში, რომ მან ნოვატორს კუთვნილი მოდელი მოჰპარა. საქმის გარჩევა წელიწადნახევარი გაგრძელდა და დაისონს 500 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. შარშან ლონდონის სასამართლომ საქმე დაისონის სასარგებლოდ გადაწყვიტა და ამჟამად ზარალის ოდენობას ადგენს. დაისონი ამბობს: „ვრძელ დისტანციებზე რბენის გამოცდილება, რასაც სკოლაში მივსდევდი, ძალიან გამომადგა. მივხვდი, არ შეიძლება შეჩერება, როცა ძალები გამოგელევა, — სინამდვილეში, ამ მომენტში ტემპს უნდა უმატო.“

„პიჯაკიანებმა“, როგორც ახლა ყველასათვის ნათელი გახდა, ვერაფერი გაიგეს. „ორმაგი ციკლონი“ ევროპაში მტვერსასრუტებს შორის ყველაზე კარგად იყიდება, დიდ ბრიტანეთში კი კონკურენტის მოდელებს რეალიზაციით ცხრაჯერ აღემატება. ეს ტექნიკური აზრის ნამდვილი შედეგია — მრავალი მოხერხებული მოწყობილობით, მაღალტექნოლოგიური და, ამავე დროს, ელეგანტური დიზაინით. ჩანს, რომ მყიდველებს დაისონის მტვერსასრუტში მის ღირებულებაზე მეტი თანხის გადახდაც არ დაენანებოდათ. „ადამიანები ხშირად ერთდროულად ორ „დაისონს“ იძენენ — ერთს სამსახურისთვის, მეორეს კი სახლისთვის, — ამბობს მაიკლ როზენტალი, ლონდონის ერთ-ერთი მაღაზიის გამყიდველი. — ამ მტვერსასრუტებს რეკლამა არ სჭირდება — თავისით იყიდება“.

თავად დაისონს თუ დავუჯერებთ, მისი მტვერსასრუტებით წმენდენ ხალიჩებს ბუკინგემის სასახლის სამეფო აპარტამენტებსა და დაუნინგ-სთრითის №10-ში — ბრიტანეთის პრემიერის რეზიდენციაში.

მისი თანამშრომლები დიდი კომპანიის შეცდომებს არასოდეს გაიმეორებენ. დაისონმა ყველაფერი გააკეთა, რათა ფირმა ე.წ. „თეთრი საყელოების“ კატორღა კი არა, ის ადგილი ყოფილიყო, სადაც შემოქმედებას უწყობენ ხელს. მისი ქარხანა სოფელში, სამრეწველო არქიტექტურის უახლესი მიღწევების გათვალისწინებით არის აგებული — ტალღისმაგვარი სახურავი, ანგარების მსგავსი დიდი საამქროები. პირადი მიზნით სამსახურებრივი ფოსტით სარგებლობა იკრძალება, მაგრამ არავინ აიძულებს თანამშრომლებს ჰალსტუხისა და პიჯაკის ტარებას (თვით დაისონმა მხოლოდ ერთხელ გაიკეთა ჰალსტუხი, როცა მის ქარხანას უელსის პრინცი ესტუმრა). „არ მსურს, თანამშრომლებს სამსახურში მოსვლისას მედიდურობის გრძნობა იპყრობდეთ, — ამბობს დაისონი. — ჩვენ საყოფაცხოვრებო მოხმარების საქონელს ვაწარმოებთ, ჩვეულებრივ ყოფასა და სახლში კი ხალხი კოსტიუმებით არ დადის“. განყოფილებებს შორის საზღვრები შეგნებულად არის წაშლილი. ყველა თანამშრომელი — ინჟინერი თუ გაყიდვების მენეჯერი, თავის კარიერას საკუთრივ მისთვის განკუთვნილი მტვერსასრუტის შექმნით იწყებს. კომპანიაში არ არსებობს ძვირი სარეკლამო სააგენტო, არ იწვევენ კონსულტანტებსა და მარკეტოლოგებს. თანამშრომელთა მეოთხედი, რომელიც უშუალოდ ტექნიკური შემუშავებით არის დაკავებული, მიზნის მიღწევას ხშირად, შემოვლითი გზით ცდილობს. ტანსაცმლის რეცხვის საუკეთესო საშუალების ძიებისას, დაისონის ინჟინრებმა თეთრეულის მიკროტალღებით „დაბომბვა“ სცადეს, შემდეგ ელექტრომაგნიტური ველის „ზემოქმედების ქვეშ მოაქციეს, ბოლოს კი, კონტრაროტატორის მარტივ იდეაზე შეჩერდნენ.

რა იქნება შემდეგ? დაისონი ამაზე ბევრს არ საუბრობს, თუმცა საყოფაცხოვრებო სფეროდან წასვლას არ აპირებს. „ჩემი გატაცება სახლია, რადგან სახლი მეც მაქვს“. სხვათა შორის, მას სამი სახლი აქვს: ორი დიდ ბრიტანეთში და ერთი — საფრანგეთში. „მე ვთვლი, რომ საყოფაცხოვრებო ტექნიკას ისეთ ყურადღებას არ უთმობენ, როგორსაც ის იმსახურებს“. ამჟამად შექმნის პროცესშია რობოტი-მტვერსასრუტი, რომელიც თავად გაიკვლევს გზას ოთახში, გვერდს აუვლის ავეჯსა და ბავშვებს. ჯერჯერობით კი, დაისონმა უნდა დაიყოლიოს მყიდველები, ჩვეულებრივი მოდელის ფასზე ორჯერ მეტი თანხა — 1.000 გირვანქა სტერლინგი გადაიხადონ კონტრაროტატორის ახალ მოდელში, რომელიც, როგორც მისი შემქმნელები ირწმუნებიან, გაცილებით მეტს და უკეთ გარეცხავს.

რიჩარდ პერკსი, CORPORATE INTELLIGENCE GROUP-ის საკალო ვაჭრობის კონსულტანტი ამბობს: „იმისათვის, რომ ასეთი ფასი გაამართლოს, მანქანამ კარგად კი არა, ძალიან კარგად უნდა იმუშაოს“. ამას კი მომავალი გვიჩვენებს.

მომხმარებელთა ასოციაციის ანგარიში მოდელის მაღალ ტექნოლოგიურობას ადასტურებს, თუმცა მის ავტორებს მტვერსასრუტის ფასი აეჭვებთ. დაისონი კი დარწმუნებულია თავისი გადაწყვეტილების სისწორეში. „საოცარია — მწარმოებლები და გამყიდველები ფიქრობენ, რომ წარმატებას მხოლოდ ის აღწევს, ვინც იაფ საქონელზე მუშაობს, — ამბობს იგი. — ეს აღმაშფოთებლად ზედაპირული მიდგომაა, თუმცა იმავეს ამბობდნენ „ორმაგ ციკლონზე“ და თუ მომხმარებლები კიდევ ერთხელ გამოავლენენ სიახლისადმი რწმენას, დაისონი ახლო მომავალში ისევ კარგ შემოსავალს მიიღებს.

■

დასაწყისი იხ. „გზა“ №13- 18

ბესიკ კეკელიძე

მეუწყლებელი მეწყლება

ზურამ ტელევიზორი ჩართო. მოულოდნელად რაღაც გაახსენდა, წამოდგა, საწერ კალამს და ფურცელს დაუწყო ძებნა. სამზარეულოში მაცივრის თავზე მონახა. მაგიდას მიუჯდა და წერას შეუდგა:

„გამარჯობა, შატო!

როგორ ხარ? იმედია, ექიმების დახმარებით, უკეთ იქნები. გიგზავნი ორი ათას ხუთას დოლარს. ჯანმრთელობას მიხედე. ამ წერილს როცა წაიკითხავ, მე უკვე შორს ვიქნები.

გისურვებ გამოჯანმრთელებას და მალე გათავისუფლებას.

ზურა“

რამდენჯერმე გადაიკითხა, გადაკეცა და შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიდო. ისევ ტელევიზორს მიუბრუნდა. ფიქრმა ჩაითრია:

„მე მგონი, ლაგდება ჩემი ცხოვრება. აღმართს დაღმართი მოსდევს, დაცემას — წამოდგომა. ერთი, ეკა მანახვა და მეტი არაფერი მინდა,“ — ღრმად ამოიოხრა და ეკრანს მიაცქერდა, მოდების ჩვენება მიმდინარეობდა. მაღალი, აშხვართული გოგონები პოდიუმზე გამომწვევად დაიარებოდნენ, — რითია ხალხი დაკავებული, იმიტომ ცხოვრობენ, რომ ისიამოვნონ, თავი ბედნიერებად იგრძნონ. ჩვენთან კი, რა ხდება, რა ქაოსია, — ებუტბუტებოდა საკუთარ თავს, — ამ ნაძირალებმა ქვეყანა და ხალხი გაჟიმეს, მიწასთან გაასწორეს და ცოცხლად დაასამარეს. ტელევიზორში გამოდიან და ისეთი წყნარი ტონით ჰყვებიან თავიანთ ჩასვრილ საქმეებზე, თითქოს სხვა ქვეყანაზე საუბრობდნენ. ყავა მოიდუღა. რამდენიმე ყლუპი მოსვა. კარის გაღების ხმა შემოესმა.

— მოვედი, — დაიძახა მარინამ.

ზურა წამოდგა, ქალს, რომელსაც უამრავი დიდი ცელოფანის პარკი ეკავა, შეეგება. რამდენიმე გამოართვა:

— რა ამბავია, — შეიცხადა, — ამდენი რად გინდოდა?

— ჩაცმას დიდი მნიშვნელობა აქვს, მინდა, რომ კარგად, თანამედროვედ გეცვას, — გაუღიმა მარინამ და პარკები სასტუმრო ოთახში, დივანზე დააწყო. პარკებიდან ტანსაცმლის ნელ-ნელა ამოლაგებას შეუდგა. ყველაფერს სიხარულით უჩვენებდა და გვერდით ალაგებდა.

— ჰალსტუხი ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მეკეთა. ისიც, ჩემმა მეჯვარემ ძალით შემაბა, — ვერ შეიკავა სიცილი ზურამ.

— რას ამბობ? ჰალსტუხი მამაკაცს მეტ სოლიდურობას მატებს, — მარინამ ზურას ახალი პერანგი ჩააცვა, ჰალსტუხი გაუკეთა და პიჯაკი მიაწოდა, — ჩაიცვი და პასპორტისთვის სურათს გადაგიღებ.

კედელზე თეთრი ზეწარი ჭიკარტებით მიამაგრეს და წინ სკამი დაუდგეს. ქალმა ფოტოაპარატი გამოიტანა და ზურას რამდენიმე კადრი გადაუღო.

— ბავშვები რა ხნისანი არიან? — იკითხა მამაკაცმა.

— ლუკა ათი წლისაა, ნინიკო — შვიდის. შენი შვილი რამდენის არის?

— ჩემი, დიდი გოგოა, მეთოთხმეტეშია, — მიუგო ზურამ.

ცხრა საათზე სასაფლაოსთან ზურა მერაბს შეხვდა, მარინა მანქანაში ელოდა. ბიჭებმა ერთმანეთი გადაკოცნეს:

— მერაბ, ახლა ყურადღებით მომისმინე, — თვალებში შეჰყურებდა თანაკლასელს, — ამ მისამართზე ცხოვრობს ჩემი ყოფილი ცოლი, — გაუწოდა ფურცელი, — ვახო გააგზავნე და ეკას კოლეჯის ზუსტი მისამართი გამიგოს. შემდეგ, როდესაც ქვეყნიდან გავალ, აი, ეს ფული და წერილი ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, შატო ქავთარაძეს მიუტანეთ.

— რამდენია? — გამოართვა დოლარების შეკვრა და ჯიბეში ჩაიდო.

— ორი ათას ხუთასი, მაგრამ ჯერ არ დამიმთავრებია. ეს ფული, დათოს დედას მიუტანე.

— აქ რამდენიღაა? — გაკვირვებული შეჰყურებდა მღვდელი.

— აქაც იმდენია. აი, ეს ხუთი ათასი შენ, — გაუწოდა.

— რაა? — შეიცხადა თანაკლასელმა, — მე არ მინდა ფული.

— აიღე, დაგჭირდება. მე მაყუთი მაქვს.

— ბიჭო, ბანკი გაძარცვე თუ რა არის?

— არა, ჩემი კუთვნილი ფული დამიბრუნეს. შენ კი, მოსამართლე რომ გამაზე, საკუთარ ოჯახს მოაკელი...

— ზურა, ფული შენ უფრო გჭირდება, — საუბარი გააწყვეტინა მერაბმა.

— ეგ ფული ჩემგან ჰქონდეთ შენს შვილებს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ. დიდი მადლობა ასეთი თანადგომისთვის, — მოეხვია ზურა მოძღვარს.

— იმ ქალთან იცხოვრებ?

— ჰო, წასვლამდე იქ ვიქნები. მისი მობილურის ნომერი დაიმახ-

სოვრე და ეკას მისამართს როცა შეიტყობ, დამირეკე.

— შენს წასვლამდე არ შევხვდეთ?

— შევხვდებით.

საუბარ-საუბრით სასაფლაოდან გამოვიდნენ. ზურა მარინას „ჯიპში“ ჩაჯდა, მღვდელი კი, თავის მანქანაში.

***

ზურა ღიმილით დაჰყურებდა ლტოლვილის საბუთსა და პასპორტს, რომელშიც მისი სურათი იყო ჩაკრული, ხოლო სახელი და გვარი — კახაბერ ბართაია ეწერა. ესპანეთის ვიზა სწრაფად გაკეთდა, ხოლო ინგლისის — გაჯანჯლდა. ათი დღის თავზე ინგლისის ვიზაც პასპორტში ჰქონდა ჩაწებებული.

— ახლა ასე მოვიქცეთ, — დივანზე ჩამოუჯდა მარინა, — ბილეთს აგიღებ — მოსკოვი-ლონდონი და ლონდონიდან ბარსელონაში გადაფრინდები. მოსკოვამდე კი ავტობუსით უნდა წახვიდე.

— რატომ ავტობუსით? ავტობუსით ვლადიკავკაზამდე ჩავალ და იქიდან მოსკოვში გადავფრინდები.

— ეგ სულ არ გამახსენდა. ვლადიკავკაზამდე მე თვითონ ჩაგიყვან. ხვალ დილას გავიდეთ, — წამოდგა ქალი და ბარგის ჩასალაგებლად ხელჩანთას დაუწყო ძებნა.

ზურამ მერაბთან დარეკა და საღამოს ცხრა საათზე, ვახოსთან ერთად ტვერელის ეკლესიასთან დაიბარა.

მოსაღამოვდა. მარინამ ზურა ტაძრამდე მიიყვანა. ბიჭები ეზოში ელოდნენ. ერთმანეთი გადაკოცნეს და სატრაპეზოსკენ წავიდნენ. მოძღვარმა წითელი ღვინო გამოიტანა და ჭიქებში ჩამოასხა.

— დათოს და ჩემი მშობლების საფლავებზე ვიყავი, იქიდან მოვდივარ, — ხმაში ნერვიულობა ეტყობოდა ზურას, — მოდი, იმათი ხსოვნა იყოს, ვინც ჩვენი ხელიდან შენდობას ელის, — გამოსცალა სასმისი.

თანაკლასელებმაც შესვეს. მერაბმა ღვინო ჩამოასხა.

— მერაბ და ვახო, თქვენ გაგიმარჯოთ, თქვენი ჭირიმე, მხარში ასე რომ ამომიდექით. როგორც კი ფეხზე დავდგები, იქიდან დაგიკავშირდებით, მხოლოდ კახა ბართაიას სახელითა და გვარით.

— ხვალ მიდიხარ? — ჰკითხა ვახომ.

— კი.

— გზას დაგილოცავ, — მხარზე ხელი მოჰხვია ვახომ, — კოლეჯის მისამართი ხომ ჩაიწერე?

— რად მინდა ჩაწერა, ბეიკერის ქუჩაზე, დედოფლის სახელობის კოლეჯი, ზეპირად ვიცი.

— უფალი იყოს შენი მფარველი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — პირჯვარი გადასწერა მოძღვარმა. ჯიბიდან ფსალმუნების წიგნი ამოიღო და გაუწოდა, — დღეში ერთი კანონი წაიკითხე და ყველაფერში შეგეშველება.

ბიჭები ერთმანეთს დაემშვიდობნენ და სატრაპეზოდან გამოვიდნენ. ზურა მანქანაში ჩაჯდა:

— მარინა, ძალიან გთხოვ, სახლთან გამატარე.

რამდენიმე წუთში, არსენას ქუჩაზე, ზურას სახლის შორიახლოს იდგნენ. ზურა დარდსავსე შეჰყურებდა ჩაბნელებულ ფანჯრებს, რომელთა მიღმა, მისი ყველაზე ბედნიერი წლები, მისი ბავშვობა ჩამალულიყო და დამტვერილი მინები გაზაფხულის სავსე მთვარეს ირეკლავდა.

— ეჰ, — ოხვრით დაემშვიდობა იქაურობას, — წავედით, — გადაულაპარაკა ქალს და ყელში გაჩხერილი ნერწყვი ძლივს გადაყლაპა.

დილაუთენია „ტოიოტას ჯიპი“ თბილისი-ყაზბეგის გზატკეცილზე მიქროდა. ქუმლისციხეში ჩავიდნენ.

— მოდი, დღეს სასტუმროში დავრჩეთ. შენი რეისი მოსკოვიდან, მაინც ზეგ საღამოს არის, — გაბრწყინებული თვალებით შესცინებდა მარინა.

— კი ბატონო, — კისერზე მოუთათუნა ზურამ.

სასტუმრო „გუდაურთან“ ავიდნენ და ერთი ღამით ლუქსი დაიკავეს.

— საჭმელ-სასმელს ნომერში ამოვატანინებ, ნომრიდან ნუ გავალთ, — ჩაილაპარაკა მარინამ.

— ასე აჯობებს, — დაეთანხმა ზურა და სააბაზანოსკენ წავიდა.

ცხელი შხაპის შემდეგ, სპორტული ტანსაცმელი გადაიცვა. სასტუმრო ოთახში გავიდა და ფანჯარასთან დადგა. ცად აწვდილ მთებს, რომელიც არემარეს დეევებივით გადმოჰყურებდა, თოვლი ქუდივით ჩამოჰფხატვოდა, ნისლი წელსქვემოთ ქამარ-ხანჯალივით შემორტყმოდა და ფერდობები ცხვრის ფარით დასწინწკვლოდა. შავი არაგვი, რომელიც შორიდან პატარა რუსავით მოჩანდა, მიკლაკნილ-მოკლაკნილიყო და თავის ღვარცოფა ხასიათს მთებს უჩვენებდა.

— ჯერ არ წავსულვარ და ნოსტალგია უკვე მაწუხებს, — შემობრუნდა ქალისკენ, რომელიც სავარძელში იჯდა და ზურას მიშტერებოდა, — დღეს დავლევ — ანესთეზიას გავიკეთებ, თორემ აქაურობის დატოვება ძალიან მიჭირს, როდისღა მეღირსება სამშობლოში დაბრუნება.

მარინამ ადმინისტრატორს დაურეკა და რესტორნიდან შეკვეთის ამოტანა სთხოვა. ცოტა ხანში არაყი „აბსოლუტი“ და თევზეული ამოიტანეს. ზურამ პატარა ჭიქებში ჩამოასხა:

— მოდი, ჩემთან დაჯექი, — თავისთან მოიხმო ქალი, რომელიც წამოდგა და კალთაში ჩაუჯდა, — მარინა, შენ გაგიმარჯოს, — მიუჭახუნა სასმისი, — შენ რაც გამიკეთე, ეს ფანტასტიკის სფეროა, უბრალოდ, ვინმეს რომ მოვუყვე, არ დამიჯერებს. დიდი მადლობა ყველაფრისთვის, — ზურამ არაყი გადახუნა, ქალი მიიზიდა და ტუჩებში ჩაეკონა, დიდი ვნებით ეფერებოდა. არაყი თითქმის გამოსცალა. მარინა პატარა ბავშვივით მკლავებში აიტატა და საძინებელი ოთახისკენ წაიყვანა. ორი სხეული, ხორციელი სიყვარულის უსასრულობაში უკანასკნელად ჩაიძირა.

დილით ისაუზმეს, ყავა მიაყოლეს და ყაზბეგისკენ გაემგზავრნენ. სასაზღვრო კონტროლი უპრობლემოდ გაიარეს და ვლა-

დიკავკაზის გზას დაადგნენ. აეროპორტში მოსკოვისკენ მიმავალი თვითმფრინავის ბილეთი შეიძინეს. გაფრენამდე ნახევარი საათით ადრე რეგისტრაციის დახლთან მივიდნენ. რეგისტრატორმა პასპორტში აღნიშვნა გააკეთა, ბილეთზე შტამპი დასვა და ზურას მიაწოდა. ჩასხდომა გამოცხადდა. ქალი ზურას მოეხვია და ყურში ჩასჩურჩულა:

— მე არ გემშვიდობები. როგორც კი დაბინავდები, შემატყობინე და შეძლებისდაგვარად ჩამოვფრინდები.

— დიდი მადლობა, მაგარი ჯიგარი ხარ, — ზურამ აკოცა, ჩანთა დაიხელა და გასასვლელისკენ წავიდა.

თენდებოდა, როდესაც ზურამ ლონდონის აეროპორტში ყოველგვარი კონტროლი გაიარა. ქუჩაში გავიდა, ტაქსი გააჩერა და ბეიკერის ქუჩაზე გაყვანა სთხოვა. კოლეჯთან ჩამოვიდა, კარისკაცთან გაარკვია, თუ რომელ საათზე იწყებოდა სწავლა. შემდეგ იქვე ახლოს, სასტუმროში ნომერი აიღო.

ლონდონში ჩვეულებრივი, ინგლისური, ნისლიანი ამინდი იდგა. ზურა კოლეჯის შესასვლელ კარს მიყრდნობოდა და შენობაში შემავალ ყველა ბავშვს გაფაციცებით ათვალიერებდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, ყოველ გოგონაში ეკას ხედავდა. ნერვიულობისგან სიგარეტიც კი შეიძინა და ღრმა ნაფაზი დაარტყა. ნიკოტინმა თავბრუ დაახვია.

ამ დროს ქალიშვილი შეამჩნია. სიგარეტი ურნაში ჩააგდო და დაიყვირა. არა, მისგან ამომავალი ხმა, ბღავილს უფრო ჰგავდა:

— ეკა, ეკა!

ბავშვმა აქეთ-იქით მიმოიხედა. მამა დაინახა. გაკვირვებისგან ჩანთა ხელიდან გაუვარდა და სირბილით მშობლისკენ გამოექანა:

— მამა, მამიკო, ჩემი საყვარელი მამა, როგორ მომენატრე, — მთელი ძალით ჩაეკრა და ტირილი მორთო.

— დაწყნარდი, მამიკო, — ცრემლი შეუმშრალა ზურამ. ამდენი სიმწარის შემდეგ, ძლივს იგრძნო თავი ბედნიერად, — წამოდი, დავსხდეთ, — მიუთითა კაფესკენ.

— მამიკო, ლექციებიდან გავეთავისუფლები და ახლავე, — კოლეჯისკენ გაიქცა ეკა.

რამდენიმე წუთში უკან დაბრუნდა და მამა-შვილი კაფესკენ წავიდა. ზურამ ქალიშვილისთვის ჩაი და ნამცხვარი შეუკვეთა, თავისთვის — ყავა.

— დედამ მითხრა, ისევ დაიჭირესო.

— კი, მაგრამ გამოვიქეცი...

— რაა? — გაკვირვებისგან პირი დააღო ეკამ.

ზურამ პასპორტი ამოიღო და გაუწოდა:

— ნახე, კახა ბართაია ვარ, — გაუღიმა გოგონას.

ეკამ მამის სურათს დახედა, შემდეგ გვარი და სახელი წაიკითხა:

— მამა, ეს რა არის?

ზურა ჩაფიქრდა და მშვიდი ტონით დაიწყო საუბარი:

— ეკა, შენ პატარა აღარ ხარ, ყველაფერი უნდა მოგიყვე. უნდა იცოდე, რატომ ამერ-დამერია ცხოვრება, ციხეში რატომ მოვხვდი და საერთოდ, ვინ არის მამაშენი, — განვლილი პერიოდის გახსენება ზურას გულს სტკენდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და უამბო, თუ როგორ ჩაწიხლა ცხოვრებამ.

ქალიშვილი მამას თვალებში მიშტერებოდა და მის ყოველ სიტყვას გულისყურით უსმენდა. სახეზე სიბრალული აღბეჭდვოდა. თხრობის შემდეგ, გულნატკენმა ამოიოხრა:

— ახლა რას აპირებ?

— მამიკო, — თავზე ხელი გადაუსვა ზურამ, — მე რომ მნახე, არავისთან წამოგცდეს.

— ვიცი, — თავი დაუქნია ეკამ.

— რას ვაპირებ და ესპანეთში მივდივარ, იქ დავსახლდები, რაიმე ბიზნესს დავიწყებ. შენ კოლეჯს როდის ამთავრებ?

— მომავალ წელს.

— ამასობაში საქმეს ავაწყობ, მოვმძლავრდები, მერე ჩემთან წაგიყვან საცხოვრებლად. წამოხვალ?

— როგორ არ წამოვალ, — გაიღიმა ეკამ.

— იქ, რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში მოგაწყობ და სწავლას გააგრძელებ.

— ინგლისში რამდენი დღე დარჩები?

— ერთ კვირაში ვიზას ვადა გასდის. მამიკო, სად ცხოვრობ? — სიყვარულით შესცქეროდა ზურა ქალიშვილს.

— კოლეჯის საერთო საცხოვრებელში.

— მამა, გინდა ჩემთან, სასტუმროში გადმოდი. სანამ აქ ვარ, ერთად ვიყოთ.

— სიამოვნებით, — დაეთანხმა ქალიშვილი.

— ერთი რაღაც მინდა გითხრა: იცოდე, რომ მე შენს მეტი არავინ დამრჩა, შენით იწყება და მთავრდება ჩემი ცხოვრება. მომეცი საშუალება, რომ თავი ბედნიერად ვიგრძნო.

ეკა სკამიდან წამოდგა, მამასთან მივიდა და ჩაეხუტა:

— ჩემო ერთადერთო და საყვარელო მამიკო, მე შენი შვილი ვარ და სხვანაირად ცხოვრება არც შემიძლია. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. ■



ბობოქარი ვნებები

ამა წლის 7 თებერვალს ლოს-ანჯელესის უზენაეს სასამართლოში 37 წლის ამერიკელმა მოქალაქემ ტომ კრუზმა 33 წლის ავსტრალიელ ნიკოლ კიდმანთან განქორწინების თაობაზე განცხადება შეიტანა. თითქოსდა, არაჩვეულებრივი არაფერი მომხდარა, ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში ყველაზე ცნობილი ვარსკვლავური ოჯახები დაინგრა: ჯერ ბრიუს უილისი და დემი მური დაშორდნენ, შემდეგ ჯიმ ბესინჯერი და ალეკ ბოლდუინი. თუმცა ეს წყვილები საკმაოდ რესპექტაბელურად და ინტელიგენტურად დასცილდნენ, ტომ კრუზი კი კანონმორჩილმა ამერიკელებმა იმის გამო აითვალწუნეს, რომ გაყრისას არაკანონიერ მეთოდებს იყენებდა. ახლა კი ყველაფერი ნათელი გახდა...

ტომი საოცრად პედანტური ადამიანია. მისი ბლოკნოტი — უახლოესი ათი წლის მანძილზე გათვლილი ყოველდღიური გეგმით, დიდი ხანია ჰოლივუდში ხუმრობის საგნად არის ქცეული. გაყრის შესახებ განცხადებაში ტომმა აღნიშნა, რომ ნიკოლთან მისი ქორწინება, ფაქტობრივად, ცხრა წელი და თერთმეტი თვე გრძელდებოდა და არც ერთი დღით მეტი. ეს კი სავსებით შეესაბამება მსახიობის ხასიათს. არადა, 2000 წლის 24 დეკემბერს ტომმა და ნიკოლმა საზეიმოდ აღნიშნეს ქორწინების 10 წლისთავი. ტომ კრუზის ადვოკატმა დენის ვასერმა (იგი მსახიობების — რიჩარდ დრეიფუსის და ჯეიმს ვუდსის განქორწინებასაც წარმართავდა) განმარტა: მსახიობი გულისხმობდა, რომ მისი ქორწინება იურიდიულად თუ არა, ფაქტობრივად მაინც, ჯერ კიდევ 2000 წლის ნოემბერში დასრულდა. სიმართლეა ეს თუ არა?

ცნობილია, რომ ქორწინების 10 წლისთავი ოჯახმა ლოს-ანჯელესის სახლში აღნიშნა. ახლობლებისა და მეგობრების თანდასწრებით ტომმა და ნიკოლმა ოჯახური არქივიდან ცოლქმრული ფიცის ტექსტი ამოიღეს, რომელიც ათი წლის წინათ ქორწინებამდე იქნა შედგენილი და კვლავ საზეიმოდ წარმოთქვეს: „ვფიცავთ, ერთმანეთს არასოდეს დავშორდეთ სამ კვირაზე მეტი ხნით. ვფიცავთ, რომ ათი, ოცი და ორმოცდაათი წლის შემდეგაც ისეთივე სინაზით მოვეპყრობით ერთმანეთს, როგორც ახლა!“ მეუღლეებმა ფიცი ისეთი ვნებიანი კოცნით განამტკიცეს, რომ ყველა დამსწრისთვის ნათელი გახდა — მათი ფიცი ათი წლის განმავლობაში ოდნავადაც არ გახუნებულა... ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, დეტალურად აღწერა გაზეთებმა.

„ნუთუ ეს ტომის თაღლითობის დადასტურება არ არის? — გადაწყვიტეს ამერიკელებმა. — მას უბრალოდ, ალიმენტის გადახდისგან თავის დაღწევა აქვს გადაწყვეტილი“. კალიფორნიული კანონების მიხედვით, ხომ იმ ქორწინების დარღვევისას, რომელიც ათ წელზე მეტ ხანს გრძელდება, უფრო შეძლებულმა მეუღლემ ნაკლებად შეძლებულს ალიმენტები მანამ უნდა უხადოს, ვიდრე ეს უკანასკნელი ხელახლა არ დაქორწინდება. და იმ შემთხვევაში, თუ „ნაკლებად შეძლებული“ თავიდან დაოჯახებას არ ისურვებს — მაშინ მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა არჩინოს, ხოლო თუ ქორწინება ათ წელზე თუნდაც ერთი თვით ნაკლები პერიოდი გრძელდებოდა, მოსამართლეს შეუძლია ფინანსური მხარდაჭერის აღმოჩენის გადაწყვეტილება მიიღოს, ოღონდ ქორწინების

ოჯახური იდილია კიდმან-კრუზულად

ვადის ნახევარი დროის განმავლობაში. ისიც დამოკიდებულია მოსამართლის სურვილზე: ან გადაახდევინებს, ან — არა. ყოველ შემთხვევაში, ტომ კრუზმა სასამართლოს განუცხადა, რომ მატერიალური მხარდაჭერის საკითხის განხილვაც კი არ სურს: „ქალბატონი კიდმანი მაღალანაზღაურებად მსახიობთა რიგს მიეკუთვნება (მისი ჰონორარი თითოეულ როლში 10 მილიონ დოლარს აღწევს) და თავის რჩენა დამოუკიდებლად შეუძლია“.

„ნიკოლი საოცრად დათრგუნვილი ჩანს, დათრგუნვილი კი არა — სრულიად განადგურებულია! — ამბობს მისი ძველი მეგობარი, ავსტრალიელი რეჟისორი ჯონ დიუგანი. — ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია! სულ ახლახან მათი ქორწინების იუბილე აღვნიშნეთ, შემდეგ ისინი ლას-ვეგასში, ატრაქციონების პარკში გაემგზავრნენ, ატრაქციონებზე კი ყვიროდნენ და ბავშვებივით ერთობოდნენ“.

საზოგადოების განაჩენი მკაცრი აღმოჩნდა: ტომ კრუზი — უგულო ნაძირალაა, რომელმაც უმიზეზოდ მიატოვა ცოლი და არაფერს მოერიდა, რათა უფულოდ დაეტოვებინა... „მე არ ველოდი, თუ ტომი განქორწინებას მოისურვებდა. მით უმეტეს, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ეს ასე უეცრად მოხდებოდა“, — ამბობდა დაბნეული ნიკოლი. ის ცდილობდა, ხალხში არ გამოჩენილიყო და სასამართლოს შესახებ განცხადებებს არ აკეთებდა. თებერვლის შუა რიცხვებში კი სადღაც გაქრა...

განქორწინების თაობაზე შეტანილ სარჩელში ტომმა ბუნდოვნად მიუთითა მიზეზი: „გადაულახავი უთანხმოებები“. მანამდე, 5 თებერვალს გაკეთებულ განცხადებაში მსახიობის საზოგადოებასთან ურთიერთობის აგენტი პეტ კინგსლი ამბობდა, რომ პრობლემები ხანგრძლივმა განშორებამ წარმოშვა (გადაღებები მეულლეებს ხშირად სხვადასხვა კონტინენტზე ჰქონდათ). ამის გარდა კრუზმა მიანიშნა, რომ მან და ნიკოლმა ნაშვილები ბავშვების რელიგიური აღზრდის საკითხში შეთანხმება ვერ მოახერხეს: ტომი საიენტოლოგიურ ეკლესიას მიეკუთვნება, მაშინ როცა, კიდმანი კათოლიკურ რწმენას აღიარებს. ამ ახსნამ ბევრი ვერ დააკმაყოფილა. რომელ ხანგრძლივ განშორებაზეა საუბარი, როცა ტომი და ნიკოლი, მიუხედავად ყოველგვარი გადაღებებისა, ათი წლის განმავლობაში მართლაც არ დაშორებიან ერთმანეთს სამ კვირაზე მეტი ხნით? და სრულიად გაუგებარია, რაღა ქორწინების მეთერთმეტე წელს გაუჩნდა ცოლ-ქმარს რელიგიური უთანხმოებები, თანაც ზუსტად 24 დეკემბერსა და 5 თებერვალს შორის პერიოდში... ჰოლივუდის წრეებში ეჭვი არ ეპარებოდათ: აქ საქმეში ვიღაც მესამე იყო გარეული... მაგრამ ვინ არის ის მესამე? ერთი მხრივ, ფილმ „ვანილის ცის“ გადაღებებზე ტომი საკმაოდ დაუახლოვდა თავის პარტნიორს — პენელოპა კრუზს, თუმცა რაიმე აშკარად მაკომპრომეტირებელი კინოჯგუფიდან ვერავინ გაიხსენა.

შემდეგ კი ნიკოლმა სენსაციური აღიარება გააკეთა: ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ კლინიკაში ექიმები კვირა-ნახევრის განმავლობაში ცდილობდნენ კიდმანის ბავშვის შენარჩუნებას — მაგრამ უშედეგოდ. ნიკოლი მაშინ მესამე თვეში იყო და ფეხმძიმედ კრუზისგან არ ყოფილა...

როცა ნიკოლმა ბავშვის დაკარგვის შემდეგ ქმარს დაურეკა და მოსვლა სთხოვა, მიუხედავად ცოლის ცრემლებისა, ტომმა უარი განაცხადა, თუმცა იმ დროს კლინიკიდან სულ რაღაც ექვს კილომეტრში იმყოფებოდა. ტომმა ცოლს ღალატი კატეგორიულად არ აპატია. ცნობილია, რომ, მიუხედავად ორმხრივი სურვილისა, ცოლ-ქმარს საკუთარი შვილები არ გაუჩნდა. ნიკოლი დაბეჯითებით ქმნიდა ილუზიას, თითქოს ნაშვილები ბავშვები სრულიად საკმარისნი იყვნენ მისი ბედნიერებისათვის, მაგრამ ალბათ ეს ასე არ იყო... ალბათ სწორედ საკუთარი შვილის ყოლის სურვილმა უბიძგა ქალს ღალატისკენ...

მსახიობი ხშირად მიფრინავდა სიდნეიში მეგობრებისა და ნათესავების სანახავად. ის იქ ნოემბერშიც იყო ჩასული — სწორედ ამ თვეში დაფეხმძიმდა და სწორედ ნოემბერს ასახელებს ტომის ადვოკატი ქორწინების ფაქტობრივი დასასრულის თარიღად. ნათელი გახდა, რომ ამ საკითხში ტომს არ უთაღლითია.

განქორწინების შესახებ ოფიციალური განცხადების მეორე დღეს ფოტოგრაფებმა ნიკოლი რესტორანში უცნობი მამაკაცის კომპანიაში „გამოიჭირეს“. სადილის შემდეგ წყვილი ხელიხელჩაკიდებული გაემართა ავტომობილისკენ. თანამგზავრის სახელი ნიკოლმა არ გაამჟღავნა... მეორე მხრივ, „საქმეში ჩახედული“ ხალხი ნიკოლსა და მარკუს გრემს შორის რომანზე მიანიშნებენ. მარკუს გრემი სწორედ ის ავსტრალიელი მსახიობია, რომელსაც თავის დროზე ტომმა ნიკოლი წაჰგვარა. „ეს სრული აბსურდია, — ბრაზობს მარკუსი. — ნიკოლს დიდი ხანია მე კი არა, ტომი უყვარს. უბრალოდ, მათ ამჟამად მძიმე პერიოდი უდგათ. იმედი მაქვს, ყველაფერი მოგვარდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მე ყველა მებრალება, განსაკუთრებით — ბავშვები“. და მაინც, ვინ არის ის მამაკაცი, რომელმაც კრუზისა და კიდმანის ქორწინება დაარღვია? ეს ისევ საიდუმლოდ რჩება.

იზაბელა რვა წლისაა, კონორი — ექვსის. ასეთ ასაკში ბავშვები განსაკუთრებით განიცდიან ოჯახურ პრობლემებს, მით უმეტეს, რომ იზაბელასა და კონორს ფსიქიკა ერთხელ უკვე დაურღვიეს ნამ-

ტომის განქორწინება ნამდვილი სენსაცია გახდა

ნიკოლი მართლაც შეწუხებულია მომხდარით

დვილმა მშობლებმა. კიდმანმა და კრუზმა ისინი თავშესაფრიდან აიყვანეს და ნამდვილად ეცადნენ, ბავშვებისთვის ბედნიერება მიენიჭებინათ... ახლა კი ბავშვებს წინ ახალი ტკივილი ელით.

თუმცა, ტომი და ნიკოლი იმედოვნებენ — შვილები იმდენად მიეჩვივნენ მოგზაურობას (ინგლისი, ესპანეთი, ავსტრალია — ამ ქვეყნებში ოჯახმა ბოლო წელს თითო-ოროლა თვე გაატარა), რომ შედარებით უმტკივნეულოდ მიიღებენ „ორ ოჯახად" ცხოვრებას. ჯერჯერობით კი ბავშვები ნიკოლთან არიან. კრუზი იმედოვნებს, რომ შვილებზე თანაბარუფლებიან სამართლებრივ და მატერიალურ მეურვეობას მოიპოვებს. რაც

ტომ კრუზი და პენელოპა კრუსი „ვანილის ცის" გადაღებებზე დაახლოვდნენ

ამ უცნობ მამაკაცთან ერთად ნიკოლმა საღამო რესტორანში გააგარა

შეეხება რელიგიას, რომლის გავლენის ქვეშაც ბავშვები უნდა აღიზარდონ, — რადგან მეუღლეებმა შეთანხმება ვერ შეძლეს, საკითხს მოსამართლე გადაწყვეტს, რომელსაც ამ გაყრის განხილვის საკითხზე წინ გვარიანი გარჯა ელის.

მეუღლეებს კი გასაყოფი მართლაც აქვთ: კრუზს და კიდმანს მთელ მსოფლიოში აქვთ სახლები, სამი თვითმფრინავი და ორას ორმოცდაათი მილიონი დოლარი საბანკო ანგარიშზე. საქორწინო კონტრაქტი მათ არ შეუდგენიათ, ამიტომ სასამართლო განხილვა ადვილი არ იქნება. დღესდღეობით ნიკოლს ეკუთვნის: ორი სახლი — ლოს-ანჯელესში და სიდნეიში, თითოეული 4 მილიონ დოლარზე მეტი ღირს. ასევე, ათ მილიონ დოლარად შეფასებული მამული ტელურაიდში (კოლორადოს შტატი) და 350 ათას დოლარად ღირებული იახტა. ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ეს იახტა კიდმანისა და კრუზის ერთობლივ ქონებად ჩაითვლება, სამაგიეროდ ნიკოლს სახლების ერთპიროვნულად ფლობის დიდი შანსი აქვს. მას აგრეთვე ეკუთვნის თვითმფრინავების ღირებულების ნახევარი. მათ შორის ერთი, „პიტსი" — „სულ რაღაც" ასი ათასი ღირს, სამაგიეროდ, „ბიჩი" მილიონ ორასად არის შეფასებული, რეაქტიული „გოლფსტრიმი" კი ოცდარვა მილიონი დოლარი ღირს.

სწორედ ამ ავისმომასწავებელმა თვითმფრინავებმა მიიპყრო ამერიკელთა ყურადღება, განსაკუთრებით კი — ქალების. ფემინისტებმა ნამდვილი ქარიშხალი დაატრიალეს: „კრუზთან ცხოვრების დროს ნიკოლი კერძო თვითმფრინავით ფრენას მიეჩვია, საკუთარი სახსრებით კი თავს ამის უფლებას ვერ მისცემს. ცხოვრების ახალ წესზე გადასვლა მისთვის გარკვეულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. რატომ უნდა ზღოს მან მარტო, წარუმატებელი ქორწინების გამო?" ამერიკული განქორწინებების გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ მოსამართლე ამ არგუმენტებს შეიძლება თანაგრძნობით მოეკიდოს...

განქორწინებების ექსპერტებისგან განსხვავებით, ნიკოლი დიდი ხნის განმავლობაში არ იჩენდა გადამეტებულ ინტერესს ქონებრივი საკითხებისადმი. ის მართლა მძიმედ განიცდიდა მომხდარს, თუმცა შემდეგ მან ოდნავ მოიხედა და განქორწინების საქმეში ჩახედული ადვოკატი დაიქირავა. უილიამ ბესლოუ თავისი საქმის ნამდვილი მცოდნეა. თავის დროზე მან სარა ფერგიუსონის, მია ფეროუს, დემი მურის განქორწინების პროცესები წარმართა და დაზარალებული მართლაც არც ერთი მათგანი არ დარჩენილა.

P.S. ბოლოდროინდელი ინფორმაციით, ცოლ-ქმარი ერთმანეთისკენ შემობრუნდა და შესაძლოა, მათი ოჯახი კვლავ გაერთიანდეს...

■

რით დაიარებიან პრეზიდენტები

ავტომობილები, რომლებითაც სახელმწიფოს მეთაურები დაბრ-ძანდებიან, ხელისუფლების ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტს წარ-მოადგენს. მათ თავიანთი საიდუმლოებანი, ისტორია, სახელმწი-ფოს სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეული ნიუანსებიც ახლავს.

„წითელი დროშა“ — პირველი და უკანასკნე-ლი ჩინური ლიმუზინი

ჩინეთი

თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც ლიმუზინი – „წითელი დროშა“ კომუ-ნისტური ჩინეთის ისეთივე სიმბოლოდ რჩება, როგორიცაა მაო ძე დუნის პორ-ტრეტები და მისი გამონათქვამების პატ-არა ბროშურები. 1958 წლიდან ამ მან-ქანებს აწარმოებს ქალაქ ჩანჩუნის პირვე-ლი ავტოქარხანა. ეს საწარმო პირადად მაო ძე დუნის განკარგულებით აშენდა. მან სწორედ მაშინ წამოიწყო უმაღლეს ჩინოსანთა „ნამდვილ ჩინურ ავტომობილ-ში“ გადასმის კამპანია. მას შემდეგ ავ-ტომობილის დიზაინი დიდად არ შეცვ-ლილა. თუმცა, ამჟამად მანქანის კომპლექტაციისას AUDI 100-ის აგრეგატ-ნაწილებს იყენებენ.

ბოლო დროს „წითელ დროშას“ მხ-ოლოდ ოფიციალურ ცერემონიებზე იყ-ენებდნენ – ისეთზე, როგორიც იყო ტიან-ანმენის მოედანზე ჯარების აღლუმი და ჩინეთის იურისდიქციაში ტაივანისა და მაკაოს გადაცემა. 1990-იან წლებში, როცა იმპორტული ლიმუზინების მოდამ იძლავრა, თავდაპირველად ამას ებრძოდ-ნენ: პარტიულმა ხელმძღვანელობამ სპე-ციალური დირექტივაც კი გამოსცა, რომელიც მოხელეებს ჩინური ავტომან-ქანებით მგზავრობას ავალდებულებდა, მაგრამ უცხოური მარკებისადმი მათი ლტოლვის დათრგუნვა იოლი არ აღ-მოჩნდა და ახლა თვით უმაღლესი ხე-ლმძღვანელობა უმეტესად, ფართოდ გავრცელებულ MERCEDES PULL-MAN-ს იყენებს.

იოანე-პავლე მეორის „პაპომობილი“ მსოფლიოში ყველაზე მახინჯ ლიმუზინად ითვლება.

ვატიკანი

თანამედროვე „პაპომობილი“ – მსოფლიოში ყველაზე ცნობილი და, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ყვე-ლაზე ნაკლებად წარმომადგენლობი-თი ლიმუზინია. ვატიკანის ავტომო-ბილიზაციის ისტორიის შესახებ „გზა“ უკვე წერდა (№14, 2001), ამ-იტომ მხოლოდ რამდენიმე ფაქტზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ახლანდელ პაპს იოანე-პავლე მე-ორეს რამდენიმე ავტომობილი ჰყავს, რომელიც გარეგნულად წარმოადგენს „ყველგანმავლისა“ და რაღაც ისეთი ეტლის ნაზავს, რომელსაც გოლფის სათა-მაშო მოედნებზე იყენებენ. „პაპომობილებ-ის“ გარეგნული სახე უამრავი ხუმრო-ბის ობიექტად არის ქცეული. თვით სა-ნომრე ნიშანს – SCV1 (STATTO DEL-LA CITTO VATICANO– ქალაქი სახ-ელმწიფო ვატიკანი) იტალიელები საკ-მაოდ თავისებურად შიფრავენ: SE CRIS-TO VEDESSE – „ამას ქრისტე რომ ხედავდეს!“...

იოანე-პავლე მეორე „მერსედეს-ბენცის“ თაყვანისმცემელია. პრაქტიკულად ყვე-ლა მისი ავტომანქანა MERCEDES GE-LAENDEWAGEN-ის ბაზაზეა შექმნილი და მხოლოდ ზომებით განირჩევა ერთმანე-თისაგან: მაგალითად, ისრაელის წმინდა ადგილების მოსანახულებლად, სპეციალ-ური ვერსია შეიქმნა, რომელიც ადვილად იმოძრავებდა იერუსალიმის ვიწრო ქუ-ჩებში. 1999 წელს ერთ-ერთი იტალი-ური საავტომობილო ჟურნალისგან პაპმა საჩუქრად მიიღო ტყვიაგაუმტარი LAN-CIA GIUBILEO, რომლის ძირითადი უპი-რატესობა, იტალიელთა აზრით, ის არის, რომ ეს მანქანა სამამულო წარმოებისაა. თუმცა, უმეტესად, პაპი მაინც გერმანული ავტომობილებით სარგებლობს.

დიდი ბრიტანეთი

„მისი უდიდებულესობის საჯინიბო-ში“ (როგორც სამეფო კარის ავტოპარკს უწოდებენ) მხოლოდ სამამულო წარმოე-ბის ავტომობილებია. მთავარი სამეფო მანქანაა – შვიდადგილიანი ROLLS-ROYCE PHANTOM VI. ფაქტობრივად, ეს უნიკალური ავტომობილია, რომელიც სა-განგებოდ დედოფლისთვის დაამზადეს. ტრადიციული ემბლემის ნაცვლად, ლიმუზინის ბამპერს სამეფო ოჯახის გერბი ამშვენებს. ტყვიაგაუმტარი მინებით აღჭურვილი ფანჯრები გადიდებული ზომის არის – რათა ქვეშევრდომებს მონარქის ხილვის საშუალება ჰქონდეთ.

თუმცა, ეს მანქანა იშვიათად – მხო-

ლოდ ოფიციალური ცერემონიების დროს გამოჰყავთ ფარეხიდან. ჩვეულებრივ, სამეფო ოჯახი სხვა ავტომობილებით სარგებლობს, ესენია: DAIMLER LIMOUSINE და ROVER 400. დედოფლის მეუღლე, ედინბურგის ჰერცოგი ლონდონური ტაქსის METROCAB გადაკეთებული ვერსიით დადის.

სამეფო ოჯახის ერთადერთი წევრი, რომელიც უცხოური ავტომობილებისადმი იჩენს ინტერესს, უელსის პრინცი ედუარდი იყო: ამერიკელ უოლის სიმფსონზე შეყვარებულმა, მისი გავლენის შედეგად, 1935 წელს BUICK 8 LIMITED შეიძინა. ეს მანქანა მას 1936 წელს გამეფების შემდეგაც შემორჩა, თუმცა ოფიციალურ სახელმწიფო ლიმუზინს „საპატიო წოდების“ დიდხანს ტარება არ ეწერა: იმავე წელს ედუარდ მერვემ უარი თქვა ტახტზე და თავისი ამერიკული ავტომობილიც მოაშორა „სამეფო საჯინიბოს“.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ავტომობილის არჩევის უფლება, ფაქტობრივად, არც აქვს: უკანასკნელი 50 წლის მანძილზე მთავრობის ხელმძღვანელიცა და კაბინეტის სხვა წევრებიც მხოლოდ DAIMLER-ის შავი ლიმუზინებით მოძრაობენ, რომელსაც ამჟამად ამერიკული FORD MOTOR-ის ქვედანაყოფი – კომპანია JAGUAR-ი უშვებს.

გერმანია

ათეულობით წელიწადი, გერმანელ ლიდერთა თითქმის უცვლელ გადაადგილების საშუალებად „მერსედეს-ბენცის“ ლიმუზინები გვევლინებოდა. თვით ადოლფ ჰიტლერიც, „ფოლკსვაგენისადმი“ თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულების მიუხედავად, „მერსედესით“ დაიარებოდა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ლიდერები (ბევრი სხვა სახელმწიფოსა თუ მთავრობის მეთაურთა დარად) PULLMAN-ის მოდელით სარგებლობდნენ, რომელმაც ათწლეულების მანძილზე არაერთი მოდიფიკაცია განიცადა.

აი, გაცილებით რთულ დღეში იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერები. პოლიტიკური მიზეზები მათ დასავლეთგერმანული და საბჭოური ლიმუზინებით სარგებლობის საშუალებას არ აძლევდა. არც ამერიკული მანქანები იყო მათთვის ხელმისაწვდომი. ერთხანს ოფიციალურ ავტომობილებად შვედურ VOLVO-ს იყენებდნენ. შემდეგ კი, „ბედნიერმა“ შემთხვევამ გააკეთებინათ არჩევანი: საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა თავისი ქვეყანა ნატოს სამხედრო ორგანიზაციიდან გამოიყვანა და აღმოსავლეთ გერმანიის პარტიულ-სახელმწიფო ლიდერებმა CITROEN-ის „პოლიტკორექტულ“ ლიმუზინებში გადაინაცვლეს... ასე გრძელდებოდა გერმანიის გაერთიანებამდე.

ჯონ კენედის მკვლელობის შემდეგ, საპრეზიდენტო „ლინკოლნს“ ჯავშანი გაუკეთეს

პირველი კანცლერი, რომელმაც საერთოდ უარი თქვა ლიმუზინზე, ჰელმუტ კოლი იყო. მისთვის საგანგებოდ DAIMLER-BENZ-ის ქარხნებში მიკროავტობუსები დაამზადეს. გადადგომის შემდეგ ისინი კოლის საკუთრებაში გადავიდა.

„მერსედესით“ სარგებლობის ტრადიცია გერმანიის ამჟამინდელმა კანცლერმა გერჰარდ შრედერმა დაარღვია: მან არჩევანი AUDI A8-ზე შეაჩერა, რომელსაც მისი პირადი მეგობრის – ფერდინანდ პიხის კონცერნი „ფოლკსვაგენი“ აწარმოებს.

ინდოეთი

ინდოეთი უნიკალური ქვეყანაა. ერთადერთ მოდელს, რომელსაც სახელმწიფო თავისი საჭიროებისთვის ყიდულობს, 1942 წლიდან აწარმოებს ქალაქ კალკუტაში მდებარე საავტომობილო კომპანია HINDUSTANI MOTORS-ი. ეს ბრიტანული MORRIS OXFORD-ის პრაქტიკულად ზუსტი ასლია და მას AMBASSADOR-ს ან უბრალოდ, AMBY-ს ეძახიან. დიდი ხნის განმავლობაში ავტომანქანა, რომლის დიზაინი 1957 წლიდან თითქმის არ შეცვლილა, პრაქტიკულად ერთადერთ ინდურ ავტომობილად რჩებოდა. მას ცხოვრების ყველა სფეროში იყენებდნენ – ის ტაქსიც იყო, კატაფალკაც და, რასაკვირველია, სამთავრობო ლიმუზინიც. თანდათან დელის ქუჩები უცხოური წარმოების ლიმუზინებით აივსო, მაგრამ AMBASSADOR-ი დღემდე რჩება, როგორც პრეზიდენტის, ისე პრემიერ-მინისტრისა და სხვა სახელმწიფო მოხელეთა ავტომობილად. შარშან ინდოეთში სკანდალი ატყდა, როცა ქვეყნის მძიმე მრეწველობის სამინისტრომ წამოაყენა ამ მანქანების შესყიდვის შეწყვეტის წინადადება. სამინისტროს აზრით, უპრიანი იქნებოდა ამ მარკის 3 ათასი მანქანის გაყიდვა და MARUTI-ს თანამედროვე სედანებით სამთავრობო ავტოპარკის დაკომპლექტება. სამინისტრო უმალ ანტიპატრიოტიზმში დაადანაშაულეს: MARUTI – ინდურ-იაპონური ერთობლივი საწარმოა. ხანგრძლივი დავა-კამათის შედეგად, სახელმწიფო დაკვეთა ისევ HINDUSTANI MOTORS-ს ერგო.

„ნისან პრეზიდენტით“ მთელი იაპონური ელიტა დადის — იმპერატორით დაწყებული, მინისტრით დამთავრებული

ბორის ელცინი სამამულო „ზილით“ მხოლოდ საზღვარგარეთული ვიზიტებისას სარგებლობდა

რუსეთი

ჩინეთის მსგავსად, რუსეთი პრაქტიკულად ერთადერთი საავტომობილო ქვეყანაა, რომლის ლიდერები უცხოური მანქანებით მგზავრობას ამჯობინებენ. იმპერატორი ნიკოლაი მეორე ფრანგული ავტომობილების მოყვარული იყო, ვლადიმერ ლენინი „როლს-როისით“ დაიარებოდა. აი, იოსებ სტალინმა კი სცადა სიტუაციის შეცვლა: 1945 წელს ის გადაჯდა მისივე განკარგულებით შექმნილ „ზილ-110“-ში, რომელსაც ამერიკელმა ჟურნალისტებმა უმალ დაარქვეს „ჩვენი BUICK-ის უბადრუკი ასლი“. ამ ავტომობილის გამოშვებით სათავე დაედო ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ქვეყნის უმაღლესი პირებისთვის ავტომობილებს სტალინის (შემდგომში, 1956 წლიდან – ლიხაჩოვის) სახელობის ქარხანაში აწარმოებდნენ. თუმცა ამ მანქანებით მხოლოდ ოფიციალურ ღონისძიებებზე სარგებლობდნენ. ცნობილი ავტომოყვარული ლეონიდ ბრეჟნევი თავისი ამერიკელი და გერმანელი კოლეგების მიერ ნაჩუქარ CADILLAC-სა და MERCEDES-ს ამჯობინებდა. 1991 წლიდან დაჯავშნული MERCEDES-BENZ 8600 PULLMAN-ი კვლავ საპრეზიდენტო ავტომობილი გახდა. რუსულ ლიმუზინს – „ზილს“, რომელსაც ხშირად ნახავთ რუსეთის ლიდერთა საზღვარგარეთ ვიზიტების დროს, ქვეყნაში იშვიათად იყენებენ.

აშშ

აშშ-ში საპრეზიდენტო ლიმუზინს „პირველ ავტომობილს“ უწოდებენ. ცხადია, არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში არ არის ნათქვამი, რომ ეს აუცილებლად ამერიკაში წარმოებული მანქანა უნდა იყოს, მაგრამ ამერიკელი პრეზიდენტები არასოდეს დადიოდნენ უცხოური მანქანებით.

პირველი პრეზიდენტი, რომელიც ავტოტრანსპორტის მგზავრი აღმოჩნდა უილიამ მაქკინლი იყო. ამ მანქანის მარკა უცნობი დარჩა, მაგრამ ის კი დანამდვილებით არის ცნობილი, რომ მაქკინლი „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში აღმოჩნდა: ტერორისტის მიერ დაჭრილი აშშ-ის 25-ე პრეზიდენტი სამხედრო ჰოსპიტალში გააქანეს. მაქკინლი დაიღუპა და ამერიკელი პრეზიდენტები კიდევ 20 წელიწადი არ სწყალობდნენ ტრანსპორტის ამ სახეობას. მხოლოდ 1921 წელს უორენ ჰარდინგმა პირველად გამოიყენა ავტომობილი თავისი ინაუგურაციის ცერემონიაზე. პირველი საპრეზიდენტო ავტომობილი იყო PACKARD TWIN SIX.

ავტომობილისადმი განსაკუთრებული მოთხოვნები პირველად ფრანკლინ რუზველტმა წამოაყენა. 1941 წელს მან გასცა განკარგულება, გაემაგრებინათ მისი დაჯავშნული LINCOLN FORD V8, თუმცა უარი თქვა ღია სახურავის სტაციონარულით შეცვლაზე.

იმ დროიდან მოყოლებული, ამერიკელი პრეზიდენტები ხშირად იყენებენ ამ საავტომობილო მარკას: GENERAL MOTORS-ი რეგულარულად აწვდის საპრეზიდენტო ავტოპარკს თავის CADILLAC FLEETWOOD BROUGHAM PRESIDENTIAL EDITION-ს. მაგალითად, ამ მარკის ერთ-ერთ მანქანაზე, თავის ინაუგურაციაზე 1993 წელს მობრძანდა ბილ კლინტონი.

და მაინც, განსაკუთრებულ სიმპათიას პრეზიდენტები სწორედ FORD MOTOR-ის კომპანიის LINCOLN-ის მიმართ იჩენენ. ბუნებრივია, ყველაზე ცნობილი დღემდე რჩება ღიასახურავიანი ლურჯი „ლინკოლნი“, რომელიც ჯონ კენედის ეკუთვნოდა. კენედი პირველი და რუზველტის შემდგომ ერთადერთი პრეზიდენტი იყო, რომელმაც უარი თქვა დაჯავშნულ ლიმუზინზე და სწორედ თავის „ლინკოლნში“ მოკლეს დალასში 1963 წელს. ეს ავტომობილი კიდევ ოთხ პრეზიდენტს ემსახურებოდა: მათ შორის პირველმა – ლინდონ ჯონსონმა მისი დაჯავშნის განკარგულება გასცა.

რიჩარდ ნიქსონი პირველი იყო ამერიკელ პრეზიდენტებს შორის, ვინც თავისი ავტომობილის ყველგან ტრანსპორტირების ტრადიცია შემოიღო. მასვე ეკუთვნოდა პირველი ლიმუზინი, რომელსაც შეეძლო ზღვრული სიჩქარით გაევლო 100-მდე კმ დაშვებული საბურავებით. ახლა ეს თვისება ნებისმიერ საპრეზიდენტო ავტომობილს ახასიათებს.

საფრანგეთი

ამ ქვეყნის ლიდერთა საავტომობილო მიდრეკილებები მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში საუცხოოდ „იკითხება“. საფრანგეთის საელჩოების ხელმძღვანელები იმავე მარკის ავტომობილებით სარგებლობენ, რასაც ქვეყნის პრეზიდენტი ამჯობინებს. შესაძლოა, ეს იმით აიხსნება,

„ამბასადორი“, რომელსაც „ჰინდუსტანი მოტორსი“ აწარმოებს, შეფერილობის მიხედვით, ტაქსიც შეიძლება იყოს და სამთავრობო ლიმუზინიც

ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრები მხოლოდ „დაიმლერის“ ავტომობილებით სარგებლობენ

რომ საზღვარგარეთ ვიზიტებისას, ფრანგი პრეზიდენტები არასოდეს დაატარებენ თავიანთ ავტომობილებს და ელჩების ლიმუზინებით სარგებლობენ. უმეტესწილად, ეს CITROEN-ი და PEUGEOT-ია.

1930-იან წლებში სამთავრობო მარკად RENAULT-ი ითვლებოდა. მდიდრულად გაწყობილი, დაჯავშნული RENAULT SUPRASTELLA-თი დადიოდნენ პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები, მათ შორის საფრანგეთის კოლაბორაციონისტული მთავრობის ხელმძღვანელი, მარშალი ანრი პეტენი. ომის შემდგომ, გარკვეულ ხანს, ერთ-ერთი ასეთი მანქანა გენერალ დე გოლსაც ემსახურებოდა. შესაძლოა, სწორედ თავის წინამორბედთან დაკავშირებულმა უსიამოვნო მოგონებებმა შეაცვლევინა მას მარკა: გენერალი გაცილებით მოკრძალებულ CITROEN-ში გადაჯდა. მას შემდეგ თითქმის ყველა პრეზიდენტი სარგებლობს სწორედ ამ ავტომობილებით, რომელიც ძალიან წააგავს ერთმანეთს დიზაინით.

იაპონია

იაპონიის საიმპერატორო ოჯახი და იაპონური მინისტრთა კაბინეტის წევრები სხვებზე მეტხანს მოუნდნენ მათთვის მისაღები მარკის ლიმუზინის არჩევას. პირველი საიმპერატორო ლიმუზინი გერმანიაში, „დაიმლერ-ბენცის“ ქარხანაში დამზადდა და მსოფლიო ისტორიაში პირველი დაჯავშნული „მერსედესი“ იყო. 30-იან წლებში იმპერატორი ხიროხიტო PACKARD-ში გადაჯდა, რომლითაც ამერიკასთან ომის დაწყებამდე სარგებლობდა. შემდომ მთავარ საიმპერატორო ავტომობილად ისევ „მერსედესი“ – გერმანელი ერისა და პირადად ადოლფ ჰიტლერის ძღვენი იქცა.

ყველაფერი მკვეთრად შეიცვალა, როცა 1958 წელს საკუთარი ლიმუზინების გამოშვება კომპანია NISSAN-მა დაიწყო. სწორედ მაშინ NISSAN PRESIDENT-ის ლიმუზინებში არა მარტო იმპერატორი, არამედ ყველა იაპონელი მინისტრი გადაჯდა. მალე ეს მარკა იაპონური სახელმწიფოს ისეთივე სიმბოლოდ იქცა, როგორიცაა DAIMLER-ი ბრიტანეთისთვის.

სიტუაცია არც მაშინ შეცვლილა, რაც „ნისანს“ კონკურენტები გამოუჩნდა და საიმპერატორო ავტოპარკს HONDA-ები და TOYOTA-ებიც შეემატა: ოფიციალურ ცერემონიებზე იმპერატორი კვლავ საიმპერატორო ოქროსგერბიანი NISSAN-ით ჩნდება. ამბობენ, იაპონიის ახალი იმპერატორი აკიხიტო უპირატესობას „როლს-როისის“ ლიმუზინებს ანიჭებსო. იმპერატორად კურთხევის ცერემონიაზეც ის ROLLS-ROYCE CORNICHE-თი მისულა. მაგრამ საიმპერატორო სასახლეში მაინც შავი „პრეზიდენტით“ დაბრუნებულა. სწორედ ამ მარკის ლიმუზინებით სარგებლობს ქვეყნის ყველა უმაღლესი ხელისუფალი, მათ შორის პრემიერ-მინისტრი.

■

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რა ერქვა დოქტორ ფაუსტს?



ა) იოჰანი;
ბ) სებასტიანი;
გ) ჰაინრიხი.

2. რა პროფესიის იყო გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ლუარსაბ ანდრონიკაშვილი?

ა) პედაგოგი;
ბ) ისტორიკოსი;
გ) იურისტი.

3. პიროვნება, რომელსაც მურმან ლეგანიძემ მიუძღვნა ლექსი:

„ნელი ტანგოა“ ეს ქვეყანა, გურამ?!
ხომ არ იცეკვებო, — ათასჯერ მკითხეს!..
აბასთუმანში, ჭიქა არაყზე,
„გურამი დამხრჩვალაო“, —
სხვათა შორის ბიჭებმა მითხრეს...“

ა) გურამ თიკანაძეს;
ბ) გურამ რჩეულიშვილს;
გ) გურამ ფანჯიკიძეს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

საქართველოში არა ერთი დიდი შემოქმედისათვის უტკენიათ გული. აქედან ბევრი წასულა განაწყენებული და მოღვაწეობა იძულებით უცხო ქვეყანაში გაუგრძელებია... ამ მხრივ დიდი რეჟისორი დიმიტრი (დოდო) ალექსიძე გამონაკლისი არ ყოფილა, მაგრამ მიუხედავად გულისტკივილისა და პრობლემებისა, ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო ცხოვრების ზეიმად გადაქცევა ირგვლივმყოფთათვის, ჰქონდა უნარი, ყოველთვის ხალისიანი, ენერგიით სავსე ყოფილიყო, ბედნიერებით გასხივოსნებული ღიმილი ეჩუქებინა ყველასათვის...

ჩემი ოცნება პოეტური თეატრია

ლელა ჯიყამშვილი

დოდო ალექსიძე 1910 წლის 10(23) თებერვალს დაიბადა. მამამისი ცნობილი ექიმი-გინეკოლოგი იყო, დედა – მწერალი მარიჯანი. მათ ოჯახში მუდამ იკრიბებოდნენ ქართველი თუ რუსი ხელოვნების მოღვაწეები და ბავშვებიც: დოდო, ირა და ნელი ამ შესანიშნავ გარემოცვაში ყალიბდებოდნენ. მამაც კი, რომელსაც ხელოვნებისაგან გამიჯნული პროფესია ჰქონდა, ხატავდა და თეატრის ტრფიალი იყო.

პატარა დოდო თბილისის I სკოლაში შეიყვანეს. ჯერ კიდევ მოსწავლეობისას დადგა პირველი სპექტაკლი – ლავრენიოვის „რღვევა“. მთავარ როლებში ქეთუსია ორახელაშვილი და მერი მდივანი ჰყავდა...

პერინის ქორეოგრაფიულ სტუდიაში დადიოდა ვახტანგ ჭაბუკიანთან, ნინო რამიშვილთან, თამარ ჭაბუკიანთან, სოლიკო ვირსალაძესთან ერთად. ერთ-ერთ თავის იუბილეზე ღიმილით უთქვამს: ვახტანგ ჭაბუკიანი სულ შემომნატროდა, ერთი ისეთი ცეკვა ვიცოდე, ალექსიძემ რომ იცისო... ცნობილია ერთი ასეთი ამბავიც, რომელსაც თვითონ ბატონი დოდო ყოველთვის დიდი არტისტიზმით ჰყვებოდა, თურმე. ვახტანგ ჭაბუკიანმა ლენინგრადში სასწავლებლად რომ დააპირა წასვლა, ფული დასჭირდა. გადაწყვიტეს, საღამო მოეწყოთ და იმისი შემოსავალი ამ საქმისათვის გადაედოთ. კონცერტისათვის გულმოდგინედ ემზადებოდნენ. ერთი ნომერი დოდო ალექსიძესა და მის დას – ირას უნდა შეესრულებინათ. მოწვეულ სტუმართა შორის იყო დოდოს მამაც, რომელსაც თავის მხრივ, კიდევ მეგობრები დაეპატიჟებინა. როცა მისი შვილების გამოსვლის დრო დადგა, აღმოჩნდა, რომ მათ დაბნეულობისაგან დაავიწყდათ, როგორ უნდა ეცეკვათ. კულისებიდან ვახტანგ ჭაბუკიანი ბობოქრობდა, მუსიკა უკრავდა... და და-ძმამაც დაიწყო იმპროვიზაციული ცეკვა. დასასრულს, თურმე, დამ ჩაუჩურჩულა: შენ ავანსცენისკენ წადი, მე წამოვალ, ბოლო ნახტომს გავაკეთებ და ხელში დამიჭირეო... ბოლო სიტყვები ვეღარ გაუგია ბატონ დოდოს. მიიღო დამამთავრებელი პოზა. შემდეგ ასე იხსენებდა: Я стою, а она прыгает... я стою, а она на полу, а я – стою!“ ირა ისე დაეცა, ლამის ორკესტრანტებთან ჩავარდა თურმე. საშინლად აღშფოთებულა დარბაზში მჯდომი მამა. უზომოდ ნაწყენს დოდო ფაეტონში ჩაუსვამს და საყვედურებით წაუყვანია შინ...

დოდო ალექსიძეს თეატრალურ ინსტიტუტში გადაუწყვეტია სწავლის გაგრძელება. საგამოცდოდ მაიაკოვსკის ორი ლექსი ჰქონდა მომზადებული ძმასთან ერთად. ლექსები მასზე 12 წლით უმცროს დას – ნელისაც დაუმახსოვრებია. იმ წელს ყირიმში ისვენებდნენ. სანაპიროზე მაიაკოვსკის შეხვედრიან, მას ხომ ძალიან უყვარდა ეს მხარე. ლექსიც კი ჰქონდა დაწერილი:

Я жалею тех, которые
не бывали в Эвпатории

დოდოს და ირას იქვე ქვიშაში, მაიაკოვსკის წინ დაუსვამთ პატარა და და დიდხანს უხვეწიათ, ლექსი თქვიო. ის კი, როგორც დარცხვენილ ბავშვებს სჩვევიათ, გაჯიუტებულა... ძალიან დასწყვეტია გული უფროს და-ძმას, მაგრამ პოეტის გაცნობა მაინც მოუხერხებიათ.

დოდო ალექსიძე თვითონაც წერდა ლექსებს და ხელს ასე აწერდა – მარიჯანიძე... შემდეგში ისეც მომხდარა, რომ შეცდომით, ზოგიერთი მისი ლექსი თვითონ მარიჯანისად მიუჩნევიათ და მისთვის მიუწერიათ.

მეუღლე 23 წლისამ შეირთო – 17 წლის თამარ ნატრაძე, უსათნოესი პიროვნება და მასთან გაატარა მთელი სიცოცხლე. ბატონი დოდო ასე ხუმრობდა: Я всю жизнь экспериментировал, чтобы убедиться, правильно ли выбрал свою жену, и всё время убеждался: мой выбор правильный. Но эксперименты продолжаются...

დიმიტრი ალექსიძე იმ დროს ჩაება ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში, როცა კოტე მარჯანიშვილი წასული იყო. მალე სანდრო ახმეტელიც წავიდა. ამ ორი ბუმბერაზი რეჟისორის სპექტაკლებით განებივრებულმა საზოგადოებამ რომ მიიღო და აღიარა დოდო ალექსიძე, ესე იგი, ის მართლაც უსაზღვროდ ნიჭიერი და თვითმყოფადი შემოქმედი გახლდათ.

მისი რეპეტიციებიც კი ისეთი საინტერესო იყო, რომ დაუსრულებლად შეიძლებოდა გეყურებინათ.

შესანიშნავი პედაგოგიც იყო. ორი კრებული აქვს გამოცემული სამსახიობო ხელოვნებაზე. მისი ყოფილი სტუდენტი, მსახიობი გოგი გეგეჭკორი ამბობდა: „მოცებს მისი დაუცხრომელი ენერგია, მოუსვენარი ხასიათი, რაღაც ჩაუქრობელი ანთია მასში... გაკვეთილზე ყოველთვის ხალისიანი, აღფრთოვანებული, გულუბრყვილო და საოცრად მიმნდობია. პაპიროსის კოლოფი ყოველთვის მაგიდაზე უდევს, როდესაც მიზანსცენას გვიჩვენებს, ან ზურგითაა მიბრუნებული, რამდენიმე ღერს ავწაპნით ხოლმე. ამას მშვენივრად ამჩნევს, მაგრამ არაფერს გვეუბნება. ანდა, ვითომ, შემთხვევით აღმოაჩენს: Здесь были папиросы, и их нет. Странно! ჩვენ გასუსულები ვართ... პაუზა... საერთო სიცილი... ბატონი დოდო ყველაზე მეტს იცინის“.

დოდო ალექსიძეს თავდაუზოგავი თანადგომა შეეძლო მსახიობისა. ოპერის თეატრის სცენაზე „ბარათაშვილი“ იდგმებოდა. ტატოს როლს გოგი გეგეჭკორი თამაშობდა. გაიხსნა თუ არა ფარდა, ხალხ-

მა ტაში დაუკრა. კულისებიდან ბატონი დოდოს ხმა ისმის: Видите! Спина Бараташвили получает аплодисменты! დაიწყო წარმოდგენა. ტატოს გმირმა სავარძელს მოჰკიდა ხელი – დაიშალა, მეორე სავარძლის აღება განიზრახა – ახლა მასაც მოსძვრა საჯდომი... რეჟისორი აღშფოთდა: ყველაფერი განზრახ არის მოწყობილიო და თავისი ყოფილი სტუდენტი გაამხნევა. Гогочка, не теряйся, продолжай! როგორც ბატონი გოგი იხსენებდა, ამ გამხნევებამ მას ძალა შემატა...

დოდო ალექსიძე ყველგან ერთნაირად არტისტული იყო: სახლშიც და სამსახურშიც, როცა მასთან მეგობრები იყრიდნენ თავს, დამჯდარს ვერ ნახავდით – ხან ერთთან მივიდოდა, ხან მეორესთან. სულ მისი კეთილი, ხმამაღალი სიცილი გაისმოდა. თუ საუბარი თეატრზე დაიწყებოდა, წამსვე იცვლებოდა. ერთ-ერთ სუფრასთან უთქვამს სწორედ: „მეჯავრებიან ხელოსნები! თეატრი წმინდა ნავსაყუდელია და იქ ყველა ვერ შეაფარებს თავს...“

სპექტაკლებს მარტო თეატრში კი არა, ოჯახშიც დგამდა. წაღვერში, აგარაკზე ხშირად იკრიბებოდნენ მისი დიდი ოჯახის წევრები, ბავშვები: შვილები, დისშვილები... ჩავიდოდა ბატონი დოდო და დაიწყებოდა დაუვიწყარი დღეები, ტყეში სეირნობა, თეატრალური სანახაობები. მისი ერთი გამოჩენა იყო საკმარისი – სიცილი აღარ წყდებოდა.

დოდო ალექსიძე უკრაინაშიც ისევე დიდი შემოქმედებითი ცხოვრებით იყო გარემოცული, როგორც საქართველოში. იქ გულისტკენის გამო წავიდა, მაგრამ უკრაინელებმა შეიძლება თქვან, რომ ეს მათთვის საიღბლო გულისტკენა იყო. როცა საქართველოში დაბრუნება სთხოვეს რეჟისორს და ის ამ წინადადებას დათანხმდა, უკრაინელმა თეატრალებმა ძალიან განიცადეს... დოდო ალექსიძემ კი, რუსთაველის თეატრის ნაცვლად, ახლა მარჯანიშვილის თეატრში დაიწყო მოღვაწეობა.

დოდო ალექსიძე ყველა რეპეტიციაზე არტისტული იყო

პერინის სტუდიაში სწავლამ მას სამუდამოდ გამოუმუშავა და დაუტოვა მოცეკვავისათვის დამახასიათებელი სიარული (ფეხები განზე რომ არის მიმართული). მუდამ მოძრავსა და აჩქარებულს ეხუმრებოდნენ: როცა შვილები – ალეკო და გოგი სასეირნოდ მიჰყავს, შინ დალურჯებული თავებით მოჰყავს: სიარულისას ისე აქნევს ხელებს, რომელიც ბავშვებზე აქვს ჩაკიდებული, რომ ბიჭები ერთმანეთს ურტყამენო თავებსო...

ერთი პერიოდი, მისი ვაჟი – ალეკო „ცეკაში“ მუშაობდა, კულტურის განყოფილების გამგედ. შავი „ვოლგით“ დადიოდა. რომ დაინახავდა, ეზოში შვილის მანქანა შემოვიდოდა, ამბობდა:

– შშშ... მთავრობა მოვიდა, ახლა ჩუმად უნდა ვიყოთ!

რძლის – ალეკოს მეუღლის, კომპოზიტორ მანანა ცერცვაძის გარდაცვალება დიდი ელდა იყო დოდო ალექსიძისათვის... ამის შემდეგ ალეკომაც ცოტა ხანს იცოცხლა...

იმისათვის, რომ ბატონი დოდოს პიროვნება სრულყოფილად დაიხატოს, ერთ წერილს მოვიყვანთ მაგალითად:

„ღია ბარათი რეჟისორ დიმიტრი ალექსიძეს!

თქვენ მოგმართავთ, ბატონო დოდო! – საიდუმლო გასაღები შემომეხარჯა. კი არ დამიკარგავს, შემომეხარჯა – ზოგი სოფოკლემ წაიღო, ზოგი ფელიქს პიამ, ზოგი სუნდუკიანმა და ზოგიც ვინ... იცოდეთ, ძალიან მჭირდებით.

თუ კიდევ იგივე გული და სიკეთე შეგრჩენიათ, მოდით, ახალგაზრდობა გავიხსენოთ, თორემ ვატყობ, თქვენც და მეც რაღაც ზედმეტ სიგანეში მივდივართ. ერთი დიდი ხანძარია საჭირო! – ეროსი მანჯგალაძე“.

„ალბათ მკითხავთ – ამ კაცს ნაკლი არ ჰქონდაო? – მართალიც იქნებით. ჰქონდა და აქვს კიდევაც – ცოტათი ზედმეტად გულჩვილი გახლავთ ადამიანების მიმართ, რაც ხშირად (ხშირად არა, ხანდახან) პრინციპულობიდან გადაახვევინებს ხოლმე.

თქვენი არ ვიცი და პირადად მე ეს დიდ ნაკლად არ მიმაჩნია. ჩვეულებრივი, ადამიანური ნაკლია, რაც შეიძლება, მხოლოდ კარგ ადამიანს ახასიათებდეს.

ამისთვისაც დამატებითი ქულა ბატონ დოდოს!“

ეს სიტყვებიც ეროსი მანჯგალაძეს ეკუთვნის. დიდი მსახიობის ალღოსა და გულწრფელობის ამბავი კი დღეს ყველამ კარგად ვიცით.

კოტე მახარაძეს, რომელიც რუსთაველის თეატრიდან მარჯანიშვილშიც გადაჰყვა რეჟისორს, მის საიუბილეო საღამოზე უთქვამს: „უაღრესად კეთილშობილს, საოცრად კეთილს, ჰუმანურს, მხიარულს, ენერგიითა და სიცოცხლით სავსეს – დიმიტრი ალექსიძეს ხანგრძლივი და ბედნიერი სიბერე ელის, რადგან ქართულ თეატრში ამჟამად მოქმედ მსახიობთა 80 პროცენტი მისი აღზრდილია“.

მოღვაწეობის გამო ხანგრძლივი კი არა, უკვდავი სიცოცხლე ერგო, მაგრამ სიბერე არ ჰქონია... – სიცოცხლით აღსავსე იყო 62 წლის ხელოვანი, როდესაც უცებ გარდაიცვალა.

დოდო ალექსიძის სიტყვები: „ჩემი ოცნება პოეტური თეატრია. ჩემი ღრმა რწმენით პოეზია იქაა, სადაც სიმართლე და დამაჯერებლობა“ – ნამდვილი ხელოვნების ქვაკუთხედად დარჩა.

■

„ფიროსმანის“ რეპეტიციაზე

ქრონიკული დაღლილობის სინდრომი

დაავადება, რომლის ეპიდემიაზეც მეცნიერები მხოლოდ 15 წლის წინ ალაპარაკდნენ, ექიმებისთვის ჯერ ისევ გამოცანას წარმოადგენს. ჩვეულებრივი დაღლილობა არ არის დაავადება, არამედ ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა ზედმეტ დატვირთვაზე და სიგნალი იმისა, რომ მას სასწრაფოდ ესაჭიროება დასვენება. ქრონიკული დაღლილობის სინდრომი კი წარმოადგენს ორგანიზმის უმიზეზო, მკვეთრად გამოხატულ ზოგად დაღლილობას, რომელიც არ გაივლის დასვენების შემდეგაც კი, არ აძლევს ადამიანს ჩვეულ რიტმში ცხოვრების საშუალებას. მას თან ახლავს სხვა ავადმყოფური გამოვლინებანი. ქდს (ქრონიკული დაღლილობის სინდრომი) ხშირად ინიღბება სხვა დაავადებით, ამიტომ მისი ამოცნობა საკმაოდ რთულია. ექიმთა გამოკვლევით, მიღებულია სინდრომის მახასიათებელი 2 ძირითადი და 11 მცირე სიმპტომი (ნიშანი).

თამარ მამაცაშვილი

ძირითადი სიმპტომებია:

– ღონის გამომცლელი სისუსტე უეცრად ჩნდება. დაღლილობა პროგრესირებს და არ გაივლის დასვენების შემდეგაც. ავადმყოფს თითქმის ორჯერ უმცირდება შრომისუნარიანობა ექვსი თვის განმავლობაში.

– არ არსებობს ამგვარი დაღლილობის გამომწვევი სხვა აშკარა მიზეზი ან დაავადება.

მცირე სიმპტომები

– პროგრესირებადი და გახანგრძლივებული დაღლილობა განსაკუთრებით გამოხატულია ისეთი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ, რომელიც ადრე იოლი გადასატანი იყო.

– დაბალი ტემპერატურა.

– ყელის ხშირი ტკივილი.

– ტკივილები ლიმფურ კვანძებში.

– კუნთების სისუსტე.

– მიალგია – ტკივილი კუნთებში.

– ძილის დარღვევა (უძილობა ან, პირიქით, ძილიანობა).

– უცნაური თავის ტკივილი.

– „მოსიარულე“ ტკივილი სახსრებში.

– ნეიროფსიქიკური მოშლილობანი. მომატებული მგრძნობელობა სინათლეზე, მხედველობის დარღვევა (ლაქები თვალების წინ), გულმავიწყობა, გაღიზიანება, გაუბედაობა, აზროვნების დაქვეითება და ყურადღების კონცენტრაციის უნარის მოდუნება.

– დეპრესია.

გარდა ამისა, ქდს-ის დროს ავადმყოფს შეიძლება ჰქონდეს შემდეგი ჩივილები: მეტყველების მოშლა, ორიენტაციის დარღვევა, უმიზეზო აფორიაქება, ოფლიანობა ღამით, გახშირებული სუნთქვა, სიცივის და სიცხის გაძლიერებული შეგრძნება, თავბრუსხვევა, ალკოჰოლის აუტანლობა, არითმიული პულსი, მუცლის ტკივილი, კუჭის მოქმედების დარღვევები, პირისა და თვალის სიმშრალე, გამოხატული პრედმენსტრუალური სინდრომი ქალებში, ლაქები კანზე, ალერგია, ყნოსვის ზედმეტად მომატებული მგრძნობელობა, წონის ცვლილება კვების ჩვეულ რეჟიმზე ყოფნისას, თმის ცვენა, წამლებისა და ქიმიური ნივთიერებების მიმართ მგრძნობელობის მომატება.

სინდრომის განვითარების I სტადიაზე არსებული სიმპტომები გვაგონებს მწვავე რესპირატორულ ვირუსულ ინფექციას, შემდეგ ყალიბდება ზემოთ ჩამოთვლილი პირველი 9 სიმპტომი, რის შემდეგაც დგება ხანმოკლე რემისიის (ჩაწყნარების) სტადია. ხოლო მესამე სტადიაზე სენი თავს იჩენს უკვე რთულ ფორმებში და 9 სიმპტომს ემატება ბოლო ორიც: ნეიროფსიქიკური მოშლილობა და დეპრესია.

მხოლოდ ქდს-ისთვის დამახასიათებელი სადიაგნოსტიკო ტესტები ჯერ-ჯერობით არ არსებობს. ექიმები სინდრომის გამოსავლენად ნიშნავენ ვირუსოლოგიურ და იმუნოლოგიურ გამოკვლევებს, თავის ტვინის სხვადასხვა სახის სკანირებას. ეს კვლევა საშუალებას იძლევა, დადასტურდეს და უარყოფილ იქნეს სხვა დაავადებები: ინფექციური B და C ჰეპატიტი (ღვიძლის ანთება), ონკოლოგიური დაავადებები, შიდსის საწყისი სტადია, იატროგენული დაავადება (ნევროგენული, ავადმყოფური შიში მოურჩენელი ავადმყოფობისა).

აშშ-ში 100 ათას მოზრდილ ადამიანზე 4-10 ქდს-ით დაავადებული მოდის. უფრო ხშირად ავადდებიან ქალები 25-დან 45 წლამდე. თუმცა სინდრომი შეიძლება განვითარდეს ბავშვებშიც და მოზარდებშიც. ბავშვები უჩივიან ხოლმე თავის ტკივილს, ტკივილებს ყელში, მუცელში, კუნთებში, სახსრებში, მეხსიერების დაქვეითებას. გარდა ამისა, მათ აქვთ მომატებული ტემპერატურა, ოფლიანობა, ზარმაცდებიან – არ უნდათ სკოლაში სიარული და ექმნებათ პრობლემები უფროსებთან

— მშობლებთან, პედაგოგებთან.

დაავადების გამომწვევი მიზეზი დღეისათვის უცნობია. არსებობს რამდენიმე ჰიპოთეზა. ერთნი თვლიან, რომ ყველაფრის მიზეზი არის ვირუსები, ხოლო მეორენი დაავადების ხელშემწყობად სტრესს მიიჩნევენ. ვირუსებიც და სტრესიც ადამიანის იმუნური სისტემის ქრონიკულ აქტივაციას იწვევს.

მსგავსი სიმპტომების აღმოჩენისას პაციენტმა უნდა მიმართოს ნევროპათოლოგს ან ექიმ-იმუნოლოგს.

მკურნალობის მეთოდი სიმპტომურია, რადგან გამომწვევი მიზეზი უცნობია. საჭიროა ძილის პროცესის მოწესრიგება, ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესება, გონებრივი და ფიზიკური აქტივობის აღდგენა. დღეისათვის იყენებენ 2 პრეპარატს: კემანტანს და ბრომანტანს, რომლებმაც კარგი შედეგები აჩვენა. ვიტამინებიდან და მინერალებიდან საჭიროა: B12, C და A ვიტამინები, სელენიუმი, გერმანიუმი, თუთია, რკინა და სხვა. ამერიკაში წარმატებით იყენებენ მცენარეულ პრეპარატებს.

ქრონიკული დაღლილობის სინდრომის ხანგრძლივობა სხვადასხვაგვარია. ზოგიერთი ავადმყოფი სულ მალე, რამდენიმე თვეში გამოჯანმრთელდება, ხოლო ზოგი განიცდის მდგომარეობის გაუარესებას წლების განმავლობაში. ხანდახან დაავადებას ციკლური ხასიათი აქვს — რემისიები ცვლის გამწვავების პერი-

წურბლებით მკურნალობა

მედიცინაში წურბლებით მკურნალობას (ჰირუდოთერაპიას) ადგილობრივი და ზოგადი თერაპიული ეფექტის მისაღწევად იყენებენ. ზოგიერთი ფორმის ჰიპერტენზიის, მიოკარდიუმის ინფარქტის, მწვავე ნეფრიტის, თრომბოფლებიტის, ტვინის შერყევის, ბუასილის, ღვიძლის ფუნქციის მოშლისა და კანის სხვადასხვა დაავადების დროს. ერთ წურბელას შეუძლია გამოწოვოს 2-დან 15 გრამამდე სისხლი. ერთდროულად შეიძლება 6-12 წურბლის გამოყენება, რის შემდეგაც არტერიული წნევა დაბლა ეცემა. მკურნალობის მიზნით, იყენებენ მხოლოდ ჯანმრთელ, წყალში ადვილად მოძრავ და მშიერ წურბელას. არ შეიძლება წურბლების მოკიდება იმ ადგილზე, სადაც ვენები და არტერიები კანის ზედაპირთან ახლოს არის. დაკბენისა და წოვის პროცესში, რომელიც დაახლოებით ერთ საათს გრძელდება, ავადმყოფი აუცილებლად უნდა იწვეს.

წურბლები ასეთი წესით უნდა მოვიხმაროთ: კანი უნდა იყოს სუფთა და მშრალი. ადვილად მოკიდების მიზნით, კანი შეიძლება შევასველოთ ტკბილი წყლით. არ შეიძლება მოკიდებამდე კანზე წავუსვათ იოდის ნაყენი, სუნამო, სურნელოვანი საპონი, ეთეროვანი ზეთები, ვინაიდან წურბლები ძალზედ მგრძნობიარენი არიან ასეთი ნივთიერებების მიმართ და არ მოეკიდებიან. პინცეტით დაჭერილ წურბელას მოათავსებენ სინჯარაში კუდით ქვევით, დააპირქვავებენ მოკიდების ადგილზე. მოკიდების შემდეგ სინჯარას მოაცილებენ. წურბელა სისხლს წოვს 30-60 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც თვითონვე შორდება კანს. თუ საჭიროება მოითხოვს ნაადრევად მოცილებას, მაშინ მოწოვის ადგილს შეასველებენ მარილიანი წყლით. ძალით მოცილება არ შეიძლება, ვინაიდან ამან სისხლდენა შეიძლება გამოიწვიოს. გამოწოვის ადგილებზე ასეპტიკურ ნახვევს ადებენ.

წურბლით თვითმკურნალობა დაუშვებელია. მისი საჭიროება მხოლოდ ექიმმა უნდა განსაზღვროს. ჰირუდოთერაპიის უკუჩვენებაა: ჰემოფილია, ანემია, დაბალი წნევა, კანის ჩირქოვანი დაავადებები და ორსულობა.

ცოტა ხნის წინ მედიცინამ უარყო წურბლების გამოყენების საჭიროება და პაციენტთა ბედი მთლიანად აბებსა და ნემსებს მიანდო, მაგრამ დღეს ისევ მიუბრუნდნენ ჰირუდოთერაპიას.

თანამედროვე მეცნიერები თვლიან, რომ წურბელა არის ცოცხალი აფთიაქი. მისი ნერწყვი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომელიც ადამიანის სისხლში მოხვედრისას ავლენს შეშუპების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელ, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას. გარდა ამისა, ეს ნივთიერებები ამცირებს სისხლის შედედების უნარს, აწესრიგებს წნევას, ამცირებს ქოლესტერინის დონეს — არეგულირებს ცხიმოვან ცვლას; ზრდის ქსოვილოვან კვებას (ტროფიკას); კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს სისხლის წარმოქმნაზე; ააქტიურებს და ამაგრებს იმუნურ სისტემას.

ჰირუდინი — ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი ფერმენტია, რომელიც შედის წურბლის ნერწყვის შემადგენლობაში. სწორედ ამის გამოა, რომ წურბლის ნაკბენიდან რამდენიმე დღის განმავლობაში მოდის სისხლი: ჰირუდინი ზღუდავს თრომბინის მოქმედებას და ეწინააღმდეგება სისხლის შედედებასა და თრომბების წარმოქმნას. ჰირუდოთერაპია ნამდვილი პანაცეაა თრომბოფლებიტიანი, ათეროსკლეროზიანი, გულის იშემიური დაავადების მქონე და დიაბეტიანი ავადმყოფებისათვის. ჰირუდინი აჩერებს ორგანიზმში ანთებით პროცესს. იგი ეწინააღმდეგება მიკრობთა ზრდას, აღადგენს სისხლის მიმოქცევას ანთებით კერაში, უზრუნველყოფს ქსოვილთა კვებას და რეგენერაციას. ჰირუდოთერაპიით შეიძლება გავუმკლავდეთ ჰაიმორიტს, ოტიტს (ყურის ანთებას), ყურის ნერვის ანთებას, ბრონქიტს, პროსტატიტს, კერტიტს (რქოვანას ანთებას), უვეიტს (თვალის სისხლძარღვოვანი გარსის ანთებას).

მეორე ფერმენტია ქოლესტერინესთერაზა, რომელიც მოქმედებს სისხლის ლიპიდებზე, აჩერებს ათეროსკლეროზულ პროცესს — ძალზედ საშიშ დავადებას, რომელიც სისხლძარღვებს აზიანებს.

წურბლის კიდევ ერთი თავისებურება შეაფასეს დადებითად ოფთალმოლოგებმა. როგორც გაირკვა, ფერმენტ ჰიალურონიდაზის მეშვეობით ნერწყვში შემავალი სამკურნალო ნივთიერებები აღწევს პაციენტის ქსოვილებში 10 სმ-ის სიღრმეზე. ამდენად იგი წარმოადგენს ცოცხალ შპრიცს. ასე დაიბადა გლაუკომის შეტევის დროს წურბლის გამოყენების იდეა. გლაუკომის დროს თვალის შიდა წნევა იზრდება, რამაც შეიძლება პაციენტი სიბრმავემდე მიიყვანოს. ამ დროს საფეთქლის არეზე დასმული წურბლები ხსნიან ტკივილს, აუმჯობესებენ სითხის გადინებას და ამცირებენ თვალის შიდა წნევას.

წურბლები შველიან აგრეთვე ავადმყოფს ჰემოფთალმის (მინისებურ სხეულში სისხლის ჩაქცევის) დროს, რაც ხშირია დიაბეტის ან თვალის სერიოზული ტრავმის შემთხვევაში.

დასასრულ ერთი შენიშვნა: სამკურნალოდ დაუშვებელია გუბურებში დაჭერილი წურბლების გამოყენება, საჭიროა მათი სამედიცინო შემოწმება. სამედიცინო პრაქტიკაში მხოლოდ შემოწმებული წურბლების მოხმარება შეიძლება.

■

რაც თავი ახსოვდა, შავი ყორანი მასში მუდამ პანიკურ შიშს იწვევდა. ამ წყეულმა ფრინველმა ბავშვობიდანვე დაისადგურა მის სიზმრებში და ის დედას ყოველთვის სთხოვდა, საგანგებო ლოცვა წაეკითხა „მისგან გასათავისუფლებლად“. წიგნში რომ შეხვედროდა ყორნის სურათი, დაუნდობლად ხევდა, ანადგურებდა... ედგარმა თითქოს ადრიდანვე განჭვრიტა თავისი ბედი: შავი ყორანი მას ბევრ სატანჯველს მოუტანდა, თუმცა სახელის მოხვეჭაშიც შეუწყობდა ხელს... სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კი, განრისხებული პო გაანადგურებს თავის პორტრეტს, რომელზეც ის მხარზე შემჯდარი შავი ყორნით გამოსახეს.

ფანტასტიკურ

zmanebaTa samyaroSi

დასაწყისი იხ. „გზა“ №18

საოცრებები ამით არ დასრულებულა. ბალტიმორის ჟურნალებთან აქტიური თანამშრომლობისას პომ შეიტყო, რომ მშობლიურ რიჩმონდში ადგილობრივი ჟურნალის – MESSENGER-ის რედაქტორის ვაკანსია გაჩნდა. სოლიდური სარეკომენდაციო წერილების წარდგენის შედეგად, მან ეს თანამდებობა მიიღო. პოს პატარა ოჯახი დაბინავდა პატარა სახლის მეორე სართულზე, საიდანაც ედგარისთვის ბავშვობიდან სათაყვანებელი, მდინარისა და მთების საუცხოო ხედი იშლებოდა. მარტო ერთი – 1835 წლის მანძილზე მწერალმა ჟურნალში თავისი ათი მოთხრობა, უამრავი ლექსი და დრამის – „პოლიციანის“ ნაწყვეტები გამოაქვეყნა... მისი წყალობით ჟურნალის ტირაჟი სამჯერ გაიზარდა და მთავარი რედაქტორი უაიტი თითქმის ლოცულობდა უეცრად მოვლენილ ამ საგანძურზე.

ელმირა როისტერი უმალ დათანხმდა ედგარის წინადადებას – მისი აზრით, პოსთან ქორწინება მას ახალგაზრდობას დაუბრუნებდა...

თავის სამუშაო მაგიდასთან მჯდომი ედგარი ხშირად ამჩნევდა უაიტის მისკენ მიპყრობილ დაკვირვებულ მზერას. მას ხშირად ეპატიჟებოდნენ სტუმრად მთავარ რედაქტორთან და ედგარის თვალს არ გამოჰპარვია, რომ მასპინძლის ქალიშვილი ელზა უაიტი მისი დანახვისას წითლდებოდა და ენა ებმოდა. ის არც ერთ შანსს არ უშვებდა, რომ მიეპატიჟებინა ედგარი ბაღში სასაუბროდ, უკითხავდა შექსპირს, ჩუქნიდა წიგნებს და, ბუნებრივია, საპასუხო ნაბიჯებს ელოდა ედგარისგან. თავის მხრივ, უაიტიც, თითქოს სასხვათაშორისოდ, ესაუბრებოდა დაოჯახებული კაცის ცხოვრების უპირატესობებზე, ერთხელ კი პირდაპირ მიახალა ედგარს, რომ ის ძალიან ესიმპათიურება ელზას, თავად კი, როგორც მამა, სულაც არ იქნებოდა იმის წინააღმდეგი, რომ...

ყოველივე ამისგან ედგარს გული ეკუმშებოდა: მთელ ქალაქში ერთმა სულიერმაც არ უწყოდა, რომ პო ცოლიანი იყო და ყველას ეგონა, – მამიდა და მამიდაშვილი უბრალოდ მის კმაყოფაზე არიანო. მას საკმაოდ რისკიანი ნაბიჯის გადადგმა მოუხდა: 1836 წლის 16 მაისს ნათესავებისა და ნაცნობ-მეგობრების თანდასწრებით რიჩმონდის პატარა ეკლესიაში განმეორებითი ჯვრისწერა გაიმართა. საზეიმო ფიცით განმტკიცდა, რომ „ვირჯინია ე. კლემმა ოცდაერთი წლის ასაკს მიაღწია“. მიწვეულთაგან ბევრი გაოცებას ვერ მალავდა: ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ გოგონას ასაკი ცამეტ წელსაც არ აღემატებოდა (სინამდვილეში ასეც იყო).

გოგონას ხშირად ხედავდნენ ბაღში, სადაც ის ედგარის ღვიძლ დასთან, როზალისთან ერთად, საქანელაზე ქანაობდა: გონებასუსტი როზალი და მშვენიერი ვირჯინია ჭკუას კარგავდნენ ერთმანეთისთვის. ედგარს კი რატომღაც მუდამ რაღაც ჭია ღრღნიდა, როცა მათ ერთად ხედავდა: ალბათ, დების უხილავი მსგავსება აშინებდა...

მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა: რიჩმონდში, ღმერთმა უწყის, როგორ და რატომ, ქალბატონი კლემის ძმა ნელზონ პო აღმოჩნდა, რომელიც ქვეყნის ჩრდილოეთით ცხოვრობდა. მან ქვეყანას მოსდო ის შემზარავი ამბავი, „თუ როგორ გახრწნა ნორჩი ვირჯინია ღვიძლმა ბიძაშვილმა“. ედგარს უმალ ზურგი შეაქციეს მეგობრებმა და მას კვლავ მოუხდა ქალაქიდან გადაკარგვა.

დაიწყო მტანჯველი ხეტიალის პე-

რიოდი. მცირე ხნით პომ ფილადელფიაში „დამაგრება“ მოახერხა. ადგილობრივ ჟურნალში ახალგაზრდა ლიტერატორს ინტერესითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ (იმ დროისთვის ის უკვე საკმაოდ ცნობილი მწერალი იყო). თუმცა იმავდროულად, უფრთხოდნენ კიდეც: მეტისმეტად უცნაურად ეჩვენებოდათ მუდამ შავ სამოსში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი, რომლის მზერაც სხვებისთვის უხილავი სივრცისკენ იყო მიპყრობილი. ედგარი თავადაც ამჩნევდა, რომ საუბრისას ზოგჯერ „ითიშებოდა“ – მანამდე მას მსგავსი არაფერი ემართებოდა. სულ უფრო ხშირად აცდენდა სამსახურს და სახლიდანაც დღეობით იკარგებოდა. თავდაპირველად, ვირჯინია და ქალბატონი კლემი განგაშს ტეხდნენ და პოლიციას არ ასვენებდნენ, მაგრამ თანდათან შეეჩვივნენ მის გაუჩინარებას.

ედგარი კი, იგრძნობდა თუ არა ნერვული მოშლილობის მოახლოებას, თვალთაგან მიმალვას ჩქარობდა და თითქოს მოჩვენების მიერ დევნილი, დაუსრულებლად დაეხეტებოდა ახლომდებარე მინდორ-ველებში. მამიდამისს არაერთხელ უპოვია იგი, გონდაკარგული ქალაქის სასაფლაოზე.

შინ დაბრუნებული კი გაშმაგებით მიეჭრებოდა თავის პაწაწინა ცოლს და თავიდან ფეხებამდე მხურვალედ დაკოცნიდა ხოლმე. ის არც ერთი წამით არ იშორებდა გვერდიდან ვირჯინიას, ვიდრე თავად წერდა, უკითხავდა მას საშინელებებით გაჟღენთილ საკუთარ მოთხრობებს, რომელიც შიშის ზარს სცემდა გოგონას. ის ჯერ კიდევ მეტისმეტად ნორჩი და გამოუცდელი იყო იმისათვის, რომ საკუთარი თავი ეცნო „ლიგეინისა“ და „ელეონორას“ მთავარ გმირებში ან „აშერთა სახლის დაქცევის“ მთავარი გმირის დის პერსონაჟში.

დროდადრო ედგარს თავადაც ეშინოდა იმ დიდი გრძნობისა, რომელსაც ვირჯინიას მიმართ განიცდიდა: გოგონა თექვსმეტი წლის გახდა, შემდეგ თვრამეტის, მაგრამ ედგარი მასთან ფიზიკური სიახლოვის მცდელობას მაინც გოგონას შეურაცხყოფად აღიქვამდა. მამიდა კლემი გაოცებული შეჰყურებდა ცოლ-ქმარს, რომელიც კვლავინდებურად და-ძმასავით ცხოვრობდა. ამ უცნაურობას ის სიძის სულიერი დაავადებით ხსნიდა, რადგან ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ მას ფსიქიკური მოშლილობა სჭირდა...

1842 წლის იანვარში ვიწრო ოთახებში, რომლებშიც პოს ოჯახი ბინადრობდა, სტუმრები შეიკრიბნენ. ისინი ბუხარს შემოუსხდნენ, ედგარმა არფა გამოიტანა, რათა მის ნორჩ მეუღლეს სიმღერით დაესაჩუქრებინა მოწვეულები. მისმა თხელმა თითებმა გაუბედავად გადაურბინა სიმებს, თვალები აუციმციმდა, მაგრამ სახე სანთელივით თეთრი ჰქონდა. მერე სიმღერა დაიწყო და ხმითაც და მთელი იერითაც მართლაც დაემსგავსა ანგელოზს. ქმარი აღფრთოვანებით შესცქეროდა და თვალზე ცრემლი მოადგა. უეცრად ვირჯინიამ ორივე ხელი ყელზე იტაცა და მისი თეთრი კაბა სისხლით შეიღება. ექიმმა უყოყმანოდ დასვა დიაგნოზი: ჭლექი. ეს საბედისწერო სენი მთელი ცხოვრების მანძილზე არ ასვენებდა პოს: მისგან დაიღუპა დედამისიც და დედობილიც, ახლა კი – ცოლი...

ვირჯინიას ავადმყოფობა მან, როგორც საკუთარი განაჩენი, ისე აღიქვა: ის დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ მამიდაშვილი იცავდა ქაოსისა და ბნელეთის საუფლოსაგან, გონების სრული დაბინდვისაგან. ის იყო მისი თილისმა, მფარველი ანგელოზი და საკმარისია იმქვეყნად წავიდეს, რომ მისთვისაც აღარ დარჩება აქ ადგილი. ედგარს ექიმები დაჰყავდა ცოლთან, მთელ ღამეებს ატარებდა ვირჯინიას გვერდით, მუდამ ფხიზლობდა და გაყინულ ხელებს უთბობდა... ცხოვრებაში პირველად, მან ლოცვა დაიწყო, ღმერთს ევედრებოდა, არ წაერთმია მისთვის ერთადერთი არსება, რომელიც უყვარდა. მას გულის მტანჯველი შეტევები დაეწყო და სასოწარკვეთილი ქალბატონი კლემი ელოდა, რომ მისი „რომეო და ჯულიეტა“ ერთსა და იმავე დღეს დატოვებდნენ ამ ქვეყანას.

ამ უმძიმეს პერიოდში პო ხშირად ეძებდა შვებას თავის ნიუიორკელი მეგობრების – სემუელ და ფრენსის ოსტვუდების სახლში. სემუელი მხატვარი იყო და ხშირად იწვევდა ედგარს „სეანსებზე“ – მის პორტრეტს ქმნიდა. ამ საბაბით ოსტვუდები მეგობარს მსუყე სადილით უმასპინძლდებოდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ ეხსნათ, მეგობარი შავბნელი მელანქოლიისგან. და საეჭვოა, წარმოედგინათ, თუ რა ქარიშხალს იწვევდა ედგარის სულში მათი გულწრფელი მეგობრობის ასეთი გამოვლინება...

რბილი სავარძლები, მოოქრულ ჩარჩოებში ჩასმული სარკეები, ბუხარში მხიარულად მოგიზგიზე ცეცხლი – მეგობრების სახლში გაბატონებული სიმყუდროვის ყველა ეს ნიშანი, გაუგებარ შეშფოთებას აღუძრავდა ედგარს. ერთხელ, როცა სემუელის კუთხეში მიყუდებული თლილი ტროსტი დაინახა, პოს ჟრუანტელმა დაუარა: ზუსტად ასეთი ჰქონდა მის განსვენებულ მამობილს – ალანს. მას შემდეგ, რაც მან სახლიდან გააგდო, ედგარს არასოდეს უგრძვნია სიმყუდროვისა და კომფორტის ეს ატმოსფერო. ედგარი ვერ უყურებდა იმას, როგორ ეხვეოდა სემუელი თავის ცოლს, ქალი კი ხელს უთათუნებდა თმაზე და ხუმრობით, მარაოს დაჰკრავდა ხოლმე ხელზე. ის წითლდებოდა და ირეოდა, როცა დიასახლისი ამოჭრილი კაბით ეგებებო-

პომ ადრევე მიაგნო გამოსავალს კოშმარულ ზმანებებთან საბრძოლველად: მას ისინი ქაღალდზე, მოთხრობებად გადაჰქონდა

ედგარ ალან პოს მემორიალი რიჩმონდში

და და თავსაც არ უტყდებოდა, რომ მეგობრის ცოლის გულში ჩახუტების დაუოკებელი ლტოლვა ტანჯავდა.

ედგარს არ ახსოვდა, როგორ და როდის მოხდა ეს, მაგრამ ერთხელ, თავის ცივ, მოუწყობელ ოთახებში ოსტვუდებისგან დაბრუნებულმა, უეცრად გაიცნობიერა, რომ აქაური ყველაფერი ეზიზღებოდა. ეჯავრებოდა გასუქებულ-დამრგვალებული მამიდა, მისი ყოვლისმომცველი სიკეთის მიუხედავად, ეჯავრებოდა თვით... ო, ღმერთო, შეუნდე შენს შეცდენილ მონას! ედგარი ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა ღმერთმა უწყის საიდან აღმოცენებულ ზიზღს ვირჯინიას მიმართ. ის აღარ უთბობდა მას ხელებს და როცა ცივ მზერას მიაპყრობდა მის გაფითრებულ სახეს, იმაზე ფიქრობდა, რომ როცა ცოლი, ბოლოს და ბოლოს მოკვდებოდა, მას ნორმალური ცხოვრების საშუალება მიეცემოდა...

1845 წლის იანვარში ნიუ-იორკის AMERICAN REVIEW-ში დაიბეჭდა ედგარ პოს ლექსი „ყორანი“, რომელმაც მას მყისვე გაუთქვა სახელი. სიტყვას „გენიოსი“ პოეტის მისამართით მხოლოდ ზარმაცი ადამიანი არ იმეტებდა. საბედისწერო და წინასწარმეტყველურ ამ ლექსში პო ემშვიდობებოდა ვირჯინიას და, სტრიქონებს შუა, აღიარებდა, რომ მისმა ყველა ოცნებამ ფიასკო განიცადა.

... ის სრულიად შეიცვალა: კარგად იცვამდა, თავშეკავებულად იქცეოდა. არ ეკარებოდა ალკოჰოლს, ისე საუბრობდა, რომ ყველა ნაცნობს აოცებდა საღი მსჯელობითა და გონიერებით. ნიუ-იორკის ყველაზე ცნობილი ლიტერატურული სალონების მუდმივი სტუმარი იყო, არც ერთ თეატრალურ სპექტაკლს არ აცდენდა, რაც მთავარია – პოპულარული ჟურნალის BROADWAY JOURNAL-ის დიდ სარედაქტორო თანამდებობაზე მუშაობდა. ლიტერატურული ნიუ-იორკის თავკაცები ამიერიდან მისი მეგობრები გახდნენ.

1847 წლის იანვრის ერთ ცივ დილას მამიდა კლემმა იმჟამად ცალკე, ქირით მცხოვრებ სიძეს შეუთვალა, რომ ვირჯინია უკანასკნელ დღეშია და იქნებ, ცოცხალს მაინც მიუსწროსო... საბედნიეროდ, ეს პატარა, ავადმყოფობით გატანჯული ქალი-გოგონა ბოლომდე ვერ მიხვდა, რომ მისმა სათაყვანებელმა ედიმ კარგა ხანია, ზურგი აქცია მას. ვირჯინიამ ხელი მოჰხვია ქმარს და უჩურჩულა, რომ „იქაც“ საუკუნოდ ეყვარება. ამ სიტყვებზე მას თავი გადაუვარდა ბალიშებზე და სამუდამოდ დადუმდა.

... თეთრ კოსტიუმსა და შავი ხავერდის ჟილეტში გამოწყობილი მამაკაცი, ყვავილების უზარმაზარი თაიგულით ხელში, მუხლმოდრეკილი დგას ორმოციოდე წლის კარგად ჩაცმული ქალის წინაშე, რომელშიც ძნელად თუ ამოიცნობ ედგარის რიჩმონდული პერიოდის პირველ სიყვარულს – ელმირა როისტერს. დიახ, ის კვლავ მშობლიურ ქალაქშია, სახელმოხვეჭილი კაცია და მის წინ ყველა კარი ფართოდ იღება. ედგარი აქ ნიუიორკიდან ჩამოვიდა, რათა ხელი სთხოვოს ელმირას – მას ხომ მუდამ უყვარდა ეს ქალი და მუდამ ძალით აშორებდნენ ერთმანეთს. მაგრამ ახლა, ვეღარავინ შეუშლის ხელს, ყველაფერი თავიდან დაიწყოს.

ელმირამ იცნო პო. როგორც ნებისმიერ ქალს, მასაც ძლიერ სიამოვნებს ქათინაურები. ახლა ის მდიდარი მოვაჭრის ქვრივია, დიდძალი ქონება აქვს და თვითონ არის თავის ბატონ-პატრონი. კი, ბატონო, რატომაც არა? ედგარი მას ახალგაზრდობის დაბრუნებაში დაეხმარება. მხოლოდ ერთი „მაგრამ“ არსებობს: რაღაც გაუცნობიერებლად აშინებდა ელმირას, მის წინ მუხლმოდრეკით მდგომ ამ მამაკაცში, თუმცა თავად ვერ გაეგო, თუ საკუთრივ რა...

ქორწილის დღეც დაინიშნა. წინა დღით საქმრო რომ ეწვია, მოსამსახურემ სთხოვა, ზემოთ, ელმირას საძინებელში ასულიყო. ის შევიდა ოთახში და თეთრ, ქათქათა ლოგინზე სრულიად შიშველი, ავხორცულად მოღიმარი საცოლე დაინახა. ამ მოსული, ვარდისფერი სხეულის დანახვისას უეცრად ედგარს ზიზღის მწველი, გამჭოლი შეგრძნება დაუვლის: რა უნდა ამ ცხენს მისგან? უნდა, რომ მან...

თვალდაბინდული პო ნავსადგურში მიექანება და ბალტიმორში მიმავალ გემზე ადის. ის თავის ვირჯინიასთან, თავის მტრედთან მიემგზავრება. ის მიუტევებს. კაცი შევა მათ მანსარდაში და მისი პატარა ვირჯინია სიხარულით შეეგებება და კისერზე ჩამოეკიდება...

ერთადერთი რამ, რაც მოსვენებას არ აძლევს – ეს შავი ფრინველია, რომელიც აედევნა, როცა ელმირას სახლიდან გამოვარდა. ედგარი ცდილობს, მოიშოროს ყორანი, მაგრამ ამაოდ – მისი საშინელი ჩხავილი სულ უფრო დამთრგუნველი ხდება. ბოლოს და ბოლოს, პოს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ეს საზიზღარი ხმა... მისივე ყელიდან ამოდიოდა.

ორ დღეში ედგარ ალან პო ციებცხელებით გარდაიცვალა ქალაქ ბალტიმორის საავადმყოფოში. 1849 წლის 7 ოქტომბერი იდგა.

■



- იუპიტერის მეუღლე
- ფარულად შემოტანილი საქონელი
- ჯჯალი, რომლის გულს ჰქვია კოპრა
- რომანის დასკვნითი ნაწილი
- შაქრის შემცველი მცენარე
- გაფრინდაშვილი
- მცირე ლირიკული მუსიკ. ნაწარმოები
- „ქართლის ცხოვრება“ ... მროველი
- კარგად მოწყობილი ძვირფასი სასადილო
- უპატრონო, დაკარგული საქონელი
- ყაჩაღთა ჯგუფი (იტალ.)
- ფრანგული ავტომობილი
- კლდის წაწვეტებული ნაწილი
- ვინმეზე გაწეული შრომა
- ოპერის ყველა პარტიის ერთობლ.
- დაფქული მარცვლის გარსის ნარჩენი
- ღვინის საცავი
- ესპანელისა და ინდიელის ნაშიერი
- ხელოვნების დარგი
- პპირუსების შემსწავლელი მეცნიერი
- მტაცებელი ცხოველი
- რისამე შესაღებად გამზადებული საღებავი
- ქალაქი საქართველოში
- სოკოს გავრცელების ორგანო
- გრაფ შერემეტიევის რეზიდენცია
- ტროპიკული ქვეყნების ტივი
- განუმეორებელი ვირტუოზი მეკიოლინე
- ცნობიერება, სული,
- საბუღალტრო წიგნის გვერდი
- იტალიის ტელევიზია
- წყლის გამთბობელი თბოცენტრალში
- დაწესებულ. დამოუკიდებ. განყოფილება
- ბოსტნეულის მავნებელი მწერი
- ადამიანთა უწესრიგო გროვა
- ჭავჭავაძე
- ნიშანთა სისტემა საიდუმლო წერილში
- ცეცხლის ენა
- „სამშობლოს სევდა“
- სელის ქსოვილი სალებავებით სახატავად
- პროგრამირების ენა
- შეადგინა რამაზ ალანიამ

36-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ბ; 4-ბ.

53-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ბ.

კვირის (14–20 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი

კრო – 21/IV-21/V

მთელი კვირა სიყვარულს შეგიძლიათ დაუთმოთ: გნებავთ, ახალი რომანტიკული ურთიერთობა გააბით, გნებავთ, ძველი განამტკიცეთ. განსაკუთრებით შედეგიანი გექნებათ ორშაბათისა და შაბათის საღამოები. რაც შეეხება საქმეს, ამჯერად სჯობს დინებას მიჰყვეთ, თუმცა ადრე დადგენილ კურსსაც ნუ გადაუხვევთ.

მარხვეთი – 22/V-21/VI



ამჟამად მხოლოდ საქმიანი პრობლემებით იქნებით დაკავებული და ამას სერიოზული საფუძველიც აქვს: ყველა საქმე საუცხოოდ აგეწყობათ. განსაკუთრებით პარტნიორებში გაგიმართლებთ – ამ კვირაში ისინი ბევრ სარგებლობას მოგიტანენ.

კირჩხეთი – 22/VI-22/VII

ჩანს, უნდა გადახედოთ ადრე დადგენილ პრიორიტეტებს და ცხოვრების ახალ წესზეც დაფიქრდეთ. კვირის დასაწყისში შეიძლება არც ისე ბედნიერ ადამიანად იგრძნოთ თავი და ნაღვლიანად იფიქროთ იმაზე, რომ გაცილებით მეტს იმსახურებთ. სიახლეების ძიებისას საკუთარ თავში უჩვეულო აქტივობას იგრძნობთ, მაგრამ მეგობრების რჩევებსაც დაუდგეთ ყური.

ლომი – 23/VII-23/VIII



საერთო ჯამში, საკმაოდ პოზიტიური კვირა გექნებათ. განსაკუთრებული წარმატებები იმ ლომებს ექნებათ, რომლებსაც ასე თუ ისე, შემოქმედებასთან აქვთ კავშირი. თუმცა, ერთი საფრთხე მაინც გელით: შეიძლება საკუთარი მეტიჩრობის მსხვერპლი აღმოჩნდეთ.

ქალწული – 24/VIII-23/IX



ყველაზე დიდ სიამოვნებას მეგობრებთან ურთიერთობა და საინტერესო წიგნისა თუ ფილმის გარშემო გამართული კამათი მოგგვრით. საქმიანობის თვალსაზრისით ყველაზე ნაყოფიერი სამშაბათი და ოთხშაბათი იქნება.

სასწორი – 24/IX-23/X

მთელი კვირის მანძილზე უამრავ ადამიანს დასჭირდებით. სხვადასხვაგვარ ადამიანთან ურთიერთობის, დაუღალავი შრომისა და, იმავდროულად, ხალისიანი დროს ტარების უნარით, უამრავ სიმპათიას დაიმსახურებთ. უქმეები აუცილებლად მეგობრებთან ერთად, სუფთა ჰაერზე გაატარეთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

ერთი მხრივ, ძალიან კარგ შედეგებს მიაღწევთ საქმეში და პრაქტიკულად, ნებისმიერ ამოცანასაც ამოხსნით. მეორე მხრივ, ხელფასის გაზრდასა და სამსახურებრივ წინსვლაზე ახლა დაფიქრებაც ზედმეტი იქნება. თავი მაღაზიებში გასეირნებით შეიქციეთ: გარდერობის შევსება არ გაწყენთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

წვრილმანი უსიამოვნებების გარდა, დიდი არაფერი გემუქრებათ, თუ, რასაკვირველია, თქვენსავე ამბიციურობას არ ჩავთვლით, რომელიც მთელი კვირის მანძილზე გმირობის ჩადენისა და ყურადღების მოპყრობისკენ გიბიძგებთ. გმირობისა რა მოგახსენოთ და, ზოგი რამ მაინც გამოგივათ – ყოველ შემთხვევაში, თანამშრომლები და მეგობრები თქვენით კმაყოფილები დარჩებიან.

თხის რქა – 22/XII-20/I

ნუ დაიზარებთ მიღებული ინფორმაციის გადამოწმებას, მეტი ყურადღება დაუთმეთ წვრილმანებს – ეს არა მარტო აგარიდებთ სერიოზულ შეცდომებს, არამედ უკვე დაკარგულის ანაზღაურებაშიც დაგეხმარებათ. ყველაზე ახლობელი ადამიანი სასიამოვნო სიურპრიზით გაგახარებთ.

მერწყული – 21/I-19/II

ფრთხილად იყავით! ამ კვირაში ბევრი სერიოზული შეცდომა არ ჩაიდინოთ. უჩვეულოდ ენერგიული იქნებით, მაგრამ ურთიერთობასა და სხვების გაგებაში საკმაო პრობლემები შეიძლება გაგიჩნდეთ. ამიტომ დიდი დაკვირვება გმართებთ.

თევზები – 20/II-20/III

სამუშაო კვირის თავი და ბოლო ნაკლებად ნაყოფიერი შეიძლება გქონდეთ. ორშაბათს შეცდომები, დაგვიანებები და ჩავარდნებიც კია მოსალოდნელი, პარასკევს – უსიამოვნო საუბარი უფროსობასთან. ეცადეთ, გულთან ახლოს არ მიიტანოთ ეს ყველაფერი – მდგომარეობა მალე გამოსწორდება.

ვერძი – 21/III-20/IV

საკმაოდ დამღლელი კვირა გელით. დასაწყისში შეიძლება ენერგეტიკული ვამპირის მსხვერპლიც გახდეთ და აუხსნელი დაღლილობა იგრძნოთ. შემდგომ ამის საფუძვლიანი მიზეზიც გექნებათ – ბევრი სამუშაოს შესრულება მოგიწევთ. შეეცადეთ, შეძლებისდაგვარად მაინც გახვიდეთ ხოლმე სუფთა ჰაერზე და დაისვენოთ.

ადვილად ეჭცევით თუ არა სხვისი ზეგავლენის ქვეშ?

1) შეგაქვთ თუ არა ჩაცმულობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები, როცა მოდა ძირფესვიანად იცვლება?

ა) აუცილებლად;

ბ) არა, რადგან თქვენს ჩაცმულობას განსაზღვრავს არა მოდური ჟურნალები, არამედ ინდივიდუალური სტილი;

გ) უმნიშვნელოდ მიბაძავთ იმას, რაც ძალიან მოგწონთ.

2) კარგი მოკამათე თუ ხართ?

ა) დიახ, უფრო ხშირად თქვენი მოსაზრება იმარჯვებს;

ბ) ვერ იტყვით, რადგან ჭეშმარიტი, უმეტესად სხვისი აზრი აღმოჩნდება ხოლმე;

გ) არა, რადგან საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულსაც კი, კამათისას გიჭირთ შესაბამისი არგუმენტაციის მოძებნა.

3) იზიარებთ თუ არა სხვების შეხედულებებს თქვენთვის უცნობი ადამიანის შესახებ?

ა) ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ გამოთქვამს აზრს;

ბ) რატომაც არა?

გ) არა, რადგან გწამთ იმის, რაშიც თვითონ დარწმუნდებით.

4) ხდება თუ არა, რომ კომპანიაში თქვენ გარდა, არავის მოსწონს ტელეგადაცემა?

ა) დიახ: თქვენი აზრები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს;

ბ) იშვიათად: უფრო ხშირად ასეთ საკითხებში სხვასთან ერთსულოვნებას იჩენთ;

გ) ასეც რომ მოხდეს, მაინც გარწმუნებენ, რომ მართალი არ ხართ.

5) თუ რაიმე ქცევისთვის გსაყვედურობენ, როგორ იქცევით – ცვლით თქვენს ქმედებას თუ პრინციპულად განაგრძობთ იმავეს?

ა) არ შეიცვლით საქციელს;

ბ) დამოკიდებულია იმაზე, რა ფორმით გამოთქვამენ საყვედურს;

გ) თუ საყვედური სამართლიანია, რა თქმა უნდა, შეიცვლით.

6) შეგიძლიათ თუ არა, დაუხაზავ ფურცელზე სწორხაზოვნად წერა?

ა) სწორხაზოვნად წერას დახაზულ ფურცელზეც ვერ ახერხებთ;

ბ) არა, სტრიქონები ხან ზევით მიცოცავს, ხან ქვევით;

გ) შეგიძლიათ.

7) შეგიძლიათ თუ არა მეგობრული ურთიერთობა დაამყაროთ თქვენს კოლექტივში (სკოლა, სტუდენტური ჯგუფი, სამსახური) არაპოპულარულ ადამიანთან?

ა) არა, თუ სხვებს არ მოსწონთ, თქვენ რატომ უნდა დაუმეგობრდეთ?!

ბ) თუ ის გესიმპათიურებათ – კი;

გ) დიახ, თუ იგრძენით, რომ მას თქვენი მფარველობა სჭირდება.

8) ხუთი წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით, უფრო მეტად თუ ნაკლებად მოგწონთ ძველებური სტილის სახლები?

ა) მეტად;

ბ) ნაკლებად;

გ) ისევე, როგორც ადრე.

9) თქვენი აზრით, ყველა ჭორი უსაფუძვლოა?

ა) დიახ;

ბ) ხანდახან ჭორი სიმართლის მარცვალს შეიცავს;

გ) კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება...

10) შეგიძლიათ თუ არა, ჩაიცვათ ტანსაცმელი, რომელსაც ადრე დასანახავად ვერ იტანდით, თუ მას ბევრი ადამიანი შეგიქებთ?

ა) დიახ, იქნებ სხვები უკეთ ხედავენ?

ბ) არა, რადგან ყველა შემთხვევაში ამ ტანსაცმელში თავს მოუხერხებლად იგრძნობთ;

გ) ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გჯერათ მათი, ვინც ტანსაცმელს გიქებთ.

11) თვლით თუ არა, რომ ფილმის შესახებ კრიტიკოსთა მიერ გამოთქმული აზრი სინამდვილეს შეესაბამება?

ა) დიახ, ეს ხომ პროფესიონალების აზრია;

ბ) არა, ხანდახან სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს მოისმენთ;

გ) განზოგადება არ ღირს: ხან ასეა, ხან ისე.

12) სამსახურში დღისით უსიამოვნო შემთხვევის შემდეგ, გახასიათებთ თუ არა მეგობრების წრეში კამათის წამოწყება?

ა) დიახ, ამ დროს განიმუხტებით;

ბ) არა, ასეთ სიტუაციებში კამათს ერიდებით;

გ) ეს ორი რამ ერთმანეთზე დამოკიდებული არ არის.

13) თავგამოდებით ამტკიცებთ თუ არა საკუთარ შეხედულებებს, თუ მას სამსახურში თქვენი რომელიმე კოლეგა არ იზიარებს?

ა) თუ დარწმუნებული ხართ, რა თქმა უნდა, ამტკიცებთ;

ბ) დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დამოკიდებულება გაქვთ კოლეგასთან;

გ) არა, ეს ძალიან სახიფათო საქციელია.

14) თუ შეამჩნევთ, რომ სამსახურში კოლეგები თავს ძალიან ბევრის უფლებას აძლევენ და ამით თქვენ გამცირებენ, როგორ მოიქცევით?

ა) უპასუხებთ ამის ადეკვატურად;

ბ) არ მიაქცევთ ყურადღებას;

გ) აღნიშნული სიტუაციის შესაბამისად მოიქცევით.

15) თუ ცუდ ამინდში სახლში, ფანჯარასთან ზიხართ და წიგნს კითხულობთ, რას ფიქრობთ?

ა) რა კარგია სახლში!

ბ) რა დასანანია, რომ ცუდი ამინდია!

გ) რა შესანიშნავი წიგნია!

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
ა	8	3	5	5	0	5	2	9	0	9	10	0	1	8	8
ბ	2	9	10	9	2	10	10	1	5	0	0	10	7	1	10
გ	5	7	0	8	5	0	3	5	10	6	5	5	9	5	2

დააჯამეთ მიღებული ქულები

40 ქულაზე ნაკლები: თქვენ დინების მსხვერპლი არ გახდებით. რაც არ უნდა მოხდეს, ფეხზე მყარად დგახართ და საკუთარ შეხედულებებს არ თმობთ. თქვენზე არც ცუდი ამინდი მოქმედებს, არც კონფლიქტები და საკამათო სიტუაციები. ყოველთვის იცით, რა გსურთ და ამის მიღწევას ყველანაირად ცდილობთ. ასეთი ნებისყოფით ბევრს მიაღწევთ და შორს წახვალთ, მაგრამ გირჩევთ, ერთ რამეს მაინც მიაქციოთ ყურადღება: ბრძოლა და სერიოზული კამათი მხოლოდ ჭეშმარიტად ფასეული მიზნისთვის თუ ღირს.

40-90 ქულა: უმეტესად ხელმძღვანელობთ არა ემოციებით, არამედ რაციონალური მოსაზრებით. შეგიძლიათ საღად აზროვნება და აუცილებლობის შემთხვევაში ხელმძღვანელობთ პრინციპით – „თმობს ის, ვინც უფრო ჭკვიანია“, მაგრამ თუ საქმე მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ, საკუთარ აზრს მკაცრად იცავთ. ადამიანებსა და მოვლენებზე მყარი შეხედულება გაქვთ და ქარის მიმართულებასავით უეცრად არ იცვლით, თუმცა არც ის გიჭირთ, რომ დროთა განმავლობაში შეხედულება შეიცვალოთ, თუ ცხოვრება და თქვენი გონება ამას გიკარნახებთ.

90 ქულაზე მეტი: მართალია, ნათქვამია, რომ ჭკვიანი ადამიანი თმობს, მაგრამ საკითხავია – როდემდე? იქნებ თქვენმა დამთმობმა ხასიათმა ზღვარს გადააჭარბა? იქნებ დაფიქრდეთ, თუ რა არის ამის მიზეზი? შეგიძლიათ საკუთარი თავის დაცვა? იქნებ ყოველთვის არ ღირს დათმობა და სიტუაციის მიხედვით, საკუთარი შეხედულებები და აზრები უნდა დაიცვათ?!

ეკოლოგიური ედემი



მოხდება თუ არა მსოფლიო ეკოლოგიური კატასტროფა, ჯერ არავინ იცის, მაგრამ ამერიკელმა ეკოლოგებმა ყოველი შემთხვევისთვის მაინც ააგეს რვა უშველებელი ბიოსფერო, რომელსაც „სიცოცხლის ბაღები“ უწოდეს. სისტემები მთლიანად იზოლირებული და ავტონომიურია. ჯერჯერობით ახალ ედემებში მხოლოდ მცენარეები „იცხოვრებენ“. შემდეგ სხვადასხვა ძუძუმწოვარსაც ჩაასახლებენ და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდა, ბუნების მეუფეებს, HOMO SAPIENS-ებსაც გაამწესებენ იქ. მაშველი სფეროების შექმნელები იმედოვნებენ, რომ მათი ბაღების შეძენას მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოინდომებს და ეკოლოგებიც არასოდეს გაღარიბდებიან.

თითქმის მედმივი ნათესა

ინგლისის ქალაქ იპსვიჩში მდებარე ელექტრონაწარმის მაღაზია MARTIN AND NEWBY-ის მამაკაცთა ტუალეტში ნათურა გადაიწვა. ეს მისი პირველი ჩართვიდან თითქმის 70 წლის შემდეგ მოხდა. „ფორმით თუ ვიმსჯელებთ, ნათურა 30-იანი წლების დასაწყისში უნდა იყოს დამზადებული, – მიაჩნია მაღაზიის დირექტორს მაიკლ ატკინსონს. – მესმის, რომ ეს იშვიათი შემთხვევაა, მაგრამ მაინც ამტკიცებს, რომ წინათ უფრო ხარისხიან ნაწარმს ამზადებდნენ“. ამჟამად მაღაზიის პერსონალი დიდი რუდუნებით აგროვებს მარკირებულ 25 ვატიან ნათურაზე დამატებით ინფორმაციას, იმ იმედით, რომ ღვაწლმოსილ მანათობელს გინესის წიგნში შეიყვანენ.

თუჩქელი ჩომ შეეყაჩოს?!

მომავალ საერთაშორისო ექსპედიციას ევროპაში გამძვინვარებულმა თურქულის ეპიდემიამ შეუშალა ხელი: ლეგენდარული ურჩხულის – ნესის პოვნის მიზნით, შოტლანდიის ტბის – ლოხ-ნესისკენ მიმავალმა მეცნიერებმა, ევროპაში დაწესებული გადაადგილების შეზღუდვების გამო დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწიეს და მხოლოდ იმის იმედად დარჩნენ, რომ უზარმაზარ ხვლიკს თურქული არ შეეყრება...

მაღლობის მაგიესია?!.

სამხრეთაფრიკელ პოლიციელებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ მოძალადეს წაადგნენ თავზე, როცა დაინახეს, როგორ აუპატიურებდა მდინარის პირას უგონოდ მწოლიარე ქალს მამაკაცი. თუმცა, სასამართლოზე ბენ დეკერი კატეგორიულად უარყოფდა წაყენებულ ბრალდებას, რომ ქალის უმწეობით ისარგებლა. მან განაცხადა, რომ ქალი მდინარე ლიმპოპოს დინებას გამოსტაცა და ცდილობდა, გრძნობაზე მოეყვანა. ხელოვნურმა სუნთქვამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. მაშინ დეკერმა გადაწყვიტა სხვა, უფრო „საიმედო“ მეთოდით დაებრუნებინა სიცოცხლე ქალბატონისთვის. სხვათა შორის, მან თავისას მიაღწია. ლამაზმანს გონება დაუბრუნდა და ლოყებზე ვარდისფერმაც კი გადაჰკრა.

ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა ზურაბ ნოღაიდელმა და მიხეილ მაჭავარიანმა.

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲖᲣᲠᲐᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ!

ᲥᲝᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნება)

ᲐᲛ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲐᲡ ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ. ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ ᲐᲦᲑᲔᲭᲓᲘᲚ ᲡᲐᲮᲔᲡ ᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲠᲒᲔᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲝᲣᲮᲓᲔᲑᲐ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲤᲝᲢᲝ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲮᲛᲐᲡ ᲓᲐᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲡ.

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ, ᲨᲔᲐᲕᲡᲝᲗ ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲝᲗ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚᲘ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ. ᲥᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲩᲐᲐᲒᲓᲔᲗ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ (15 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ) 13 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ.

„ფანტაზია“

ქონებრივი დეკლარაცია

„ფანტაზიორობს
მკითხველი“

ეკონომიკის
ექიმებაშები

639/17

შერინგი (გერმანია)

SCHERING

ულტრაპროქტი

(მალამო და სანთლები)

ბუასილის ეფექტური მკურნალობა



უკან მორჩენილი პრობლემები